კვირის პალიტრა
გია
N22(51) 31/V.-6/VI.2001.
ფასი 60 თ.

კრიალაშვილების ოჯახი

ახალი რომანი — „ბედისწერა“

1168
2001

გიას გულისთვის „ბეტონერს“ წინ დავუწვებოდი

როგორ შეაშინა „ბოგიჩა“ თოვლის კაცმა

დედ-მამა, მათი მკვლელი ვაჟი და მისი და — ფოტოები საოჯახო ალბომიდან



მედოლე გიორგი:

„აჭარულის“ ცეკვაც მეხერხება — ისე გავუსვამ ხოლმე, რომ ერთხელ ჩემმა შემხედვარემ, შუახნის ქალმა ხმამაღლა თქვა — ამხელა უკანალით კაცი ასე სხარტად ცეკვავდეს, პირველად ვხედავო...“

ქვირის ბალიბერა
№22 (51)
31 მაისი — 6 ივნისი 2001
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
წინ — ქართული პერპეტუუმ-მობილესკენ“! 3
სიტუაცია
„გია არის კაცი, რომლისთვისაც ღირდა, „ბეტეერის“ წინ დავწოლილიყავი“ 4
ოპოზიცია
ნემო ბურჭულაძე: „ამ ძეგლის გახსნას დაცინვად მივიჩნევ...“ 7
მსახიობი
„ბოგიჩა“ — შანსოს ძმაკაცი 8
ტკივილი
„აფხაზებთან შეხვედრისას, თვალნათლივ ვხედავ, წინ როგორ მივიწევთ...“ 10
ცხოვრება
ცნობილი კომპოზიტორის ბიოგრაფიის ამოუცნობი მოვლენები 13
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი ბოჩა ღვალის უბის წიგნაკიდან 16
შემთხვევა
პოლიტიკური თავშესაფარი მარტო ბელგიაში 200 ლეიბორისტს მოუთხოვია 16
ადამიანი
„ინდურ ფილმებზე, ვგიჟდები...“ 18
პრიმინალი
• „დედ-მამის მკვლელობა მან მშვიდად აღგვიწერა...“ 20
• საიდუმლოებით მოცული მკვლელობა უნივერმაღში 22
შეჩერებული ნამი
წინაპარი, დიდ წინაპართა შთამომავალი 25
ოსტატი
„სამოთხის ჩიტები“ ჩვენში არავის სჭირდება 26
მაშველი
„ქართველები ესროდნენ ერთმანეთს და გვესროდნენ ჩვენც...“ 28
ტესტი
ერთგული მკითხველი 30
ფსიქოლოგიური თამაში
რამდენად გამომსახველობითი მეხსიერება გაქვთ 31

„გია არის კაცი, რომლისთვისაც ღირდა, „ბეტეერის“ წინ დავწოლილიყავი“

„ბეტეერს“ წინ გადავუდექი, მუშტები დავუშინე და ვიყვირე: აფხაზეთიდან ცოცხალი ჩამომივიდა, ღმერთმა გადამირჩინა და თქვენ აქ გინდათ მომიკლათ-მეთქი?! არ ვიცი, როგორ მოხდა, რომ „ბეტეერმა“ უკან დაიხია.

4

როგორ მოვინახულე „აზიური ვეფხვი“



კორეელმა გაცნობისთანავე შეიძლება გკითხოს, რამდენი წლისაა შენი ცოლი, ან — რა ზომის ფეხსაცმელს აგარებს?.. ასეთი კითხვები, აღმოსავლური გაგებით, არათუ უხერხულად არ ითვლება, არამედ ყურადღების გამოხატვის საუკეთესო ფორმასაც წარმოადგენს...

40

„დედ-მამის მკვლელობა მან მშვიდად აღგვიწერა...“



ოჯახი კარჩაკეტილად ცხოვრობდა. ურთიერთობა მეზობლებთან ნაკლებად ჰქონდათ. ამის მიზეზი აჩიკოს დედა იყო, რადგან ხშირად მეზობლებთან ჩხუბი მოსდიოდა ხოლმე. მათ ქვემოთ მცხოვრები მეზობლის თქმით, ამ ფაქტის გამოაშკარავებამდე, ძეგველიშვილების ბინიდან ვაჟას ყვირილის ხმა გაუგია...

20

ცნობილი კომპოზიტორის ბიოგრაფიის ამოუცნობი მოვლენები

აბაგანაშიც ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ვიღაც მიყურებდა. გავიფიქრე — ახლა აქ თუ ვინმეა, რაიმე ნიშანი მაინც მომცეს-მეთქი. ამის გაფიქრება იყო და მესმის, იქვე მდგარ მაგიდაზე დაკაკუნებისა და ძლიერი დარტყმის ხმა. ეს ნამდვილი საოცრება იყო...

13

21960
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

სამყარო

დამწერლობა – კაცობრიობის უდიდესი მონაპოვარი 32

წმინდანები

მეფე, პოეტი და წმინდანი – მთქმელი „შენ ხარ ვენახისა“ 34

ისტორიის გაკვეთილები

1918 წლის ლეჩხუმის აჯანყება 35

ჰოლივუდი

დაჩაგრული ვარსკვლავები და გაბრიყვებული სცენარისტები 38

მოგზაურის დღიურები

როგორ მოვინახულე „აგიური ვეფხვი“ 40

ცივილიზაცია

ჯეროლამო კარდანო – ასტროლოგი და გამომგონებელი 43

კატასტროფა

სამხრეთკორეული ავიალაინერის ტრაგედია 44

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

ტესტი ერუდიციაგე 45

ვარსკვლავი

ლარა ფლინ ბოილი: „მე და ჯეკ ნიკოლსონი ერთი ჯიშისანი ვართ“ 46

ბომონდი 48

რომანი

ნიკო აშკარელი. ბედისწერა (დასაწყისი) 49

ავტო 52

ესკიზები

„რასაც შეეხო, ყველაფერი გგნებით დამუხტა“ 54

ჯანმრთელობა

- წყალი და სილამაგე 56
- ნიორი და მისი სამკურნალო თვისებები 57

ადამიანი-ლეგენდა

„საუკუნის მძარცველი“ 58

სკანვორდი 61

ჰოროსკოპი

კვირის (4-10 ივნისი) ასტროლოგიური პროგნოზი 62

ტესტი

როგორი ქმარი გყავთ? 63

კალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

ჯეროლამო კარდანო – ასტროლოგი და გამომგონებელი



...მასსრად აგდებულმა და შეჩვენებულმა კარდანომ, თავისი წინასწარმეტყველების სისწორის დასადასტურებლად, უარი განაცხადა საკვების მიღებაზე და შიმშილისგან გარდაიცვალა.

43

პოლიტიკური თავშესაფარი მარტო ბელგიაში 200 ლეიბორისტს მოუთხოვია

– კარგით, რა! კენედის მკვლელობა დღემდე გაუხსნელი რჩება და თქვენ როგორ გგონიათ – რომც განვაცხადო, მაშინვე გახსნიან ლეიბორისტული პარტიის კოორდინატორზე ან დიდუბის ოფისზე თავდასხმის საქმეს და დამნაშავეებსაც ოპერატიულად დაიჭერენ?! რას ამბობთ!

16

„მე და ჯეკ ნიკოლსონი ერთი ჯიშისანი ვართ

ამბავმა, რომ ნიკოლსონს 33 წლით ახალგაზრდა ქალი შეუყვარდა, ჰოლივუდში ფურორი მოახდინა. ის ნიკოლსონის უფროს ქალიშვილზე ხუთი წლით უმცროსია. ყველაფერთან ადვილად შემგუებელ ჰოლივუდსაც კი მოეჩვენა, რომ ეს უკვე მეტისმეტი იყო.

46

ბედისწერა



მოწინავემ ავტომატი მოიმარჯვა და გიგიას თავს ზემოთ ჯერი გაუშვა. გიგია პირდაპირ თვალებში უყურებდა, სროლის ხმა აღარც ესმოდა, თვალები ებინდებოდა... ავტომატის ღვედი ხელიდან გაუვარდა, რამდენიმე ნაბიჯი მექანიკურად გადადგა და ჩაიკეცა...

49

წინ – ქართული „პერპეტუუმ-მობილესკენ"!

ქართველები, ზოგადად, ტრადიციონალისტი, კონსერვატორი ხალხი ვართ (პარტიულ კუთვნილებას არ ვგულისხმობ), მაგრამ ნოვატორული ნიჭიც რომ ოდითგან მოგვდგამს, – ესეც არაერთხელ დაგვიმტკიცებია.

ნოვატორობა, საერთოდ – ნოვაცია პროგრესის მამოძრავებელი ძალაა და ამიტომაც არის, რომ მიუხედავად ყველაფრისა, პროგრესული კაცობრიობის პროგრესულ ერთა შორის ქართველობას ყოველთვის ჰქონდა თავისი საპატიო ადგილი.

მაგრამ ამ ავტორიტეტს გამუდმებით სჭირდება განმტკიცება და დადასტურება, თორემ ჩვენ კი არა – რომაელები, ძველი ბერძნები და ეგვიპტელებიც კი გადაშენდნენ, როდესაც ჩათვალეს, რომ ყველაფერი შექმნილი და გაკეთებული ჰქონდათ, რაც კი შეიძლებოდა.

ჰოდა, ქართველი კაციც ცდილობს, მიუხედავად სიდუხჭირისა, ტვინი გაანძრიოს, წარმოსახვა დაძაბოს და საკაცობრიო საგანძურს მაინც მუდმივად შესთავაზოს რაღაც ახალი, მშვენიერი, მარადიული...

რაღა ბევრი მტკიცება უნდა იმას, რომ ახალი გამოგონების გამომზეურებისთვის, დღესასწაულია ზედგამოჭრილი. ასე იყო ყოველთვის, მაგალითად: როდესაც მავანმა კულინარმა დღეს ყველასათვის საყვარელი მაიონეზი გამოიგონა, საფრანგეთის მეფეს – რომელიღაც ანრის თუ ლუდოვიკოს დაბადების დღეზე – საფრანგეთის ეროვნულ დღესასწაულზე მიართვა ახალი ნუგბარი და 50 ათასი ლუიდორიც ჩაიჩრიალა მზარეულის წინსაფრის ფართო ჯიბეში; ასევე ფრანგი იყო ექიმი, გვარად გილიოტენი, რომელმაც ექიმისათვის არცთუ ისე შესაფერისი მოწყობილობის სანაცვლოდ, რომელსაც ადამიანების უთავოდ დატოვების გარდა სხვა ფუნქცია არ ჰქონია, სამუდამო დიდება, პარიზში ძეგლი და მეფის ქება დაიმსახურა. გარდა ამისა, მის გამოგონებას პრაქტიკული და სასარგებლო მნიშვნელობაც ჰქონდა – შრომა შეუმსუბუქა ჯალათს, რომელსაც ორასგირვანქიანი ნაჯახის ქნევის ნაცვლად, სახელურის გამოწევაღა ევალებოდა.

ერთი სიტყვით, მაგალითი ბევრია და ჩვენ – ქართველებიც ყოველ დღესასწაულს ახალი გამოგონებით ვხვდებით, მაგრამ წლევანდელი 26 მაისი მაინც განსაკუთრებული იყო გამოგონებათა იმ რაოდენობით, რომელიც მთავრობამ, ხალხმა, სამხედროებმა და მომიტინგეებმა წარმოგვიდგინეს.

თავად განსაჯეთ, ოდესმე, სადმე, თუ გაიხსენებთ შემთხვევას იმ ორი ათასი წლის მანძილზე, რაც მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე ჯვარს აცვეს, მისი ჯვარცმის სიმბოლოდ ქცეული სიწმინდე ვინმეს „პირდაპირი დანიშნულების" გარდა სხვანაირად გამოეყენებინოს. ჩვენმა ზვიადისტებმა კი მას რა ფუნქციაც მოუძებნეს, თავ-პირზე ახატიათ (ამ სიტყვების პირდაპირი გაგებით) ქართული პოლიციის მუშაკებს, თუმცა ექსპერიმენტის სახით ეს გამოგონება რამდენიმე თვის წინ უკვე წარმოგვიდგინა ბასილ მკალავიშვილმა და „ახალი იარაღის" პოლიგონად იეროველთა თავები გამოიყენა.

ეს კიდევ არაფერი, ჩვენი დედაქალაქის შორიახლოს 26 მაისს სხვაგვარად ზეიმობდა ქვეყნის დამცველთა სამას-ოთხასკაციანი ჯგუფი. საერთოდ, ესეც გამოგონებად შეიძლება ჩაითვალოს, ოღონდ ხელისუფლების მხრიდან: კაცს იარაღი მისცე, ოღონდ სასმელ-საჭმელზე და ჩასაცმელ-დასახურზე ბოდიში მოუხადო და თან იმის იმედი გქონდეს, რომ იმ იარაღს შენკენ არ მოატრიალებს, მაგრამ რა გინდა – უმართლებთ. იარაღიც ჰქონდათ, შიოდათ კიდეც, მაგრამ მხოლოდ „სოციალური მოთხოვნები" ამოძრავებდათ, როდესაც ტანკების რახარუხით საკუთარი ქვეყნის სხვა სამხედრო ნაწილი „დაიპყრეს". თავისთავად, ის სახელი, რომელიც ამ აქციას უწოდეს, ან ნონსენსია, ან – ერთ-ერთი უდიდესი აღმოჩენა: სხვაგან სად გაგიგიათ ტერმინი „შეიარაღებული გაფიცვა". გაფიცვა ხომ იმას გულისხმობს, რომ მუშა, მოსამსახურე თუ სტუდენტი სწორედ იმიტომ აცხადებს უარს თავისი მოვალეობის შესრულებაზე და ამის გამოხატვის ერთადერთ ფორმად „პასიურ სიჯიუტეს" აცხადებს, იმიტომ, რომ სხვა გზა და ძალა არ გააჩნია. აქ კი იარაღიც ხელში ჰქონდათ, მთავრობასაც შიშით აკანკალებდა და მაინც იქით ეხვეწებოდნენ, სასმელ-საჭმლის გარდა არაფერი გვინდაო.

ყველა გამომგონებლის აუხდენელი ოცნებაა „პერპეტუუმ-მობილე", ანუ „მარადი ძრავა", მაგრამ როგორც ცნობილია, გამოგონებათა რეგისტრაციის საერთაშორისო ბიურომ ოფიციალური განცხადება ჯერ კიდევ ასი წლის წინ გააკეთა იმის შესახებ, რომ „მარადი ძრავის" პროექტებს აღარ მიიღებს განსახილველად, რადგან ენერგიის მუდმივობის კანონით მარტივად მტკიცდება მისი შექმნის შეუძლებლობა.

ამის მიუხედავად, სავსებით მოსალოდნელია, რომ ამ ორგანიზაციამ ქართველებისათვის გამონაკლისი დაუშვას, რადგან ჩვენ უკვე გვაქვს უამრავი ისეთი გამოგონება, რომელიც ყოველგვარ ადამიანურ და მეცნიერულ ლოგიკას სცილდება. მხოლოდ რამდენიმე გავიხსენოთ:

არჩევნებში ერთ-ერთი პარტიის ან პერსონალური კანდიდატის გამარჯვება 100-ზე მეტი პროცენტით (აქ პოლიტმეცნიერების გარდა, ფიზიკაც „გადატრიალდება", რადგან ჩვეულებრივ – სამგანზომილებიან სივრცეში ასეთი რამ შეუძლებელია);

აქამდე დადგენილი მაქსიმალური 40 დღის ნაცვლად, ადამიანის მიერ თვეების მანძილზე ყოფნა უჭმელ-უსმელად (ამ „გამოგონების" გენიალობა იმაშია, რომ იგი ექსპერიმენტის სახით კი არ განხორციელებულა – ერთ ან რამდენიმე ინდივიდზე, არამედ ხალხის ფართო მასები – ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი მოიცვა და ამდენად, მაშინვე პოვა პრაქტიკული გამოყენება);

რვალარიანი პენსიით კვირაში ორჯერ მეფური სუფრის გაშლა – ჩიტის რძის მაწვნითა და პირანიების ხიზილალით (პრაქტიკული ფასის გარდა, ამ გამოგონებასაც ახლავს განუმეორებელი შარმი – ის ქვეყნის პირველი ქალბატონის – ნაფიქრალის შედეგია);

ყველაზე სასიამოვნო და საოცარი ის არის, რომ ბევრი აღმოჩენა წინასწარ იგეგმება საქართველოში. თითქოს პარადოქსია – „აღმოჩენა" იმიტომ ჰქვია, რომ მოულოდნელობის, მანამდე არნახულის ელემენტს უნდა შეიცავდეს, მაგრამ „რაც მაგრები ვართ – ქართველები ვართ" და ეს აქსიომაც უარყოფილია ჩვენში, თავად განსაჯეთ: უკვე დაგეგმილია „აღმოჩენა", თუ როგორ უნდა მოუგოს საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებმა იტალიისას. თანაც იმის მიუხედავად, რომ ნახევარი გუნდი მწვრთნელებისადმი პროტესტის ნიშნად არ თამაშობს, მეორე ნახევარი კი თავიანთი თანაგუნდელის ძმის გამტაცებლებს უცხადებს ბოიკოტს და აგრეთვე არ აპირებს მოედანზე გამოსვლას.

P.S. 26 მაისს საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ქართველები „პერპეტუუმ-მობილესაც" გამოიგონებენ და საერთაშორისო ბიურო არათუ განიხილავს, არამედ დაგვიმტკიცებს კიდეც ამ გამოგონებას, რადგან თვით ქვეყნის პირველმა პირმა გვამცნო ნებისმიერ „მობილზე" უფრო საოცარი აღმოჩენის შესახებ: „მე დავრწმუნდი, რომ საქართველო სიცოცხლისუნარიანი ქვეყანაა".

პრეზიდენტი

ამ კვირის პოლიტიკური მოვლენების ცენტრში პოლკოვნიკი გია კრიალაშვილი მოექცა. მისი და კობა ოთანაძის თაოსნობით მომხდარი საგანგაშო ამბავი დღესაც აზრთა სხვადასხვაობას იწვევს და ალბათ მომავალშიც კამათის თემად დარჩება. მაგრამ ყველას, ვინც ტელერეპორტაჟებს ადევნებდა თვალყურს, დიდი ხნით დაამახსოვრდება გამორჩეული კადრები, რომელმაც ბატონი გიას მეუღლე — თამუნა შანიძე მუხროვანის მისადგომებთან, ჯავშანტრანსპორტიორის პირისპირ აღბეჭდა...

„ჭია ბრის ჯაჭი, როჟოლთჟოლაც ღირდა, „ბეტეერის“ წინ დავწოლილიყავი“

ნანა ქიბიშაური

გია კრიალაშვილმა თამუნა შანიძე გაცნობიდან 10 დღის შემდეგ, დასთან ერთად მოიტაცა. პრობლემების მიუხედავად, დღემდე ისინი თავს ბედნიერად გრძნობდნენ, რადგან მათი ოჯახი დიდ სიყვარულს ეფუძნება. ამ სიყვარულმა 25 მაისს კიდევ ერთი გამოცდა ჩააბარა. თამუნა შანიძე მუხროვანთან ამბოხებულთა მიმართულებით დაძრულ „ბეტეერს“ წინ გადაუდგა. „ვხედავდი ტყისკენ მიმართულ ლულას, ვხედავდი იმ ბიჭების თვალებსაც, რომლებიც ტანკზე იხსდნენ და, რაც იმ წუთებში ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, — ვხედავდი თანაგრძნობას მათ თვალებში. მაშინ მხოლოდ ერთ რამეს ვფიქრობდი: ღმერთო, არ დაუშვა ეს, ღმერთო, გეხვეწები! და თუ მაინც მოხდება შეტაკება, გიას თუ რამე დაემართება, ბენზინს გადავისხამ და თავს დავიწვავ-მეთქი. ეს განცდა მხოლოდ საყვარელი ადამიანის დაკარგვის შიშით გამოწვეული არ ყოფილა — მე ქართველი ბიჭების, უდანაშაულო ბიჭების სისხლის დაღვრის მეშინოდა. კიდევ ერთი სირცხვილის, რომელსაც ჩვენი თაობა ვერასოდეს ჩამოირეცხდა“ — ასე დაიწყო ჩვენთან საუბარი თამუნა შანიძემ.

— თამუნა, როგორ გაიცანით ერთმანეთი?

— გია რომ გავიცანი, 19 წლის ვიყავი, კიბერნეტიკა-მათემატიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი. ბაზალეთის ტბაზე ვისვენებდით. უცებ ჩემთან გოგოები შემოცვივდნენ: ქვემოთ წყალბურთელი ბიჭები ბანაობენ, ერთს იცი, რა ტანი აქვს? წამოდი და გაჩვენებთო!.. გავყევი. პირველად იქ ვნახე გია. წყალში რომ გადახტა და გაცურა, გავიფიქრე: თუ ამ ბიჭს ცოლი არ ჰყავს, მე გავხდები მისი ცოლი-მეთქი... ისე თქვენ აგიხდეთ ყველაფერი კარგი, როგორც მე ეს ამიხდა! ძალიან ლამაზად ცურავდა... მოკლედ, იქ, სადაც ოქროს აკვანს დაეძებენ, მე კრიალაშვილი ვიპოვე. გაცნობიდან მე-10 დღეს სახლში დამირეკეს და მითხრეს: გია ავარიაში მოყვა, დამტვრეული წევს და მარტო შენს სახელს ახსენებსო. ჩემს დას გავუმხილე — ასე ყოფილა საქმე და სანახავად უნდა წავიდე-მეთქი. ისიც გამომყვა და... ვერც გავიგეთ, გარეთ გამოსულები როგორ აღმოვჩნდით მანქანაში. ჩემმა დამ მიჩურჩულა — თამუნა, მგონი გიტაცებენ და მიდი, გოგო, იყვირეო! არ მიყვირია, მშვიდად ვიკითხე — სად მივდივართ-მეთქი? მიპასუხა — ასათიანზეო... მაშინ ვერ მივხვდი, რა იყო ეს „ასათიანი“ და გიას შემდეგი კითხვა დავუსვი: ნარკომანი ხარ?.. არა! — მიპასუხა. ლოთი ხარ?.. არა! კიდევ რაღაც ვკითხე — არ მახსოვს, რა. იმაზეც უარყოფითი პასუხი მივიღე და სულ ეს იყო... დედა ჩვენი შეუღლებიდან რამდენიმე წელს გვემდუროდა. ხუმრობა ხომ არ იყო — ორი ქალიშვილი ერთდროულად მოსტაცეს!.. მას შემდეგ 14 წელი გავიდა. ბედნიერი ვარ, რომ ამდენი წვალების მიუხედავად, ჩვენ ისევ ერთად ვართ. გუშინ გია სახლში დარჩა. ისევ ჩემ გვერდით რომ ვხედავდი, უბედნიერესი ქალი ვიყავი. გია არის კაცი, რომლის გულისთვისაც ღირდა, „ბეტეერის“ წინ დავწოლილიყავი.

— თქვენ როდის გაიგეთ მუხროვანის ამბები?

— 25 მაისს გავიგე. ისეთი წინათგრძნობა გამიჩნდა, როგორიც თბილისის ომის წინ მქონდა. გიას იმ ომში მონაწილეობა არ მიუღია. ის ერთი წესიერი ბიჭია, რომელსაც ქართველისთვის ტყვია არ უსვრია. ალბათ ამიტომ სწყალობს ღმერთი... მუხროვანში 11 საათისთვის მივედი. იქ უკვე პოლიციას გზა ჰქონდა გადაკეტილი და მხოლოდ ჯარისკაცებს ატარებდნენ. ჯერ ვფიქრობდი, არ მეთქვა, ვისი ცოლიც ვიყავი. მაგრამ მერე, როდესაც ამბოხებულებს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში დასდეს ბრალი, ვეღარ მოვითმინე და ვთქვი, ვინც ვიყავი. ისიც მაშინ ვთქვი, რომ მათ

მხოლოდ სოციალური პრობლემების გამო მიმართეს პროტესტის ამ ფორმას.

— გიას სახლში არ უთქვამს, რომ ეს აქცია მზადდებოდა?

— არაფერი! გია სახლში არასოდეს ლაპარაკობს თავისი სამსახურის შესახებ. მხოლოდ ის მითხრა, რომ ის და კობა ისეთ წვრთნას ატარებენ, როგორიც თავდაცვის სამინისტროს ჯერ არ ჩაუტარებია. და კიდევ, ის მითხრა, რომ მისი ჯარისკაცები, უკვე კუს ჩახოხბილს მირთმევდნენ. ისინი მართლაც ძალიან მძიმე პირობებში იყვნენ. სადაც დამშეული ბატალიონი იდგა, იქ აღარც ცაში ჭაჭანებდა ფრინველი და აღარც მიწაზე სულიერი. როცა გიას მეგობრების ნაამბობს ვუსმენდი ხოლმე, აღარ ვიცოდი — მეცინა თუ მეტირა.

— მუხროვანში მისული, ჯავშანტრანსპორტიორის წინ აღმოჩნდით, როგორ მოხდა ეს?

— სიმართლე გითხრათ, არ ვიცი. რომ დავინახე, რა მიმართულებით მიდიოდა „ბეტეერი“, ტვინი გადამეკეტა. არ ვიცი, რას ვაკეთებდი, „ბეტეერს“ წინ გადავუდექი, მუშტები დავუშინე და ვიყვირე: აფხაზეთიდან ცოცხალი ჩამომივიდა, ღმერთმა გადამირჩინა და თქვენ აქ გინდათ მომიკლათ-მეთქი?! მერედა, რისი გულისათვის? თავისი საქმე, თავისი ჯარისკაცები, თავისი ქვეყანა რომ უყვარს, იმიტომ? არ ვიცი, როგორ მოხდა, რომ „ბეტეერმა“ უკან დაიხია. მერე ჩემთან კოჯრის ბატალიონის ბიჭები მოვიდნენ — ისინი, ვისაც ალყაში ჰყავდა ამბოხებულები. მოვიდნენ და მიჩურჩულეს: თამუნა, დაწყნარდი, ნუ გეშინია, გია ისეთ ადგილას არის გამაგრებული, რომ საშიშროება არ ემუქრებაო. ამის შემდეგ, კოჯრის ბატალიონიდან ერთი ბიჭიც რომ დაჭრილიყო, რა უნდა მეთქვა ჩემი შვილებისთვის? რა მნიშვნელობა ჰქონდა, ვინ დაიწყებდა პირველი?! ძალიან დაძაბული მდგომარეობა იყო. ტყიდან არის შემოვლითი გზები, რომლითაც შეიძლებოდა, ვიღაც პროვოკატორს ესარგებლა, მას, ვისაც არეულობა აძლევდა ხელს. იქ ერთი ტყვიაც რომ გავარდნილიყო, საშინელება დატრიალდებოდა. ამ უბედური საქართველოს შვილებს შეიძლებოდა კიდევ ერთხელ ესროლათ ერთმანეთისთვის.

— თამუნა, რამდენადაც ვიცი, თქვენ ელჩის მოვალეობაც შეასრულეთ, არა?

— ასე გამოდის. მოვიდა ჩემთან დავით თევზაძე და მეკითხება: რა ზემოქმედება შეგიძლია მოახდინო შენს ქმარზეო? სასაცილო სიტუაცია იყო: კაცს თავი აქვს გადადებული, ამ დროს კი, მასთან ცოლს აგზავნიან ზემოქმედების

ტვინი გადამეკეტა. არ ვიცი, რას ვაკეთებდი, „ბეტეერს“ წინ გადავუდექი, მუშტები დავუშინე და ვიყვირე: აფხაზეთიდან ცოცხალი ჩამომივიდა, ღმერთმა გადამირჩინა და თქვენ აქ გინდათ მომიკლათ-მეთქი?!

მოსახდენად... აი, ასე, ელჩის მისიით შემიშვეს მათთან, და ჩემგან გაიგეს იმ მოთხოვნების შესახებ, რასაც აჯანყებულები უყენებდნენ ხელისუფლებას.

— და ამ მოთხოვნებიდან არც ერთი არ იყო პოლიტიკური ხასიათის?

— არც ერთი. თუმცა, როგორც ჯემალ ჭუმბურიძემ ბრძანა, ყოველი სოციალური მოთხოვნა, თუ ის დროზე არ გადაიჭრება, პოლიტიკურ ხასიათს იძენს. ისინი აფხაზეთში ნაბრძოლი ბიჭების რეაბილიტაციას მოითხოვდნენ. ასევე, ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას, ფინანსების მიზნობრივ განაწილებას და ამ საკითხებზე სასაუბროდ, შევარდნაძესთან შეხვედრას. მე ის მიკვირს, ეს უფრო ადრეც რომ არ მოხდა. არ შეიძლება, ჯარისკაცი ფიცს „შლოპანცებში“ და დახეულ კედებში გამოწყობილი დებდეს. არ შეიძლება ნაომარი ბიჭების ეს ყველაფერი ხდება მაშინ, როდესაც თავდაცვის სამინისტროში გვარდიელებისთვის უამრავი გრანტი და დახმარებაა გამოყოფილი, რომელიც, კაცმა არ იცის, ვის ჯიბეში მიდის.

— როგორც ამბობენ, შევარდნაძის ამბოხებულებთან შეხვედრის ორგანიზებაში დავით თევზაძეს მიუძღვის დიდი წვლილი.

— არ ვიცი, რა წვლილზეა საუბარი, იქ ყველაფერი რაღაც ალოგიკურ ატმოსფეროში მიდიოდა. იმ ამბოხებულებთან მოსალაპარაკებლად, რომლებსაც გადატრიალების მცდელობას აბრალებდნენ, ავიდა არა უშიშროების, არამედ ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი. არა რეზო ადამია, რომელმაც შემდეგში საოცრად ცინიკურად მოიხსენია ოფიცრები და მათ „ტიპები“ უწოდა,არამედ ინვალიდი კაცი

კრიალაშვილების ოჯახი დიდ სიყვარულს ეფუძნება (მარცხნიდან): გიორგი-უმცროსი, თამუნა, გიორგი-უფროსი, ლაშა

— გია ყარყარაშვილი. შემთხვევის ადგილას არ მისულა არც კახა თარგამაძე, რომელიც ავჯანყებულების დაჭერას დღემდე მოითხოვს. სწორედ დავით თევზაძე საუბრობდა იმაზე, რომ მუხროვანის ბატალიონისთვის ალყა შემოერტყათ და წყალი გადაეკეტათ. საუბრობდა ჰაერიდან დაბომბვაზეც, შტურმით აღების რუკებსაც ადგენდა... ამ ყველაფრის სასტიკი წინააღმდეგი იყო ჯემალ ჭუმბურიძე, რომელმაც თავისი პოზიციით განმუხტა სიტუაცია. მე არ წავალ მათთან მოლაპარაკებაზეო — აცხადებდა თევზაძე. „ელიავასთან წახვედი მოლაპარაკებაზე და ესენი ხომ შენი თანამებრძოლები არიან!“ — ეუბნებოდა ჭუმბურიძე. თავდაცვის მინისტრი თავის ჯარისკაცებს ბოლომდე შუამავლების საშუალებით ელაპარაკებოდა. მესმოდა, როგორ გეგმავდნენ ტყეში ტანკებით შესვლის ოპერაციას და ისიც მესმოდა, როგორ გეგმავდნენ აფხაზეთში დაინვალიდებული ჯარისკაცები ტანკების წინ დაჯდომას. ისტერიკაში ვიყავი...

— ალბათ ასეთივე დღეში იყო კობა ოთანაძის მეუღლეც.

— ვერაფერს გეტყვით. მე ისიც არ ვიცი, რამდენი ხნის მეგობრობა აკავშირებთ გიას და კობას. მე რაც გიასგან ვიცი კობას შესახებ, ის არის, რომ ოთანაძე ნამდვილი პროფესიონალია. და რომ ისინი ერთად აშენებენ პოლკს.

— გასაგებია, რომ 25 მაისი თქვენთვის ძალიან დაძაბული დღე იყო. მაგრამ თუ მოხდა რაიმე ისეთი, რამაც თქვენში დადებითი ემოციები გამოიწვია?

— ასეთი ემოციები ჩემში გია ყარყარაშვილმა აღძრა. მე ვარ მოწმე, როგორ ხვდებოდნენ მას გვარდიელები: როდესაც მუხროვანში შემოვიდა, მის მანქანას ყველა საპატიო „ჩესტით“ მიაცილებდა. ისიც, სამი თითით აძლევდა მხედრულ სალამს. ეს ძალიან გულის ამაჩუყებელი და ამავე დროს, სასიამოვნო სანახავი იყო. თურმე საქართველოში ჯერ კიდევ არიან ადამიანები, ვინც ღირსეული და ალალი ხალხის დაფასება იცის.

— მაინც საიდან წამოვიდა პირველად ის აზრი, რომ საქმე სამხედრო გადატრიალების მცდელობასთან გვქონდა?

— ამ აზრის გავრცელება უშიშროებისა და თავდაცვის სამინისტროების სინდისზეა. არ ვიცი, რისთვის დასჭირდათ მათ ეს, მაგრამ ალბათ რაღაც სტრატეგიული მიზნები ამოძრავებდათ...

— შევარდნაძე რომ შევიდა ამბოხებულებთან, როგორი იყო მათი რეაქცია?

— ყველა ფეხზე ადგა და სამხედრო სალამი მისცა. მან კი გადაკოცნა მეთაურები. მისი წამოსვლის შემდეგ თქვეს, რომ, ასაკის მიუხედავად, შევარდნაძეს უფრო მეტი კაცობა აქვს, ვიდრე ზოგიერთ მის თანაგუნდელს.

— თქვენ გჯერათ პრეზიდენტის დაპირების?

— სიმართლე რომ გითხრათ, მჯერა. იმიტომ, რომ მინდა, მჯეროდეს!

— თამუნა, ისე კარგად ერკვევით სამხედრო საქმეებში, რომ მეუღლის ბრწყინვალე ადიუტანტი იქნებოდით...

— არა, მე მიმაჩნია, რომ კარგ საქმიანობას ვეწევი. ვერ ვიტან იარაღს. ვმუშაობ სახელმწიფო ტელევიზიის I არხზე. მიყვარს ჩემი საქმე.

— ორივე ისე ყოფილხართ ჩაფლული თქვენ-თქვენ საქმიანობაში, რომ ერთმანეთის ნახვასაც იშვიათად ახერხებთ. არ ეჭვიანობთ ხოლმე?

— გია არ ეჭვიანობს. მე ეს ძალიან მაღელვებს. რას არ ვიგონებ ხოლმე, რომ ვაეჭვიანო, მაგრამ სულ ტყუილად. გიორგი-უმცროსია ჩემი მაკონტროლებელი. ის მამოწმებს — სად მივდივარ, რას ვიცვამ, ხომ არ ვიღებები. უბრალო ბიჭი არ გეგონოთ — გენერლობისთვის ემზადება! თავისი იარაღიც აქვს და სხვა აუცილებელი ატრიბუტებიც. სახლში მთელი დღის განმავლობაში აღჭურვილი და თავზე „კასკაჩამოფხატული“ დადის და ჩვენს ოჯახურ სიმშვიდეს იცავს... უფროსი ბიჭი — ლაშა, უფრო ჭკვიანი გვყავს. ცურვაზე დადის და საკმაოდ კარგი შედეგებიც აქვს.

— სახლის პირობებში როგორია გია?

— ისე იშვიათად არის შინ, რომ აღარც მახსოვს, როგორია. გია, რამდენადაც ფიზიკურად არის ჯმუხი, იმდენად კეთილშობილი და გულჩვილი ადამიანია. მისი გარეგნული სიმკაცრის მიღმა უდიდესი ადამიანური სითბო იმალება. მინდა ყველამ გაიგოს, რომ ის არ არის „ბუნტისთავი“ და სისხლისმსმელი. ის პატრიოტია — კაცი, რომელსაც უნდა, საქართველოს ძლიერი ჯარი იცავდეს და კაცი, რომელიც ვერ შეეგუება საქართველოს ჯარისკაცებს უპატიოსნოდ და არაკაცურად რომ ექცეოდნენ...

გიორგი-უმცროსია ჩემი მაკონტროლებელი. უბრალო ბიჭი არ გეგონოთ — გენერლობისთვის ემზადება!

ინტერვიუს დასასრულს, შევარდნაძესთან შეხვედრიდან ახალდაბრუნებულ გია კრიალაშვილსაც გავესაუბრეთ. ის კმაყოფილია იმით, რომ უახლოეს მომავალში შეიქმნება ჯგუფი, რომელიც გვარდიის დეპარტამენტში შექმნილ პრობლემებს შეისწავლის და უახლოეს მომავალში გადაჭრის გზებსაც დასახავს. შევარდნაძემ შეხვედრის დასაწყისშივე გააკეთა განცხადება იმის თაობაზე, რომ მას შემდეგ, რაც ყველამ ერთსულოვნად დაგმო აქციის ფორმა, ამის ხელახალ დაწვრილებით გარჩევაზე დროის დაკარგვა აღარ ღირს. ახლა ყველამ, ასევე ერთსულოვნად, გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრაზე უნდა იფიქროს.

გია კრიალაშვილს იმედი აქვს — თუ ყველა სახელმწიფო მოხელე და თითოეული ადამიანი ქართული ჯარის მშენებლობის საკითხს ამიერიდან მაინც გულისხმიერად მოეკიდება, ქართული ჯარის სოციალური მდგომარეობა უახლოეს მომავალში არსებულთან შედარებით გამოსწორდება. ■

ისევე, როგორც წინა წლებში, ამჯერადაც, 26 მაისი პოლიციელთა და ხელკეტებიან „ომონელთა“ სიჭარბით გამოირჩეოდა. საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს რესპუბლიკის მოედანზე მომხდარი შეტაკებისას, სისხლი დაიღვარა! ე.წ. „ზვიადისტებსა“ და პოლიციას შორის ხელჩართული ბრძოლის დროს, ათეულობით ადამიანი დაშავდა. არსად ჩანდა მანანა არჩვაძე-გამსახურდია, რომელიც 24 მაისს ავტოავარიაში მოყვა. ორივე დაპირისპირებული მხარე კონფლიქტის წამოწყებას ერთმანეთს აბრალებს. უთანხმოების წინაპირობად ნემო ბურჭულაძემ ის პოლიტიკური ვნებათაღელვა დაასახელა, რომლითაც გამოირჩეოდა 26 მაისის წინა დღეები. იგულისხმება, თავდაპირველად, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობად მონათლული ოფიცერთა ამბოხი, რომელსაც ოპოზიციონერმა პოლიტიკოსმა ხელისუფლების მიერ ინსპირირებული წარმოდგენა უწოდა.



ნემო ბურჭულაძე:

„ამ ძეგლის გახსნას დაცინვად მივიჩნევ...“

ნანუკა არაბული

— **ბატონო ნემო, რა საფუძველი აქვს თქვენს ამ განცხადებას?**

— ამ განცხადების საფუძველი ალოგიკურობაშია: ჩემთვის გასაგებია სარდლობის აზრი, მაგრამ გაუგებარია, სხვა რამ — ოფიცრებმა, რომლებიც თურმე სისხლს აბარებენ და ამით არჩენენ ოჯახებს, შეხედეს თუ არა შევარდნაძეს, ყველა პრობლემა ასე ერთბაშად როგორ გადაწყვიტეს?! აღარც ზეწრები სჭირდებათ, რომელსაც ორი წლის მანძილზე ითხოვდნენ, აღარც საჭმელ-სასმელი... ჩვენც უნდა შევეჩვიოთ იმ აზრს, რომ არ გვინდა ჭამა, არც სამუშაო, არც თავისუფლება და არც ნორმალური ცხოვრება — არაფერი არ გვინდა, ოღონდ შევარდნაძე გვყავდეს კარგად!.. ერთი თვის წინ მკითხეს: არის თუ არა საქართველოში მოსალოდნელი ამბოხიო? მაშინ ვუპასუხე: საქართველოში იქნება ამბოხი, ოღონდ მაშინ, როცა ეს შევარდნაძეს დასჭირდება-მეთქი. ეს ვითომდა გადატრიალების მცდელობაც ან თევზაძეს სჭირდებოდა, ან შევარდნაძეს, ან ორივეს ერთად.

— **მანანა არჩვაძე-გამსახურდიას ავტოავარიაში მოყოლაზეც გექნებათ თქვენეული ვერსია.**

— გამოვრიცხავ შემთხვევითობას, ოღონდ, ვერ არ ვიცი, ვის აძლევდა ეს ხელს.

— **თქვენი საუბრიდან გამოდის, რომ საქართველოში რაც ხდება, ყველაფერი ვიღაცას ხელს აძლევს და ამ ვიღაცაში ხშირად შევარდნაძეს მოიაზრებთ. ეს უკვე იდეა-ფიქსად ხომ არ ჩამოგიყალიბდათ?**

— თავად განსაჯეთ: კახა თარგამაძემ, რუსეთში ყოფნისას გააკეთა განცხადება პანკისის ხეობაში რუსის ჯართან ერთად მოსალოდნელ ერთობლივ ოპერაციაზე. მან თავს ნება მისცა ეთქვა ის, რაც არ ეკითხება — ე.ი. ვიღაც „გაახმოვანა“. ასეთ პოლიტიკურ განცხადებებს ვერც ერთი მოხელე თუ მინისტრი თავის თავზე ვერ აიღებს. ამის შემდეგ საქართველოში დაბრუნდა და თავი იმართლა: მე ვთქვი — ერთობლივი ღონისძიება და არა ოპერაციაო... ახლა მითხარით, რა განსხვავებაა ამ ორ სიტყვას შორის? საერთოდ, მიმაჩნია, რომ პანკისის თემა საქართველოში რუსეთის მიერ არის ხელოვნურად შექმნილი. დასავლეთზე მხოლოდ სიტყვიერად კეთდება ორიენტაცია, სინამდვილეში კი, რუსეთის სამომავლო საქმე კეთდება. აიღეთ ერთი რიგითი მოქალაქის ლოგიკა: ვიყავით მხოლოდ რუსეთთან და ვცხოვრობდით ბედნიერად. ყოველ შემთხვევაში, არავის დახმარება არ გვჭირდებოდა. დღეს კი რა ხდება? მთელი დასავლეთი უსასყიდლოდ გვეხმარება და მაინც მათხოვრები ვართ. ამდენი ქვეყნის მათხოვრად ყოფნას, არ სჯობს, ერთ ქვეყანასთან ძმაკაცობა?! ასეა არა მარტო პოლიტიკაში, არამედ კულტურაშიც: გამიზნულად ხდება, რომ დასავლეთიდან მხოლოდ მდარე ხარისხის პროდუქცია შემოდის. აქედან გამომდინარე, თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ისევე, როგორც მთლიანად საქართველოში, პანკისის ხეობაშიც ხელისუფლება რუსულ პოლიტიკას ატარებს. საქართველო პოლიციური რეჟიმის ქვეყანაა. პანკისის ხეობაში ქაოსი კი, სადაც დიდი ფული კეთდება, პირველ რიგში პოლიციას აძლევს ხელს.

— **პოლიცია ხელისუფლებას ემსახურება, ხელისუფლება კი, რომელიც პირველ რიგში, სტაბილიზაციით იწონებს თავს, ქაოსით არ უნდა იყოს დაინტერესებული...**

— ხელისუფლება მხოლოდ სკამების შენარჩუნებითაა დაინტერესებული. რომელ სტაბილიზაციაზეა საუბარი, როდესაც პარლამენტარს შუაგულ ქალაქში იტაცებენ, როდესაც ჯარი ტყეში გადის?! ამ შემთხვევაში, უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა, ეს დადგმული სცენარია თუ რეალობა. ეს არის ანარქია. ეროვნულ ხელისუფლებას ბრალად კადრების არასწორი შერჩევა დასდეს. შეადარეთ მაშინდელი მინისტრები დღევანდელ მინისტრებს და ვნახოთ, ვინ აღმოჩნდება უპირატეს მდგომარეობაში. მე გურამ აბსანძეს ზურაბ ნოღაიდელს არც შევადარებ... ეს პრობლემები ძალიან ადვილად მოგვარდება, თუ ხალხს არჩევანის უფლებას დაუბრუნებენ: მხოლოდ ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფლებას ექნება ხალხის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა. მე ნამდვილად არ ვეთანხმები მერაბ მამარდაშვილს, რომელიც ამბობდა, რომ ქართველებს ჭკუა არ აქვთო.

— **26 მაისს მერაბ მამარდაშვილის ძეგლიც გაიხსნა...**

— ეს იყო კაცი, რომელმაც თქვა: „თუ ქართველი ერი პრეზიდენტად აირჩევს ზვიად გამსახურდიას, მე დავუპირისპირდები ქართველ ერს“. ქართველმა ერმა აირჩია გამსახურდია. მამარდაშვილი დაუპირისპირდა ქართველ ერს და 26 მაისს მისი ძეგლის გახსნას, მე პირადად, კიდევ ერთ დაცინვად მივიჩნევ. ■



მერაბ მამარდაშვილის ძეგლი



„ბოგიჩა“

შანსოს ძმაკაცი

ტელეგადაცემა „კარუსელის“ პოპულარული წამყვანი „გოგიჩა“ (გიორგი გოგიჩაიშვილი) ბავშვობაში ძალიან უჭმელი და ჭირვეული ყოფილა. დღესაც არ არის თურმე დიდი გურმანი. თუმცა არსებობს რამდენიმე კერძი, რომელსაც სიამოვნებით გეახლებათ. მათ შორისაა მამაპაპური ლობიო. „ჩემთვის ამერიკის აღმოჩენა ძალიან ფასეულია. რომ არა კოლუმბი (ნათელში იყოს მისი სული) ქართველებს ლობიო არ გვექნებოდა. მე პირადად ამის წარმოდგენაც არ მინდა“ — ამბობს გიორგი, და განწყობილების შესაქმნელად, ინტერვიუს კურიოზების მოყოლით იწყებს.

ნანა ქიბიშაური

— საბავშვო თეატრის ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად, ციმბირში გავფრინდით. ჩვენთან ერთად მგზავრობდა РТР-ის გადაცემის — Сам себе режиссёр-ის წამყვანი ლისენკო, რომელიც მთელი გზა გვიმტკიცებდა: მე ძალიან პოპულარული ვარ. ახლა რომ ჩავალთ, დამესევიან ქალები, მომთხოვენ ავტოგრაფებს და თუ ჩემ გვერდით იქნებით, კარგ დროს გაატარებთო. ჩვენც, „პატარა ბიჭები“, თავს ვუქნევდით. ჩავფრინდით ციმბირში. ჩამოვედით თუ არა ტრაპიდან, ციმბირელებმა ამხედეს, დამხედეს, Это он! დაასკვნეს და დამესივნენ. ვარ ერთ ამბავში, ავტოგრაფებს ვარიგებ, კომპლიმენტებს ვიღებ, ხელებს მიწვდიან. მიყურებს გაკვირვებული ლისენკო, რომელსაც ყურადღებას არავინ აქცევს. ჩვენს ჩასვლამდე ერთი კვირით ადრე, იქ უჩვენებიათ ჩვენი КВН-ის პროგრამა და იქაურებმა მაშინვე მიცნეს. იმ დროს კი, როდესაც ლისენკოს გადაცემა გადის, ციმბირში სხვა არხის პროგრამას უჩვენებენ. მოკლედ, ლისენკო მიხვდა, რომ დროს გატარება თუ უნდოდა, ჩვენთან უნდა ემეგობრა.

მახსენდება კიდევ ერთი კურიოზი. ჩელიაბინსკში თეატრის საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც სამოყვარულო თეატრის სპექტაკლების ჩვენებაც მიმდინარეობდა, ჩვენმა აგრარული უნივერსიტეტის სამოყვარულო დასმაც მიიღო მონაწილეობა. წარმოვადგინეთ მერაბ ელიოზიშვილის „ბერიკონი“ და ყველასთვის მოულოდნელად, ფესტივალის მთავარი პრიზი ავიღეთ. პრიზის გადმოცემის შემდეგ აღფრთოვანებულმა ჟიურის წევრებმა დაიწყეს იმის გარკვევა, თუ როგორ დააკომპლექტა საქართველომ დასი. ალბათ სხვადასხვა თეატრიდან გადმოიყვანეთ ძლიერი მსახიობებიო? — იკითხეს. ჩვენ ვუპასუხეთ — არა, ეს ერთი სამოყვარულო თეატრის დასია-თქო. ჩვენ გვაინტერესებს, კიდევ სად მოღვაწეობენ მსახიობებიო — დააზუსტეს კითხვა. ბოლოს გაარკვიეს რომ პროფესიული თეატრის საერთაშორისო ფესტივალის მთავარი პრიზი მსახიობებს კი არა, მექანიზატორებს, აგრონომებს, ვეტერინარებს და მელიორატორებს მიუღიათ. ძალიან შეცბნენ, მაგრამ რაღას იზამდნენ — პრიზს ხომ არ ჩამოგვართმევდნენ. თანაც, მართლაც დამსახურებულად მოვიპოვეთ. აი ეს იყო საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი ქართული არტისტულობის კიდევ ერთი აღიარება.

— საბავშვო გადაცემებს ამზადებთ და იქნებ ბავშვების კურიოზებიც გაიხსენოთ?

— არა, ბავშვებს არ მოსდით კურიოზები — ისინი კამერასთან ძალიან უკომპლექსოდ იქცევიან. მათი მშობლები უფრო ხშირად არიან კურიოზულ მდგომარეობაში. ბებიებსა და ბაბუებზე ხომ ლაპარაკი არ არის. უნდა ნახოთ მათი მიმიკა, როდესაც თავიანთ შვილიშვილებს გულშემატკივრობენ. მათთან ერთად მღერიან, ცეკვავენ, ხელებს იქნევენ, ლექსებს გამოთქმით ამბობენ. ამ დროს თვითონ არიან ბავშვები. უფრო სწორად, მათგან არ განირჩევიან. მე საკუთარი გამოცდილებით ვიცი, რა განცდებთან არის დაკავშირებული ეს ყველაფერი: ერთ-ერთ გადაცემაში ჩემი გოგონაც მონაწილეობდა. მაშინ „კარუსელი“ ზაზა ალექსიძეს მიჰყავდა. მე იქ ვინ-ერვიულე!... სანამ ჩემმა შვილმა იცეკვა, ჩემი დამემართა. საერთოდ, ბავშვები ძალიან კარგი ტიპები არიან. მე ბედნიერი ვარ, რომ მათთან მიწევს მუშაობა და არა პოლიტიკოსებთან ან მაფიოზებთან. ჩემთან მოჰყავთ ხოლმე ერთი ბავშვი, რომელმაც მხოლოდ სამი სიტყვა იცის: „დედა“, „მამა“ და „გოგიჩა“. აბა როგორ არ უნდა მიყვარდეს?! რეპეტიციებზე დამდევს უკან და მეძახის. ისეთი საყვარელია. ლამის არის შემომეჭამოს.

— ამ ყველაფერს ალბათ ძალიან ბევრი დრო მიაქვს. ძმაკაცები თქვენს სამსახურზე ხომ არ „ეჭვიანობენ“?

— უცნაური რაღაც ხდება. ვხვდები დიდი ხნის უნახავ მეგობარს და გახარებული მოვიკითხავ ხოლმე: — ვა, როგორ ხარ, სად ხარ, სად დაიკარგე-მეთქი? ის კი — ვარ რა...

„გოგიჩა“ და მისი ძმაკაცი შანსო

– მიპასუხებს და არც მეკითხება, მე სად ვარ, როგორ ვარ. ჯერ მიკვირდა და მწყინდა. მერე თვითონვე ამიხსნეს: ყოველდღე გხედავთ. ხან დროშებს იქნევ, ხან კარუსელს ატრიალებ, ხან ამინდის პროგნოზს გვამცნობ, დახტიხარ, ცეკვავ, მოკლედ, დაკარგული არ ხარ და როგორ გკითხოთ – „გოგიჩ“, სად დაიკარგეო. როცა მეგობრები ერთად მოვიყრით თავს, ისინი ქეიფობენ, მე კი მათი ბავშვებით გარშემორტყმული ვზივარ და ლექსებს ვისმენ. ისინი რომ დაიძინებენ, მაშინ ვჯდები სუფრასთან.

— „ბასტი-ბუბუს“ თოჯინებსაც თქვენ ახმოვანებთ, არა?

– შანსოს ვახმოვანებ. მაგარი ტიპია. გადასარევად ვუგებთ ერთმანეთს. თოჯინების გარდა, უამრავი სხვა თოჯინა, მულტფილმისა თუ ტელესერიალის გმირი გამახმოვანებინეს. ბოლოს სტუდიაში ცხოველთა აპლიკაციებით მოხატული ერთი ჭიქა შემოიტანეს და ვიყვირე, – ახლა ესეც არ გამახმოვანებინოთ, თორემ გავგიჟდები-მეთქი.

— „გოგიჩა“ ბავშვობის დროინდელი მეტსახელია?

– მემკვიდრეობითი მეტსახელი: ასე ეძახდნენ ბაბუაჩემს, მამაჩემს, ბიძაჩემს, ჩემს დასაც კი. მოკლედ, ბავშვობიდან „გოგიჩა“ ვარ.

— ცელქი ბავშვი იქნებოდით.

– სკოლაში 6 მაგარი ძმაკაცი მყავდა. ჩვენგან თუ წესიერი კაცები დადგებოდა, არავის ეგონა. მაგრამ უმაღლესში მისაღები გამოცდები ყველამ პირველ წელსვე ჩავაბარეთ. ეს იმ დროს იცით, რა იყო? მე აგრარულ უნივერსიტეტში ჩავირიცხე... ცხოვრებას არ ვემდური. ბევრი რამ მოვასწარი. ყოველთვის იმ საქმეს ვაკეთებდი, რაც მსიამოვნებდა: რაგბი, ხელბურთი, სტუდენტობა, მხიარულთა და საზრიანთა კლუბი, თეატრი, გასტროლები, ბოლოს და ბოლოს ჯარშიც ვარ ნამყოფი.

— სად მსახურობდით?

– მანგლისში. თუმცა, სერჟანტობასაც ვერ მივაღწიე, ისევ რიგით ჯარისკაცად დავრჩი. 3 მანეთი ღირდა ტაქსით თბილისამდე ჩამოსვლა. გავაჩერებდი ტაქსის და... მერე, როცა უკან ვბრუნდებოდი, მთელი მარჯანიშვილისა და რუსთაველის თეატრი მიმაცილებდა ნაწილამდე: ჩემი მშობლები მსახიობები არიან, ჰოდა, მათი ხათრით მომყვებოდნენ, იქ პატარა სპექტაკლს გაითამაშებდნენ და ყველაფერი რიგზე იყო. მოგვიანებით ახალციხეში გადამიყვანეს და სასროლი პოლიგონის უფროსად დამნიშნეს. სამიზნეები სპეციალური ღილაკებით იმართებოდა. როცა ქართველი ჯარისკაცი ისროდა, ამ ღილაკის მეშვეობით სამიზნეს წავაქცევდი. აი ასე ხდებოდნენ ქართველი ჯარისკაცები „ხუთოსნები“. სამიზნეში თუ ტყვია გაიჭედებოდა, მისი ამოღებაც მე მევალებოდა. ერთხელ გაჭედილი ტყვიის ამოსაღებად წავედი. წამოვწექი მინდორზე, გავაბოლე სიგარეტი, ვტკბები ბუნების მშვენიერებით. თურმე იმდენი დრო გავიდა, რომ ჩვენი ნაწილი ყაზარმაში დაბრუნდა. პოლიგონზე სავარჯიშოდ კი სხვა ნაწილი ამოვიდა. დაუშინეს სამიზნეებს ტყვია, მაგრამ რა დაუშინეს! წამოვწევ თავს – ისვრიან, დავწვები – ჩერდებიან. მერე ზიგზაგებით წამოვედი. ისევ დამიშინეს: თურმე „მორბენალი სამიზნე“ ვგონივარ. ჩვენმა ჯარისკაცებმა სროლა რომ იცოდნენ, მე დღეს აქ არ ვიქნებოდი. ახალციხეში თოვლმა რომ ჩამოყარა, რობინზონ კრუზოსავით მარტო ვიყავი გარნიზონში. ამ დროს ვუყურებ გადაცემა Взгляд-ს, სადაც თოვლის კაცზე საუბრობენ. ვუყურებ დაძაბული, შეშინებული. გარეთ თოვს, ღამეა. ვიმყოფები მთაში, მარტო და უცებ... ფანჯარაზე ვიღაც აკაკუნებს. ძლივს მოვიკრიბე ძალები და მივიხედე, თეთრწვეროსანი მოსდგომია ფანჯარას. იქვე წერაქვი ეგდო. ვტაცე ხელი და ჩავბღუჯე. ფანჯრისკენ აღარ ვიხედები ტელევიზორში ვუყურებ თოვლის კაცს. როგორც იქნა, გათენდა. დილით მწყემსი კარო შემეხმიანა: წუხელ რა დაგემართა? მაწონი მოგიტანე, გიკაკუნე ფანჯარაზე, შენ კი წერაქვმომარჯვებული იჯექი და ტელევიზორს უყურებდიო.

— სახლში როგორია „გოგიჩა“?

– ჩვეულებრივი. მშვიდი და მოსიყვარულე. რაც მთავარია, ნერვები წესრიგში მაქვს და ცხოვრებას ოპტიმისტურად ვუყურებ. 8 სულიანი ოჯახი მაქვს. მყავს ერთი ძაღლი და მაქვს ისეთი მანქანა – ძალიან რომ არ ვეხვეწებოდე, ვერც ივლიდა, მაგრამ იმედსაც არ ვკარგავ – უკეთესი მომავლის იმედს. ძალიან მინდა, საქართველოში ბავშვებს ბედნიერი ბავშვობა ჰქონდეთ. მინდა, ის ახალგაზრდობა ისევ საქართველოში დაბრუნდეს, ვინც ამჟამად აქ შექმნილ რეჟიმს გაექცა. და საერთოდ, ამ ქვეყანაში ისეთი ნიჭიერი ხალხი ცხოვრობს, რომელიც უკეთეს პირობებს იმსახურებს. ■

„ღმერთმა ნუ ქნას ახალი ომი აფხაზეთში! ის კიდევ უფრო საშინელი იქნება... ის მომხდარს გადააჭარბებს!“ — ასე ფიქრობს სოხუმელი მწერალი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გურამ ოდიშარია.

„აფხაზეთიან შეხვედრისას, თვალნათლივ ვხედავ, წინ როგორ მივიწევთ...“

რუსუდან ლებანიძე

— ბატონო გურამ, ამბობენ, აფხაზეთიდან დევნილებისთვის დრომ სულ სხვა განზომილება შეიძინა და ბევრმა, უკვე რამდენიმე ცხოვრება გაიარა...

— მართალია. ოღონდ, გააჩნია, დროის ცნებაში რას ვიგულისხმებთ. მაგალითად, აღმოსავლურ ფილოსოფიაში გამოთქმულია აზრი, რომ დრო ისე, როგორც ჩვენ გვესმის, საერთოდ არ არსებობს, რომ ის, უბრალოდ, ადამიანებმა დავყავით წარსულად, აწმყოდ და მომავლად. დანარჩენი ფილოსოფოსები და პოეტები კი, პირიქით, ჯიუტად ირწმუნებიან, რომ დრო არათუ არსებობს, წარსულში, აწმყოსა და მომავალში ერთდროულადაც ვცხოვრობთო. ერთიც საკამათოა, ალბათ, და მეორეც. თუმცა, აფხაზეთიდან დევნილი, უღელტეხილზე რომ გადმოვდიოდი, აშკარად ვიგრძენი, რომ სულ სხვა დროსა და განზომილებაში მოვხვდი, თანაც, მიუხედავად იმისა, რომ უღელტეხილზე ორი დღე-ღამე დავყავი, დღემდე ჯიუტად მჯერა, რომ იქ რამდენიმე წელი ვიყავი...

— ჩანს, თქვენთვის მაშინ დრო გაჩერდა...

— გაჩერდა. თანაც, წარსული რაღაც უსასრულოდაც „გადიდდა“. მე ბევრ ომგამოვლილ და უბედურებანანახ ადამიანთან მქონია ამაზე საუბარი და ვიცი, რომ მათი შეგრძნებებიც ჩემსას ემთხვევა. ერთ-ერთი იყო დათო ზივზივაძე. ომის დროს დათო დღიურებს წერდა — მარტივად, მაგრამ ძალიან გულწრფელად. ერთგან მეგობრის საშინელ სიკვდილს აღწერს: მის „ბეემპეს“ ჭურვი მოხვდა და ცეცხლი გაუჩნდა. იწვის „ბეემპე“ და იწვის ზაზას მეგობარიც, თავად ზაზა კი ვერაფრით შველის. იმ წუთებშიო, წერს ზაზა, ჩემთვის დრო გაჩერდა, სამყარომ ფერადოვნება დაკარგა — ყველაფერი შავთეთრი გახდა და გაირინდა, თითქოს დავყრუვდი კიდეც — ხმები საერთოდ გაქრაო... ზუსტად ასეთი შეგრძნება მქონდა მეც, როცა პირველად ვნახე ჭურვით დაფლეთილი ბავშვის სხეული... ომის ერთ-ერთი ყველაზე დიდი საშინელება ის არის, რომ ის სამყაროს უნივერსალურ წესრიგს არღვევს. ადამიანი ყოველთვის წესრიგისკენ მიილტვის. წესრიგი უნდა იყოს მის გარშემოც და მის სულშიც. ერთ-ერთის დარღვევა უბედურებაა, ორივესი — კატასტროფა. აფხაზეთის ომში ამ წესრიგის სრული დარღვევა მოხდა... ერთი ქართველი ბიჭი ვიცი, დედა აფხაზი ჰყავს... ერთ-ერთ ბრძოლაში თავზე რომ დაათენდა და დილით მოპირდაპირე მხარეს დახოცილებს გადაავლო თვალი, მათ შორის გამზრდელი ბიძა აღმოაჩინა...

— შეიძლება, რომ თავადაც მოეკლა, არა?

— შეიძლება, მართლაც მის ტყვიას ემსხვერპლა. წარმოიდგინეთ, როგორ ამოტრიალდა სამყარო ამ ბიჭისთვის: მეგობრობა, ნათესაობა, ახლობლის სიყვარული, ანუ ყველაფერი ის, რასაც ბავშვობიდან ეფუძნებოდა მისი ცხოვრება, თავდაყირა დადგა. მისი სულიერი ფასეულობების წლობით ნაგები შენობა, ერთ წამში დაინგრა და ყველაფერი ქვეშ მოიყოლა...

ომმა სული მეც დამიმსხვრია და ბევრი რამ, რაზეც, თითქოს, ჩემი ცხოვრებით პასუხი უკვე გაცემული მქონდა, ისევ კითხვის ქვეშ დააყენა. ვთქვათ, ომამდე არ მეგონა, რომ ბევრი ადამიანი, ვინც წლების მანძილზე ჩემ გვერდით იყო და კაცად ვთვლიდი, ლაჩრულად და არაკაცურად მოიქცეოდა. ანდა, პირიქით — ვინც სუსტი და მშიშარა ჩანდა, ვაჟკაცი აღმოჩნდებოდა. არ მეგონა, თუ ახლობელი ახლობელს ლუკმას დაუმალავდა. მაგრამ ასევე არ მეგონა, რომ უღელტეხილზე ვიღაც უცნობი ქილაში ჩადებდა პურის ნატეხს და ისე ჩამოჰკიდებდა ხეზე — ვიღაც ჩემზე დამშეული გამოივლის, ნახავს და ცოტა მოღონიერდებაო... არც ის მეგონა, რომ ვინც ამ პურს ნახავდა, ისიც შუაზე გატეხდა და ნაჭერს კვლავ სხვას დაუტოვებდა... იმასაც ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ უღელტეხილზე კაცი „ურალით“ „ფირმა მანქანას“ გადაიტანდა — მაშინ, როცა გზის პირას სრულიად დაუძლურებული ადამიანები ნაბიჯს ვეღარ დგამდნენ და იღუპებოდნენ... ახლაც ხშირად მეჩვენება, რომ უღელტეხილზე ვარ და ისევ ვხედავ იმ ღმუილით მიმავალ „ურალსა“ და გზის პირას უხმოდ ჩაკეცილ ადამიანებს. ამიტომაც ვამბობ: ღმერთმა ნუ ქნას, ახალი ომი აფხაზეთში! ის კიდევ უფრო საშინელი იქნება... ის მომხდარს გადააჭარბებს...

თუმცა, ისტორიამ რაინდული ომებიც იცის, რომლებთანაც ჩვენ საერთო არაფერი გვაქვს.

— „ჩვენ“-ში მხოლოდ ქართველებს გულისხმობთ?

— არა, — მთელ კავკასიას. ბოლო ხანებში კავკასიაში მომხდარი ყველა ომი ერთმანეთს ჰგავს და, პირველ რიგში, სისასტიკით. მე, აფხაზეთის გარდა, სამხრეთ ოსეთის კონფლიქტიც კარგად მაქვს შესწავლილი, ამ მიზნით ყარაბაღშიც ჩავედი შარშან და საბოლოოდ დავრწმუნდი: კავკასიაში ერთმანეთს განსაკუთრებული სიძულვილით უსწორდებიან.

— იქნებ, ეს, პირველ რიგში, ეთნიკური სიძულვილია?

— სამწუხაროდ, ასეა. და რაც არ უნდა დავარქვათ ომს ქართველებსა და აფხაზებს შორის, ბოლოს მაინც ეთნიკურ კონფლიქტამდე მივალთ. სხვათა შორის, ეს ომი ოფიციალურად დღემდე

სახელდაუდებელია: ზოგი მას ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს უწოდებს, ზოგი — ქართულ-აფხაზურ ომს, ზოგი კიდევ — საქართველო-რუსეთის ომს. ახლახან ისიც კი წავიკითხე — ეს ამერიკა-რუსეთის ომი იყო და, ამდენად, არც ქართველები და არც აფხაზები არაფერ შუაში არიანო. შუაში კი არა, თავში ვართ! როცა სახალხო დიპლომატიის ეგიდით მაქვს ხოლმე შეხვედრები აფხაზურ მხარესთან, სულ ვეუბნები — ჩვენი შერიგება გარდაუვალია, ჩვენ ხომ ნათესავები ვართ-მეთქი. ერთხელ ასეთი პასუხი მომცეს: ნათესავები ვართ, ოღონდ, ძალიან ცუდი ნათესავები, თორემ ეს არ დაგვემართებოდაო...

ორი წლის შემდეგ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დაწყებიდან ათი წელი შესრულდება და ის ისეთი მოძველებული კონფლიქტების რიგში ჩადგება, როგორიც,ვთქვათ,კვიპროსის,იუგოსლავიისა თუ ზოგიერთ აფრიკულ ქვეყანაში არსებული კონფლიქტებია. ცხადია, რაც დრო გავა, ამ კონფლიქტის მოგვარების სურვილსაც სიმძაფრე მოაკლდება, არადა, დღემდე მისი გადაჭრის არც გეგმა არსებობს და არც რაიმე ლოგიკური მოსაზრება.

— გამოდის, რომ ამ ომში ვერც გავიზარდეთ და ვერც ვერაფერი ვისწავლეთ...

— გავიზარდეთ კი არა, მგონი, ჯერაც არ გამოვფხიზლებულვართ. გეგმები კი არა, დღემდე იმის ანალიზიც კი ვერსად ვნახე (პოლიტიკური, სახელმწიფო, სამთავრობო დონეზე გაკეთებული ანალიზი მაქვს მხედველობაში), თუ რა იყო ეს ომი და რატომ დამარცხდა მასში საქართველო. არადა, მე ვიცი, რომ რუსეთში, კანტემიროვის დივიზიაში, კურსანტებს აფხაზეთის ომის საფუძვლიან ანალიზს აკეთებინებენ. ანუ თავიანთ ელიტურ ოფიცრებს ჩვენს უბედურებაზე წვრთნიან. ჩვენ კი საკუთარზეც ვერ გავიწვრთენით და გავიზარდეთ. ჩემი მეგობარი ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის მახლობლად ცხოვრობს და ყოველ დილით ხდება ჩვენი ჯარისკაცების სამხედრო-პოლიტიკური თუ იდეოლოგიური წვრთნის მოწმე. რაში მდგომარეობს იგი? დგებიან დილით ბიჭები, დარბიან და, ამერიკული თუ რომელიმე სხვა უცხოური მუსიკის თანხლებით, მღერიან: „ვაიღვიძე, მალხაზი, თავს დაგვესხა აფხაზი!“ აი, ეს არის დღეს ჩვენი ჯარის მთელი იდეოლოგია... მოკლედ, ჯარი ჯარს არ ჰგავს და, ქვეყანა — ქვეყანას! ომი არავინ იცის, რა არის, და მშვიდობა! მტერი და მოყვარე! არც ადამიანის სიცოცხლე ღირს რამედ და არც სიკვდილი!..

— სიკვდილის ფასი თქვენს რომანში „შავი ზღვის ოკეანე“ მშვენივრადაა განსაზღვრული: ახლობლის სიკვდილი — ჩვენს სულებში გვახედებს, საკუთარი კი — ღმერთისკენო...

— ასეა. თუმცა, ისიც კარგად მახსოვს, უღელტეხილზე გადასვლისას, მე და ჩემი მეგობარი მშვიდად რომ ვუყურებდით, როგორ მოკვდა ჩვენ წინ მიმავალი ქალი, შემდეგ — მამაკაცი. არადა, მანამდე, ისინიც ჩვენსავით მოუყვებოდნენ გზას და საკმაოდ მძიმე ჩემოდნებსაც მოათრევდნენ... ჩვენ თავადაც ძალიან ახლოს ვიყავით სიკვდილთან, თავადაც ნელ-ნელა ვკვდებოდით... თუმცა, იქ, ომში სხვა, უფრო საშინელი სიკვდილიც იყო — ადამიანის ღირსების სიკვდილი. და ესეც თითქმის ყოველ ნაბიჯზე ხდებოდა. აიყვანდნენ ადამიანს ტყვედ, ჯერ ყურს მოაჭრიდნენ, მერე, თითქოს შეიბრალებდნენ და რაღაც სალაფავს მიუგდებდნენ. შემდეგ თითს მოაჭრიდნენ და — ისევ სალაფავი... ზოგჯერ ასეთ ადამიანს ცოცხალსაც ტოვებდნენ, თუმცა, ის უკვე „მკვდარი“ იყო, რადგან ყველაზე მთავარი — ღირსება საბოლოოდ ჰქონდა გათელილი. მე ასეთ ღირსებააყრილ და სულმკვდარ ადამიანს, სამწუხაროდ, ძალიან ბევრს ვიცნობ, და არა მარტო დევნილებს შორის. დევნილის ფსიქოლოგია ხომ დღეს სრულიად საქართველოს აქვს. დევნილების უბედურება ინფექციური სენივით გადაედო მთელ ქართულ საზოგადოებას და მას თავს ძნელად თუ დააღწევს ვინმე...

— ბავშვებიც? ომში ხომ ისინი ყველაზე მეტად დაზარალდნენ, მაგრამ იქიდან მაინც ყველაზე შეუბღალავად გამოვიდნენ...

— როცა დევნილ ბავშვებთან მაქვს შეხვედრა, საუბარს ყოველთვის ბოდიშით ვიწყებ ხოლმე: ჩემი და ჩემი თაობის — მამების — სახელით ბოდიშს ვუხდი მათ ომში დაუნდობლად დახვრეტილი ბავშვობისთვის... უღელტეხილზე ვნახე ქალი, რომელსაც ჩანთით მოჰქონდა ჭურვით დაფლეთილი საკუთარი შვილის სხეული... შემდეგ ისიც გავიგე — გზაში მარადიორებს გაუჩერებიათ და ჩანთა გაუხსნიათ — რამე საჩვენო ხომ არ მოგაქვსო... აი, ასე მოვექეცით ბავშვებს სოხუმსა და მთელ აფხაზეთშიც. ყოველდღე მუხლმოდრეკილები უნდა ვთხოვდეთ მათ პატიებას, ჩვენ კი უბრალო ბოდიშის მოხდაც არ გვინდა — სიცოცხლის, სილაღის, უღრუბლო ცისა და საყვარელი ზღვის წართმევისთვის...

— გავიგე, სადღეგრძელო გქონიათ — „ეროვნებით სოხუმელებს“ გაუმარჯოსო...

— კი, მაქვს, ოღონდ ის უფრო, ჩემი მეუღლის — ცისანას სადღეგრძელოდ გავრცელდა სოხუმში. თუმცა, სინამდვილეში, არც ჩემია და არც ცისანასი — ყველა ნაღდი სოხუმელისაა. ნაღდი სოხუმელი ძალიან ჰგავს ნაღდ თბილისელს — დახვეწილსა და სულით ინტელიგენტს. ყავახანაში დინჯი და დახვეწილი, თანაც, სულ სხვადასხვა ეროვნების ადამიანი ხვდებოდა ერთურთს. დასხდებოდნენ და ერთ „ენაზე“ — სოხუმურ ჟარგონზე, — საუბრობდნენ. სოხუმური ჟარგონი ქართულ-აფხაზურ-რუსულსა და მეზღვაურების მიერ ძირითადად ოდესიდან შემოტანილი ჟარგონის ნაზავია და ის უკლებლივ ყველა ნაღდ სოხუმელს ესმის... ჩემმა მეგობარმა გია ანჩაბაძემ მიამბო: ერთხელ, ომის დროს, ბლინდაჟში მსხდარან სოხუმელი ქართველები და ლაპარაკობდნენ. შემთხვევით სოხუმელი აფხაზები წასდგომიან თავზე. ერთმანეთს თბილად შეხვედრიან და ისევ „სოხუმუ-

ახლაც ხშირად მეჩვენება, რომ უღელტეხილზე ვარ და ისევ ვხედავ იმ ღმუილით მიმავალ „ურალსა“ და გზის პირას უხმოდ ჩაკეცილ ადამიანებს

რად“ გაუგრძელებიათ ლაპარაკი. მხოლოდ გვიანღა მიმხვდარან, რომ ერთმანეთის მტრები იყვნენ...

— ბატონო გურამ, შარშან სოხუმში ჩასვლის შანსი რომ მოგეცათ, თქვენს ნაცვლად თქვენი ქალიშვილი სალომე რატომ გააგზავნეთ?

— მაშინ მივიჩნიე და დღემდეც იმ აზრის ვარ, რომ სოხუმში ჩემი ჩასვლა ჯერ ნაადრევია...

— იმის მიუხედავადაც, რომ სოხუმიდან ამბავი ჩამოგიტანეს — აფხაზები ამბობენ, გურამ ოდიშარიას ნებისმიერ დროს, თუნდაც დღესვე შეუძლია, აფხაზეთში ჩამოვიდეს და იცხოვროსო?

— დიახ, ვიცი ეს ამბავი. ისიც ვიცი, რომ სოხუმში, ერთ თავისუფალ გაზეთში ჩემი მოთხრობა დაიბეჭდა. მიხარია, იქაურმა გაზეთმა ეს რომ გაბედა და რომ ისევ სოხუმელ მწერლად მცნეს. მაგრამ ისიც ვიცი, რომ სოხუმში ასე მარტივად ვერავინ დაბრუნდება. როგორია დაბრუნდე ქალაქში, სადაც დაიბადე, ლამის მთელი ცხოვრება გაატარე და ის დანგრეულ-გაპარტახებული დაგხვდეს? გაიარო ქუჩებში და იქ სრულიად უცხო ადამიანები დაინახო? მიხვიდე საკუთარ სახლში და იქაც უცხოები დაგხვდნენ? როგორია, ჩახვიდე სამშობლოში და მამის საფლავზე ასვლა ვერ მოახერხო?!.

— მახსოვს, ერთხელ, მამათქვენთან დაკავშირებული საოცარი ამბავი მომიყევით...

— ერთხანს, ჟურნალ „რიწას“ რედაქტორობისას, სერიოზულად დავინტერესდი ამოუცნობი მოვლენებით. სოხუმის დატოვების შემდეგ ეს ინტერესი კიდევ უფრო გამიმძაფრდა — საყრდენი მქონდა გამოცლილი და საშველს ვეძებდი... ასე მოვხვდი ცნობილ მედიუმთან — გალინა ფარმერთან. ერთხელაც, შუა საუბარში ვართ და უცბად მეუბნება: მამაშენს შენთან ლაპარაკი სურსო. შემდეგ აღმიწერა მამაჩემის გარეგნობა, ტანსაცმელი, ჩვენი სახლი, დამისახელა მანდარინის ჯიში, რომელიც მამაჩემს ხელში ეჭირა, ჩამომითვალა ნათესავების სახელები, რომელთაგან ბევრს მეც კი ძალზე შორიდან ვიცნობდი... ამის შემდეგ მამაჩემის რჩევები გადმომცა და მითხრა, თუ გინდა, თავადაც ჰკითხე რამეო. შენს საფლავზე მოსვლას თუ შევძლებ-მეთქი — ვკითხე მამაჩემს. ცხადია, აფხაზეთში დაბრუნებას ვგულისხმობდი. შეძლებო, მითხრა, ოღონდ, არც ისე მალე და არც ისე ადვილად, წინ ძნელი გზა გიძევსო... ვიცი, რომ ასეც იქნება, მაგრამ ამ გზაზე მაინც ყველას მოგვიწევს გავლა, ოღონდ — უსისხლოდ, თორემ „ტაძრამდე“ ვერაფრით მივალთ...

— მიგაჩნიათ, რომ ეს შესაძლებელია?

— შესაძლებელია. ხუთი წელია, რაც სახალხო დიპლომატიის ეგიდით ვხვდები აფხაზურ მხარეს და თვალნათლივ ვხედავ, წინ როგორ მივიწევთ. მართალია, ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ მხოლოდ წინ. ეს წინსვლა არც შენელდება თუ სახალხო დიპლომატია,ისევე,როგორც სხვა ნებისმიერი კარგი საქმე ჩვენში, მედროვეებმა არ წაახდინეს... სამწუხაროდ, ამის წინამძღვრებიც უკვე გამოჩნდა. თუმცა, მე ისევ ნათელ მომენტებზე ვიტყვი. მახსოვს, ერთი შეხვედრა ჩვენ და აფხაზებს თბილისში გვქონდა. მისი მონაწილე სოხუმელი აფხაზი შინ მივიპატიჟე. ჭიქა ავწიეთ, სოხუმი გავიხსენეთ და უცბად კედელზე, ნახატებს მოჰკრა თვალი. მითხრა — ერთი ასეთი ნახატი მეც მაქვს სოხუმში, კაბინეტში მიკიდია — ომის დროს წავართვი ერთს, ნადავლად წამოეღო, თუმცა, არც იმ ნახატისა და არც საერთოდ მხატვრობის არაფერი გაეგებოდაო. ეს სოხუმიდან დევნილი ჩემი მეგობრის, მხატვარ ლერი ჭანტურიას ნახატებია-მეთქი, ვუთხარი. როგორც კი სოხუმში ჩავალ, იმ ნახატსაც გამოგიგზავნი და პატრონს დაუბრუნეო, მთხოვა. მართლაც, მალე ნახატიც გამომიგზავნა და ერთი ბოთლი აფხაზური ღვინოც — Букет Абхазии — მოაყოლა. ჩვენ, სანაცვლოდ, ლერი ჭანტურიას ახალი ნახატი და „საფერავი“ გავუგზავნეთ. ამ სიტყვების წამკითხავ ბევრ ქართველს ალბათ იარაღისკენ გაექცევა ხელი და მარტო იმ აფხაზს კი არა, მე და ლერი ჭანტურიასაც დაგვემუქრება — რაო, ჩვენს მოსისხლე მტერს ოჯახში იღებთ და საჩუქრებსაც უგზავნითო? ასეთების „განსაიარაღებლად“ კიდევ ერთ ამბავს გავიხსენებ: თურმე, აფხაზეთში ცხოვრობს ერთი აფხაზი, რომელსაც ომამდე ქართველი მეგობარი ჰყოლია, სახელად ბაჯა. არავინ იცის, სად არის ახლა ბაჯა და რა ბედი ეწია. ის აფხაზი კი მეგობარს ჯიუტად ეძებს. როცა დათვრება, მიადგება მის სახლს და — ბაჯა, ბაჯაო, გაჰყვირის. სახლიდან უცხო ადამიანები გამოდიან და უკვე მერამდენედ ეუბნებიან — ბაჯა აქ აღარ ცხოვრობსო. თუ მაინც არ მოეშვა, ერთი კარგადაც მიბეგვავენ. ნაცემი აფხაზი იქაურობას გაეცლება ხოლმე, ოღონდ, ცოტა ხნით — მომავალ დათრობამდე. მითხარით ერთი, ვინ არის ის აფხაზი? ქართველი ბაჯას ერთგული მეგობარი თუ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დამრღვევი მტერი? თავად მასაც ხომ კარგა ხანია, ტერიტორიული მთლიანობაც დარღვეული აქვს და დამოუკიდებლობაც დაკარგული... ამას, ყველაფერს, გამრთელება, ერთმანეთისკენ სავალ გზას კი, ხელახლა გაკვალვა უნდა. მე ამ გზაზე უსისხლოდ მსურს სიარული. გვერდში კი, სხვა თუ არავინ, ალბათ ის ქართველი გოგო-ბიჭებიც მაინც გამომყვებიან (ან მე გავყვები მათ), ვინც დღეს მხოლოდ 14-15 წლისანი არიან და აფხაზ თანატოლებთან შესახვედრად ამერიკამდეც კი ჩადიან (სხვათა შორის, ეს ყოველწლიური შეხვედრებიც სახალხო დიპლომატიის ეგიდით ეწყობა და მომავალი ლიდერების აღზრდას ემსახურება). მომავალი ხომ სწორედ ამ გოგო-ბიჭების ხელშია. მათი გადასარჩენია საქართველოც, რომელიც დღეს იმ დაღლილ და გაოგნებულ მოხუცს დამსგავსებია, აწმყო რომ აღარ ახარებს, მომავალს ვეღარ ჭვრეტს და მხოლოდ წარსულისკენ იხედება...

■

გურამ ოდიშარია
და ლერი ჭანტურია

კომპოზიტორ ნუნუ გაბუნიას კარგად იცნობს ჩვენი მსმენელი. მისი სიმღერები არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში იყო პოპულარული („მეორე ლეგენდა“, „ქვეყანა ჩემი მგონია“...), კომპოზიტორი გაბუნია კარგი მომღერალიც არის. ცოტამ თუ იცის ალბათ, რომ 1979 წელს მან მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე ოთარ თაქთაქიშვილის ოპერაში „მთვარის მოტაცება“ მთავარი პარტია შეასრულა.

მაგრამ ამჯერად საუბარი არ გვექნება არც მის შემოქმედებაზე და არც ბოლო დროს მისი მონაწილეობით გამართულ სასამართლო პროცესებზე. ამჯერად ქალბატონი ნუნუ თქვენ წინაშე მოულოდნელ და მეტად საინტერესო ამპლუაში წარდგება.

ცნობილი კომპოზიტორის ბიოგრაფიის ამოუცნობი მოვლენები

ელენე ხირსელი

— ასე შინაურულად რომ მოკალათებულა სავარძელში ეს მსუქანი ფისუნია, ალბათ ძალიან გიყვართ ცხოველები?

— ძალიან მიყვარს ცხოველები, განსაკუთრებით კი, ძაღლი და კატა. მყავდა ძაღლიც, ინგლისური ჯუკ-ტოიტერიერი, ის ძალიან ჭკვიანი იყო. ჩემი მანქანის ხმას ცნობდა — როგორც კი მოვიდოდი, აივნიდან მაშინვე გამოიხედავდა და მეც ვეტყოდი — პიკოლინო, წადი, დედას დაუძახე-მეთქი. მეზობლები ერთმანეთს გაკვირვებით გადახედავდნენ ხოლმე. პიკოლინო შევიდოდა და ცოტა ხანში დედაჩემიც გამოვიდოდა... ჩემს ძაღლს, როგორც ადამიანს, ისე ველაპარაკებოდი, მას აბსოლუტურად ყველაფერი ესმოდა, მხოლოდ რუსული არ იცოდა. პიკოლინო ძალიან მუსიკალური ძაღლი იყო. განსაკუთრებით უყვარდა სიმფონიური მუსიკა და როცა ტელევიზიით გადმოსცემდნენ, ისე ყურადღებით უსმენდა, გაგიკვირდებოდათ. თვითონაც კარგად „მღეროდა“. როცა ვეტყოდი, მოდი „პიანოზე“ ვიმღეროთ-თქო — ჩუმად „აყოლებდა ხმას“. როცა ვეტყოდი — მოდი ახლა ფორტეზე ვიმღეროთ-მეთქი, უცებ იმხელა ხმას ამოუშვებდა ეს პაწაწინა ძაღლი, გაგაოცებდათ. ჩემთან სტუმრად იყო ცნობილი რუსი მომღერალი ირინა არხიპოვა, იმ დღეს პიკოლინო „ვამღერე“ და არხიპოვამ მითხრა: ასეთი დიდი სიამოვნება არც ერთი ვოკალისტისგან არ მიმიღიაო...

— თქვენ საკმაოდ საინტერესო და მრავალფეროვანი ცხოვრება გაქვთ, ბევრი რამ გინახავთ... ხომ არ გაიხსენებდით რაიმე უჩვეულოს თქვენი ცხოვრებიდან?

— ბავშვობაში რუსთაველის პროსპექტზე ვცხოვრობდით. ერთ მშვენიერ დღეს, ფანჯრის რაფაზე ვიჯექი (14-15 წლის ვიქნებოდი) და მოღრუბლულ ზეცას შევცქეროდი. უეცრად ღრუბლებში ორი ადამიანის ფიგურა დავინახე — ისე შორს იყვნენ, რომ ძალიან პატარებად მოჩანდნენ. ეს ორი ფიგურა თანდათან მაგიდას უახლოვდებოდა, რაზედაც რაღაც კაშკაშა, განათებული სხეული იდგა. ერთ ფიგურას ოქროსფერი სამოსი ეცვა (ეპისკოპოსის ჩაცმულობას ჰგავდა), მეორეს შავი ტანისამოსი, რომელიც ბერის სამოსელს მოგაგონებდათ. მიუხედავად სიშორისა, ისე მკაფიოდ და ნათლად ჩანდნენ, ყოველი დეტალის გარჩევა შემეძლო. მე გაოგნებული ვუყურებდი. ცოტა გონს რომ მოვედი, დედას დავუძახე — ჩქარა, ჩქარა რაღაც უნდა განახვო-მეთქი, მაგრამ დედა ოთახში რომ შემოვიდა და ორივემ ზეცას გავხედეთ, აღარაფერი იყო.

— როგორ ფიქრობთ, რას ნიშნავდა ეს ყველაფერი?

— ზოგი მეუბნებოდა — ამ დროს სურვილი უნდა ჩაგეთქვა და აგისრულდებოდაო. შეიძლება, მაგრამ მე ვფიქრობ, ეს ორი ფიგურა ჩემს მომავალ ორ პროფესიაზე მიმანიშნებდა (საკომპოზიტორო და ვოკალურზე).

— კიდევ თუ გქონიათ მსგავსი ხილვები?

— როგორ არა. დაახლოებით ათი წლის წინ მატარებლით ვმგზავრობდი. კუპეში მეგობრებთან რაღაც თემაზე საკმაოდ სერიოზულად ვკამათობდი. როდესაც ზუგდიდში შევდიოდით, მატარებელმა მოუხვია და მზემ თვალებში შემომანათა. თვალები მომენტალურად დავხუჭე და ამ დროს ასეთი უცნაური რამ ვიხილე: ბიძაჩემი, რომელიც უკვე გარდაცვლილი იყო, ერთ სახლს უახლოვდებოდა. ზუსტად ის ტანსაცმელი ეცვა, რომლითაც დაკრძალეს. სახლიდან მოულოდნელად ჩემი ბიძაშვილი (მისი შვილი) გამოვიდა. მერე ბიძაჩემი ორი საფეხურით ზევით ავიდა, მისი შვილი კი — ორი საფეხურით ქვევით ჩამოვიდა და ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ. საოცარი ის იყო, რომ მაშინ ისეთი გაცხარებით ვკამათობდი, ბიძაჩემი კი არა, შეიძლება ჩემი სახელიც არ მახსოვდა...

თბილისში რომ ჩამოვედი, დედაჩემმა მითხრა, რომ ლიანა (ჩემი ბიძაშვილი) ძალიან ავად იყო. გამიკვირდა, რადგან ის არასდროს ავადმყოფობდა. ორ თვეში 36 წლის ქალი გარდაიცვალა.

— ცრუმორწმუნე თუ ხართ?

— ცრუმორწმუნე თითქოს არა ვარ, თუმცა ჩემს ცხოვრებაში იყო ასეთი რამ: მეზობელი მყავდა ერთი ხანში შესული, უჟმური რუსი ქალი, რომელსაც არავისთან ჰქონდა კონტაქტი. ამ ქალს თუ დავინახავდი, იმ დღეს ყველაფერი რიგზე იყო, ყველაფერი კარგად ამეწყობოდა. ამავე დროს, ეზოში ჩემზე ბევრად პატარა გოგონა იყო — ძალიან მხიარული, კეთილი. საკმარისი იყო, სახლიდან გამოვსულიყავი და პირველად ის დამენახა, სჯობდა, იმ დღეს გარეთ საერთოდ არ გავსულიყავი. თითქოს პირიქით უნდა ყოფილიყო, მაგრამ

ნანი ბრეგვაძესთან, ქალიშვილთან და შვილიშვილთან ერთად

ყოველთვის ასე ხდებოდა...

— სიზმრების თუ გჯერათ და როგორ სიზმრებს ხედავთ?

— სიზმრის საშუალებით უკვე ვიცი, რომ ჩემი ესა თუ ის საქმე, კარგად ან ცუდად დამთავრდება. ამიტომ, როცა ცუდი რამ შემემთხვევა ხოლმე, ისე აღარ ვნერვიულობ, რადგან ეს უკვე წინასწარ ვიცი და ფსიქოლოგიურადაც მომზადებული ვარ.

— თქვენ როგორ ხსნით ამას — როგორც გაძლიერებული ინტუიციის შედეგს?

— ვერ გეტყვით, წარმოდგენა არ მაქვს. წინათგრძნობის უნარი მაქვს განვითარებული, მაგრამ ნათელმხილველი არ ვარ (იცინის).

— მკითხავებთან თუ გქონიათ ურთიერთობა?

— როგორ არა. ჩემი ცხოვრება ვერ აეწყო ნორმალურად. მეუღლეს დავცილდი და თავად დავინტერესდი მკითხავთან შეხვედრით. მეზობელმა წამიყვანა.

ის ქალი ავლაბარში ცხოვრობდა. მივედით დილის 6 საათზე (მზის ამოსვლამდე მკითხაობდა). შევედით პატარა ფიცრულში. ასაკითაც ახალგაზრდა ვიყავი, მაგრამ კიდევ უფრო პატარად გამოვიყურებოდი. მქონდა ნაწნავები, იქ წასვლისას კი ბაფთებიც გავიკეთე. ერთი სიტყვით, ჩემზე ვერავინ წარმოიდგენდა, რომ გათხოვილი და მით უმეტეს, ბავშვიანი ქალი ვიყავი. მკითხავმა მაშინვე მითხრა, რომ გოგონა მყავდა, და პირად ცხოვრებაში მძიმე პერიოდი მქონდა. გაოცებული ვუსმენდი. ისიც მითხრა, რომ ამ მხრივ არც შემდგომში გამიმართლებდა. სამაგიეროდ, წარმატებები მექნებოდა სწავლაში, ჩემს მომავალ პროფესიაში. და კიდევ — მითხრა, რომ ორ უმაღლესს დავამთავრებდი. ყველაფერი ზუსტად ამიხდა.

— როგორ ფიქრობთ, არსებობს ბედისწერა?

— რა თქმა უნდა. ერთ შემთხვევას გავიხსენებ. რამდენიმე წლის წინ, ხილიანის ქუჩაზე ჯაბა იოსელიანზე ტერაქტის მოწყობის მცდელობისას ძლიერი აფეთქება მოხდა. ბევრი ადამიანი დაიღუპა. მანქანა, რომელშიც ასაფეთქებელი მოწყობილობა იყო მოთავსებული, ჩემი სახლის წინ იდგა, სადაც რამდენიმე წუთში უნდა გამევლო. იმ დილას მედეა ჩახავასთან (ბახტრიონზე) ვაპირებდი წასვლას. საერთოდ, ჩვევად მაქვს, გასვლამდე არასდროს ვჯამ ჩვეულებრივად, სამზარეულოში, რადგან ყოველთვის მაგვიანდება, ვჩქარობ, სადღაც გავრბივარ და ამისთვის დრო აღარ მრჩება ხოლმე, ამიტომ დავავლებ ხელს, რაც მომხვდება, პური იქნება, ყველი თუ ხაჭაპური და მანქანაში ვჯამ. იმ დღეს კი ყველაფერი სხვანაირად მოხდა. კარადიდან გამოვიღე ტანსაცმელი და ჩაცმა დავაპირე, რომ უცებ გადავწყვიტე, სამზარეულოში გავსულიყავი და ჩაი დამელია. თითქოს რაღაც ძალამ გადამაფიქრებინა — ტანსაცმელი საწოლზე დავდე და ოთახიდან გავედი. ჩემი გასვლა და აფეთქების ხმა ერთი იყო. იმ ოთახში კიდევ ერთი წამი რომ გავჩერებულიყავი, არ ვიცი, რა მომივიდოდა (აფეთქება იმ ოთახის მხარეს მოხდა). ოთახის კარები, ფანჯრები ჩარჩოიანად იყო ამოვარდნილი ბუდიდან, ჭაღის ნათურებიც ამოცვენილიყო, მინები წვრილ-წვრილად იყო დაფშვნილი და ოთახში მიმოფანტული. ლოგინზე და იატაკზე აფეთქებული მანქანის ორი დიდი რკინის დეტალი ეგდო...

— მართლაც ბეწვზე გადარჩენილხართ. კიდევ თუ გქონიათ შემთხვევა, როცა თქვენი სიცოცხლე საფრთხეში ყოფილა?

— მშობიარობისას დამემართა ატონიური სისხლის დენა. ეს ისეთი საშიში რამ არის, რომ მართლაც იშვიათია, ვინმე გადარჩეს. 40 წუთის მანძილზე კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში ვიყავი.

— კლინიკური სიკვდილის დროს, ხალხში ამბობენ, სული სხეულს ტოვებსო. თქვენ თუ გახსოვთ რამე?

— ერთადერთი, რაც მახსოვს — დავდიოდი თბილისის ქუჩებში და სულ ამას ვამბობდი: „აქ ხომ აღარ გავივლი, აქ ხომ აღარ გავივლი...“

— სულის არსებობის თუ გჯერათ?

— ერთ ამბავს მოგიყვებით, დასკვნები კი თქვენთვის მომინდვია.

1991 წელს 2 კვირით მეგობრული ვიზიტით ამერიკაში ვიმყოფებოდი. ჯერ ჩემთან ცხოვრობდა რამდენიმე ამერიკელი, მერე კი მე გამიწიეს მასპინძლობა. პირველი 8 დღე ერთ შესანიშნავ ქალბატონთან გავატარე, რომელიც ლამაზი ორსართულიანი სახლის პატრონი იყო. სახლები ერთმანეთზე იყო მიდგმული, მათ საერთო კედელი ჰქონდა, მაგრამ თითოეულს ცალკე შესასვლელი და — საკუთარი ეზო. ამ სახლში (ბოლო ღამის გარდა) მე ნორმალურად არც ერთი ღამე არ მიძინია. მთელი საბჭოთა კავშირი, უცხოეთის უამრავი ქვეყანა მაქვს შემოვლილი, სად არ მიცხოვრია, მარტოც ხშირად ვყოფილვარ სხვებთან ერთადაც, მაგრამ შიშის გრძნობის ნატამალიც არ მქონია, იქ კი არ მეშინოდა, არამედ უცნაური გრძნობა მეუფლებოდა — თითქოს ოთახში, ჩემ გარდა, კიდევ ვიღაც იყო (მსგავსი შეგრძნება არც მანამდე და არც მას მერე არ მქონია). დავიძინებდი თუ არა, თითქოს ვიღაცამ ძალით გამაღვიძაო, უეცრად მელვიძებოდა. აბაზანაშიც ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ვიღაც მიყურებდა (იცინის). ერთი სიტყვით, ამ უხერხულობის გრძნობამ ძალიან შემაწუხა. ერთხელაც გავიფიქრე — ახლა აქ თუ ვინმეა, რაიმე ნიშანი მაინც მომცეს-მეთქი. ამის გაფიქრება იყო და მესმის, იქვე მდგარ მაგიდაზე დაკაკუნებისა და ძლიერი დარტყმის ხმა. ეს ნამდვილი საოცრება იყო...

— არ შეგეშინდათ?

— შიშის გრძნობა არ მქონდა — ეტყობა, ძალიან გაოცებული ვიყავი და, სხვათა შორის, ვფიქრობ, რომ ეს რაღაც ძალა თუ არსება კეთილად იყო ჩემდამი განწყობილი.

ერთხელ, შემთხვევით მოვკარი თვალი, რომ გვერდით სახლს, რომელთანაც ჩვენ საერთო კედელი გვქონდა, ეწერა: SALE! (იყიდება). ჩემი მასპინძლისგან გავიგე, რომ სახლის პატრონი მამაკაცი ახალი გარდაცვლილი იყო (ჯერ 40 დღეც არ ყოფილა გასული) და მისი შვილები სახლს ყიდდნენ. ამ სახლში ყოფნის მე-8 ღამეს

ამ არსებას ვთხოვე – ხვალ დილით, ადრიანად მივემგზავრები და არ შემაწუხო, დამაძინე-მეთქი. თქვენ წარმოიდგინეთ, იმ ღამეს მშვენივრად მეძინა.

— ასეთი რამ შემდგომში აღარ გადაგხდენიათ?

– არა.

— ქალბატონო ნუნუ, როგორ ფიქრობთ, არის თუ არა სხვა პლანეტებზე სიცოცხლე?

– სავსებით შესაძლებელია, მილიარდობით ვარსკვლავია და თუკი ჩვენთან არის სიცოცხლე, რატომ არ უნდა იყოს ის სხვაგანაც?

ბორჯომში, კომპოზიტორთა სახლში ვისვენებდი. შუადღე იყო და აივანზე ვიდექი. უეცრად დავინახე, რომ ერთი მთიდან მეორისკენ რაღაც ვერცხლისფერი სხეული მოძრაობდა. ვიფიქრე – ნეტავი, რა ფრინველია, ასე ვერცხლისფრად რომ ანათებს-მეთქი, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ეს სულ სხვა რამ იყო, რადგან ფრინველი ფრენის დროს ირხევა, ეს კი სწორ ხაზზე მიფრინავდა. და, მერე გაჩერდა და უკან წავიდა. ჩემს ნათესავს დავუძახე და ორივემ ნათლად დავინახეთ, როგორ მიეფარა მთას, მერე კი ისევ ჩვენკენ წამოვიდა. მას მრგვალი ფორმა ჰქონდა და წვეტიანი ცხვირი – ისეთი, როგორც მფრინავ ხომალდებს აქვთ. სხვათა შორის, ზუსტად იმ დროს იღებდნენ კლიპს თბილისის ქუჩებში მაია ჯაბუას მონაწილეობით, სადაც კარგად ჩანს, როგორ უყურებენ გამვლელები თავიდან მაიას, მერე კი ისინი უეცრად სხვა მიმართულებით შეტრიალდნენ და ზეცაში მრგვალი ფორმის უცნაურ სხეულს დაუწყეს ყურება.

სხვა შემთხვევასაც მოგიყვებით. 1998 წლის ოქტომბერში ერევანში ფესტივალზე ვიყავი მიწვეული. დილის 5 საათზე მიფრინავდა თვითმფრინავი, ამიტომ ერთი საათით ადრე (მე, ჩემი ქალიშვილი და სიძე) მანქანით გამოვედით და მაშინვე დავინახეთ, რომ არემარე უცნაურად განათებულიყო (მაშინ დენი არ იყო). ყველამ დავინახეთ, პოლიტექნიკური ინსტიტუტის შენობის თავზე, უზარმაზარი განათებული თეფში, რომელსაც მრგვალი ილუმინატორები ჰქონდა, ეს ილუმინატორები კი ჯვრის ფორმით იყო განლაგებული. ერთი დიდი ნათურა კი, სასტუმრო „აჭარის“ მიმართულებით ანათებდა. ჩემმა სიძემ მანქანა შეაჩერა. გაგონილი მქონდა, რომ ამოუცნობი მფრინავი ობიექტები, რაღაც მაგნიტური ძალით იზიდავენ მანქანებსო. შემეშინდა, რადგან ბავშვები მარტო დარჩებოდნენ და წავედით. მერე, როცა „ლაგუნა-ვერესთან“ შევჩერდით, დავინახეთ, რომ ობიექტი ისევ იქ იყო. მეორე დღეს ერევნიდან შინ დავრეკე – დარდი მქონდა, როგორ დაბრუნდნენ, – და მითხრეს, რომ ის უცნაური საგანი მერე აღარ უნახავთ.

— ალბათ, როგორც ყველა, თქვენც იყავით შეყვარებული. როგორ შექმენით ოჯახი?

– ჩემი მეუღლე იყო მსახიობი გოჩა აბაშიძე. რომ გავთხოვდი ძალიან პატარა – 16 წლის ვიყავი. იმ წელს სკოლას ვამთავრებდი, გოჩა კი, თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი იყო, მალულად მოვაწერეთ ხელი.

აპრილის ცივი დღე იყო, წვიმიანი და ღრუბლიანი. მმაჩის ბიუროდან რომ გამოვედით, უცნაური შეგრძნება დამეუფლა. პალტო გახსნილი მქონდა და ვფიქრობდი – ნეტავი ახლა გავცივდე, ფილტვების ანთება დამემართოს და მოვკვდე-მეთქი. იმდენად მერიდებოდა მშობლების, ნაცნობ-მეგობრების. თავდაპირველად, სანამ ხელს მოვაწერდით, გოჩა მპირდებოდა – ოღონდ ჩემი ცოლი გერქვას, ვიცოდე, რომ შენ სხვისი არ იქნები და თითსაც არ დაგკარებ, სანამ უმაღლესს არ დავამთავრებთო. რა თქმა უნდა, ასე აღარ გამოვიდა...

— ხელმოწერის შემდეგ სად გაემგზავრეთ?

– გოჩას სოფელში, საჩხერის რაიონში. იქ ბებიამისი დაგვხვდა. სუსტი აღნაგობის, საოცრად პატარა ქალი იყო (სხვათა შორის, ას წელზე მეტი იცოცხლა). დღესაც დიდი სითბოთი და სიყვარულით ვიხსენებ ხოლმე. სანამ მისი სტუმრები ვიყავით, აღარ იცოდა, რით ეცა პატივი, რით ესიამოვნებინა ჩვენთვის. მახსოვს, პირველ დილას რომ გავიღვიძე, ჩემი საწოლის წინ პატარა სკამი იდგა, რომელზეც სუფრა გაეშალა. ცხელ-ცხელი ხაჭაპური და სხვადასხვა ზომის კვერცხები ლამაზად დაეწყო.

და კიდევ – იმ სოფელში ერთი შემთხვევა დამამახსოვრდა, დღემდე მახსოვს ის შეგრძნება, რაც მაშინ განვიცადე. მდინარე ყვირილაზე ერთი ბეწვის ხიდი ეკიდა, ისეთი წვრილი და სუსტი იყო, მართლაც ბეწვისა გეგონებოდა. მარტო მოავჯირები ჰქონდა, ალაგ-ალაგ შემორჩენოდა ფიცრები, მათ შორის საკმაოდ დიდი მანძილი იყო. მე თვალები დავხუჭე და გოჩამ ზურგზე მოკიდებული სულ ხტუნვა-ხტუნვით გადამიყვანა. წარმოგიდგენიათ ალბათ ჩემი მდგომარეობა: შიშისაგან გული ისე მიძგერდა, მეგონა, ამომვარდებოდა.

— შემდეგ როგორ წარიმართა თქვენი ცხოვრება?

– ერთად სულ სამი წელი ვიყავით. ისე მოხდა, რომ გოჩას მსახიობ ლეილა აბაშიძის მიმართ გაუჩნდა ინტერესი. მე რომ ეს გავიგე, ვერ შევძელი მისი პატიება და სამუდამოდ დავშორდით... არადა, ლეილა ძალიან მიყვარდა, ძალიან ახლოს ვიყავით ერთმანეთთან. ის რძალს მეძახდა, მე კი მულს (გოჩა და ლეილა ნათესავები იყვნენ)... სამწუხაროდ, გოჩა ძალიან ადრე დაიღუპა.

— ხომ არ დააკონკრეტებდით, რატომ და როგორ დაიღუპა გოჩა?

– ამაზე საუბარი არ მსურს და გთხოვთ, ნუ დამაძალებთ.

— მას შემდეგ, საკმაო დრო გავიდა. როგორ ფიქრობთ, ხომ არ სჯობდა, გეპატიებინათ?

– ალბათ უნდა მეპატიებინა და ოჯახი შემენარჩუნებინა. ალბათ შვილის გამო მაინც უნდა დამეთმო. რომ ვთქვა, მე ნაკლებად მიყვარდა ჩემი ქმარი და ამიტომ ვერ ვაპატიე-მეთქი, არ იქნება მართალი. ალბათ სიამაყის გრძნობამ შემიშალა ხელი.

— ქ-ნო ნუნუ, რას გვეტყოდით კახა ცაბაძესთან დაპირისპირების შესახებ?

– მე მოვაწერე ხელი საბუთს, სადაც მეკრძალება ამ თემაზე ჟურნალისტებთან საუბარი. ამიტომ ამაზე, სამწუხაროდ, ვერაფერს გეტყვით.

■

ერთ-ერთი კონცერტის შემდეგ, ზურაბ სოტკილავასთან (მარცხნივ), ეთერ კაკულიასა და თემურ წიკლაურთან ერთად

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა ლევალი

უბის წიგნაკიდან:

1. არიადნე მშობიარობას გადაჰყვა.
2. კოიოტი ჩხრიალა გველების დაუძინებელი მტერია.
3. რომის პაპ ალექსანდრე ბორჯიასათვის ლუკრეცია იყო ასულიც, საყვარელიც და რძალიც.
4. შვეულმფრენი „აპაჩი“ 14 მილიონი დოლარი ღირს.
5. გული ერთადერთი ორგანოა, რომელიც არასოდეს ისვენებს.
6. კოლუმბი ამერიკაში კარაველებით ჩავიდა.
7. აფრიკის სახელმწიფოთა შორის ყველაზე დიდი ტერიტორია სუდანს უჭირავს.
8. აგატა კრისტი ორმოცი წლის ასაკში მეორედ გათხოვდა. მისი ქმარი მასზე თოთხმეტი წლით უმცროსი იყო.
9. გურამ რჩეულიშვილი ივანე ჯავახიშვილის ნათლული იყო.
10. ევროპის საერთაშორისო ფულის ერთეულის — ევროს გამოშვებას კინაღამ გაუგონარი სკანდალი მოჰყვა. საქმე ის არის, რომ ამ ფულის კუპიურების თავდაპირველ ვარიანტზე გამოსახულ ევროპის რუკაზე გერმანია კვლავ გაყოფილად იყო წარმოდგენილი.
11. ტორიჩელიმ საფუძველი ჩაუყარა ჰიდრავლიკას და გამოიგონა ვერცხლისწყლიანი ბარომეტრი. P.S. ტორიჩელის სახელად ევანჯელისტა ერქვა.



12. ალექსანდრე დიუმამ გერმანიის ერთ-ერთ ქალაქში, რესტორანში ყოფნისას გადაწყვიტა, სოკო შეეკვეთა და რადგანაც გერმანული არ იცოდა, თავისი თხოვნა ოფიციანტს ფურცელზე დაუხატა. P.S. „მიხვედრილმა“ ოფიციანტმა ცოტა ხანში მას ქოლგა მიუტანა.
13. გერმანიის დამარცხების შემდეგ ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკთა უფროსს, ადოლფ ეიხმანს, ყალბი სბუთები ეკლესიამ გაუკეთა. იგი გერმანიიდან არგენტინაში გაიქცა, სადაც რიკარდო კლიმენტეს სახელითა და გვარით ცხოვრობდა, სანამ ერთმა ებრაელმა მეზობელმა არ იცნო და ისრაელის სპეცსამსახურებთან არ დასმინა. ბუენოს-აირესიდან იგი ამავე სპეცსამსახურებმა მოიტაცეს, იერუსალიმში გაასამართლეს და სიკვდილით დასაჯეს.
14. ეშმაკის უდიდესი ცბიერება იმაში მდგომარეობს, რომ მან მთელი მსოფლიო თავის არარსებობაში დაარწმუნა.
15. მხატვრულ ფილმ „ივანე კოტორაშვილში“ ქიტესას როლის შემსრულებელი, ვახტანგ ცხადაძე, სასტუმრო „ევროპის“ დირექტორია. P.S. ფილმში მის პერსონაჟს რამაზ ჩხიკვაძე ახმოვანებს.

ლამის 10 საათზე, კრწანისის რაიონში, გორგასალის ქუჩაზე, ლეიბორისტული პარტიის სამი წევრი გალახეს. თუმცა როგორც თვითონ ლეიბორისტები ირწმუნებიან, პირიქით მოხდა — მათი პარტიის წევრებმა კარგა გვარიანად მიბეგვეს ხუთი თავდამსხმელი, რის შემდეგაც ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილი უცნობები თავქუდმოგლეჯილები გაიქცნენ (ცნობისათვის: თავად ლეიბორისტული პარტიის წევრებს იარაღის მსგავსი არაფერი ჰქონიათ)! ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა კი ეს შემთხვევა მოქალაქეთა კავშირის მიერ განხორციელებულ მორიგ ტერორისტულ აქტად მონათლა.

პოლიტიკური თავშესაფარი

მარტო ბელგიაში

200 ლეიბორისტს მოუთხოვია

ნინო ჯავახიშვილი

— დღეს ჟვანიასა და შევარდნაძეს თუ ვინმეს თავიდან მოშორება უნდათ, ეს პირველ რიგში ლეიბორისტული პარტიაა. ბუნებრივია, „მოქალაქეებს“ ძალიან აინტერესებთ პარტიის სამზარეულო და რადგან აგენტურა ვერ შემოგვიგზავნეს (ვინც შემოგზავნილი ჰყავდათ, მივხვდით და ყველა გავუშვით), ამიტომ ინფორმაციის ძალისმიერი მეთოდებით მოპოვებაზე გადავიდნენ. დაახლოებით ერთი კვირის წინ, როდესაც კრწანისის რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელები (ქალბატონი დალი ვეფხვაძე თავის ვაჟიშვილთან და ირაკლი ცინცაძესთან ერთად) პარტიული აგიტაციის მიზნით, „შემოვლაზე“ იმყოფებოდნენ, მოულოდნელად მათ ხუთი იარაღიანი დაესხა თავს. სხვათა შორის, ეს მოხდა პროკურატურის გვერდით ანუ პრეზიდენტის სამოძრაო დაცულ ტრასაზე, სადაც პრეზიდენტის შიშით ჩიტიც კი ვერ გადაფრინდება! უცნობებმა პირდაპირ, უხეშად მიმართეს ქალბატონ დალის: არ გრცხვენიათ ამხელა ქალს, რას დაწანწალებთ კარდაკარო?!.. ე.ი. თავდამსხმელებმა ძალიან კარგად იცოდნენ, ვისთან ჰქონდათ საქმე. ბიჭებმა უპასუხეს — ყველამ თავის საქმეს მიხედოსო... ამის შემდეგ კი ერთ-ერთმა ქალბატონ დალის გაარტყა კიდეც (მას დაზიანებები აღენიშნება თავის არეში). ვეფხვაძე და ცინცაძე ფიზიკურად ძლიერი ბიჭები არიან და ამიტომ არ გასჭირვებიათ ხუთი კაცის გალახვა. როდესაც ოფისში დაბრუნდნენ, თავდამსხმელთა სისხლში იყვნენ ამოსვრილები. გვეგონა ნაცემები ესენი იყვნენ, მაგრამ საქმე უფრო კარგად ყოფილა. თავდამსხმელებს შეეშინდათ და გაიქცნენ. როგორც ჩანს, იარაღი მხოლოდ შესაშინებლად ჰქონდათ, მაგრამ მაინც არაფერი გამოუვიდათ...

— როგორც ვიცი, მეორე დღეს დიდუბის რეგიონული ორგანიზაციის ოფისში შეიჭრნენ მძარცველები...

— დიახ, ასეა. ოღონდ, ისინი მძარცველები კი არა, პოლიტიკური ტერორისტები იყვნენ! გამთენიისას ოფისში შეაღწიეს, მაგრამ ხელი არაფრისთვის მოუკიდიათ — არც აპარატურისთვის, არც მაგნიტოფონისა და არც ტელეფონის აპარატებისთვის (რაც, ჩვეულებრივ, ქურდს მიაქვს ხოლმე), მხოლოდ და მხოლოდ პარტიული აქტივის სიები წაიღეს. სხვათა შორის, წინა დღეს დალი ვეფხვაძესაც ხელიდან პარტიული აქტივის სიები გამოჰგლიჯეს. გასაგებია, რატომაც!.. ახლა უკვე ინდივიდუალურად „იმუშავებენ“ ჩვენი პარტიის წევრებზე — ან დააშანტაჟებენ, ან მოისყიდიან, ან მოეფერებიან და ისე გადაიბი-

რებენ! ასეთი ხერხები ჩვენს ხელისუფლებას რეზერვში ხომ მრავლად მოეპოვება. თუმცა, არსებობს მეორე ვერსიაც, რომ ეს ხელისუფლების კი არა, ერთერთი ოპოზიციური საპარლამენტო პარტიის მოწყობილი იყო. იმ პარტიას ვგულისხმობ, რომელიც ფულს აძლევს თავის ხალხს და ასე ცდილობს სხვა პარტიებიდან აქტივის მოსყიდვას. ერთი სიტყვით, ჯერ-ჯერობით დანამდვილებით ვერაფერს გეტყვით – ეს ვერსიაც მუშავდება.

— ბატონო შალვა, იქნებ კონკრეტულად დაასახელოთ მაინც რომელ პარტიაზე საუბრობთ?

– რომელ პარტიაზეც ვსაუბრობ, ეს ძალიან კარგად არის ცნობილი თქვენთვისაც და ყველასთვის, ამიტომაც არ დავასახელებ. სხვათა შორის, „მოქალაქეებზე“ მეტად, ოპოზიციური პარტიები გვემტერებიან. საქმე პიროვნულ დაპირისპირებამდეც კი მიდის ხოლმე.

— ლეიბორისტული პარტიის წევრებზე განხორციელებული თავდასხმები შემთხვევით, სტრასბურგის სასამართლოში შეტანილ სარჩელს ხომ არ უკავშირდება?

– რა თქმა უნდა! საერთოდ, მოქალაქეთა კავშირს ჩვენი წყალობით ევროპაში უკვე თავი აქვს მოჭრილი. რაც ლეიბორისტული პარტია შეიქმნა, ხელისუფლების მთავარი სამიზნე ჩვენ ვიყავით პარლამენტშიც და ახლა უკვე მის გარეთაც... ხომ გახსოვთ, პარლამენტში ყოფნის დროს, პრეზიდენტი რომ გვემუქრებოდა – იცოდეთ, წარმატებას წარუმატებლობა მოჰყვებაო... აკი, გამართლდა კიდეც მისი „წინასწარმეტყველება“: არჩევნები გაგვიყალბეს და პარლამენტში არ შეგვიშვეს, ხოლო ლეიბორისტული პარტიის წევრები კი დაარბიეს და საზღვარგარეთ გააქციეს, ზოგიც ციხეში ჩასვეს. იცით, რომ დღეს მარტო ბელგიაში 200 ლეიბორისტია, რომლებმაც პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვეს? ევროკავშირმა საქართველოს ლეიბორისტული პარტია პოსტკომუნისტურ სივრცეში ერთადერთ დევნილ პარტიად ოფიციალურად აღიარა! ამიტომ ჩვენი პარტიის წევრებს საზღვარგარეთ გარკვეული შეღავათებიც ეძლევათ. ხოლო ვინც საქართველოში დარჩა, „მოქალაქეებმა“ მათი მოსყიდვა და გადაბირება დაიწყეს, რადგან ლეიბორისტული პარტიის დაშლა სურდათ, მაგრამ არ გამოუვიდათ. მარტო რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარე ექვსჯერ გადაყენა მოქალაქეთა კავშირმა და ფრაქცია „აღორძინებამ“ და ექვსჯერვე აღადგინა სასამართლომ! ეს უპრეცედენტო შემთხვევაა, თუმცა დღემდე ჯერ კიდევ არ დასრულებულა ეს დავა (საუბარია ლეიბორისტ ნიკო მენთეშაშვილსა და „მოქალაქე“ მამუკა აბულაძეს შორის ატეხილ დავაზე, რის შესახებაც „გზის“ №19-ში ვწერდით. – ავტ). საკრებულოს თავმჯდომარის სავარძლის გამო, მერე მოსასმენი აპარატურა დამიმონტაჟეს მანქანაში, რა აღარ სცადეს... ბოლოს კი, როცა მიხვდნენ, რომ ყველაფერში ხელი მოეცარათ და პარტია მაინც ვერ დაშალეს, ასეთ ძალისმიერ მეთოდებსაც მიმართეს ჩვენს დასაშინებლად... პარტიული აქტივის წევრთა ვინაობაც იმიტომ აინტერესებთ, რომ მერე მათზე ფსიქოლოგიური ზემოქმედება მოახდინონ.

— ფსიქოლოგიურ ზემოქმედებაში რას გულისხმობთ?

– ვთქვათ, თუ რომელიმე ლეიბორისტი პოლიციაში ან სხვა სახელმწიფო სტრუქტურაში მუშაობს, დაემუქრებიან: მოგხსნით, თუ პარტიულ მუშაობას თავს არ დაანებებო. თუ ადგილი აქვს ბაზარში აღებული და ვაჭრობს, ბაზრიდან გამოგდებით დააშინებენ, პედაგოგს ეტყვიან – შემცირებაში მოგაყოლებთო... ჩვენი პარტიის არაერთი წევრი გაათავისუფლეს სამსახურიდან. ზოგს მართლაც ეკარგება პოლიტიკური მოღვაწეობის სურვილი, მაგრამ ამ მეთოდებით პარტიას მაინც ვერ მოსპობენ: ჩვენი პარტიის პროგრამაში ხალხის ინტერესები დევს!

— ისევ საუბრის თავდაპირველ თემას დავუბრუნდეთ. რატომ არ განაცხადეთ პოლიციაში მომხდარი ფაქტის შესახებ?

– კარგით, რა! კენედის მკვლელობა დღემდე გაუხსნელი რჩება და თქვენ როგორ გგონიათ – რომც განვაცხადო, მაშინვე გახსნიან ლეიბორისტული პარტიის კოორდინატორზე ან დიდუბის ოფისზე თავდასხმის საქმეს და დამნაშავეებსაც ოპერატიულად დაიჭერენ?! რას ამბობთ! აი, ლეიბორისტის ნაცვლად მოქალაქეთა კავშირის წევრი რომ ყოფილიყო, ეს სხვა ამბავია – მაშინ აუცილებლად შეიწუხებდნენ თავს და თანაც, ვინ იცის, იქნებ ერთი დამნაშავის მაგივრად ათიც კი ეპოვათ. როგორც სტალინის დროს მოხდა – ჩიბუხი რომ დაიკარგა და ბერიამ უცებ, თვალსა და ხელს შუა, დამნაშავე „გააჩინა“, რომელმაც მაშინვე აღიარა ქურდობა. არადა, ჩიბუხი სტალინს ტახტის უკან ჰქონია ჩავარდნილი და მოგვიანებით ბელადმა თვითონ იპოვა... ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ლეგალი

უბის წიგნაკიდან:

16. დღესასწაული ტეტი ვიეტნამელთა ახალი წელია.

17. ნეფე-პატარძალს თავს ზემოთ გადაჯვარედინებული ხმლების ქვეშ ავი თვალისგან დასაცავად ატარებდნენ.

18. საკუთარი ინტერესებისათვის სისხლის სამართლის დამნაშავეებს ყველაზე ეფექტურად ბოლშევიკები იყენებდნენ. ისინი საბჭოთა წყობილებისთვის არასასურველ პირებს – მღვდლებს, ურჩ ინტელიგენტებს და თავადაზნაურობის წარმომადგენლებს – მათი მომავალი კომპრომეტაციის მიზნით, ციხის კამერებში დამნაშავეებთან ერთად ათავსებდნენ.

19. ნუგზარ პაპაშვილის ცემისათვის ვალიკო მიზანდარი მოსკოვის ციხე „ბუტირკაში“ მეორე სართულის მერვე საკანში აყურყუტეს.

20. ფერეიდანში მცხოვრებ ქართველებს დღესაც სჯერათ, რომ, თუ ცაზე გამოსახული ცისარტყელას ერთ ბოლოს იპოვი და იქიდან „გამაიჭვრეტ“, მეორე ბოლოში საქართველოს დაინახავ.

21. ცელნამგალა ვეშაპები თევზებს კუდის დარტყმით აბრუებენ და ისე ჭამენ.

22. გამოთქმა – „რა გორელივით შუა ქუჩაში დადიხარ?!“ – გორში 1920 წელს მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრის შემდეგ დამკვიდრდა. ამ საშინელი სტიქიის შემდეგ ქალაქის შეშინებული მოსახლეობა ტროტუარებზე, შენობებთან ახლოს სიარულს ერიდებოდა.

23. ამერიკელი სნაიპერების შაშხანა ნახევარი კილომეტრის მანძილიდან ხვრეტს ჯავშანჟილეტს.

24. სპარტელები გრძელ თმას ატარებდნენ, სათანადოდ უვლიდნენ და მუდამ ახსოვდათ თავიანთი კანონმდებლის, ლიკურგეს სიტყვები: „გრძელი თმა ლამაზებს ამშვენებს, მახინჯებს კი უარესად ამახინჯებს“.

25. 1943 წლის 30 ნოემბერს თეირანში გამართულ შეხვედრაზე სტალინმა ჩერჩილსა და რუზველტს შესთავაზა, ომის დამთავრების შემდეგ ბერლინის შუაგულში 50000 ნაცისტ ოფიცერს მოვუყაროთ თავი და სახალხოდ დავხვრიტოთო. ასეთმა ბარბაროსულმა წინადადებამ ჩერჩილში თანდაყოლილი სამართლიანობის გრძნობა გაღვიძა და სასტიკი პროტესტი გამოთქვა. სიტუაციის განმუხტვას რუზველტი ხუმრობით შეეცადა – ჯანდაბას, 49000 იყოსო. ჩერჩილი გაბრაზდა, ცალკე ოთახში გავიდა და უკან არ შემობრუნებულა, სანამ სტალინმა არ მიაკითხა და არ უთხრა, ვიხუმრეო.

■

სანაპიროზე, ლუდის ბართან, ცხელ ამინდში ხალხმრავლობაა. უფულო ადამიანები, რომლებიც უმრავლესობას წარმოადგენენ, პლასტიკატის ბოთლებში ჩამოსხმულ ლუდს პირდაპირ ქუჩაში მიირთმევენ. საშუალო შეძლების წარმომადგენლები სოკოებივით მომრავლებულ ბარში შედიან. შეძლებულ ადამიანთაგან კი აქ მხოლოდ „მრეწველები" მიდიან, რომლებიც იქვე აღმართული ოფისიდან, ზემოდან დაჰყურებენ მათ მიერვე „დასაქმებულ" ხალხს. წვრილვაჭრებიც ბლომად არიან და ავტომანქანების დარაჯებიც, მაგრამ მედოლე ჯერჯერობით მხოლოდ ერთია.

საინტერესო კანონები აქვს საბაზრო ეკონომიკას: მტკვრის სანაპიროზე ჩამომდგარი ადამიანების გართობის მოთხოვნილების საპასუხოდ, აქ მომღერალი მედოლეც გამოჩნდა, რომელიც უკვე კოლორიტადაც კი იქცა. სწორედ ეს მხიარული ყმაწვილი გვინდა გაგაცნოთ.

„ინდური ფილმებზე ვგიჟდები..."

გოჩა ტყემელაშვილი

— ვახსუნბელი გიორგი ვარ, საცერაძე. 15 წლის.

— **რამდენი სიმღერა იცი, გიორგი?**

— ექვსასამდე სხვადასხვა სიმღერა შემიძლია ვიმღერო, აქედან ზოგი სომხურია, ზოგი აზერბაიჯანული, ნაწილი რუსული და ნაწილიც — ინდური, მაგრამ ყველაზე კარგად ქართული გამომდის.

— **ვინ გასწავლა ამდენი სიმღერა?**

— ჩემით ვისწავლე. მესამე წელია, რაც დოლზე ვუკრავ და ვმღერი. აქამდე ვაგზალზე ვიყავი, მაგრამ ახლა აქაც მოვდივარ ხოლმე.

— **ალბათ ეს ადგილი უფრო შემოსავლიანია...**

— კი. აქ მეტი გამომდის. საშუალოდ დღეში 10-15 ლარს ვშოულობ. დღის სამ საათზე მოვდივარ და საღამოს თერთმეტამდე ვრჩები ხოლმე.

— **როგორი ხალხი მოდის აქ?**

— ათასნაირი. ძირითადად, უფულოები არიან. თუმცა, ხანდახან ბარებში შემიშვებენ და მაშინ ამოვისუნთქავ ხოლმე. ამას წინათ, აქვე რესტორანში შევიპარე და 49 ლარით გამოვედი. წინა შაბათს, გაღმა რესტორანი რომ არის, იქ შევედი. კარისკაცი არ მიშვებდა, მაგრამ შემოვლითი გზით მაინც შევაღწიე. ქურთების ქორწილი იყო. ავვარდი დამკვრელების სცენაზე და დაკვრა დავიწყე. ოფიციანტებს ჩემი გაგდება უნდოდათ, მაგრამ მექორწილეებმა არ დაანებეს. მეც დავუკარი და დავუკარი, სულ ოცლარიანები მაძლიეს: რომ გამოვედი, 200 ლარი მედო ჯიბეში. კარგი ხალხი იყო.

— **აქ არავინ გაბრაზებს?**

— კი, მაბრაზებენ ხოლმე. მაგრამ მეც არ ვუთმობ. თუ შევატყვე, ცუდადაა ჩემი საქმე, გავრბივარ. მაგარი სირბილი ვიცი — რომ დავაწვები, ოთხ წუთში მეტრო „მარჯანიშვილთან" ვარ. აი, ამ დოლის ერთი მხარე ვიღაც ვირმა დამიხია, მე იმისი... ორ სიმღერას ერთ ლარად ვმღერი. იმან მითხრა, ათი იმღერე და ხუთ ლარს მოგცემო. მეც ვმღეროდი და ვმღეროდი. ათი კი არა, ოცი ვიმღერე. ბოლოს, ყელში ამომივიდა და ვუთხარი: თუ მიხდი, გადამიხადე-მეთქი. ერთი ამას უყურეთო, თქვა, დოლი წამართვა და მუხლზე დარტყმით დამიხია. გამოვგლიჯე ხელიდან, ცოტა მოშორებით გავედი და გულიანად ვაგინე. გამომეკიდნენ, მაგრამ რას დამეწეოდნენ?!

— **ეი. ზოგჯერ „გადაგაგდებენ" ხოლმე?**

— იშვიათად, თუმცა მასეც ხდება. ერთხელ მომირიგდნენ, სატირალში მთელი ღამე და მეორე დღეს, დასაფლავებაზე, უნდა მემღერა. 50 ლარს შემპირდნენ. მე ჩემი სიტყვა კაცურად შევასრულე, თითქმის არ გავჩერებულვარ. იმათ, ქელეხის მერე 19 ლიტრი ღვინო, პროდუქტები და ხუთი ლარი მომცეს. ფული აღარ გამოვართვი — ღმერთმა აცხონოს ის მიცვალებული, მაგრამ მინდა ვთქვა, რომ არც ისე კარგად გამოუვიდათ... ხომ გითხარი — ათასნაირი ხალხი შეგხვდება-მეთქი. აი, ახლაც, რომ ვთქვი — ჩემთან პრესიდან არიან, ინტერვიუ უნდა მივცე-მეთქი, იცი, რა მითხრეს: შეეშვი, შარს არ გადაგყარონო. მერე ავუხსენი, აქედან და აქედან არიან-მეთქი, ამაზე მითხრეს — ჰოო, ეგენი სერიოზული და წესიერი ხალხიაო... ისე, რაც მე გადავიტანე, რიღასი უნდა შემეშინდეს?..

— **რაზე ამბობ, რა შეგემთხვა ასეთი?**

— მე და დედაჩემი მესამე წელია სხვის სარდაფში ვცხოვრობთ, არც ტელევიზორი გვაქვს და არც რადიო. ვირთხები დარბიან ჩემს სახლში. არადა, სამოთახიანი ბინა გვქონდა, გავგაყიდვინეს და „გადაგვაგდეს". ერთი საათის წინ დედაჩემს შევხვდი მეტროსთან და პურის ფული, ექვსი ლარი მივეცი... არ მინდა ამისთანა რამეებზე ლაპარაკი...

— **მაინც მითხარი. ხომ იცი — იტყვი და გულზე მოგეშვება?**

— კარგი, მოკლედ გეტყვი, ოღონდ რასაც არ გეტყვი, აღარ ჩამეძიო... მე და დედა მამაჩემმა თერთმეტი წლის წინ მიგვატოვა და იმის მერე, არც ფულით მოგვხმარებია და არც სხვა რამით. ისე, კი ვიცი, ვინც არის: ჩვენს უბანში გაჯს ყიდის. ნანახი მყავს.

— **სხვა ოჯახი შექმნა?**

— ხომ გთხოვე, ნუ ჩამეძიები-მეთქი... კი, სხვა ოჯახი აქვს. დედა საპარიკმახეროში, მანიკიურების გამკეთებლად მუშაობდა, სამოთახიანი ბინა გვქონდა ვაზისუბანში და ვცხოვრობდით ჩვენთვის. ვიღაც კლიენტი გაეცნო დედას, დაუახლოვდა, ჩვენთანაც იყო სახლში. უთხრა — გაყიდე ეს ბინა, საბერძ-

ნეთში წაგიყვან და ბევრ ფულს გაშოვნინებო. დედამაც დაუჯერა. სანამ წავიდოდით, ორი თვე სხვის ბინაში ვცხოვრობდით. დიდი წვალებით ჩავედით საბერძნეთში, დედა ერთი მდიდარი, მაგრამ ინვალიდი – უფეხო კაცის ცოლი გახდა. ბეჭედიც კი გაუკეთა მან თითზე. სადღაც კუნძულ კრეტაზე ვიყავით. მერე ერთი ცუდი შემთხვევა მოხდა: დედამ იმ სახლში უცხოებს წყალი მიაწოდა, ამაზე ის კაცი ძალიან გაბრაზდა და გამოგვაგდო. ბეჭედიც კი წაართვა. დავრჩით ქუჩაში. ძლივს ჩამოვაღწიეთ უკან.

— კი, მაგრამ, ვერ გავიგე — „გადაგდება“ რაში გამოიხატება?

– ბევრ რამეს შეგვპირდნენ, მაგრამ ცარიელ-ტარიელები დაგვტოვეს. მეტს აღარაფერს გეტყვი. სხვა რამეზე თუ გინდა, ვილაპარაკოთ...

— ამ ამბის გამო დედას საყვედურობ?

– არა, რას ამბობ?! მე ხომ დედის მეტი არავინ მყავს. დედის გულისთვის ვარკეთილში, რესტორანში კაციც კი ვცემე.

— ეგ როგორ?

– როგორ და, იქ ვუკრავდი. გავიგონე, როგორ შემაგინა ვიღაც კაცმა – შენი პატრონი დედაო... ვეცი. ძლივს გამომგლიჯეს ხელიდან.

— სკოლაში აღარ დადიხარ?

– არა. დიდი ხანია, რაც სკოლაში აღარ ვსწავლობ. მე-6 კლასიდან დავანებე თავი.

— რა ნიშნები გყავდა?

– აუ, ეგ მაგარი რამე მკითხე! ბავშვობა გამახსენდა. მათემატიკაში „სამიანი“ მყავდა, სხვა საგნებშიც „საჯახირო“ ნიშნებს მიწერდნენ. ფიზკულტურაში კი სულ „ხუთიანებს“ ვღებულობდი. სხვათა შორის, კარგი ფიზიკური მონაცემები მქონდა. ახლაც, სირბილის გარდა, აჭარულის ცეკვაც მეხერხება – ისე გავუსვამ ხოლმე, რომ ერთხელ ჩემმა შემხედვარემ, შუახნის ქალმა ხმამაღლა თქვა – ამხელა უკანალით კაცი ასე სხარტად ცეკავდეს, პირველად ვხედავო... სიმღერაში კი, სულ „ხუთიანებს“ პლუსით მიწერდნენ. იქ, საბერძნეთშიც რომ ვიყავით, ერთხელ მოსმენილი სიმღერის შესრულება, სიტყვებიანად, უშეცდომოდაც კი შემეძლო. ეგონათ, ბერძნული ვიცოდი. არადა, თავისით მამახსოვრდებოდა – ეტყობა, ამის ნიჭი მაქვს.

— რომელიმე კონცერტზე თუ გიცდია გამოსვლა?

– რიყეზე ტარდებოდა რაღაც კონცერტი. მივედი – გამოსვლა მინდოდა, მაგრამ სცენამდე პოლიციელებმა არ მიმიშვეს. კონცერტებს მომზადება და რეპეტიციები უნდა, მე კი მაგისთვის არ მცალია: ყოველდღე ფული მაქვს საშოვნი.

— მეგობრები, შეყვარებული თუ გყავს?

– რა თქმა უნდა, მეგობრები მყავს. ჩემი უბნელები. კარგი ბიჭები არიან. შეყვარებულიც მყავს, ოღონდ ჯერ არ მითქვამს იმისთვის. ცოტა ფულს მოვაგროვებ, დავლაგდებით მე და დედაჩემი, მერე ვეტყვი და ცოლადაც მოვიყვან.

— რომ არ დაგიჯეროს და ცოლადაც არ გამოგყვეს?

– ისეთნაირად ავუხსნი სიყვარულს, ისეთ სიტყვებს ვეტყვი, რომ დამიჯერებს. მერე ვუმღერებ: „სისხამ დილით ბადით ხელში...“ (გიორგი სიმღერის ეშხში შევიდა. – ავტ.), ეს სიმღერა ძალიან მოსწონს.

— შენ რომელი სიმღერა გიყვარს ყველაზე მეტად?

– ჩემი საყვარელი სიმღერაა – „ამ ქვეყანას მხოლოდ ერთხელ მოვდივართ...“ (ისევ ამღერდა. – ავტ.). ისე, ყოველდღე დავდივარ ვაგზალთან, იმიტომ რომ კინოთეატრია იქ. იცი, რატომ?



— რატომ?

– ინდური კინოები და სიმღერები მიყვარს ძალიან და იქ ყოველდღე უჩვენებენ ხოლმე. დღეს უკვე ვიყავი, ხვალ სამ საათზე „მესაფლავეს“ უჩვენებენ. ეგეც ინდურია. „მერა ჯუპა ინ ჯაპანე“... (ისევ გრძნობით ამღერდა. – ავტ.). სიმღერის ხასიათზე მოვედი... წავედი, მეტი დრო აღარ მაქვს – მუშაობის დროა. კარგად იყავი!

— კარგად, გიორგი.

რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მომიბრუნდა და მკითხა:

– მართლა ჟურნალში ვიქნები და ჩემზე წაიკითხავენ?

კი-მეთქი, დავაიმედე და მხიარული კუნტრუშით მიმავალ მომღერალს თვალი გავაყოლე...

■

სპილოსავით ნარნარა

32 წლის ტაილანდელი მის მონგხონტხონ ტინაკხონი ტრადიციულად იმარჯვებს ყოველწლიურ კონკურსში MISS IMF (I AM FAT – სქელი ვარ). აღსანიშნავია, რომ ეს სახუმარო კონკურსი ტარდება ნახონ პატხომის პროვინციაში, სადაც ყველაზე მეტი ტაილანდური სპილო ბინადრობს.

როგორც ცნობილია, სპილოს ამ ქვეყანაში განსაკუთრებული პატივით ეპყრობიან, ამის გამო მისი გარეგნობა და ჩვევები აღნიშნულ კონკურსზე ეტალონად ითვლება, ამიტომაც ყველაზე მოსული ადამიანის წოდებისთვის მოპაექრე ადამიანები ცდილობენ, რაც შეიძლება მეტად გაუსვან ხაზი თავიანთ მსგავსებას ამ ცხოველთან. ამრიგად, კონკურსის მონაწილენი კიდევ უფრო უწყობენ ხელს სპილოების დაცვას, რომელიც ტაილანდში სახელმწიფო მნიშვნელობის საქმედ არის მიჩნეული. რაც შეეხება გამარჯვებულს, სოლიდური ფულადი პრიზით დაჯილდოების გარდა, მას ყველაზე ტანსრულ ტაილანდელთა ბანკეტის თავმჯდომარედაც ნიშნავენ.

■

დიდ დიღომში მცხოვრებ ძეგველიშვილების ოჯახში 17 მაისს დატრიალებული საშინელი ტრაგედიის ამბავი დღითი დღე შემზარავი დეტალებით ივსება. 19 წლის აჩიკო ძეგველიშვილი, რომელმაც საკუთარი დედ-მამა დახოცა, მომხდარის შესახებ სამართალდამცავებს შესაშური სიმშვიდით მოუთხრობს. გამომძიებლების თქმით, სტრესულ მდგომარეობაში არც მისი და — მე-11 კლასელი, 17 წლის ნინო ძეგველიშვილი იმყოფება. ნინოს თქმით, მშობლების მკვლელობის შესახებ ძმამ მას იმ ღამესვე უთხრა.

აჩიკო ძეგველიშვილი

„დედ-მამის მკვლელობა მან მშვიდად აღგვიწერა...“

ნინო ძეგველიშვილი (მარცხნივ) და დედა მანანა ძიგურაშვილი

მეგი ცანავა

მეზობლების, ახლობლებისა და პედაგოგების მტკიცებით, აჩიკო ძეგველიშვილი საკმაოდ მშვიდი ბუნების, სერიოზული და ზრდილობიანი ბიჭი იყო. მისგან ასეთ საქციელს არავინ მოელოდა. აჩიკო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის II კურსზე სწავლობდა. ადრე ოჯახში, მშობლებთან განსაკუთრებული კონფლიქტი არ მოსვლია. თუმცა, როგორც თავად ამბობს, დედ-მამასთან ურთიერთობა ბოლო ხანებში დაეძაბა. ამის მიზეზი, მისი თქმით, ერთ პიროვნებასთან მისი დაახლოება გახდა. აჩიკოს მასთან კარტის თამაში დაუწყია. მკვლელობამდე სამი კვირით ადრე, აღნიშნულ პირთან მან ფეხბურთის მატჩებთან დაკავშირებით, სანამლეო დადო, შედეგად კი, ჯერ 500, მერე – 200 ლარი წააგო. 16 მაისს, საღამოს, ევროპის თასის ფინალური მატჩი უნდა ყოფილიყო. აჩიკომ ამჯერად თანხა – 200 ლარი ტოტალიზატორში შეიტანა. იმავე საღამოს აღმოჩნდა, რომ მამამისს საიდანღაც ამის შესახებ შეუტყვია და შვილთან უჩხუბია. „დამემუქრა – თუ წააგებ, არ ვიცი, რას გიზამ“ – ამბობს ბრალდებული. მისივე ჩვენების მიხედვით, ღამით, ტელევიზიით ფინალური მატჩის შედეგები გადმოსცეს – აჩიკოს პროგნოზმა არ გაამართლა და ტოტალიზატორში შეტანილი თანხაც წააგო. ამის გამო, მაშინვე სახლიდან გაპარვა გადაწყვიტა. მშობლებისთვის ეს შეუმჩნეველი არ დარჩენილა და შვილს ასეთი საქციელისთვის პასუხი მოსთხოვეს. მამამ იგი სცემა კიდეც. მერე კი, კარი ჩაუკეტეს და გასაღები გადამალეს.

ჩხუბისა და ცემის დროს მამამ აჩიკო სხვა ვალებშიც გამოტეხა – ყველაფერი ათქმევინა და კატეგორიულად მოსთხოვა იმ პიროვნებასთან, ვისი ვალიც მის შვილს ემართა, შეხვედრა მოეწყო. აჩიკოს თქმით, მას მამისთვის აღნიშნული პირის გაცნობა არ შეეძლო, რადგან საქვეყნოდ თავი მოეჭრებოდა: სირცხვილით გარეთ ვეღარ გამოვიდოდი, ვალს კი მაინც გადამახდევინებდნენო. სწორედ ამის გამო, მან მშობლებისთვის ანგარიშის გასწორება და მათი მოკვლით მოსალოდნელი უსიამოვნების თავიდან აცილება გადაწყვიტა.

ღამით, როცა სახლში ყველას ეძინა, მან მამის სანადირო თოფი აიღო და მშობლების საძინებელ ოთახში შევიდა. ტყვია ჯერ მამას, მერე კი დედას დაახალა – ორივეს გულმკერდის არეში. დედა – 39 წლის მანანა ძიგურიშვილი მაშინვე გარდაიცვალა. მამა კი, როგორც ჩანს, მხოლოდ დაიჭრა. მაშინ აჩიკო სასტუმრო ოთახში გავიდა, თოფში მეორე ტყვია ჩადო და იგი მამას ამჯერად თავში ესროლა. ამან 55 წლის ვაჟა ძეგველიშვილი სიცოცხლეს გამოასალმა...

ცოტა ხანში აჩიკომ თავისი და – ნინო გააღვიძა და მას მომხდარის შესახებ უთხრა. მეორე დღეს მათ მოკლული დედმამა ცელოფანის პარკებში გაახვიეს, მათი სხეულები ტახტის სათავსოში ჩადეს და ზედ ქვიშა დააყარეს, რომელსაც აჩიკო ეზოდან ვედროებით ეზიდებოდა.

მეზობლები ირწმუნებიან, რომ სროლის ხმა არ გაუგიათ, არც საეჭვოდ მოსჩვენებიათ რამე. სროლის ხმას არ გაუღვიძებია არც ნინო ძეგველიშვილი. მეზობლებსა და ახლობლებს და-ძმა ეუბნებოდა, რომ მშობლები კახეთში, სოფელში იყვნენ წასულები. „ნინო იმასაც ამბობდა, მამაჩემი ძალიან ავადაა, გულის ოპერაცია უნდა გავუკეთოთ და ფული გვჭირდებაო“ – ჰყვებიან მეზობლები.

აჩიკო ძეგველიშვილი მამის სამსახურებრივ ავტომანქანას, მკვლელობიდან სამი დღის განმავლობაში, თავად დაატარებდა, მერე კი მის თანამშრომელს მიუყვანა და უთხრა – მამაჩემი სოფელშია, ავადაა და ჯერ ვერ ჩამოვაო.

მოკლულები ქორწინების დღეს

სოსო გორგაძე, გამომძიებელი:

„მკვლელობის შესახებ ოთხი დღის შემდეგ შევიტყვეთ. პროკურატურაში მოვიდა ერთი პიროვნება, რომლის ვინაობას ჯერჯერობით შეგნებულად არ ვასახელებ, და გვითხრა: აჩიკო ძეგველიშვილმა მშობლები მოკლა და გარდაცვლილთა გვამები სადმე ბინაში იქნებაო... მაშინვე შემთხვევის ადგილზე წავედით.

გარდაცვლილთა სხეულებზე ტყვიებით მიყენებული იარების გარდა, სხვა დაზიანება არ აღმოჩნდა (მეზობლების თქმით, იმ დღეს, როცა გვამები იპოვეს, პოლიციელები ამბობდნენ — დედას ფეხები აქვს დამწვარიო. მათი ვარაუდით, და-ძმა, კვალის გაქრობის მიზნით, ალბათ მოკლულთა სხეულების დაწვასაც შეეცადა. — ავტ). ექსპერტიზა ჩაუტარდა აჩიკო ძეგველიშვილსაც და თუმცა ის ირწმუნება, მამამ მცემაო — მას სხეულზე ცემის კვალი არ აღმოაჩნდა. ექსპერტების თქმით, ცემის შედეგად მიყენებული დაზიანებები, ერთი კვირის განმავლობაში, მაინც რჩება. ასე რომ, თუკი აჩიკო ძეგველიშვილის სიტყვები სიმართლეს შეეფერება, მაშინ მას კვალიც უნდა ეტყობოდეს. მას ერთადერთი დაზიანება — მარცხენა ხელის მაჯაზე მცირე ხარისხის დამწვრობა აქვს. როგორც თავად ამბობს, მკვლელობიდან სამი დღის შემდეგ მან სისხლიანი ლეიბები და ზეწრები თავისი საცხოვრებელი კორპუსიდან ერთი კილომეტრის მოშორებით დაწვა. ეს ფაქტი, გადამოწმების შედეგად, დადასტურდა კიდეც.

რა თქმა უნდა, მკვლელობის მიზეზად სხვა ვერსიებიც გვაქვს, მაგრამ მათზე ჯერ ვმუშაობთ და წინასწარ ვერაფერს გეტყვით. ნაადრევია დასკვნების გაკეთება თავად აჩიკო ძეგველიშვილის ჩვენებაზეც, რადგან იმ პიროვნების ვინაობა, ვისთანაც მას თანხა უნდა ჰქონდეს წაგებული, ჯერაც არ დაგვიდგენია. ხოლო რაც შეეხება გავრცელებულ ხმას ინცესტის თაობაზე, რაც თითქოს მშობლებთან უთანხმოების, მერე კი მათი მკვლელობის მიზეზი გახდა, სინამდვილეს არ შეეფერება. ჩვენ გადავამოწმეთ ეს ვერსიაც, ნინო ძეგველიშვილს ჩაუტარდა სპეციალური შემოწმება და აღმოჩნდა, რომ ის ქალიშვილია“.

მშობლების მკვლელობისთვის დღეს უკვე დაპატიმრებული აჩიკო სამართალდამცავებზეც მშვიდი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. გამომძიებლის თქმით, მკვლელობის დეტალებს იგი ყოველგვარი აღელვების გარეშე ჰყვება. თუმცა, ეს სიმშვიდეც, თავისთავად, ბევრ ეჭვს ბადებს. ზოგი ფიქრობს, რომ აჩიკო ძეგველიშვილი ფსიქიკურად ჯანმრთელი არ უნდა იყოს. მართალია, თავად ბრალდებული ირწმუნება — ადრე ფსიქიატრთან ვმკურნალობდიო, მაგრამ გამომძიებლის თქმით, მისი ეს სიტყვები ჯერჯერობით არ დასტურდება. ძეგველიშვილისთვის ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარებას აპირებენ, საბოლოო პასუხს ალბათ მაშინ შევიტყობთ. როგორც გამომძიებელი აღნიშნავს, შესაძლოა, ნინო ძეგველიშვილის ფსიქიატრიული შემოწმებაც იყოს საჭირო. ძეგველიშვილების მეზობლები და მეგობრები და-ძმის ფსიქიკურ ავადმყოფობას უარყოფენ.

მეზობელი გოგონა:

„ადრე ნინო ჩემი ძალიან ახლო მეგობარი იყო. მართალია, მერე კონფლიქტი მოგვივიდა და მასთან ბოლო ორი წლის მანძილზე არანაირი ურთიერთობა არ მქონია, მაგრამ მის ხასიათსა და ბუნებას კარგად ვიცნობ: ის ყველანაირად ნორმალური გოგონა იყო, თუმცა ზოგჯერ აგრესიული და თავისებურიც. თავის ძმასთან და მშობლებთანაც ჩვეულებრივი, მშვიდი დამოკიდებულება ჰქონდა. რაც შეეხება აჩიკოს, იგი არაჩვეულებრივი ადამიანი გახლდათ — ჩუმი, წყნარი, ზრდილობიანი და, ამასთანავე, მორცხვი და მიამიტი. გამარჯობას რომ გეტყოდა, თან წითლდებოდა... არავის მისგან გადაკრულად, უხეშად ნათქვამი ერთი სიტყვაც კი არ ახსოვს. ყველა კარგად ახასიათებდა, ყველა პატივს სცემდა მას ამ თვისებების გამო. დღესაც გვიჭირს იმის წარმოდგენა და დაჯერება, რომ აჩიკომ ასეთი საშინელება ჩაიდინა...

საერთოდ, ეს ოჯახი საკმაოდ კარჩაკეტილად ცხოვრობდა. ურთიერთობა მეზობლებთან ნაკლებად ჰქონდათ. ამის მიზეზი ძირითადად აჩიკოს დედა — მანანა იყო, რადგან იგი კონფლიქტური პიროვნება გახლდათ და ხშირად მეზობლებთან ჩხუბი მოსდიოდა ხოლმე. მკვლელობის მიზეზი რა უნდა ყოფილიყო, არ ვიცი. ათასი ჭორი და ვერსია დადის, მაგრამ ზუსტად რა მოხდა იმ ოჯახში, ვერავინ ამბობს. მათი ბინის ქვემოთ მცხოვრები მეზობლის თქმით, ორი თუ სამი დღით ადრე, ვიდრე ეს ფაქტი გამოაშკარავდებოდა, ძეგველიშვილების ოჯახიდან ვაჟას ყვირილის ხმა გაუგია... ის კი დაუნახავთ, რომ აჩიკოს, ვიღაც მუშებთან ერთად, ვედროებით ზემოთ ქვიშა აჰქონდა, მაგრამ ეს საეჭვოდ არავის მოსჩვენებია, რადგან მშენებარე კორპუსში ვცხოვრობთ და უმეტესობას, მათ შორის ძეგველიშვილებსაც, სახლში რემონტი ჰქონდათ...“

თავდაპირველი ინფორმაციით, მკვლელობის შესახებ პოლიციამ ანონიმური ზარით შეიტყო. მეზობლები ამბობენ, რომ მათგან არავინ დარეკავდა, რადგან მკვლელობის ეჭვი არ გასჩენიათ. მათივე თქმით, ეს ამბავი პროკურატურას აჩიკოს მეგობარმა ბიჭმა შეატყობინა, რომელსაც მან მშობლების მკვლელობის შესახებ უთხრა და სთხოვა, მათ დამარხვაში დახმარებოდა...

„ყველაზე მეტად აჩიკოს დის — ნინოს საქციელი გვაოცებს. იმ დღეებში, როცა თურმე დედ-მამა უკვე დახოცილი ჰყავდა, მეზობლებთან, მეგობრებთან ჩვეულებრივად დადიოდა და სხვადასხვა თემაზე მშვიდად საუბრობდა. ოდნავი ნერვიულობაც არ ეტყობოდა. ახლა კი კახეთში, სოფელშია წასული... პროკურატურა რატომღაც მასში დამნაშავეს ვერ ხედავს. საინტერესოა, რატომ არავინ სთხოვს მას დედ-მამის მკვლელობის დაფარვისთვის პასუხს?“ — კითხულობენ მეზობლები.

ამ შეკითხვაზე პროკურატურის თანამშრომლებმა სისხლის სამართლის კოდექსი გადაგვიშალეს და ასე გვიპასუხეს:

„შესაძლოა, ჩვენ ნინო ძეგველიშვილში დამნაშავეს ვხედავთ, მაგრამ კანონის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ პირს მკვლელობაში მონაწილეობა არ მიუღია და მის დამოუკიდებლად შედეგის დადგომის შემდეგ თავის ახლობელს, ოჯახის წევრს დანაშაულის კვალის დაფარვაში დაეხმარა, ასეთი ქმედება მას მართლსაწინააღმდეგოდ არ ეთვლება და მის მიმართ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი არ დგება“...

■

საიდუმლოებით მოცული მკვლელობა უნივერმაღში

თბილისის ცენტრალურ უნივერმაღზე შარშან მომხდარი გახმაურებული თავდასხმა, რომელიც პოლიციის თანამშრომლის მიერ ერთ-ერთი თავდამსხმელის მკვლელობით დასრულდა, ახლო მომავალში, შესაძლოა, სერიოზულ სკანდალში გადაიზარდოს: ახლახან ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე ძიებაში დააბრუნა. 22 წლის პოლიციელის მიერ ჩადენილ ქმედებას ამჯერად ქალაქის პროკურატურამ უნდა მისცეს კვალიფიკაცია.

კახაბერ უსტარაშვილი

იყო თუ არა ყაჩაღი, მოკლული კახაბერ უსტარაშვილი?

მეგი ცანავა

თუმცა, საქმის ობიექტურად გამოძიების იმედი მეორე მხარეს – დაღუპულის ნათესავებს ნაკლებად აქვთ. ისინი ამტკიცებენ, რომ სინამდვილეში, უნივერმაღზე არანაირ თავდასხმას ადგილი არ ჰქონია და ნიჟარაძემ უსტარაშვილი უმიზეზოდ მოკლა. მათი თქმით, პროკურატურა ამჯერადაც მაქსიმალურად ეცდება, პოლიციელის „ტყავი არ დახიოს“ და მის მიერ ჩადენილ დანაშაულს „სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას აუცილებელი მოგერიება“ უწოდოს.

ფაქტი 2000 წლის 3 მაისს მოხდა. საქმის მასალების მიხედვით, თბილისში, სამგორის რაიონში მცხოვრები კახაბერ უსტარაშვილი და ზურაბ ძაძამია ღამის 2 საათისთვის მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე ცენტრალური უნივერმაღისკენ გაემართნენ. ცეცხლსასროლი იარაღებით შეიარაღებულები შეეცადნენ მაღაზიის მეოთხე სართულზე ასვლასა და იქაურობის გაძარცვას. (ერთ-ერთი ინფორმაციით, უსტარაშვილი 1994-95 წლებში საქართველოში მოთარეშე საშიში ყაჩაღური დაჯგუფების ლიდერი გახლდათ.) სამართალდამცავთა ვარაუდით, დაყაჩაღების ობიექტი უნივერმაღის მესამე სართული უნდა ყოფილიყო, სადაც, მათივე თქმით, ოქროულობის სექცია მდებარეობდა და იმ დღეს 8.000 ლარიც ინახებოდა. პროკურატურის ინფორმაციით, უნივერმაღის ეზოში (უზნაძის ქუჩის მხრიდან) სწრაფი ნაბიჯით შემავალ ორ ახალგაზრდას იქვე მყოფმა პოლიციელებმა მაშინვე ყურადღება მიაქციეს. მათ ისინი საეჭვოდ მოეჩვენათ და ამის შესახებ სხვა თანამშრომლებს უთხრეს. ჩუღურეთის რაიონის საკუთრების დაცვის პოლიციელებმა – ნიჟარაძემ, უსანეთაშვილმა, თაქთაქიშვილმა და ბუჯიაშვილმა პირველად ზურაბ ძაძამია დააკავეს. ძაძამიას მათ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა მოსთხოვეს და რადგანაც არ აღმოჩნდა, პოლიციის განყოფილებაში წაიყვანეს. შემდეგ კახაბერ უსტარაშვილის აყვანას შეეცადნენ. უნივერმაღის კიბეზე პოლიციელი – ვლადიმერ ნიჟარაძე ადიოდა, უკან კი მეორე თანამშრომელი მიჰყვებოდა, რომელიც გზას ფარნით უნათებდა. სწორედ, ამ დროს კახაბერ უსტარაშვილმა, როცა მიხვდა, რომ მის დასაკავებლად იყვნენ მოსულები, იარაღიდან ნიჟარაძის მიმართულებით გაისროლა. ნიჟარაძემ საპასუხოდ ისროლა და უსტარაშვილი დაჭრა. ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა, რადგან ტყვია პირდაპირ გულში ჰქონდა მოხვედრილი.

ვლადიმერ ნიჟარაძე თავის ჩვენებაში აღნიშნავს, რომ დაჭრილი ე.წ. მიხაილის საავადმყოფოში მანქანით თავად მიიყვანა. მისი თქმით, უსტარაშვილი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, რადგან გზაში ხრიალებდა. როცა საავადმყოფოში მივიდა და დაჭრილი ექიმებს ჩააბარა, მათგან შეიტყო, რომ მას უკვე აღარაფერი უშველიდა, ხოლო როცა უსტარაშვილი გარდაიცვალა, იქაურობა დატოვა და წავიდა.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, ჩუღურეთის რაიონის პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. სამართალდამცავებმა კახაბერ უსტარაშვილსა და ზურაბ ძაძამიას ყაჩაღური თავდასხმისა და იარაღის უკანონოდ ტარების შესაბამისი მუხლები მიუყენეს. მათ უსტარაშვილი პოლიციელის მიმართ წინააღმდეგობის გაწევაშიც დაადანაშაულეს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ გამოძიება, ფაქტობრივად, არ ჩატარებულა, რადგან მალე პროკურატურამ 29 წლის კახაბერ უსტარაშვილის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე, მისი გარდაცვალების გამო, შეწყვიტა. გარდაცვლილის ნათესავებმა კი, მომხდარი ფაქტის გამოძიება კატეგორიულად მოითხოვეს.

ჟანა უსტარაშვილი, *გარდაცვლილის ნათესავი და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი:*

„კანონში არსებობს მუხლი, რომ თუკი გარდაცვლილის ახლობლები მოითხოვენ კონკრეტული საქმის გამოძიების გაგრძელებას, მაშინ სამართალდამცავები ვალდებულნი არიან, ასეც მოიქცნენ. თუმცა, მიუხედავად არაერთგზის ჩვენი ოფიციალური მოთხოვნისა, პროკურატურამ საქმის ძიება მაინც არ განაგრძო და გამოძიების შეწყვეტასთან დაკავშირებით ორი დადგენილება გამოიტანა. კანონი ითვალისწინებს იმასაც, რომ თუკი გარდაცვლილის ოჯახი არ ეთანხმება დადგენილებებს, შეუძლია ის გაასაჩივროს. ასეც მოვიქეცით – მივმართეთ სასამართლოს. პირველი საჩივარი ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მოსამართლემ – ტაბატაძემ განიხილა. მან გააუქმა დადგენილებები და საქმეზე ძიების წარმოება მოითხოვა, რათა დადგენილიყო, ნამდვილად ჩაიდინა თუ არა კახაბერ უსტარაშვილმა ცენტრალურ უნივერმაღზე ყაჩაღური თავდასხმა. პროკურატურას მოსამართლის ასეთი გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, არ მოეწონა და გაასაჩივრა – იმ მოტივით, რომ საჩივრის განხილვას მისი წარმომადგენლები არ ესწრებოდნენ. არადა, ამის უფლებას მოსამართლეს კანონი აძლევს... საჩივარი მეორედ კვლავ ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ განიხილა.

მოსამართლე თეიმურაზ ანდღულაძემ პროცესს ორივე მხარე დაასწრო, თუმცა იგივე გადაწყვეტილება გამოიტანა, რაც ტაბატაძემ“.

2000 წლის 3 მაისს მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, ადვოკატმა ჟანა უსტარაშვილმა კერძო გამოძიება ჩაატარა. როგორც თავად დასძენს, მან პოლიციის თანამშრომლის – ვლადიმერ ნიჟარაძის საწინააღმდეგოდ სერიოზული მტკიცებულებები მოიპოვა. მისი თქმით, ნიჟარაძემ, რომელსაც პოლიციაში მუშაობა სულ რაღაც სამი თვის დაწყებული ჰქონდა, სამსახურებრივი უფლებამოსილება ბოროტად გამოიყენა და უდანაშაულო კახაბერ უსტარაშვილს ტყვია დაუმსახურებლად ესროლა.

ჟანა უსტარაშვილი:

„ფაქტია, რომ უნივერმაღზე არავითარი ყაჩაღური თავდასხმა არ მომხდარა. არ არსებობს დაზარალებული, უნივერმაღის არც ერთი თანამშრომელი თავდასხმაზე არ მიუთითებს, ოფიციალურად ისინი დაკითხულნიც კი არ არიან, საქმის მასალებით არც ის არის ცნობილი, საერთოდ ვის დაესხნენ თავს უსტარაშვილი და ძაძამია. არადა, პროკურატურა მათ სწორედ ყაჩაღურ თავდასხმაში ადანაშაულებს.

შემთხვევის ადგილად სამართალდამცავები ცენტრალური უნივერმაღის მეოთხე სართულს ასახელებენ. მართალია, ადრე უნივერმაღს მთელი შენობა ეკავა, მაგრამ დღეს, ისევე, როგორც 2000 წლის 2 და 3 მაისს, იგი გაქირავებულია და ვაჭრობის სხვადასხვა ცენტრად არის დაყოფილი. უშუალოდ უნივერმაღის განყოფილებები კი, პირველ სართულზეა განლაგებული. ოფიციალური ვერსიით, მოქმედება მიმდინარეობდა უზნაძის ქუჩის მხრიდან შესასვლელ ეზოში, სადაც დგას სრულიად იზოლირებული სადარბაზო, რომლის მეორე და მესამე სართულებზე საპირფარეშოებია მოთავსებული. ოქროულობის სექცია, რაზეც პროკურატურა საუბრობს, იქ საერთოდ არ არსებობდა.

საინტერესოა ისიც, რომ ეზოში, სადარბაზოს შესასვლელთან დგას ჯიხური, სადაც დაცვის პოლიციელები სხედან. დაფიქსირებულია, რომ პოლიციელი იქ იმ ღამითაც იყო. თუკი უსტარაშვილსა და ძაძამიას უნივერმაღის დაყაჩაღება სურდათ, რატომ მაინცდამაინც პოლიციელებს ჩაუარეს გვერდით და ზუსტად იმ გზით დააპირეს იქ შესვლა, საიდანაც ისინი ყოველ ერთ საათში იქაურობის შემოწმებას – ე.წ. „შემოვლას“ იწყებენ?

პოლიციამ შემთხვევის ადგილიდან თითქოსდა უსტარაშვილის კუთვნილი იარაღი ამოიღო, თუმცა მეტად რთული დასადგენია – სინამდვილეში, ჰქონდა თუ არა მას იარაღი? ბალისტიკურმა ექსპერტიზამ ეს ვერ დაადგინა. პისტოლეტზე არ არსებობს ანაბეჭდები. ნიჟარაძის თქმით, უსტარაშვილმა მას ესროლა, მაგრამ შემთხვევის ადგილას გასროლილი, შესაბამისი ტყვიის მასრა ვერ იპოვეს (გამომძიებლის თქმით, შემთხვევის ადგილიდან უსტარაშვილის მიერ გასროლილი ტყვიის მასრა ამოღებულია. ბალისტიკურმა ექსპერტიზამ კი გარდაცვლილის კუთვნილ იარაღზე მისი ანაბეჭდები დააფიქსირა).

ეჭვს იწვევს პროკურატურის მიერ დაფიქსირებული დროც. კანონი პოლიციის შესახებ გარკვევით მიუთითებს, რომ შემთხვევის ადგილას, პირის აყვანისას ან დაკავებისას, დაჭრილს პოლიციელმა დახმარება აუცილებლად უნდა აღმოუჩინოს. ნიჟარაძე ჩვენებაში აღნიშნავს, რომ მან დაჭრილი მანქანაში ჩასვა, ის ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და პირდაპირ მიხაილის საავადმყოფოში მიიყვანა. ჩვენ მივაკითხეთ საავადმყოფოს და აღმოჩნდა, რომ 2000 წლის 3 მაისს, ღამის 2 საათზე ვიღაც მამაკაცებს მიუყვანიათ უკვე გარდაცვლილი უცნობი და დაუტოვებიათ. ექიმის თქმით, როცა ის რეანიმაციის განყოფილებიდან გამოვიდა, გარეთ, დერეფანში უკვე აღარავინ დახვდა. ექიმები იძულებულნი გახდნენ, დათვალიერებინათ გვამი, შეედგინათ აქტი და თან მის შესახებ პოლიციისთვის ეცნობებინათ.

ნიჟარაძეს რომ უსტარაშვილი საავადმყოფოში მიეყვანა, ამ ფაქტს წესისამებრ, აუცილებლად იქვე დააფიქსირებდა. გარდა ამისა, გვამის დათვალიერების აქტში ექსპერტები უსტარაშვილის სხეულზე გვამური ლაქების არსებობის შესახებ წერენ. სპეციალისტების თქმით, ადამიანის სხეულს პირველადი გვამური ლაქები გარდაცვალებიდან 2-4 საათის შემდეგ უჩნდება. გამოდის, რომ უსტარაშვილი საავადმყოფომდე მგზავრობისას ჯერ კიდევ ცოცხალი კი არა, კარგა ხნის მკვდარი იყო. შესაბამისად, შემთხვევა მოხდა არა ღამის 2 საათისთვის, როგორც ეს საქმის მასალებშია აღნიშნული, არამედ გაცილებით ადრე. ექიმები იმასაც დასძენენ, რომ უსტარაშვილი იმ ჭრილობით 15-20 წუთსაც კი ვერ იცოცხლებდა“.

კანონის შესაბამისად, პოლიციის თანამშრომელს ოპერატიული ღონისძიების შესრულებისას უფლება არა აქვს ესროლოს ეჭვმიტანილს, თუკი მისგან სიცოცხლისათვის საშიში ქმედება არ ემუქრება. საქმის მასალებში დაფიქსირებულია, რომ ასეთი ქმედება უსტარაშვილის მხრიდან იყო: მან ნიჟარაძეს ესროლა, რის გამოც გადარჩენილი პოლიციელი იძულებული გახდა, სროლითვე ეპასუხა.

ჟანა უსტარაშვილი:

„ეს პროკურატურის მიერ შეთითხნილი ვერსიაა. რეალობა ერთი დეტალით დასტურდება: საქმის მასალების მიხედვით, უსტარაშვილის დასაკავებლად, ნიჟარაძე უნივერმაღის შენობის კიბით ზემოთ ადიოდა, მეორე პოლიციელი უკან მიჰყვებოდა. ნიჟარაძე შედგა თუ არა ბაქანზე, მაშინვე გასროლა მოხდა. უსტარაშვილი ზემოთ იდგა, ნიჟარაძე კი ქვემოთ. ექსპერტებმა კი გარდაცვლილის სხეულზე ზემოდან ქვემოთ გამავალი ჭრილობა დააფიქსირეს. გარდა ამისა, ტყვია ძალიან ახლო მანძილიდან – სულ 50 სანტიმეტრიდან არის გასროლილი. მე არ გამოვრიცხავ იმასაც, რომ შესაძლოა, უსტარაშვილის მკვლელობა უნივერმაღის შენობაში არ მომხდარა. გვამის დათვალიერების აქტში წერია, რომ გარდაცვლილს სხეულში სულ 160 მლგ სისხლიღა ჰქონდა შემორჩენილი. ადამიანს კი, მოგეხსენებათ, 5 ლიტრამდე სისხლი აქვს. ე.ი. უსტარაშვილი ჯერ კიდევ საავადმყოფოში მიყვანამდე, სისხლისგან დაცლილი გახლდათ. შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას, 3 მაისს, დილის 8 საათზე კიბეზე არავითარი სისხლის კვალი არ იყო. იქაურობა არც არავის მოუწმენდია, თორემ ამასაც შეამჩნევდნენ. მაშ, სად დაიღვარა სისხლი? ამის თქმა მხოლოდ ნიჟარაძეს შეუძლია...

პროკურატურას კი თავის დროზე ამდენი სიყალბის ჩადენა იმისთვის დასჭირდა, რომ როგორმე პოლიციელის ქმედება გამართლებული ყოფილიყო და მის მოქმედებაში დანაშაულის ნიშნები არ დაფიქსირებულიყო. ამ მიზნით მათ პრესისა და ტელევიზის საშუალებით, გარდაცვლილისადმი ცილისმწამებლური ინფორმაციის გავრცელებაც კი სცადეს – თითქოს კახაბერ უსტარაშვილი 1994-95 წლებში ყაჩაღური ბანდის ლიდერი იყო. არადა, იმ პირებთან, რომელთაც პროკურატურა

ბანდის წევრებად ასახელებს, უსტარაშვილს არანაირი ნაცნობობა არ აკავშირებდა.“

კახაბერ უსტარაშვილი და ზურაბ ძაძამია თბილისის ერთ უბანში ცხოვრობდნენ, ერთმანეთს სწორედ იქიდან იცნობდნენ. ორივემ პოლიციის აკადემია დაამთავრა და ისინი ერთ დროს პოლიციის თანამშრომლებიც იყვნენ. არც ერთი მათგანი ნასამართლევი ან მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში შემჩნეული ადრე არ ყოფილა.

თუმცა, როგორც გამომძიებლები აცხადებენ, ცენტრალურ უნივერმაღზე თავდასხმის გამო აღძრულმა სისხლის სამართლის საქმემ უსტარაშვილისა და ძაძამიას მიერ ჩადენილი სხვა ექვსი ყაჩაღობის ფაქტი გამოააშკარავა. პროკურატურის ინფორმაციით, ეს დანაშაულები ზურაბ ძაძამიამ აღარა. თავდაპირველ ჩვენებებში იგი აღნიშნავს: „პისტოლეტი მხოლოდ მე მქონდა, იგი ადრე თვითონ შევიძინე, უსტარაშვილს კი ჩემთვის არ უთქვამს იარაღი მაქვსო, შესაძლებელია ჰქონოდა“. თუმცა, საქმის მასალებში არსებობს ზურაბ ძაძამიას მიერ დაკავებიდან ერთი კვირის შემდეგ მიცემული ბოლო ჩვენება, სადაც ის სრულიად საწინააღმდეგოს აცხადებს. მისი თქმით, 2000 წლის 2 მაისს ის და კახაბერ უსტარაშვილი ვარკეთილიდან ერთად მოდიოდნენ. უსტარაშვილმა უთხრა, რომ თან ჰქონდა ორი იარაღი: ერთი მაკაროვის სისტემის, ხოლო მეორე უცხოური ფირმის წარმოების პისტოლეტი. მაკაროვის სისტემის იარაღი მან თავისთვის დაიტოვა, უცხოური პისტოლეტი კი ძაძამიას მისცა. ისინი საქართველოში დროებით მცხოვრები ფრანგი მოქალაქის დასაყაჩაღებლად წავიდნენ, თუმცა განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს, რადგან ხელი ვიღაც უცნობებმა შეუშალეს. იქიდან გამოიქცნენ და ცენტრალური უნივერმაღის შენობაში შევიდნენ.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ შემთხვევას მოწმე არ ჰყავს. როგორც ზურაბ ძაძამია დასძენს, იგი უსტარაშვილისა და პოლიციელების შეხვედრას არ შესწრებია, რადგან მანამდე დააკავეს და მაშინვე განყოფილებაში წაიყვანეს.

კახაბერ უსტარაშვილის ნათესავები აცხადებენ, რომ ყველაფერთან ერთად, გარდაცვლილი გაქურდულიც იყო.

ქანა უსტარაშვილი:

„ის მუდამ ატარებდა ოქროს ჯვარს, რომელიც შავ თასმაზე ჰქონდა ჩამოკიდებული. საავადმყოფოში მიყვანილს, ჯვარი უკვე აღარ ეკეთა. ჯიბეში უნდა ჰქონოდა აგრეთვე თანხა – 100 ლარზე მეტი: 3 მაისს ეს ფული მას თავისმა ძმამ მისცა და სთხოვა, მისი შვილების სწავლის გადასახადი შეეტანა. აქტში არც ამის შესახებ არის რაიმე ნათქვამი. მიცვალებულს ჯიბეში მხოლოდ 1 დოლარიანი დაუტოვეს, რომელზეც რაღაც წარწერები ჰქონდა გაკეთებული...“

გარდაცვლილის ოჯახის ადვოკატი კატეგორიულად მოითხოვს ვლადიმერ ნიჟარაძის მიმართ პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას. ნიჟარაძე ამჟამადაც ჩუღურეთის რაიონის პოლიციაში მუშაობს. მომხდართან დაკავშირებით კომენტარისთვის მასაც მივმართეთ, თუმცა ჩვენთან საუბარზე მან უარი განაცხადა.

■

25 წელი ყვითელ თავში

59 წლის ნიუ-იორკელმა მწერალმა ადრიან მილტონმა შემთხვევით მიარტყა თავი კარადას, ყოველი შემთხვევისთვის, ექიმს მიმართა და რომ დარწმუნებულიყო, სახიფათო არაფერი სჭირდა, თავის ქალის სურათიც გადაიღო. ფირის თვალიერებისას, გაკვირვებულმა ექიმმა წამოიძახა: „მილტონ... თქვენ თავში ტყვია გაქვთ!“ მილტონს დრო დასჭირდა, ვიდრე საკუთარი ცხოვრების თვალის გადავლების შედეგად, იმ ეპიზოდს გაიხსენებდა, რომელიც ამ საოცარ ფაქტს ახსნიდა: 1976 წელს კომპანიისთვის, სადაც მუშაობდა, იმ შენობის ფოტოსურათი უნდა გადაეღო, რომელიც ნავმისადგომის გვერდით მდებარეობდა. იქვე, ახლოს, ვიღაცები ჩხუბობდნენ. მოულოდნელად მილტონმა ტკაცუნის ხმა გაიგონა და თავის არეში მწვავე ტკივილი იგრძნო. გასისხლიანებული, შინ თავისი ფეხით დაბრუნდა, თავი შეიხვია და დაიძინა. გამოღვიძებულმა შენიშნა, რომ სისხლდენა შესჩერებოდა და მხოლოდ კოპი აჯდა. მან ჩათვალა, რომ აგურის ნამსხვრევი მოხვდა და ექიმისთვის აღარც მიუმართავს. როგორც ჩანს, ადრიანს გაუმართლა, რადგან ასფალტიდან ასხლეტილი ტყვია კანსა და თავის ქალას შორის იყო გაჩხერილი. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ მწერალი „შეჩვეულ“ ტყვიასთან განშორებას აღარც აპირებს...

■

ალ კაპონეს ადვოკატი 107 წლის ასაკში გარდაიცვალა

იტალიური წარმოშობის ცნობილი ჩიკაგოელი განგსტერის ალ კაპონეს ადვოკატი სულ ახლახან, 107 წლის ასაკში გარდაიცვალა. ჰირამ მენდოუ 30-იან წლებში ალ კაპონესა და რამდენიმე სხვა ცნობილი განგსტერის დაცვის შემდეგ, ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული ადვოკატი გახდა.

თავის პრაქტიკაში ყველაზე ცნობილ პროცესზე ადვოკატი, მინეაპოლისში 1935 წელს მომხდარი ამბოხების დროს მკვლელობაში ეჭვმიტანილ ამერიკელს იცავდა. მაშინ ჟურნალ „თაიმში“ გამოქვეყნდა ფოტო, რომელზეც მიწაზე მწოლიარე ადამიანის თავზე ბეისბოლის ჯოხით ხელში მდგარი ბრალდებული იყო გამოსახული. მენდოუმ „მოკლული“, ცოცხალი და სრულიად ჯანმრთელი იპოვა და სასამართლოს მოწმედ წარუდგინა... საინტერესოა, რომ 100 წლის ასაკში მენდოუ ჯერ კიდევ ადვოკატის პრაქტიკას ეწეოდა.

■

წინაპარი.

დიდ წინაპართა შთამომავალი

ეს დახვეწილი ქართველი ვაჟკაცი ალექსანდრე ბაგრატიონია. ის 45 წლისა გარდაიცვალა ფილტვების ანთებით. მისმა სიკვდილმა შეძრა მთელი ერი... დიდი კულტურის მატარებელი ალექსანდრე ბატონიშვილი, სოლომონ პირველის შთამომავალი, ერთნაირი სიყვარულით ეპყრობოდა ყველას – გლეხსაც და აზნაურსაც, ქვეშევრდომსაც და თანასწორსაც... არც გლეხის შეურაცხყოფას აპატიებდა ვინმეს, არც თავადიშვილისას.

და აი, რა სიტყვებით გააცილეს ალექსანდრე ბაგრატიონი: „ბაგრატ-სევასტოს, დავით აღმაშენებელი და დიდი მეფე თამარი... ისინი მხიარულებით გელიან ახლა თავის უმცროსს, ერთს თავის სისხლ-ხორცთაგანს, ესე იგი, შენ, ბატონიშვილო ალექსანდრე, რომ მოისმინონ შენგან მხიარული ამბავი იმათი სამკვიდრო ერის აღორძინებისა. უეჭველია, შენ შეგიტკბობენ თავის შარავანდედით მოსილს ნათელში და გამოგკითხავენ საქართველოს დღევანდელს ვითარებას: რა ამბავი უნდა მიუტანო მათ? – რომ დღეს ქართველი ერის სახელი ქვეყანას დავიწყებია? რომ ქართველები დაწვრილმანებულან, გაცალკევებულან და სანუგეშო აღარა იხედება-რა მათში? – არა. შენ ასეთი ამბით არ უნდა შეაწუხო ისინი. ასეთმა ამბავმა არ უნდა გადააკრას მათს შარავანდედს შავი ღრუბელი. აბა, ძმებო ქართველებო, დღეს მოტირალნო! ახლა თქვენ უნდა მოგმართოთ. ნუ გაუშვებთ ჩვენს საყვარელ ალექსანდრეს წინაპრებთან ისე, რომ სანუგეშო არა წაიღოს რა მათთან. მოდით, დღეს ჩვენ შევქმნათ ამის სახელი უკვდავათ და გავხადოთ იგი ღირსეული შვილი თავის დიდებული წინაპრებისა.

დარდით სავსე გავუშვით იმ ქვეყანას არა ერთი და ორი მამულიშვილი, კარგი ვერაფერი დავაბარეთ სულეთში“...

ეს სიტყვები 1895 წელს ითქვა. და, სამწუხაროდ, დღევანდელობასაც საოცრად ეხმიანება. ეს ფოტოსურათი კი სათუთად ინახავს სახეს გადასარჩენი ჯიშისა და გენის გასახსენებლად.

ლელა ჯიყამვილი

ელდარ მამალაძე კერამიკოსია. მისი ნამუშევრები, რომელიც გასაიდუმლოებული ტექნოლოგიის გამოყენებით იქმნება, მრავალრიცხოვან მნახველთა გაოცებას იწვევს. გამოყენებით ხელოვნებაში, ჭიქური კერამიკა, იშვიათ საქმედ ითვლება. ამიტომ, ამ დარგის სპეციალისტები თითზე ჩამოსათვლელები დარჩნენ. ერთი ნამუშევრის შექმნას ზოგჯერ თვეები სჭირდება. შექმნის პროცესში კი, კერამიკოსი უფრო მეტ შემოქმედებით წვას განიცდის, ვიდრე პოეტი ლექსის წერისას, რადგან თიხისგან დამზადებული საყოფაცხოვრებო პროდუქტი, მუზისა და ნიჭის გარდა, ხელობის უნაკლო ცოდნასაც მოითხოვს.

„სამშობლის ჭიქაში"
ჩვენში არავის სჭირდება

ნანუკა არაბული

ბატონი ელდარის გასაცნობად მცხეთაში ჩავედი. ის საოცრად მორიდებული და პოეტური ბუნების ადამიანი აღმოჩნდა. თუმცა, მისი პირველი მუზა, როგორც მე ველოდი, მისივე თანაკლასელი, ფრიადოსანი, ბაფთიანი გოგონა არ აღმოჩნდა. თურმე ელდარ მამალაძეს ხატვა პროლეტარიატის მამებმა დააწყებინეს. ერთ მშვენიერ დღეს, კომკავშირის აქტივისტებმა პიონერ ბიჭუნას ხატვის ნიჭი აღმოუჩინეს, მისცეს ფანქარი და... მთელი ბავშვობა მარქსის, ენგელსისა და ლენინის თავების ხატვაში გაატარებინეს. კედლის გაზეთები და საღლუმო ლოზუნგები ხომ, მისი გაფორმების გარეშე წარმოუდგენელი იყო. ცოტა მოგვიანებით, ოცკაპიკიან მონეტებზე, ტყვიისაგან სტალინის თავის ჩამოსხმა დაიწყო. ამ საქმემ გაიტაცა და სულ მალე ისე „დასპეცდა", რომ სტალინის პატარა ბიუსტებისაგან ბიზნესის „დატრიალებაც" შესთავაზეს. მაგრამ მან ნაკლებად მომგებიანი არჩევანი ამჯობინა: მოზილა თიხა, გამოწვა ლარნაკები და ზედ სხვადასხვა ბუნებრივი საღებავით შეფერილი უძველესი ქართული ორნამენტები მოათავსა. დროთა განმავლობაში საქმე იქამდე მივიდა, რომ ელდარ მამალაძემ თიხაზე ფერთა შეხამების ახალი ტექნოლოგია გამოიგონა. მის მიერ

მოხატული, კერამიკული ხელოვნების ნიმუშები, 100 საუკუნის განმავლობაში, იმის მიუხედავად, თუ სად, რა პირობებში და როგორ იქნება დაცული, პირველყოფილ ფერებს შეინარჩუნებს.

გამომგონებელი კერამიკოსი აცხადებს, რომ ფერთა ნაერთების შემადგენლობას, სამმკვიდრეო საიდუმლოების გრიფით, თავის ვაჟიშვილს გადასცემს. გიორგი ჯერ მხოლოდ 6 წლის არის. ის მამის მოზელილი თიხისგან ძალიან სასაცილო, მოცეკვავე კურდღლებს ძერწავს და მიწაში ინახავს. ვინ იცის, იქნებ 100 საუკუნის შემდეგ, ეს უწყინარი ბავშვები ვიღაც არქეოლოგის აღმოჩენადაც იქცეს და სავონებელში ჩაგდონ. არც ის არის გამორიცხული, რომ მამა-შვილის შემოქმედებიდან, საქართველოში მხოლოდ ეს ყურცქვიტები დარჩეს, რადგან ბატონი ელდარის ნამუშევრებს, ძირითადად, უცხოელი ტურისტები ყიდულობენ. საქართველოში 50 ლარად შეფასებული სურა – „სამოთხის ჩიტები" უცხოეთში 200 დოლარად იყიდება. საქართველოში მოთხოვნა მხოლოდ „მიხოზეა", რომელსაც ხელში თავისზე დიდი ყანწი უკავია. ამიტომ მას სპეციალური ყალიბის მეშვეობით, სერიულად უშვებენ.

ამ სურასაც უცხო ქვეყნის გზას გაუყენებენ

ჩვენთან ჯერჯერობით, მხოლოდ მას აქვს გასავალი... უფრო სწორად – შემოსავალი. როგორც ბატონმა ელდარმა იხუმრა, ის ვალშია ჩვენებურ „მიხოსთან“, რადგან როდესაც „მუზაში გადავარდნილი“, ელიტურ ვაზებს დაჰგურგურებს, „მიხო“ კახური ერთგულებითა და სიალალით „ინახავს“ მის ოჯახს. როდესაც 2-3 თვის ნაშრომს, პატარძალივით ყელმოღერებულ სურას უცხო ქვეყნის გზას გაუყენებენ, ელდარ მამალაძე, ისევ თავის „მიხოს“ და სხვა წვრილ-წვრილ სუვენირებს მიუბრუნდება ხოლმე.

ამ დროებას რა ვუთხარი, თორემ, „სამთხის ჩიტების“ შემქმნელი ოქროსხელებიანი კაცის ასეთ რამეზე მოცდენა, მართლაც რომ ბრალია!..

— ბატონო ელდარ, თქვენი ნიჭის წყალობით, ალბათ სკოლაში გამორჩეულ მოსწავლედ ითვლებოდით. ხატვის გარდა, თურმე ბრწყინვალედ ცეკვავდით და მღეროდით. საინტერესოა, სკოლის დამთავრების შემდეგ, როგორ წარიმართა თქვენი ცხოვრება?

– არა, არაფრით ვიყავი გამორჩეული. მთელი ბავშვობა, ახალ ჩანთასა და წიგნებს ვნატრობდი, რომელიც არასოდეს მღირსებია. ყველაფერი უფროსი ძმის გამონაცვალი მქონდა. მაგრამ მაშინ ჩვენში უზომო ბავშვური სიხალისე სჭარბობდა, რასაც დღევანდელ ბავშვებში დავეძებ და ვერ ვპოულობ. ამიტომ, უფრო ადვილი იყო იმ პრობლემების დაძლევაც კი, რაც ჩვენზე არ იყო დამოკიდებული. სკოლის დამთავრების შემდეგ ბევრი ნამუშევარი დამიგროვდა. ისე მქონდა ხელი გავარჯიშებული ლენინ-სტალინის ხატვაში, რომ ჩემი „შედევრების“ დათვალიერების შემდეგ სოხუმის სამხატვრო სასწავლებელში III კურსზე ჩამრიცხეს. მერე სამხატვრო აკადემიაც დავამთავრე და მუშაობა მცხეთის კერამიკულ ქარხანაში დავიწყე. 15 წლის განმავლობაში ვიყავი მთავარი მხატვრის თანამდებობაზე. ის დრო იყო, როდესაც სერიოზული მხატვრული ღირებულების ნაწარმოების ან დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნისათვის ყველნაირი ტექნიკური პირობა იყო, მაგრამ ცენზურა საშუალებას არ გვაძლევდა, ნაკეთობებში ეროვნული და ისტორიული ხასიათის ორნამენტები და სიმბოლოები გამოგვეყენებინა. მაგალითად, აკრძალული გვქონდა ნაწარმზე ჯვრის გამოსახვა ან სხვა რელიგიური შინაარსის ჩადება. არადა, ქართული კერამიკული წარმოება ისტორიულად, სწორედ რელიგიურ თემატიკას ეფუძნება. ვფიქრობ, ადამიანი, რომელიც ხელით ზელს თიხას, ღმერთს ბაძავს და მას უახლოვდება... როგორც ღმერთმა შეიყვარა თავისი ქმნილება და მას სული შთაბერა, ისევე გვიყვარს კერამიკოსებს ყოველი ჩვენი ნახელავი. საოცარი თვისებების მატარებელია თიხა: ის ცოცხალი ადამიანივითაა, საუბრობს, მღერის, რაკრაკებს. არქეოლოგიური გათხრების დროს, ერთმა პატარა თიხის ფირფიტამ თუ ჭურჭლის ნატეხმა, მთელი ეპოქის ამბები შეიძლება გადმოგვცეს.

— თუ აქვთ რაიმე საერთო მახასიათებელი კერამიკოსებს?

– ჩვენ „მიწიერი“ შემოქმედები ვართ: ჩვენი მასალაც მიწაა, თუმცა, მაინც სხვა თვალით ვუყურებთ სამყაროს. არ გჯერათ? აბა, გულწრფელად მითხარით, გზაზე რომ მიდიხართ, რას უყურებთ? რას აკვირდებით ხოლმე?

— სახლებს ვუყურებ, ადამიანებს ვაკვირდები — რა აცვიათ, როგორ გამოიყურებიან...

– აი, ხომ ხედავთ? ჩვენ კი სახლებს არ ვუყურებთ: კერამიკოსი, სადაც არ უნდა იყოს, მიწას დაჰყურებს – აკვირდება, სად არის „მჭლე“ ან „მსუქანი“ თიხა. ეს ჩვენი პროფესიული ტერმინია. იცით, რა გვესმის? ძახილი! თიხის ძახილი: მოდი, ხელი შემახე, წელში გამომიყვანე, მომრთე, მომკაზმე, გადამარჩინე, ამ ტალახიდან ამომიყვანეო... უცნაურია, არა? თითქოს შველას ითხოვს და მისი ხმა მარტო მე მესმის.

— შემოქმედებით პროცესში როგორი ხართ?

– გაღიზიანებული. სანამ არ დავამთავრებ, არავინ და არაფერი მინდა. როცა კმაყოფილი არ ვარ იმით, რაც გავაკეთე, ან საერთოდ, როცა რაღაც რიგზე არ მაქვს, ერთ მცხეთელ მოხუც კაცთან მივდივარ. ის კაცი ბრმაა. დავჯდები მასთან და დიდხანს ვსაუბრობთ. ის მეკითხება, მე კი ვპასუხობ, რატომ ვარ ბოღმიანი. ვეუბნები, როგორია ცა, ქალებს რა ფერის კაბები აცვიათ, ჩემი ფანჯრებიდან რა მოჩანს... დავშვიდდები, ახალ ენერგიას მოვიკრებ და ისევ სახელოსნოში ვბრუნდები. თითქოს აღარ მაქვს უფლება, უსაქმოდ ვიყო. მე ხომ ვხედავ, ხელები მაქვს და შემიძლია, შემიძლია შევქმნა... და ისევ თავიდან იწყება ყველაფერი...

— ასე წვალებით შექმნილ ნამუშევრებს, თანაც ასეთ ლამაზს, სხვისთვის როგორ იმეტებთ?

– ამის პასუხად, ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ: გასაყიდად ვერ ვიმეტებ, თორემ, გაჩუქების პროცესი უდიდეს სიამოვნებას მგვრის. რომელი ნაკეთობაც ძალიან ლამაზი გამომივა, სწორედ მისი გაყიდვა არ მინდა და ისეთ ფასს დავადებ, რომ არ გაიყიდოს, მერე, როცა ვიღაც ალალი ადამიანი გამოივლის – მას ვაჩუქებ ხოლმე. ამ საქციელით იმ მომენტში ჩემს თავს ვატყუებ, მაგრამ მერე, წლების შემდეგ, შემთხვევით, ისევ რომ გადავეყრები და საკუთარ ნახელავს წამიერად უცხოს თვალით შევხედავ, ვრწმუნდები: ის ტყუილი ღირს ამ ბედნიერებად.

— მერე თქვენი ოჯახის წევრები — მათ ესმით თქვენი?

– მე მოსიყვარულე ოჯახი მაქვს. ყველას გვესმის ერთმანეთის. არ გვაქვს ადვილი ცხოვრება, მაგრამ იქ, სადაც ნამდვილი სიყვარულია, პრობლემები უკანა პლანზე რჩება.

■

„საქართველომი მოთხოვნილება მხოლოდ „მიხოზეა“



ჩემი რესპონდენტი იმ ადამიანთა რიგს მიეკუთვნება, რომლებიც ცხოვრების მძიმე და ხიფათიან გზას ირჩევენ და სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზეც უწევთ ხოლმე დგომა. ვანო გულედანი 36 წლისაა. მესტიაში, სოფელ ლენჯერშია დაბადებული და, როგორც თვითონ ამბობს, მთების ტრფიალიც გენეტიკურად დაჰყვა... ვანო არაჩვეულებრივი მთხრობელია, თანაც, ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, ჟურნალისტიცაა.



ეს ოთხელეკი ესკოლენ ესოთანეთს და ვესლოლენ ჩვენ...

ნინო ჯავახიშვილი

— დავამთავრე უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიისა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტები. სად გეოლოგია და სად ჟურნალისტიკაო, მეტყვით, მაგრამ ბუნებით ძალიან ცნობისმოყვარე ვარ — ყველაფერი მაინტერესებს. ორი წელი კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტში ვმუშაობდი. ასპირანტურაშიც გავაგრძელე სწავლა, საკანდიდატოც მოვამზადე, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო, სამეცნიერო საქმიანობას თავი დავანებე. სპორტი ბავშვობიდანვე მიყვარდა — ალბათ, ამიტომაც ძიუდოისტიც ვარ (ბავშვებსაც ვავარჯიშებდი), ალპინისტიც და მაშველიც — ე.წ. ექსპედიციების დროს ნებისმიერ სიტუაციაში შემიძლია დავეხმარო ადამიანებს. 10 წელი ვიმუშავე წითელი ჯვრის სამაშველო სამსახურში და ამ ხნის მანძილზე რა აღარ გადამხდენია თავს...

— რატომ აირჩიე მაინცდამაინც ასეთი ხიფათით აღსავსე გზა?

— ალბათ იმიტომ, რომ აქტიური სპორტსმენი, ალპინისტი და სპელეოლოგი ვიყავი (სპელეოლოგია მღვიმეთა კვლევა-ძიებას ნიშნავს) და მინდოდა, უფრო მეტი გამეკეთებინა. დიდი სურვილი მქონდა, დავხმარებოდი გაჭირვებულ ადამიანებს კრიტიკულ სიტუაციებში, ე.ი. გამოცდილება, რომელიც მთაში ექსპედიციების დროს დამიგროვდა, მიწისძვრების, კატასტროფებისა და ზვავების დროს, ადამიანთა გადასარჩენად გამომეყენებინა. წითელი ჯვარი პირველი სამაშველო სამსახური იყო, რომელიც სპიტაკის მიწისძვრის შემდეგ ჩამოყალიბდა. ასეულობით ოპერაციაში მიმიღია მონაწილეობა.

— როგორი უნდა იყოს პროფესიონალი მაშველი და თავად თუ ხარ პროფესიონალი მაშველი?

— სასურველია, რომ ის უპირველესად, პროფესიონალი მთამსვლელიც და მყვინთავიც იყოს და, აუცილებლად — კარგი სპორტსმენი. მაშველი ყველანაირ ტექნიკას უნდა ფლობდეს და, რაც მთავარია, კაცთმოყვარე უნდა იყოს: მზად უნდა იყოს, ნებისმიერ სიტუაციაში უანგაროდ დაეხმაროს გაჭირვებულს... როგორ გითხრა, პროფესიონალი მაშველი ვარ-მეთქი, ხომ არ ვიტრაბახებ?! ყოველ შემთხვევაში, ამის დიდი სურვილი კი მაქვს... ადგილობრივი სამაშველო ვარჯიშების გარდა, გავიარე სამაშველო კურსები იტალიაშიც, მონაწილეობა მიმიღია აგრეთვე ფრანგების, იტალიელებისა და ქართველების ერთობლივ სამაშველო წვრთნებშიც. წლების განმავლობაში რაზმის ხელმძღვანელი ვიყავი და რაზმიც ყოველთვის მომზადებული მყავდა — როგორც ტექნიკურად და ფიზიკურად, ასევე ფსიქოლოგიურადაც. ეს რაზმი დღესაც არსებობს, ოღონდ ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის სამაშველო სამსახურის დაქვემდებარებაშია. აქაც რაზმის ხელმძღვანელი ვარ, ექსპერტ-მაშველის კვალიფიკაცია მაქვს მონიჭებული.

— შენი პროფესიის გადამკიდე, უამრავ ხიფათს გადაეყრებოდი. შიშის გრძნობა გქონია?

— შიშის გრძნობა მხოლოდ სულელს არ განუცდია. მაშველი, რა თქმა უნდა, მხდალი და მშიშარა არ უნდა იყოს, მაგრამ სიფრთხილე არ უნდა დაავიწყდეს. სხვათა შორის, სამაშველო სამსახურის უპირველესი პრინციპია საკუთარი თავის უსაფრთხოება. მაშველი ოპერაციაზე არ უნდა გავიდეს, თუ ყველაფერი წესრიგში არა აქვს, რადგან შეიძლება საკუთარი სიცოცხლეც ჩაადგოს საფრთხეში და სხვასაც ვერ უშველოს. თუმცა რისკზე მაინც ხშირად წავსულვარ. ერთხელ მტკვარზე, სოფელ მირაშხანთან, დამხრჩვალს ვეძებდით. ჩავყვინთე და ყინულის საფრის ქვეშ, ძალიან ღრმად შევედი. მინუს 33 გრადუსი იყო ხოლმე დილაობით და ისე სქლად იყინებოდა წყალი, რომ ყინულს ვეღარაფრით დავამტვრევდი. მოკლედ, ვიპოვე თუ არა დამხრჩვალი, ჰაერიც გამითავდა. ასვლა კი დავიწყე, მაგრამ სადაც არ ამოვყვინთე ყველგან ყინული მხვდებოდა... იცი, როგორ შემეშინდა? კიდევ გავცურე და კიდევ ვცადე წყლიდან თავის ამოყოფა — ისევ ყინული იყო... ვიფიქრე, მორევს უკან ხომ არ გავყევი-მეთქი. აღარ ვიცოდი, რა მექნა. ბევრი დროც აღარ მქონდა და გადავწყვიტე, ყინული ამომეტეხა. იმ ყინულს რა ამოტეხდა, მაგრამ ხომ გაგიგონია — წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო. საბედნიეროდ, მორიგი მცდელობა

წარმატებით დამთავრდა – მთელი ძალით ავარტყი თუ არა ყინულს თავი, უცებ მუხლებამდე არ ამოვხტი წყლიდან?! თურმე, სწორი მიმართულებით კი გამიცურავს, მაგრამ თვითონ ჩემს „მასკას“ დასდებია ყინული სქლად და ამიტომ იყო, ყველგან რომ ყინულის საფარი მხვდებოდა... ისე, კაი გვარიანად კი შემეშინდა...

ერთხელაც თურმე ცარიელი ბალონით ჩავსულვარ წყალში. ხელსაწყოს ისარი უჩვენებდა, რომ ბალონი სავსე იყო – თურმე, გაფუჭებული ყოფილა და 16 მეტრის სიღრმეზე გამითავდა ჟანგბადი. წყლიდან უცებ ამოყვინთვაც არ შეიძლება, მაგრამ რას ვიზამდი, – შიში ოხერია: ბოლო 7-8 მეტრი ყოველგვარი წესების გარეშე ამოვცურე... საერთოდ, მაშველებს ყველაზე მეტი წყალქვეშა სამუშაო გაზაფხულობით გვაქვს ხოლმე. პირველი წყალდიდობები, წყალზე საბანაოდ გასვლა, სწორედ მაშინ იწყება და, საუბედუროდ, ბევრი ადამიანიც ეწირება.

— როგორც ვიცი, მაშველები 1991-92 წლებში მთავრობის სახლთანაც იყავით და დაჭრილები გამოგყავდათ იქიდან. ორივე მხარეს ქართველები იბრძოდნენ და თქვენც ალბათ ორივე მხარეს ეხმარებოდით...

– ბრძოლის დროს მაშველები მართლაც იქ ვიყავით და ხალხს, როგორც შეგვეძლო, ისე ვეხმარებოდით. დაჭრილები კი გამოგვყავდა, მაგრამ ფაქტობრივად, „მოფარებულად“ გვიწევდა მუშაობა: თუ ოპოზიციის მხრიდან გამოგვყავდა ვინმე, მთავრობის სასახლიდან გვესროდნენ და თუ მთავრობის სახლის მხრიდან – მაშინ ოპოზიცია არ იშურებდა ჩვენთვის ტყვიებს. წინა დღეს მაშველების „მეგობრები“ რომ იყვნენ, მეორე დღეს უკვე მტრები ხდებოდნენ და ტყვიებს გვიშენდნენ. წითელი ჯვრის გამოსახულებიანი მაშველთა ფორმა გვეცვა და ყველა გვცნობდა, მაგრამ რად გინდა – მაინც არ გვინდობდნენ. ამიტომაც დაჭრილები ჩვენ შორისაც იყვნენ.

— ალბათ ძალიან მწარე გრძნობა გიპყრობდათ...

– სირცხვილის გარდა, სხვა რა უნდა იგრძნო?! საშინელება იყო: ქართველები ესროდნენ ერთმანეთს და გვესროდნენ ჩვენც!

— ჭუბერის უღელტეხილზე აფხაზეთიდან დევნილთა დასახმარებლადაც ხომ იყავით?

– გავშალეთ ბანაკები, სადაც ხალხს თავის შეფარება და დასვენება შეეძლო. ვუკეთებდით საჭმელს, ვეხმარებოდით უღელტეხილის ყველაზე რთული მონაკვეთის გადალახვაში... ესეც უსიამოვნო მოგონებაა.

— როგორც ვიცი, მაშველებს პროფესიული მოვალეობის შესრულება მთაშიც ხშირად გიხდებათ ხოლმე.

– ზვავების დროს, ძირითადად, სამხედრო გზაზე, ჯვრის უღელტეხილზე, ხალხი რომ ჩარჩებოდა ხოლმე, მივდიოდით და ვთხრიდით და ვთხრიდით თოვლს... ზოგჯერ ფეხითაც კი გვივლია თოვლში ჩამარხულთა მოსაძებნად. ახლა ამდენი წვალება და გაუკვალავ თოვლში ფეხით სიარული აღარ გვიწევს – სპეციალური თხილამურები გვაქვს, რომლითაც უფრო სწრაფადაც დადიხარ, არც თოვლში ეფლობი და დაღმართშიც კარგად მისრიალებ.

— როგორ ეძებთ თოვლში ჩამარხულ ადამიანებს? ეს ხომ ზღვაში წვეთის ძებნას ჰგავს...

– მაშველები ვდგებით მწკრივში და 3-4 მეტრიან ზონდებს 50-50 სმ-ის დაშორებით ვარჭობთ. გამოცდილი ხელი კარგად გრძნობს, რას ხვდება ეს ზონდი – ქვას თუ ცოცხალ არსებას. თუ ზვავი ძალიან ღრმაა, ან ზუსტად უნდა იცოდე, რომ მსხვერპლი ნამდვილად ამ ზვავშია, ანდა მთელი ბატალიონი დაგჭირდება მის გადასათხრელად. უცხოეთში ყველა მაშველთა ჯგუფს სპეციალური სასიგნალო მოწყობილობა (ტრანსსელვერი) აქვს, რომლითაც ძალიან ადვილად და სწრაფად იპოვი ზვავში ჩამარხულ ადამიანს. ყველაზე მძიმე თოვლის ქვეშაც ადამიანი 15 წუთის განმავლობაში ცოცხლობს, ხოლო თუ თოვლი ფაფუკი და მსუბუქია, მაშინ შეიძლება, რამდენიმე დღეც კი გაძლოს.

— თუ ყოფილა ისეთი შემთხვევა, დაღუპვას რომ გადაარჩინე ვინმე?

– სვანეთში ვიყავით დაბანაკებულები. ერთი ალპინისტი მოვიდა და დახმარება გვთხოვა: თურმე, მწვერვალიდან რომ ეშვებოდნენ (სამნი ყოფილან), უცებ მოსწყდნენ და ორი მათგანი ბერგშრუნდში (ნაპრალი ფერდზე ანუ ქვათაცვენის ზოლი) ჩავარდა. რაღას ვიზამდი – მეგობრებთან ერთად, ღამით ნაპრალიანი პლატო გადავჭერი და ორივე ამოვიყვანე – მძიმე მოტეხილობები ჰქონდათ, საერთოდ ვერ მოძრაობდნენ. არანაირი შანსი არ ჰქონდათ, იქიდან ცოცხლებს გამოეღწიათ. თანაც, მეორე დღესვე ის ნაპრალი თოვლისგან სულ გასწორებული იყო...

— დალაშქრული გაქვს უშბა, შხარა, აილამა, აღმაშენებლის ჩრდილოეთ კედელი, მღვიმე პიერსენ-მარტენი საფრანგეთში და მრავალი სხვა. შესრულებული გაქვს არაერთი რთული ასვლა ყაზბეგის რაიონში. რა არის შენთვის მთა და როგორ ეგუებიან მშობლები შენი ცხოვრების ასეთ წესს?

– შეიძლება ითქვას, რომ ალპინიზმი სპორტული აზარტია. ერთხელ რომ ახვალ მწვერვალზე, მაშინვე უფრო რთულ ასვლაზე ფიქრს იწყებ. ზოგიერთ მწვერვალზე 25-30-ჯერ მაინც ავსულვარ, მაგრამ ყველა ასვლაზე სულ ახალ-ახალ რაღაცებს „ვპოულობ“ ხოლმე იქ... სამხრეთ უშბაზე რომ ავედი და იქიდან მშობლიურ სოფელს გადავხედე, ყველაზე ბედნიერი მაშინ ვიყავი. ისე, სოფელში ყველას უკვირს, მეკითხებიან – რა გინდა ამ მთებში, რას დადიხარ, რას ეძებო... შეიძლება მთების ტრფიალი გენეტიკურადაც დამყვა: მამაჩემი მთამსვლელი იყო. მეორე მსოფლიო ომის დროს წითელარმიელები უღელტეხილებზე, ფაქტობრივად, ქალაქებით, ყოველგვარი სპეციალური აღჭურვილობის გარეშე გადაჰყავდა. 1943 წლის თებერვალში კი იალბუზზეც ავიდა. მამაჩემი ძალიან კმაყოფილია ჩემი არჩევანით და ეამაყება კიდეც ეს. დედაჩემს სულ ეშინია, რამე არ მომივიდეს. შარშანწინ შხარაზე ასულებს ამინდი გაგვიფუჭდა და ველარ ჩამოვდიოდით. თურმე დედაჩემთან სამი დღე



ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. XVII საუკუნის გოლოს, როცა ფოსტა ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდა, საფრანგეთში 3 საფოსტო თანამდებობა შემოიღეს: კონტროლიორი, მნიხრავი (ფასების ნიხრის განმსაზღვრელი) და:

ა) ამწონი;
ბ) შემფუთავი;
გ) განყოფილების უფროსი.

2. სად მდებარეობს „მინიმუნდუსი“ (მინიატურული ძვეყნიერება)?

ა) ავსტრიაში;
ბ) ავსტრალიაში;
გ) გერმანიაში.

3. ვინ იმყოფებოდა არისტოტელე ონასისის გვერდით, მისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში?

ა) ქალიშვილი კრისტინა;
ბ) ჟაკლინ კენედი;
გ) მარია კალასი.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

სამძიმარზე დადიოდა ხალხი — ყველას დაღუპული ვეგონე. ისეთი ნიაღვარი იყო, რომ ქვემო სოფლებშიც კი უამრავი ხიდი წაუღია. ჩვენ კი, ვითომ 5 დღით წასულები, 9 დღე 5.100 მეტრზე ვიყავით მშივრები და გამოდარებას ველოდებოდით. ძალიან ცუდი შეგრძნებაა, როდესაც მეხი სადღაც ყურის ძირში „გირტყამს“, ხოლო ჰაერი იმდენად დამუხტულია, რომ თმა კი არა, ლამის წარბებიც კი ყალყზე გიდგას...

— უკვე დიდი ხანია, რაც უცხოელებთან მეგობრობ — როგორც გიდს, უღელტეხილებზე, მწვერვალებსა და მღვიმეებში ტურისტთა ჯგუფები დაგყავს...

— უფრო მეტად უცხოელებს საქართველოს მთიანი მხარის ნახვა აინტერესებთ. ძირითადად ისეთი ხალხი მიმყავს, ვინც კარგად იცის და კარგად „გრძნობს“ მთას... რა ჯურის ხალხთან არ მქონია ურთიერთობა — გერმანელებთან, ამერიკელებთან, ესპანელებთან, ფრანგებთან, იტალიელებთან, ინგლისელებთან, რა ვიცი... ყველა თითქოს ერთმანეთს ჰგავს — მთაში ხომ ყველა თანასწორია. უცხოელებთან მუშაობა რომ დავიწყე, ინგლისურის სწავლასაც მაშინ მოვკიდე ხელი. დღეს ანეკდოტებსაც ვუყვები უცხოელებს და სადღეგრძელოებსაც ინგლისურად წარმოვთქვამ... ჩვენებური მთა ყველა სტუმარს აღაფრთოვანებს და აოცებს, თანაც, უკვირთ, რომ დიდი გაჭირვების მიუხედავად, ქართველები მაინც გულღიად ვხვდებით სტუმარს და გულთბილად ვმასპინძლობთ: მთაში ყველა თავის ოჯახში გვეპატიჟებოდა ხოლმე.

— უცხოელები ალბათ კარგად გიხდიან ამ შრომის საზღაურს?

— გააჩნია, ჯგუფი რა სირთულის მწვერვალზე მიგყავს. გასამრჯელო ამაზეა დამოკიდებული... თუმცა ჩვენს ხელფასებს თუ შევადარებთ, საკმაოდ კარგად მიხდიან.

— მოგზაურობისას კურიოზები ჩვეულებრივი ამბავია. რამეს ხომ არ გაიხსენებდი?

— კურიოზები, რამდენიც გინდა... მლეთა-კობის მონაკვეთზე რამდენიმე მანქანა ზვავებს შორის იყო მოქცეული და ხალხი ვეღარ გადმოდიოდა. მათ დასახმარებლად, ოპერატიულად წავედით მაშველები, თან ტელეჟურნალისტიც გამოგვაყოლეს. გუდაურისკენ, სამხედრო გზაზე, თოვლსაწმენდი მანქანაც კი თოვლში იყო ჩაფლული. გზაც გასაწმენდი იყო და, ბუნებრივია, მანქანით მგზავრობასაც ვეღარ გავაგრძელებდით. ფეხით წასვლა გადავწყვიტეთ, მაგრამ მძღოლმა გვთხოვა: ოღონდ ეს მანქანა ამომაყვანინეთ და შუაღამეც რომ იყოს, გზას მე თვითონ გაგიკვალავთ, თქვენ კი უკან გამომყვებით — ფეხით რატომღა უნდა იაროთო. ჭკუაში დაგვიჯდა. მთელი 4 საათი ნიჩბებით ვთხარეთ თოვლი და როგორც იქნა, მანქანაც ამოვათრიეთ. იცი, რა ქნა მძღოლმა? ჩაჯდა მანქანაში, ნიჩბები აკეცა და წავიდა... გავმწარდით, მაგრამ რა გავმწარდით, მაგრამ რაღას ვიზამდით?! წამოვედით თბილისში, იმ დღეს მაინც ვეღარც ავაღწევდით იქამდე. ყველაზე სასაცილო კი ის იყო, რომ თბილისში ჩამოსულებმა, ტელევიზორი ჩავრთეთ და გვესმის, დიქტორი აცხადებს: მლეთა-კობის მონაკვეთზე მოძრაობა არ არის, ხალხია ჩარჩენილი და მაშველები, საბედნიეროდ, უკვე იქ არიანო... არადა, მაშველები, დაღლილები და გამწარებულები, ისევ ოფისში ვისხედით... მხოლოდ მეორე დღეს მოვახერხეთ დაზარალებულთა დახმარება.

■



რამდენად გამომსახველობითი მეხსიერება გაქვთ

ძველად, დამწერლობის შემოღებამდე მსოფლიოს ბევრი ხალხი ე.წ. პიქტოგრაფიულ წერილებს იყენებდა. პიქტოგრამა არის სქემატური ნახატი, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს ერთ ან ერთდროულად რამდენიმე ცნებას. პიქტოგრამები იმდენად ზუსტი და გამომსახველი იყო, რომ მათი წაკითხვა და გაშიფვრა დღესაც ხდება.

სცადეთ, ჩაერთოთ თამაშში და ნახეთ, რამდენად შეგიძლიათ პიქტოგრამების შედგენა. მოცემულია 20 ცალკეული სიტყვა ან სიტყვათა შეთანხმება. სათითაოდ წაიკითხეთ ისინი და ცალკე ფურცელზე აღნიშნეთ რაიმე მარტივი ნახატ-სიმბოლოთი ისე, რომ შემდეგ ადვილად შეძლოთ სიტყვის ან სიტყვათა შეთანხმების აღდგენა. დაიმახსოვრეთ: ნახატი უნდა იყოს ლაკონიური და მასში არ უნდა იყოს ასოები და სიტყვები!

1) მკურნალობა;
2) დამდნარი თოვლი;
3) ავადმყოფობა;
4) განშორება;
5) დაღლილობა;
6) რისხვა;
7) ძლიერი ქარი;
8) ლამაზი ადამიანი;
9) რთული გზა;
10) ემოცია;
11) მძიმე მრეწველობა;
12) ნაკრძალი;
13) პრობლემა;
14) ბრბო;
15) წუხილი;
16) პატარა გოგონა;
17) კოსმოსის ათვისება;
18) ძილი;
19) ყვირილი;
20) გადაწყვეტილების მიღება.



ახლა, დაახლოებით ნახევარი საათით, გვერდზე გადადეთ ნახატებიანი ფურცელი და სხვა საქმეზე გადაერთეთ, შემდეგ კი შეეცადეთ, თითოეულ სქემას შესაბამისი სიტყვა ან სიტყვათა შეთანხმება მიუწეროთ.

თუ შეძლებთ, აბსოლუტურად ზუსტად აღიდგინოთ 15 სიტყვა და სიტყვათა შეთანხმება, თქვენს შრომას უქმად არ ჩაუვლია: თქვენ ძალიან კარგი მეხსიერება გაქვთ და დამახსოვრების ეს მეთოდი წარმატებით შეგიძლიათ გამოიყენოთ ყოველდღიურობასა და პროფესიულ საქმიანობაში.

გისურვებთ წარმატებას!

მეფე, პოეტი და წმინდანი

— მთქმელი „შენ ხარ ვენახისა“

ღირსი დამიანე. ხსენების დღე – 5 მაისი

ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის მეფობისას მოიხვეჭა უფლისწულმა დემეტრემ სახელი და დიდება. 1117 წელს დავითმა იგი შირვანს გაგზავნა სალაშქროდ. ისეთი „ომნი და ბრძოლანი“ ქმნა ახალგაზრდა სარდალმა „რომელ ყოველნი მხედველნი მისნი განაკვირვნა“. აიღო ქალაქორის ციხე და ურიცხვი ტყვითა და ალაფით დაბრუნდა ძლევამოსილი. ამიტომ მეფე დავითმა იგი თავის სიცოცხლეშივე დასვა სამეფო ტახტზე. თავისივე ხელით დაადგა თავზე გვირგვინი და დაულოცა გზა გვირგვინოსანს. „სიბრძნით, სიწმინდით, ახოვნებითა და სიმხნით“ დემეტრე ჩემზე ბევრად უმჯობესი არისო – ასე სჯეროდა დიდებულ მეფეს.

1125 წელს ირანელებმა დავით აღმაშენებლის სიკვდილი მათთვის ხელსაყრელ დროდ ჩათვალეს და დმანისსა და ხუნანს შემოესივნენ. უშიშრად გაიჭრა ქართული ჯარით მეფე დემეტრე, მტერს ორივე ციხე დააგდებინა და დამარცხებული, საქართველოს სამანებიდან გადარეკა.

დემეტრე პირველი მხნედ შეუდგა მამის მემკვიდრეობისა და საქართველოს საზღვრების დაცვას. თანაც ცდილობდა, გაეფართოებინა სამეფო. დემეტრეს მეფობის დროს აღორძინდა ჰერეთი, სომხეთი, ტაშირი, ჯავახეთი, არტაანი და ტაოს ნაპირი, რომელიც მას შემდეგ, რაც დავითმა ჰერეთ-კახეთი შემოიერთა, თითქმის უკაცრიელი იყო.

თუმცა ვერც ძლევამოსილი მეფე დემეტრე გადაურჩა წუთისოფლის ბედუკუღმართობას. დავითიანთა კეთილ ძირს მიმსგავსებული მეფე შეთქმულებებისა და ღალატის მსხვერპლი შეიქნა. ჯერ დიდგვაროვნები აუმხედრდნენ ივანე აბულეთის ძის თავკაცობით. ისინი ტახტზე მისი ნახევარძმის – ვახტანგის (ცვატას) გამეფებას შეეცადნენ. საბედნიეროდ, დემეტრემ სწრაფად ჩაახშო ერთიანი საქართველოს ძლიერების წინააღმდეგ მიმართული ამბოხი და 1138 წელს განძაშიც ილაშქრა დიდი წარმატებით. აიღო ქალაქი. ჩამოხსნა ბჭეთაგან მისი ალაყაფის კარი და აღმაშენებლის დროს აშენებულ გელათს ჩამოიტანა (სადაც დღემდე ინახება).

1153 წელს კარნუ-ქალაქის (არზრუმის) ამირა სალდუხი შემოესია ანისს თურქთა უზარმაზარი მხედრობით. აქაც სასწრაფოდ დაიძრა დემეტრე მტერთან შესახვედრად და ქართველთა ძლევამოსილი გამარჯვებით დაასრულა ქალაქთან გამართული სისხლისმღვრელი ბრძოლა. აუარება თურქი მოისრა და უფრო მეტი ჩავარდა ამ ბრძოლაში ტყვედ. მათ შორის იყო თვით ამირა სალდუხი, რომელიც ერთხანს თბილისის ციხეში ჰყავდა გამომწყვდეული დემეტრე მეფეს, შემდგომ კი დიდსულოვნება გამოიჩინა, შეიწყნარა და გაათავისუფლა.

შემდეგ მეფეს ღვიძლი შვილი – დავითი აუმხედრდა, რომელიც ავადმყოფური ეჭვიანობით განიცდიდა მამის „გამორჩეულ სიყვარულს“ უმცროსი ძისადმი და სამეფო ჭორებს ეტანებოდა. 1155 წელს შვილის საქციელით გულგატეხილმა მამამ მოულოდნელად სამეფო ტახტი დატოვა და ბერად აღიკვეცა. დამიანეს სახელით, დავით გარეჯის უდაბნოში დაეყუდა და ბერის ანაფორით შემოსილი, სამონასტრო ცხოვრებას შეუდგა.

ტახტზე მეამბოხე დავით მეხუთე დაჯდა მეფედ, რომელმაც დიდხანს ვერ შეძლო სახელმწიფოს მართვა: სულ 6 თვის მეფობის შემდგომ, 1155 წელსვე გარდაიცვალა.

სამეფოს ინტერესებიდან გამომდინარე, დემეტრე ენერგიულად ჩაერია სახელმწიფო საქმეებში. კვლავ ავიდა ტახტზე და თანამმართველად ძე თვისი გიორგი გამოაცხადა. ამის შემდგომ აღარც თავად დემეტრეს უცოცხლია დიდხანს: 1157 წელს გარდაიცვალა და დარჩა ორი შვილი – რუსუდანი და გიორგი. სიკვდილის წინ მეფემ დავით აღმაშენებლის უზარმაზარი მემკვიდრეობა სრულად ჩააბარა თავის შვილს, საქართველოს ახალ ხელმწიფეს გიორგი მესამეს.

მაგრამ შთამომავლობამ არა მხოლოდ ღირსეული მეფობის გამო სცა თაყვანი დემეტრეს... უდაბნოში ბერად აღკვეცილმა მეფემ დაგვიტოვა ჰიმნოგრაფიის შესანიშნავი ნიმუშები, რომელთაგან ზოგიერთმა ჩვენამდეც მოაღწია. განსაკუთრებით ცნობილია შესხმა ღვთისმშობლისა – „შენ ხარ ვენახი“, რომელსაც დღეს არა მხოლოდ საქართველოში, მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც გალობენ.

ანტონ კათოლიკოსის თქმით, დემეტრე იყო „გამომთქმელი სტიხთა მაღალ შაირთა, რომელნიც დღესაც ჩანან აღწერილად“. იოანე ბატონიშვილი კი წერს, რომ „ის იყო მშვენიერი რიტორი, პიიტიკოსი და შემთხზველი უცხოთ შაირთა, რომელმან მრავალნი სწავლანი გამოთქვა“.

დემეტრეს ფრესკა გარეჯის მონასტრის კედელზე ყოფილა გამოსახული ჯერ კიდევ გასულ საუკუნემდე. შემდეგ კი დრო-ჟამს იარუყვია იგი. კეთილმსახური მეფის ფრესკა მაცხვარიშის (ლატალი) ეკლესიის მხატვრობამ შემოგვინახა.

წმინდა დამიანე თავის მიერვე დასრულებულ და ნაკურთხ გელათის მონასტერში იქნა დასაფლავებული.

სიბრძნით, სიწმინდით, ახოვანებითა და სიმხნით საღმრთოდ აღჭურვილო და მრავალთა სწავლათა გამომთქმელო ღირსო დამიანე, ევედრე ღმერთსა ჩვენთვის!

ნინო ტარყაშვილი

1918 წლის ლეჩხუმის აჯანყება, ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მცდელობად იყო მიჩნეული. მოგვიანებით იგი „აგრარულ ამბოხადაც“ კი შეაფასეს. მაგრამ არც ერთი იყო მართალი და არც მეორე. ყოველივეს წამომწყებნი დეზერტირი ჯარისკაცები იყვნენ. მათ თავიანთი თვითნებობის დასაფარავად იგი ხელოვნურად — „საბჭოურ“ და „მუშურ-გლეხურ“ სამოსელში გაახვიეს.

კახა მაისურაძე

1918 წლის ლეჩხუმის აჯანყება

აჯანყების პროლოგი

დეზერტირების, ბოლშევიკებისა და ეროვნულ-დემოკრატების ალიანსი

ლეჩხუმი (ცაგერის რაიონი) იმდროინდელი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაყოფით, ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში შედიოდა — ცალკე, ლეჩხუმის მაზრის სახელწოდებით. იერარქიულ-ადმინისტრაციული ნიშნით კი უშუალოდ ქუთაისის გუბერნიის კომისარს ექვემდებარებოდა. ლეჩხუმის მაზრას განაგებდა ადგილობრივი კომისარიატი, რომლის სათავეშიც სოციალ-დემოკრატი ჭიჭიკო ასათიანი იდგა. აჯანყების წინ, მხარეში ასეთი ვითარება იყო შექმნილი. I მსოფლიო ომში (1914-1918 წ.წ.) რუსული ჯარების მარცხის შედეგად იქ თავი მოიყარა უამრავმა დეზერტირმა ჯარისკაცმა, რომლებიც კატეგორიულ უარს აცხადებდნენ ომში მონაწილეობაზე. იმდროინდელმა ამიერკავკასიის მთავრობამ ევგენი გეგეჭკორის მეთაურობით, ფრონტზე მათი დაუყოვნებლივ დაბრუნება მოითხოვა. საამისოდ იქ გაიგზავნა საგანგებო 50 კაციანი რაზმი სოციალ-დემოკრატი დელეგატების თავკაცობით, მაგრამ მთავრობამ უეცარი „წკიპურტი“ მიიღო. მისი წარმომადგენლებისა და ადგილობრივი კომისრის — ასათიანის მიერ მოწვეულ პირველ კრებას დეზერტირმა ჯარისკაცებმა ქვების სროლით უპასუხეს. ეს უკვე აჯანყების ნიშანი იყო. მართლაც, 1918 წლის იანვარსა და თებერვალში, მთელი ლეჩხუმის მასშტაბით, ფართო, ანტისამთავრობო გამოსვლა დაიწყო. დეზერტირებს მხარში ამოუდგნენ ადგილობრივი ბოლშევიკები, რომლებმაც ხელისუფლებისათვის ბრძოლაში პირწმინდად დამარცხების შემდეგ, ეს ამბოხება მიზნის მიღწევის საუკეთესო საშუალებად ჩათვალეს.

ამავე პერიოდში შეიმჩნევა დეზერტირებისა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრთა აშკარა ალიანსიც. ისმის კითხვა — რა საერთო ჰქონდათ ეროვნულ-დემოკრატებს ჯარიდან გაქცეულ დეზერტირებთან და, მით უმეტეს, მათ მხარდამჭერ ბოლშევიკებთან? მაგრამ, როგორც ჩანს, მათ შორის რაღაც საერთო მართლაც არსებობდა და ეს სწორედ დეზერტირებისადმი დამოკიდებულებაში გამოიხატა. კონკრეტულად, ცნობილია, რომ ბოლშევიკების მთავარი ლოზუნგი, „იმპერიალისტური ომის შეწყვეტა“ იყო, რაც ომში მონაწილე თითოეულ ჯარისკაცს ბრძოლის შეწყვეტისა და მტერთან დაზავებისკენ მოუწოდებდა. იგივე ითქმის ეროვნულ-დემოკრატებზეც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ისინი ამ პრობლემას უფრო ვიწრო, ნაციონალისტურ ჭრილში განიხილავდნენ, კერძოდ, ჯარში დეზერტირების დაბრუნებას ეწინააღმდეგებოდნენ იმ მოტივით, რომ „ქართველ ჯარისკაცებს, უცხო ქვეყნის (რუსეთის) ჯარებთან ერთად ომებში მონაწილეობა არ უნდა მიეღოთ“. ამდენად, ბოლშევიკები და ეროვნულ-დემოკრატები მათი მხარდამჭერები აღმოჩნდნენ და ამ როლში ერთადაც გამოვიდნენ.

აღსანიშნავია, რომ აჯანყებულთა მხარე, ამ პერიოდში აშკარად დაიკავეს სასულიერო პირებმაც. ცნობილია, რომ ნაციონალისტ ამბროსი პირველთან, გიგა ჩიქოვანთან ერთად, აქტიურად თანამშრომლობდა ხუცესი მარგიანი, რომელიც ასევე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი გახლდათ.

ბოლშევიკთა მხრიდან აჯანყების პოლიტიკური ხელმძღვანელობა თავის თავზე აიღო პარტიის ადგილობრივმა კომიტეტმა, რომელსაც დავით კოპალიანი, შარდენ ყურაშვილი, იულო კახიძე, ბეჟან კენჭაძე და სხვები ხელმძღვანელობდნენ.

საინტერესოა, რომ ბეჟან კენჭაძე ადრე სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტიის წევრი იყო, მაგრამ ქრთამის აღების გამო, მაზრის კომისარმა ასათიანმა პარტიიდან გარიცხა. შემდეგ ეს ავანტიურისტი ჩინოვნიკი ბოლშევიკებთან გადავიდა და მათთან თანამშრომლობით სცადა ასათიანზე რევანშის აღება.

ლეჩხუმის 1918 წლის აჯანყება, მართლაც რომ კენჭაძისთანა მედროვეების, ავაზაკებისა და მთავრობაზე განაწყენებული ელემენტების ინიციატივით მზადდებოდა.

სტეფანე ახმეტელი

აჯანყების კულმინაცია „ლეჩხუმის რესპუბლიკის" გამოცხადება

დეზერტირ-ჯარისკაცთა მოძრაობამ ლეჩხუმის მაზრაში კულმინაციას 1918 წლის თებერვალში მიაღწია. 24 თებერვალს აჯანყებულთა შეიარაღებულმა რაზმებმა სამაზრო ცენტრი ცაგერი აიღეს. მაზრის კომისარ ჭიჭიკო ასათიანის მცდელობა, ადგილობრივი მილიციისა და გვარდიის დახმარებით შეენარჩუნებინა ქალაქი, უშედეგო აღმოჩნდა. აჯანყებულებმა ხელთ იგდეს მხარის მთელი ხელმძღვანელობა და მათ შორის ასათიანიც, დააპატიმრეს. ამასთანავე — ასათიანის მოადგილე რაზმაძეც, რომელსაც ბრალს სდებდნენ სახელმწიფო სახსრების მიტაცებაში. აღსანიშნავია, რომ დეზერტირთა ამბოხება ადგილობრივ მოსახლეობაში თავდაპირველად საკმაოდ დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა, რაც იმდროინდელ ლეჩხუმში არსებული მძიმე ეკონომიკური ფონის გარდა, ბოლშევიკთა მიერ გაჩაღებული გეგმაზომიერი დემაგოგიითაც იყო განმტკიცებული. მაგალითად, ავრცელებდნენ ყალბ ხმებს: „მთავრობა აგზავნის რაზმს, რომელმაც ლეჩხუმი უნდა გადაწვას და ააოხროსო" და სხვა.

ყოველივე ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ მალე მთელი ლეჩხუმი აჯანყების ალში იქნა გახვეული. მოსახლეობა პანიკით იყო მოცული და მასობრივად ტოვებდა საცხოვრებელ კერებს. „მშვიდობიანი მცხოვრებლები განიცდიან დიდ უბედურებას, ერთი მხრით ემზადებიან საომრად და მეორე მხრით ქალებით, ბავშვებით და ქონებით მზად არიან გაეშურონ ტყესა და მთებში, რომ თავი დააღწიონ განსაცდელს" — აღნიშნავდა გაზეთ „საქართველოსადმი" გაგზავნილ წერილში ადგილობრივი ინტელიგენციის ერთ-ერთი წარმომადგენელი.

1918 წლის მარტის დასაწყისისთვის მთელი ლეჩხუმი მთავრობისაგან უმართავი იყო. ცაგერის აღების შემდეგ, აჯანყებულებმა მხარის ყველა სამთავრობო დაწესებულება ჩაიგდეს ხელში: დაეუფლნენ ფოსტა-ტელეგრაფს, დაწყვიტეს და გაანადგურეს სატელეგრაფო მავთულსადენები და ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაცია მთლიანად მოწყვიტეს ლეჩხუმის მაზრას. ამბოხებულებმა ცაგერში საზეიმოდ გამოაცხადეს „ლეჩხუმის რესპუბლიკის" დაარსება. ცოტაც და, საკუთარ ჰიმნს, გერბსა და დროშასაც შეიმუშავებდნენ, მანამდე კი მთელი ლეჩხუმი „მარსელიოზას" მღეროდა...

შექმნილი მდგომარეობა მთავრობისაგან საგანგებო ზომების მიღებას მოითხოვდა. თბილისის „მუშათა საბჭოს" თავმჯდომარის გრიგოლ ურატაძის სანქციით, ქუთაისის გუბერნატორმა ივანე კაჩუხაშვილმა იქ საგანგებო 200 კაციანი გვარდიის ბატალიონი გაგზავნა. რაზმი საუკეთესოდ — ტყვიამფრქვევებითა და ჯავშნოსანი ავტომობილებით იყო შეიარაღებული, მაგრამ ლეჩხუმელებიც კარგად მომზადებულები და ორგანიზებულნი დახვდნენ. სამთავრობო ნაწილები ჯერ მიუვალ, ვიწრო ადგილებში შეიტყუეს, შემდეგ ზურგიდან დაესხნენ თავს და მთელი გვარდია „ტომარაში" მოაქციეს. სოფელ ალპანასთან და ღვირიშის ღელესთან მომხდარი შეტაკება მთავრობის ჯარისათვის სრული კატასტროფით დასრულდა. მათი ნაწილი ლეჩხუმელებს ტყვედ ჩაბარდა, ნაწილი კი მთლიანად განაიარაღეს და კინწისკვრით განდევნეს. აღსანიშნავია, რომ ამ ბრძოლაში ამბოხებულთა გამარჯვება იმანაც განაპირობა, რომ დეზერტირთა რაზმებს ავანგარდში მშვიდობიანი მცხოვრებლები — ქალები და ბავშვები ჰყავდათ დაყენებული, რის გამოც სამთავრობო ჯარმა ვერ გაუხსნა მათ ცეცხლი.

მიუხედავად ამ მარცხისა, მთავრობისთვის ყველაზე დიდი დანაკლისი მაინც რაზმის ერთ-ერთი მეთაურის, ძველი სოციალისტისა და რევოლუციონერის, ლევან დადეშქელიანის მკვლელობა იყო. იგი აჯანყებულებმა ჯერ სამშვიდობო მოლაპარაკების გამართვის მიზნით მიიწვიეს, ხოლო შემდეგ ზურგიდან დაესხნენ და მუხანათურად განგმირეს. ვერაგულად მოექცნენ იმ ჯარისკაცებსაც, რომლებიც აღნიშნული სამხედრო შეტაკებების დროს აჯანყებულებს ტყვედ ჩაბარდნენ. მაგალითად, ცნობილია, რომ ბოსლებში გამოკეტეს და შიმშილითა და უსასტიკესი პირობებით ჰხდიდნენ სულს...

მდგომარეობა მართლაც კრიტიკული გახდა. ქუთაისის გუბერნატორმა ივანე კაჩუხაშვილმა აჯანყების ლიკვიდირება მხარის ბლოკადაში მოქცევით სცადა. საამისოდ პირველ რიგში მთელი ლეჩხუმი „კანონგარეშე" გამოაცხადა. გუბერნიაში სამხედრო წესები შემოიღეს. ხაზინას, საგუბერნიო სასურსათო კომიტეტსა და მთავრობის ყველა დაწესებულებას ებრძანა, შეეწყვიტა ყოველგვარი კავშირი მეამბოხე მაზრასთან. ქუთაისის, ტყიბულისა და რაჭის მილიციის უფროსებს მითითება მისცეს, შეეკრათ ლეჩხუმისაკენ გასასვლელი ყველა გზა. „ეს იყო მინიმუმი იმ სისასტიკისა, რომელიც უნდა გამოგვეჩინა ლეჩხუმის მაზრის წინააღმდეგ. ვიმედოვნებ, ჩემ მიერ მიღებული ზომები გასჭრის და მალე ლეჩხუმში სრული წესიერება იქნება დამყარებული" — აცხადებდა ივანე კაჩუხაშვილი.

მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. მართალია, ლეჩხუმი გარე სამყაროსაგან მთლიანად იზოლირებული იქნა, მაგრამ ადგილობრივები თვითგამოცხადებული რესპუბლიკის დაცვას მაინც

ალექსანდრე ზაქარიაძე

განაგრძობდნენ. მათ წარმატებას ქუთაისის გუბერნიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მოქმედებამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი. მაგალითად, ცნობილია, რომ ქუთაისის ბოლშევიკთა გაზეთი „ჩვენი ბრძოლა“, პირდაპირ მოუწოდებდა მოსახლეობას ამიერკავკასიის მთავრობის დამხობისა და ლეჩხუმის აჯანყებაში მონაწილეობისაკენ. ამიტომ მთავრობამ ეს ავანტიურისტული გაზეთი უმალვე დახურა. მთავრობამ აგრეთვე, შემოთავაზებულ შუამავლობაზე უარი განუცხადა იმ ე.წ. „ინტერპარტიულ კომისიას“, რომელიც ბოლშევიკებისა და ესერებისგან (სოციალისტ-რევოლუციონერები) იყო დაკომპლექტებული და მთავრობას მაზრასთან ურთიერთობის მოგვარებას ჰპირდებოდა.

რაც დრო გადიოდა, მით უფრო ცხადი ხდებოდა, რომ ბლოკადითა და მშვიდობიანი მექანიზმებით ლეჩხუმში კანონიერების აღდგენა შეუძლებელი იყო. საკითხი ძალას – ტყვიასა და ხიშტს უნდა გადაეწყვიტა. ასეთივე დასკვნამ გაიჟღერა ამიერკავკასიის მთავრობის (კომისარიატის) თავმჯდომარის ევგენი გეგეჭკორის განცხადებაშიც, როდესაც მან ლეჩხუმის აჯანყების მეთაურებს „ხალხის მტრები“ უწოდა და დასძინა: „დე იცოდნენ ხალხის მტრებმა, რომ ვერავითარი მსხვერპლი ჩვენ ვერ დაგვაფრთხობს და ვერავითარი ძალა ვერ დაგვაყრევინებს იარაღს“. ლეჩხუმის აჯანყების ჩასაქრობად, მთავრობამ მხარეში მორიგი სამხედრო ექსპედიციის გაგზავნა გადაწყვიტა. ყველასათვის ცხადი გახდა, რომ მეამბოხეთა დღეები დათვლილი იყო.

აჯანყების ლიკვიდაცია

ცაგერის აღება და ლეჩხუმელთა რაზმების განადგურება

აჯანყების ჩასაქრობად მთავრობამ სამხედრო მზადება ლეჩხუმში განცდილი პირველი მარცხისთანავე დაიწყო. საამისოდ აქტიური სამზადისი ჩატარდა მთელი იმდროინდელი ქართული სამხედრო კორპუსის (ეროვნული ჯარის წინამორბედი) და სახალხო გვარდიის სარდლობაში. აღსანიშნავია, რომ ქართული სამხედრო კორპუსის ხელმძღვანელობა ამ დროისათვის მთლიანად გამოცვლილი იყო. 1918 წლის დასაწყისში გენერალი სტეფანე ახმეტელი კორპუსის უფროსის თანამდებობაზე შეცვალა გენერალმა ვასილ გაბაშვილმა, ხოლო გენერალური შტაბის უფროსად, გენერალ ალექსანდრე ზაქარიაძის ნაცვლად დაინიშნა გენერალი გიორგი კვინიტაძე. იმ დროისათვის მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება თვით ე.წ. „ლეჩხუმის რესპუბლიკაშიც“, როგორც ჩანს, ბლოკადამ თავისი მაინც გააკეთა და მხარის ეკონომიკურსა და საზოგადოებრივ ცხოვრებას დიდი დარტყმა მიაყენა. „მეტისმეტად უხერხულ და გამოურკვეველ მდგომარეობაში ვართ გახვეული საერთოდ ლეჩხუმის მცხოვრებნი და განსაკუთრებით ინტელიგენცია. ... მეცადინეობა სკოლებში ყოვლად შეუძლებელი ხდება. გაზეთები აღარ მოდის, რომ გავიგოთ საქმის ვითარება. ისედაც ყოველი მხრით ჩამორჩენილი და მიყრუებული ქვეყანა საშინელ სურათს წარმოადგენს დღეს; შიმშილს, სიტიტვლეს და ათასგვარ უბედურებას თან მოჰყვა შიმშილიანობა“ – აღნიშნული იყო ცაგერიდან თბილისში გამოგზავნილ ერთ-ერთ კორესპონდენციაში.

მართლაც, მეამბოხეთა განადგურება გარდაუვალი იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ლეჩხუმს სრული კატასტროფა ემუქრებოდა. 1918 წლის მარტის ბოლოს, ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარის ევგენი გეგეჭკორის სანქციით, იქ გაიგზავნა ქართული სამხედრო კორპუსისა და სახალხო გვარდიის საგანგებო შენაერთები გენერალ სუმბათაშვილისა და გენერალ ალექსანდრე ზაქარიაძის სარდლობით.

ამჯერად ქართული ჯარების სარდლობა აქტიურად იყენებდა სამხედრო ავიაციასაც. შეტევა ლეჩხუმზე რამდენიმე მიმართულებით იქნა მიტანილი. სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ბრძოლა მოხდა რაჭის საზღვართან, სოფელ ნიკორისძირთან. ამ ბრძოლებში ქართულმა სამხედრო აეროპლანებმა, შეიძლება ითქვას, პირველი საბრძოლო ნათლობა მიიღეს. სასტიკად დაიბომბა სოფელი ნიკორისძირი. გამარჯვება სამთავრობო ჯარებს დარჩათ, ლეჩხუმელთა რაზმის მნიშვნელოვანი ნაწილი განადგურდა, ნაწილი კი ქართულ შენაერთებს ტყვედ ჩაბარდა. ტყვეთა შორის იყვნენ თვით მეამბოხეთა რაზმის სარდლებიც, ლეჩხუმელი ძმები ბენდელიანები. ამის შემდგომ ბრძოლებმა უფრო წვრილ-წვრილი, პარტიზანული ხასიათი მიიღო. მეამბოხეთა 700 კაციანი სამხედრო რაზმი თითქმის მთლიანად განადგურდა. გენერალ სუმბათაშვილისა და გენერალ ზაქარიაძის ნაწილებს ფართომასშტაბიანი საბრძოლო ოპერაციების ჩატარება აღარ უწევდათ. აპრილის დასაწყისში მთავრობის შენაერთებმა მინიმალური დანაკარგებით აიღეს სამაზრო ცენტრი ცაგერი. შტურმით იქნა აღებული აგრეთვე მეამბოხეთა მთავარი შტაბი სოფელ დეხვირში. აპრილშივე მოხერხდა აჯანყების სრული ლიკვიდაცია.

ვასილ გაბაშვილი

დამარცხებულთა მიმართ მთავრობის განაჩენიც უსასტიკესი იყო. აჯანყების ყველა ლიდერი გადაასახლეს ან სასტიკი წამებით ამოხადეს სული. ასეთი ხვედრი ერგო წილად, მაგალითად, იულო კახიძეს: ცაგერის აღებისთანავე გვარდიელებმა იგი შეიპყრეს,გაბაწრეს და ადგილობრივი ადმინისტრაციის შენობაზე ფეხებით ჩამოკიდეს...

1918 წლის აპრილის მიწურულისთვის ლეჩხუმში თბილისის იურისდიქცია მთლიანად აღდგა. „ლეჩხუმის რესპუბლიკა“ დაემხო. მხარეში კვლავ სამაზრო ადმინისტრაცია ამუშავდა. ლეჩხუმის მაზრის ახალ კომისრად დაინიშნა ე. ლატარია. მხარის ბოლშევიზაციისა და ერთიანი ქართული სხეულიდან მოწყვეტის ცდა კრახით დასრულდა. ■

ამერიკის კინოაკადემიის პრიზებით — „ოსკარებით“ დაჯილდოების ცერემონია მომავალი წლიდან ლოს-ანჯელესში, ჰოლივუდის ბულვარზე, სახელგანთქმული ჩინური კინოთეატრისა და ვარსკვლავთა ხეივნის მახლობლად მდებარე ახალ შენობაში გაიმართება. მშენებლები უკვე ამთავრებენ 600 მლნ დოლარიანი ბიუჯეტის ათვისებას და მალე გიგანტური ნაგებობა დაჯაბნის მთელი ოლქის არქტექტურას და, ავტორთა და დამკვეთთა აზრით, ამერიკის ცხოვრებაში კინემატოგრაფის რეალურ ადგილსამყოფელს დაანახვებს ქვეყანას.

ღარაგრული მსახიობები და გაბრიყვებული სცენარისტები

კინოაკადემიის შენობა ჰოლივუდელთა მადლიერების ღირსეული გამოვლინებაა იმ დარგის მიმართ, რომელიც ერთიანი ამერიკის ეროვნულობის უმძლავრეს სახეს წარმოადგენს. უნივერსალური მითებითა და ემოციებით ვაჭრობამ საშემოსავლო პიკს მიაღწია: თითოეულ „ზღაპარს“ ასობით მილიონი დოლარი მოაქვს. რიდლი სკოტის „გლადიატორმა“ 186 მლნ „აწაპნა“ კინოს მოყვარულთ, სტივენ სოდერბერგის „ტრაფიკმა“ — 102 მლნ, ამერიკელი ენგ ლის ტაივანურმა პროექტმა — „მოთვალთვალე ვეფხვი, უხილავი დრაკონი“ კი 100 მლნ დააგროვა და ამერიკის კინომრეწველობაში ესოდენ დიდი შემოსავლით აღბეჭდილი პირველი უცხოური და უცხო ენაზე გადაღებული ფილმი გახდა. თუმცა აქ აუცილებელია ისიც აღინიშნოს, რომ მასზე მეტ შედეგს (თუ 1965 წელს არსებულ ფასებსა და დოლარის კურსს გავითვალისწინებთ) მიაღწია 60-იანი წლების შვედურმა ფილმმა — „ცნობისმოყვარე ქალი ვარ. ყვითელი“, რომელსაც პუბლიკა, როგორც პორნოგრაფიულს, ისე ეტანებოდა...

კინოწარმოება ძალზედ სწორად იქცევა, როცა არ იშურებს ფულს მათთვის, ვინც მაყურებელს კინოში იზიდავს — ე.ი. მსახიობებისთვის. გაზეთების საყვარელი თემებია — რამდენი მილიონი მიიღო „მისიაში“ ტომ კრუზმა ან „ტერმინატორში“ არნოლდ შვარცენეგერმა, რამდენად გაიზარდა ჰარისონ ფორდის ჰონორარი ბოლო ფილმებში და რა შეიძინეს თავიანთი უზარმაზარი ჰონორარებით დემი მურმა და ბრიუს უილისმა, მანამ, სანამ ჯერ კიდევ ერთად ცხოვრობდნენ. ობივატელის ცხვირწინ „ფრიალებს“ ვეებერთელა ციფრები — 20 მლნ დოლარი, 30 მლნ... ამავე ციფრებსა და ცნობებს გამოცოცხლება და ინტერესი შეაქვს ჰოლივუდის ცხოვრებაში, ჭორ-მართლის კორიანტელში კი ხალხს ხშირად ავიწყდება, რომ მილიონერი ჰოლივუდში ყველა როდია. აბა, გავიხსენოთ, რამდენი ამერიკელი მსახიობი ჩნდება ჩვენ თვალწინ თუნდაც ერთი კვირის მანძილზე? ბევრი მათგანი ერთხელ თუ გვინახავს ეკრანზე, მათ დიდ ნაწილს საერთოდ აღარ შევხვდებით. არადა, ფილმის ბიუჯეტის მიუხედავად, მათი უმრავლესობა ნამდვილი პროფესიონალია, სამსახიობო ფაკულტეტები და კურსები აქვთ დამთავრებული და ბევრი შრომაც შეალიეს ამ ურთულესი ხელობის ათვისებას. ისინი გადაღებულნი არიან სატელევიზიო სერიალებში, რომლებიც ასობით საათს გრძელდება, მოკლემეტრაჟიან ფილმებში, საკაბელო ტელეპროგრამებში, მცირებიუჯეტიან სურათებსა თუ სარეკლამო რგოლებში — ერთი სიტყვით, ყველაფერში, რაც ამერიკის მძლავრ კინემატოგრაფიულ სამყაროშია გაერთიანებული. ამიტომ ეს ადამი-

ანები კინომსახიობთა გილდიაში (SCREEN ACTORS GUILD, SAG) შედიან – ისეთ ვარსკვლავებთან ერთად, როგორებიც არიან რობერტ დე ნირო, კიმ ბესინჯერი, პორნო-მსახიობი რონ ჯერემი და მსოფლიოს საუკეთესო მეგოლფე ტაიგერ ვუდსი. გილდიას ათასობით წევრი ჰყავს და სწორედ ის იცავს მსახიობთა უფლებებს, კერძოდ – აიძულებს მწარმოებლებს, მათთვის საუკეთესო პირობები შეიტანონ კოლექტიურ ხელშეკრულებებში.

გილდიის წევრთა ერთობლივი შემოსავალი 2000 წელს 1,59 მლრდ დოლარს შეადგენდა (აქ მხოლოდ გილდიის მეშვეობით დადებული ხელშეკრულებებია გათვალისწინებული), ეს კი წინა წელთან შედარებით, 84 მლნ დოლარით ნაკლებია. გილდიამ გააანალიზა შექმნილი მდგომარეობა და გაირკვა, რომ შემოსავლების შემცირება კინოგაქირავებისა და სარეკლამო რგოლების სფეროში, აგრეთვე მესამე და უფრო მწირი მნიშვნელობის (ე.წ. BACKGROUND-ის) როლების გამო მოხდა. ვარსკვლავებისთვის უზარმაზარი ჰონორარების გადახდასთან ერთად უმსხვილესი კომპანიები ცდილობენ, რაც შეიძლება მეტად შეამცირონ რიგით მსახიობთა შრომის ანაზღაურება. საინტერესოა, რომ ყველაზე ხელსაყრელი, ტელესერიალებში გადაღება გახდა: ამ მსახიობთა ჯამურმა შემოსავალმა შარშან 624,1 მლნ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 3,7%-ით აღემატება.

გილდიამ ძალზედ გაბედული ნაბიჯები გადადგა. პირველმა მძლავრმა გაფიცვამ, რომელიც 2000 წელს მოეწყო, კომპანიებს მილიონობით ზარალი მოუტანა. ამასთან, შტრეიკბრეხერებს – რომელთა შორის აღმოჩნდნენ ტაიგერ ვუდსი (გაფიცვის მიუხედავად, მონაწილეობა მიიღო თავისი სპონსორის სარეკლამო რგოლში) და ელიზაბეტ ჰერლი, – მკაცრად დაისაჯნენ: მათ საჯაროდ ბოდიშის მოხდა და 200-200 ათასი დოლარის ჯარიმის გადახდა დაეკისრათ.

ამჟამად ახალი კოლექტიური ხელშეკრულებების დადების დრო ახლოვდება და ყველას კვლავ გაახსენდა საშიში სიტყვა STRIKE (გაფიცვა). გილდიის მხრიდან მოლაპარაკებათა მონაწილეებს შორის არიან ქევინ სპეისი, ვუპი გოლდბერგი, ჰოლი ჰანცერი და სხვა ცნობილი მსახიობები. „მსახიობებს გაფიცვა კი არა, შეთანხმების მიღწევა სურთ. მათი სურვილია, რომ ინდუსტრიამ კვლავაც გამართულად იმუშაოს“, – აცხადებენ ისინი.

შტრეიკბრეხერად მონათლული ლიზ ჰერლი თავს იმით იმართლებს, რომ გაფიცვის შესახებ არაფერი იცოდა და უხერხულ სიტუაციაში საკუთარმა აგენტმა ჩააგდო

მაგრამ ამით ყველაფერი როდი მთავრდება. საუკეთესო სცენარისთვის „ოსკარით“ დაჯილდოებიდან რამდენიმე წუთში, ქემერონ ქროუს კულისებში ჰკითხეს: „რას ფიქრობთ სცენარისტების გაფიცვაზე?“ და მან უპასუხა, რომ, რასაკვირველია, სოლიდარობას უცხადებს მათ, თუმცა ასეთ დღეს ამაზე ლაპარაკი უადგილოდ მიაჩნია.

კინოწარმოების ისეთ ფლაგმანებს, როგორიცაა „უოლტ დისნეი კო“, „დრიმ უორკს“, „უორნერ ბრაზერს“ მიაჩნიათ, რომ სცენარისტთა გილდიის მოთხოვნები დამღუპველია და მთელ ბიზნესს 1,6 მლრდ დოლარის ფასად დაუჯდება. თავად გილდია თავის მოთხოვნებს გაცილებით ნაკლებად – 450 მლნ დოლარად აფასებს. მათი მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ზაფხულში კინომწერალთა გაფიცვა დაიწყება. პროფკავშირის წევრები მოითხოვენ, რომ თითოეული DVD-სა და ვიდეოკასეტიდან მათთვის გათვალისწინებული გადასახდელები 25%-ით გაიზარდოს, რაც ჯამურად, უახლოესი 3 წლის მანძილზე 200 მლნ დოლარს მიაღწევს (ამჟამად ისინი თითოეული დისკიდან და კასეტიდან 4-4 ცენტს იღებენ). არადა, სტუდიების აზრით, მწერლების შემოსავლები სულაც არ არის მცირე: გილდიის წევრი საშუალო სცენარისტი 203.744 დოლარს იღებსო – მაშინ, როდესაც გილდიის ვერსიით, ეს მაჩვენებელი 84.000-ს არ აღემატება.

სცენარისტთა მოთხოვნებს შორისაა აგრეთვე: ფილმების გამოსვლიდან 3 წლის მანძილზე შემოსავლების მათი წილის 60,9 მლნ დოლარამდე და საკაბელო არხებიდან შემოსავლების 15-20%-ით გაზრდა. და თუ მხარეებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, სულ ცოტა ხანში კიდევ ერთი გაფიცვა იფეთქებს. ამან კი, შეიძლება საგრძნობი ზიანი მიაყენოს ჰოლივუდის კინოწარმოებას.

■





როგორ მოვინახულე „აზიური ვეფხვი“

როგორ შეიძლება ქართველი კაცი მოხვდეს ისეთ შორეულ და უცხო ქვეყანაში, როგორიც არის კორეა? ჩემი მოუსვენარი ბუნების წყალობით, ამ ქვეყანაში წასვლის საშუალება მომეცა და, ცხადია, უყოყმანოდ გამოვიყენე. თბილისში ვიდეოტექნიკის რეალიზატორთა შორის უმძაფრესი კონკურენცია გაჩაღდა: ბუნებრივია, იაფიანი და ხარისხიანი ნაწარმის ჩამომტანი დაწინაურდა. უნივერმაღში ტექნიკა მოსკოვიდან ჩამოდიოდა. თანდათან, იმავე პროდუქციამ, ოღონდ გაცილებით იაფად, ეგვიპტიდან და დუბაიდან დაიწყო შემოსვლა. მოსკოვიდან ჩამოსული აპარატურა აღარ საღდებოდა, დილერებიც ფასს ვერ უკლებდნენ. უნივერმაღის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, ახალი არხები „გაეჭრა“. მაშინ გადაწყდა, რომ კორეაში გავმგზავრებულიყავი. ერთ-ერთ რუსულ სადილერო კომპანიას მოველაპარაკეთ, მოვამზადე საბუთები და მის წარმომადგენელთან ერთად, სეულში გადავფრინდი...

ახალი ვეფხვი

კორეის შესახებ, როგორც წესი, მხოლოდ ორი რამ იციან: ამ ქვეყანას სხვაგვარად, „აზიურ ვეფხვს“ უწოდებენ, რომელიც შუა საუკუნეებიდან პირდაპირ XXI საუკუნეში გადახტა, და მეორე — კორელები ძაღლის ხორცს ჭამენ...

კორელები თავიანთ სამშობლოს „ჩიოსიონს“ ეძახიან, რაც „დილის სიმშვიდის ქვეყანას“ ნიშნავს. ჩრდილოეთით მას ჩინეთი ესაზღვრება, ხოლო სამხრეთით — იაპონიას სრუტე აშორებს. პირველი ინფორმაცია ამ ქვეყნის შესახებ ევროპაში XVII საუკუნეში გამოჩნდა, როდესაც ერთ-ერთმა ჰოლანდიელმა მეზღვაურმა საზღვაო კატასტროფა განიცადა და კორელებს ტყვედ ჩაუვარდა. მან რამდენიმე წელი იცხოვრა ტყვეობაში და მანვე პირველად აღწერა ამ ხალხის ცხოვრება. ამ ამბის შემდეგ ევროპაში დიდი ხნის მანძილზე, „დილის სიმშვიდის ქვეყნიდან“ მხოლოდ რაღაც ჭორები მოდიოდა, ვინაიდან ადგილობრივი მმართველები უცხოელთა მიღებას კრძალავდნენ და თუ მოხვდებოდა ვინმე იქ, შეიძლება მხოლოდ შემთხვევით დარჩენილიყო ცოცხალი... მხოლოდ 1834 წელს შეძლეს ფრანგმა მისიონერმა ბერებმა ქვეყანაში შესვლა, იმისათვის, რათა ქრისტიანული სარწმუნოება ექადაგათ... მიუხედავად კორეის ხელისუფალთა წინააღმდეგობისა, ისინი მაინც დადიოდნენ ღამღამობით, იკვებებოდნენ ფესვებითა და ბალახებით, ითმენდნენ ათასგვარ სასჯელსა და დამცირებას. სწორედ ამ ბერების წყალობით შეიტყო ევროპამ ბევრი რამ კორეის შესახებ...

ჩემი თანამგზავრები

ჯგუფში სამნი ვიყავით. ბორისი „ახალი რუსების“ ტიპური ნიმუში იყო, რუსეთში რამდენიმე მაღაზია ჰქონდა და კორეაში ხელშეკრულების დასადებად მოდიოდა. ისიც ჩემსავით პირველად უნდა ჩასულიყო ამ ქვეყანაში, მაგრამ ჩემგან განსხვავებით, არავითარ ემოციას არ ამჟღავნებდა... ძალიან მსუქანი — 150 კგ-ზე ნაკლები არ იქნებოდა, სულ ქოშინებდა და მუდამ რაღაცას აცმაცუნებდა. განსაკუთრებით, შემწვარი კარტოფილის „ჩიფსები“ უყვარდა, რის გამოც ზედმეტსახელად „ბორ-ჩიფსას“ ვეძახდი, რაც საკმაოდ აღიზიანებდა... ერთი კვირა ერთად ვცხოვრობდით და მისგან 20 სიტყვაზე მეტი არ გამიგია. უმეტეს დროს ძილში ატარებდა, ან ჭამდა, ან უბრალოდ, ხმას არ იღებდა და მთელი დღე უხმოდ იჯდა...

სრულიად საპირისპირო ხასიათი ჰქონდა ვოვას. მას მოსკოვის ლომონოსოვის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული. მშობლიურივით იცოდა ჩინური, კორეული და იაპონური ენები, ენერგიული და სიცოცხლით სავსე კაცი იყო. მის პოლიგლოტობას ბევრი რუსული სადილერო კომპანია იყენებდა და ვოვაც თითქმის გამუდმებით მივლინებებში დადიოდა...

თვითმფრინავში ვკითხე:

— მაგარი ქვეყანაა, არა, კორეა?

— არის რა, დიდი არაფერი... საკმაოდ უცნაური ხალხია... — მშვიდად მიპასუხა.

— ეს როგორ? — გამაკვირვა მისმა პასუხმა.

— როგორი და, შეიძლება ისეთ უცნაურ სიტუაციაში ჩავარდე, რომ დაიბნე... ინგლისური თითქმის არავინ იცის და ეცადე, გვერდიდან არ მომშორდე... ერთი სიტყვით, ჩახვალ და შენი თვალით ნახავ ყველაფერს... — თქვა მოკლედ და ეშმაკურად ჩაიღიმა.

სეულში ღამის 10 საათზე ჩავედით. სანამ აეროპორტიდან სასტუმრომდე მივიდოდით, ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს ჩვეულებრივ ევროპულ ქალაქში ჩავედი: სეული ულტრათანამედროვე ქალაქია — ფართო ავტომაგისტრალებითა და მრავალსართულიანი ცათამბჯენებით... აზიაში მაშინ იგრძნობ თავს, როდესაც რეკლამებზე, ლათინური ასოების ნაცვლად, იეროგლიფებს დაინახავ... ინგლისურ წარწერას საერთოდ ვერსად ნახავთ...

ცოტა რამ გეოგრაფიასა და ისტორიაზე

მთელი ნახევარკუნძულის დასავლეთ ნაწილში, ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე გაჭიმულია მთები, რომლებიც პირდაპირ ზღვაში იჭრება. აღმოსავლეთ ნაწილი დაბლობია, ქვეყნის ჩრდილოეთი კი — მთიანი. ქვეყნის დიდი ტერიტორია ტყით იყო დაფარული, მაგრამ დღეს თითქმის სულ გაჩეხილია, ამიტომ ქვეყანაში მიღებულია კანონი, რომლის თანახმად, ნებისმიერი უკანონოდ ხის მჭრელი სიკვდილით ისჯება... კლიმატზე ვერ იტყვი, ზომიერიაო: ზამთარში საშინლად ცივა, ზაფხულში კი აუტანელი სიცხეა. ჩრდილოეთ ნაწილში თითქმის სულ ფიჭვნარია, ხოლო სამხრეთით ტროპიკული მცენარეები ხარობს. თითქმის მთელი სამხრეთი ბრინჯის პლანტაციებითა და ვენახებით არის დაფარული...

კორეაში რომელ შენობაშიც არ უნდა შეხვიდე, ყველგან ვეფხვის სურათს ან ქანდაკებას მოჰკრავ თვალს: ეს მტაცებელი იქ

წმინდა ცხოველად არის მიჩნეული... ჩინელი ისტორიკოსების ცნობებით, წინათ კორეის ნახევარკუნძული დასახლებული იყო ჩრდილოეთის ველური ტომებით, რომლებიც მონღოლთა ნათესავებად ითვლებიან. სამხრეთ ნაწილში კი, მალაიზიის კუნძულებიდან წამოსული ადამიანები ცხოვრობდნენ. ამიტომაც, რა ხანმოკლე დროითაც არ უნდა იყო ჩასული ამ ქვეყანაში, უშეცდომოდ განასხვავებ ჩრდილოელ კორეელს სამხრეთელისგან...

თვითონ კორეელები თავიანთი სახელმწიფოს დამაარსებლად კი-ცზას თვლიან, რომელიც ჩინეთის იმპერატორთა გვარის წარმომადგენელი იყო. ის ქრისტეს შობამდე 1000 წლით ადრე მოღვაწეობდა. მან შემოიტანა ნახევარკუნძულზე ჩინური ცივილიზაცია, შეასწავლა მოსახლეობას მიწის დამუშავება, ბრინჯის მოყვანა. მანვე შემოიღო სახელმწიფო კანონები და სტრუქტურები. კორეაში ბევრი ტაძარი კი-ცზის სახელს ატარებს, ის წმინდანად არის შერაცხული...

ჩვენს წელთაღრიცხვამდე III-II საუკუნეებში ჩინეთის იმპერიამ რამდენიმე ომის შემდეგ კორეა დაიპყრო და თავის პროვინციად აქცია. აქედან იწყება ამ ქვეყანაში ჩინური ცივილიზაციის გავრცელება, რომელიც საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა.

X საუკუნეში ჩინელები მონღოლებმა განდევნეს და კორეაზე გაბატონდნენ. XV საუკუნეში კი, იაპონელებმა გააძევეს მონღოლები და იქ თავიანთი კულტურის გავრცელება დაიწყეს. საუკუნეების მანძილზე ეს ხალხები ისე აირია ერთმანეთში, რომ დღეს, როდესაც კორეელი კორეელს ეცნობა, აუცილებლად დააყოლებს კითხვას — წარმოშობით სადაური ხარ, მონღოლი, იაპონელი თუ „სუფთა“ კორეელი?..

ერთგვარიანთა ქვეყანა...

კორეა იმ ქვეყნების რიგს ეკუთვნის, რომლებმაც სასწაული მოახდინეს მსოფლიო ეკონომიკაში. ქვეყანა რაღაც 10-15 წელიწადში ისე განვითარდა, რომ წამყვანი პოზიციები დაიკავა თითქმის ყველა სფეროში — განსაკუთრებით, რადიოტექნიკაში. თვით იაპონურ ფირმებსაც კი უჭირთ მათთან კონკურენცია... კორეელი კომერსანტები საკმაოდ სერიოზულ და საქმიან პარტნიორებად ითვლებიან მთელ მსოფლიოში.

ვოვას წყალობით, მოლაპარაკებები და შეხვედრები წარმატებით მიმდინარეობდა, რაც კარგ გუნებაზე მაყენებდა და იმის საშუალებაც მომეცა, რომ დავკვირვებოდი კორეელების საკმაოდ უცნაურ ქცევას...

პირველი შეხედვით, ისინი შეიძლება მეტისმეტად წყნარ და უინტერესო ადამიანებადაც კი მოგეჩვენოთ, მაგრამ ეს მცდარი აზრია. ჩვენი გაგებით, ისეთი კითხვა შეიძლება დაგ-ისვან, რომ თმა ყალყზე დაგიდგება. კორეელმა გაცნობისთანავე შეიძლება გკითხოს, რამდენი წლისაა შენი ცოლი, ან — რა ზომის ფეხსაცმელს ატარებს?.. ასეთი კითხვები, აღმოსავლური გაგებით, არათუ უხერხულად არ ითვლება, არამედ ყურადღების გამოხატვის საუკეთესო ფორმასაც წარმოადგენს... ეს ყველაფერი ვოვამ უკვე იცოდა და წინასწარ გაგვაფრთხილა, მე და ბორია, რომ არ გაგვკვირვებოდა... ამასთან დაკავშირებით ერთი კურიოზული შემთხვევა მახსენდება.

საქმე კონტრაქტის გაფორმებაზე მიდგა. ვოვა აწარმოებდა მოლაპარაკებას, მე და ბორია კი, ჩუმად ვისხედით, თუ ვოვა არ გვითარგმნიდა, ვერაფერს გავიგებდით. ერთ-ერთმა ტანმორჩილმა კორეელმა ჩვენდამი ყურადღების ნიშნად, ბორიას ჰკითხა — რამდენ კილოს იწონი? ვოვამ გვითარგმნა.

— ვიქნები ასე, 120-130 კილო, — გაიღიმა ბორიამ. კორეელმა ისევ ვოვასთან განაგრძო საუბარი.

გარკვეული დროის შემდეგ, კორეელი კვლავ მიუბრუნდა ბორიას და ახლა მისი ცოლის წონის საკითხის გარკვევა სცადა. ბორია დაიბნა, მაგრამ მაინც უპასუხა:

— იქნება ასე, 60-65 კილო.

— რა მაგარი სანახავი იქნებით ლოგინში!.. — ეს თქვა და ხითხითი დაიწყო...

ბორია გაწითლდა, ისეთი სახე მიიღო, ვიფიქრე, ახლა კი „გადაუვლის“-მეთქი კორეელს, მაგრამ ვოვა შეეკედრა — ძალიან გთხოვ, ყურადღებას ნუ მიაქცევ, თორემ დავიღუპებით... ყველაფერი წყალში ჩაგვეყრებაო... მე სიცილს ძლივს ვიკავებდი, იძულებული გავხდი, ოთახიდან გავსულიყავი...

კორეაში ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ყველას თითქმის ერთნაირი გვარი აქვს. ყოველი მეხუთე მოქალაქის გვარია „კი“, ხოლო ყოველი მერვესი „ლი“ და, რაც ყველაზე საინტერესოა, ეს „კიები“ და „ლიები“ არანაირ ნათესავურ კავშირში არ იმყოფებიან.

სეულის ქუჩებში

როგორც მოგზაურობაზე შეყვარებული ადამიანი, ყოველ საღამოს ქალაქის ქუჩებში გავდიოდი სასეირნოდ... ბორია ჩვეულებისამებრ, იძინებდა. ვოვა კი იმ დროს დისერტაციაზე მუშაობდა და წიგნებში იქექებოდა...

მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეების მანძილზე უცხოელებს კორეაში არ უშვებდნენ, მოსახლეობა ტურისტების მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას არ გამოხატავს, პირიქით, ყურადღებას აქცევს მათგან განსხვავებულ ადამიანს და გულთბილადაც ეღიმის...

კორეელთა ერთ-ერთი ყველაზე უარყოფითი თვისება, რასაც თითქმის ყველა ჩასული ადასტურებს, მათი ფიცხი ხასიათია. წონასწორობიდან გამოსულ კორეელს თავის შეკავება არ შეუძლია, ჩხუბის დროს ხმამაღლა ყვირის და თვალის დაუხამხამებლად შეუძლია მოკლას მოწინააღმდეგე. ქუჩაში ყოველი გასვლისას, ხელჩართულ ჩხუბს შევესწარი... ყველაზე საინტერესო კი ის იყო, რომ ამ დროს პოლიცია არც ერთხელ არ გამოჩენილა. ჩემი გაოცება ვოვასთან რომ გამოვთქვი, მიპასუხა — ნუ გაგიკვირდება: კორეელებისთვის ჩხუბი ისეთი რამ არის, როგორც ჩვენთვის ხელის დაბანა, მთავარია, შენ არ ჩაერიო და არავინ შეგეხებაო...

ერთ საღამოს ვოვამ მოიცალა და სასეირნოდ წამომყვა. ჩემდა გასაკვირვად, ამჯერად ბორიაც წამოგვყვა. დავათვალიერეთ სეულის ძველი უბნები, სადაც უძველესი ბუდისტური ტაძრებია... მთელი ქუჩები ბერებით იყო სავსე... ეს რაიონი მთელი ქვეყნის სასულიერო პირთა ცენტრია...

ვოვამ ისეთ ადგილებში წაგვიყვანა, სადაც ტურისტები ძალიან იშვიათად ხვდებიან ხოლმე. ტურისტული ფირმებიც ერიდებიან იქ უცხოელების მიყვანას. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ იქ შეგიძლია შეუკვეთო ძაღლის ხორცისგან დამზადებუ-

„სეულის ქუჩებში ყოველ საღამოს გავდიოდი...“

ლი კერძი, რასაც კორეელები აფიშირებას არ უკეთებენ... მთელი ამ სეირნობის განმავლობაში ბორიამ შეგვაწუხა: არაფერი აინტერესებდა, ერთი რამის გარდა – უნდოდა, კარგად ევახშმა... ბოლოს და ბოლოს, თავისი გაიტანა: რესტორანში შევედით. კორეული კერძები საკმაოდ გემრიელი აღმოჩნდა. ბორიას სახე უბრწყინავდა. ამაყობდა იმით, რომ შინ დაბრუნებული, თავის შვილებს მოუყვებოდა, როგორ მიირთვა რვაფეხა და ზღვის ლოკოკინა...

ვოვამ ეშმაკურად ჩამიკრა თვალი და ოფიციანტს რაღაც შეკვეთა მისცა. მიმტანი შეიჭმუხნა... ვოვამ კიდევ რაღაც უთხრა და ისიც, უკმაყოფილო სახით გაგვეცალა. ცოტა ხანში საშუალო ზომის ქვაბი მოიტანეს, რომელიც მოშავო ფერის წვნიანი კერძით იყო სავსე. მე კი ვიცოდი, რა საჭმელიც იყო, მაგრამ მოვლენათა განვითარებას ველოდებოდი. ბორიამ ერთი თეფში რომ მოასუფთავა, ხელმეორედ გადაიღო.

– როგორია, ბორია, მოგწონს? – ჰკითხა ვოვამ.

– რაც კარგია, კარგია... ამის გულისთვის ღირდა კორეაში ჩამოსვლა... – ღეჭვა-ღეჭვით უპასუხა კმაყოფილმა ბორიამ.

– რამდენი შვილი გყავს, ბორია? – არ მოეშვა ვოვა.

– ორი. რომ წამოიზრდებიან, აუცილებლად ჩამოვიყვან...

უხერხული სიტუაცია ჩამოვარდა. ბორიამ თეფში მესამედ აივსო. იმასაც ვერ ამჩნევდა, რომ ჩვენ ერთი კოვზიც არ გადაგვიღია.

– ძაღლი თუ გყავს? – ჰკითხა უეცრად ვოვამ.

– უჰუ... თანაც ორი: ბულტერიერი ჩემია, ხოლო ბალონკა – ჩემი ცოლის... ბულტერიერში 2.000 დოლარი გადავიხადე, ისეთი მაგარია, ყველა ძაღლს მოერია, ვისთანაც კი ვაჩხუბე...

– ვინმემ რომ აწყენინოს, რას იზამ? – ვკითხე მე.

– მაგის მომრევი არავინ არის – ვინ უნდა აწყენინოს?! – გაუკვირდა ბორიას.

– თუნდაც შენ – რომ მოგშივდეს და შეჭამო?.. – ჰკითხა ვოვამ.

– ხომ არ გაგიჟდი – ძაღლის ხორცს რა შემაჭმევს?! – გაეღიმა.

– რატომაც არა?! ახლა თუ ჭამ?.. – ვოვამ თვალი თვალში გაუყარა...

თავიდან ბორიას რეაქციაც არ ჰქონია. მერე უცებ, თითქოს დენმა დაარტყაო – შეკრთა, ყველაფერს მიხვდა და სახე დაემანჭა... წამოხტა და დარბაზიდან გავარდა – რა თქმა უნდა, საპირფარეშოს მიაშურა... სიცილისგან ლამის გავიგუდეთ, ნახევარი საათი ვერ გავჩერდით. ბორიაც არ ჩანდა...

– წავიდეთ, თორემ გადაგვივლის... – გავაფრთხილე ვოვა.

– მართალი ხარ... – მიპასუხა ვოვამ და რესტორნიდან გავიპარეთ. იმ საღამოს, ბორიას შიშით, სასტუმროშიც აღარ მივსულვართ: მთელი ღამე სეულის ღამის კლუბებში გავატარეთ...

სტუმრად ყოფნა ყველგან ჯარგია...

რომ იტყვიან, საქმიანი მოლაპარაკებები „ხუთიანზე“ ჩავატარეთ. უნებლიეთ თბილისელ კონკურენტებზე ვფიქრობდი: დარწმუნებული ვიყავი, რომ საქმე ჩვენს სასიკეთოდ წარიმართებოდა... კორელმა კომერსანტმა, რომელთანაც ხელშეკრულება დავდეთ, შინ მიგვიპატიჟა.

ვოვამ მიამბო, რომ კორეული ოჯახი თავისებური მორალით ცხოვრობს: ისევე, როგორც ნებისმიერ აზიურ ოჯახში, ქალს აქ მეორეხარისხოვანი როლი ეკუთვნის. კორეული გაგებით, ქალი მდაბიო არსებაა და მასთან ზედმეტი ლაპარაკიც არ შეიძლება. ქმარი, რომელიც გარდაცვლილ მეუღლეს დაიტირებს, მოსახლეობაში დაცინვის ობიექტად იქცევა ხოლმე... ქმარს არავითარი ვალდებულება არ ეკისრება ცოლის წინაშე: მაგალითად, შეუძლია უღალატოს, რამდენიც უნდა, უფრო მეტიც – თავისუფლად შეუძლია სახლშიც მიიყვანოს საყვარლები...

მასპინძელმა, რომელსაც კი პაკი ერქვა, დიდებული სუფრა გაგვიშალა. ჰოდა, მაგიდას მისი მეუღლე კი არა, საყვარელი დასტრიალებდა...

რესტორანში მომხდარი ამბის შემდეგ ბორია საერთოდ არ გველაპარაკებოდა. კერძებსაც დიდი ყურადღებით აკვირდებოდა. სანამ მე და ვოვა არ გადავიღებდით, მანამდე კერძს არ ეკარებოდა... კორეელთა საყვარელი სასმელი ბრინჯის არაყია. სასიამოვნო დასალევი ნამდვილად არ არის, მაგრამ მაღალგრადუსიანია. თამადა, რა თქმა უნდა, მე ვიყავი და შეძლებისდაგვარად მოვილხინეთ კიდეც... გრადუსმა თავისი გაიტანა და ბოლოს ბორიაც შეგვირიგდა.

– ეს რა მიქნინთ მანც, ა, როგორ მაჭამეთ ძაღლის „ბორში“?! – გადამხვია ხელი ბორიამ.

– ზოგი ჭირი მარგებელია, ბორია – დანამდვილებით ვიცი, რომ მამაკაცურ პოტენციას აძლიერებს... – მივუბრუნდი და შუბლზე ვაკოცე.

– არა, რა, უბედურები ხართ ეს ქართველები. ჯერ გააგიჟებთ კაცს და მერე კოცნით. იმედია, არავის ეტყვით, რაც მომივიდა... – „ჩააწყო“ საქმე ბორიამ ჩემთან.

– იმედია, არ ვიტყვი – კაცნი ვართ, ხომ იცი, ყველაფერი ხდება... – ჩემებურად „დავაიმედე“...

სეულში დარჩენილი ორი დღეც გავატარეთ და მოსკოვში დავბრუნდით. აეროპორტიდან ბორიამ თავის სახლში გამაქანა. ერთკვირიანი „პატიმრობის“ შემდეგ ძლივს ჩამოვაღწიე თბილისში. კიდევ ერთი კვირა კი, ნაბახუსევი ორგანიზმის ფორმაში მოყვანას მოვანდომე...

1996 წ.

■

კორეული სამზარეულო

jerolamo kardano

ᲐᲡᲢᲠᲝᲚᲝᲒᲘᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲐᲗᲮᲣᲛᲔᲢᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲐᲡᲐᲙᲨᲘ

თავის დროზე ჯეროლამო კარდანოსთვის რომ ეკითხათ, მისი აზრით, რით შეძლებდა თავისი სახელის უკვდავყოფას — უყოყმანოდ უპასუხებდა: ასტროლოგიითო. XVI საუკუნეში ეს სფერო კვლავ სერიოზულ ფუნდამენტურ მეცნიერებად ითვლებოდა და სწორედ მას მიუძღვნა კარდანომ თავი, სწორედ მეცნიერების ამ დარგში წამოაყენა რევოლუციური იდეები. სრულყოფილებამ, რომელსაც ჯეროლამომ ასტროლოგიაში მიაღწია, საშუალება მისცა განესაზღვრა, რომ თვითონ ორმოცდახუთი წლის ასაკში მოკვდებოდა. თუმცა, როცა დრო დადგა და წინასწარმეტყველების ავტორი ისევ საღსალამათი იყო, მეცნიერი მიხვდა, რომ არასწორად გაიანგარიშა და სინამდვილეში სიკვდილი სამოცდათხუთმეტი წლის ასაკში ელოდა.

ასტროლოგია რომ არა, კარდანოს მედიცინა მოუტანდა დიდებას. უკანონოდ შობილი ჯეროლამო უდიდეს წინააღმდეგობებს წააწყდა სამედიცინო განათლების მიღების დროს და განსაკუთრებით მაშინ, როცა საექიმო კორპორაციაში გადაწყვიტა მოხვედრა. თუმცა 38 წლის ასაკში მაინც აისრულა წადილი და არნახულ დიდებას მიაღწია. ხოლო როცა ინგლისელი ეპისკოპოსი განკურნა, მთელი ევროპიდან მაცდუნებელი წინადადებები მიიღო. მან დანიის მეფის მიწვევაც კი უარყო და საერთოდ მიატოვა სამედიცინო პრაქტიკა, რადგან ახალი გატაცება — მათემატიკა გაუჩნდა.

მათემატიკა კი ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს იმ სფეროდ, რომელმაც ჯეროლამო კარდანოს სახელი უკვდავყო. მას იტალიის რამდენიმე უნივერსიტეტის კათედრა დაუთმეს, გამოუშვა სამეცნიერო ენციკლოპედია „საგანთა ცვლილების შესახებ“ (მასში სხვა საკითხებთან ერთად, პირველად არის აღწერილი თავსატეხების ამოხსნის ხერხები). ჯეროლამო ნატურფილოსოფიასა და ალგებრასაც სწავლობდა, 1545 წელს მან მეცნიერებაში მესამე ხარისხის არასრული განტოლების ამოხსნის ფორმულა შემოიტანა, რომელსაც მისი სახელი დაერქვა. თუმცა, მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ეს ფორმულა სხვა მათემატიკოსის, ტარტალიეს შექმნილი იყო. მან კარდანო პლაგიატობაში დაადანაშაულა. სკანდალის შედეგად, სახელგატეხილი ჯეროლამო განდევნეს, სარჩელებით გააკოტრეს და სამოცდაათი წლის ასაკში,



ვალების გამო, ციხეში გამოამწყვდიეს.

მასხრად აგდებული და შეჩვენებული კარდანო თავისი მთავარი საქმის — ასტროლოგიის ერთგული დარჩა. თუ მისი გაანგარიშებები ამჯერად სწორი იყო, ის სამოცდათხუთმეტი წლის ასაკში უნდა მომკვდარიყო და ამით დაემტკიცებინა, რომ ამ სფეროში მაინც რჩებოდა უცილობელ ავტორიტეტად და როცა დათქმული, სამოცდამეთხუთმეტე წელი ილეოდა, ჯეროლამო კარდანომ უარი განაცხადა საკვების მიღებაზე და 1576 წლის 21 სექტემბერს, თავისი წინასწარმეტყველების სისწორის დასადასტურებლად, შიმშილისგან გარდაიცვალა.

სიკვდილის წინ ეს დიდების მაძიებელი ალბათ თავს იმით ინუგეშებდა, რომ მისი სახელი საუკუნეების მანძილზე არ მიეცემოდა დავიწყებას.

ჯეროლამო მართალი აღმოჩნდა: კარდანოს სახელი ნამდვილად უკვდავი დარჩა, ოღონდ არა ადამიანის ბედზე ვარსკვლავების გავლენის გამოკვლევების, არამედ მარტივი ნივთის წყალობით, რომელიც მოცალეობის ჟამს მოიფიქრა: ჯეროლამოს ერთხელ სთხოვეს, გემის კომპასისთვის ისეთი საკიდარი მოეფიქრებინა, რომ ნებისმიერი სიძლიერის ღელვის მიუხედავად, ხელსაწყო ყოველთვის ვერტიკალურ მდგომარეობაში ყოფილიყო.

კარდანომ სახსროვანი მექანიზმი შექმნა, რომელიც შემდგომში სხვა მიზნისთვის — კერძოდ, ორი ლილვის ცვლადი კუთხით საბრუნავად გამოიყენეს. დღეს ნებისმიერი ავტომობილი ფანატიკოს იტალიელ ასტროლოგს თავისი კარდანის ლილვის მექანიზმით განადიდებს. ■

სამხრეთკორეული ავიალაინერის ტრაგედია

ანა ქორქოლიანი

1985 წლის ზაფხულში იაპონიის ავიაკომპანიის „ბოინგ 747“ პარიზი-ტოკიო მოსკოვის გავლით მიფრინავდა საჰაერო დერეფანში, რომელსაც „რომეო-11“-ს უწოდებენ. დასავლეთის ძლიერი ქარის გამო თვითმფრინავი ოდნავ ასცდა კურსს. შედეგმაც არ დააყოვნა – მალე მისი ხედვის არეში ორი საბჭოთა „მიგი“ (ავიაგამანადგურებელი) გამოჩნდა.

„ბოინგი“ 100 კმ-ით გადახრილი აღმოჩნდა დათქმული კურსიდან, რის გამოც სწრაფად უახლოვდებოდა კუნძულ სახალინს, რომლის საჰაერო სივრცეც, უცხოური თვითმფრინავებისთვის დახურული იყო.

გამანადგურებლებმა ფრთები შეარხიეს და სიგნალიზაციის მთელი სისტემა შეასრულეს, რომელიც გზასაცდენილ ლაინერს უბრძანებდა: „სასწრაფოდ დაუბრუნდით თქვენს კურსს!“ „ბოინგის“ ეკიპაჟი შეცდომას მიხვდა, რადიოთი ბოდიში მოიხადა და სწრაფად დაუბრუნდა კურსს. რამდენიმე ხნის შემდეგ თვითმფრინავი თავის მგზავრებიანად და ეკიპაჟის წევრებიანად მშვიდობიანად დაეშვა ტოკიოს აეროპორტში. ერთადერთი, ვინც დაზარალდა, თვითმფრინავის პირველი პილოტი იყო: იგი ამ შეცდომის გამო ჩამოაქვეითეს. ინციდენტს დიპლომატიური კრიზისი არ მოჰყოლია.

მანამდე კი, 1983 წლის 31 აგვისტოს სამხრეთკორეული „ბოინგ 747“ რეისი KAL-007 ნიუ-იორკის კენედის სახელობის აეროპორტიდან აფრინდა. ლაინერი ჯერ ანკორიჯში (ალასკას შტატი) დაჯდა, იქ ჩვეულებრივად საწვავი შეივსო, ეკიპაჟი გამოიცვალა და გეზი სეულისკენ აიღო. თვითმფრინავში ეკიპაჟის წევრებიანად, 269 ადამიანი იმყოფებოდა.

ხომალდის მეთაური, კორეელი ბუნგინი, გამოცდილი პილოტი იყო, იმ წელს მას 45 წელი შეუსრულდა, ცხოვრების უმეტესი ნაწილი სამგზავრო საჰაერო ფირმაში მუშაობას შეალია, მანამდე კი სამხედრო გამანადგურებლის პილოტის პროფესიას ფლობდა და სამხრეთ კორეის სამხედრო საჰაერო ძალებში მსახურობდა. მეთაურს „ბოინგ 747“-ზე 6619 საათი ჰქონდა ნაფრენი, უკანასკნელი ტრანსკონტინენტური გადაფრენა მისთვის 88-ე იყო.

არც თვითმფრინავი იყო ძველი: 1972 წელს აგებულ „ბოინგ 747“-ს 36718 საათი ჰქონდა ნაფრენი და 9237 დაშვება განხორციელებული.

ანკორიჯი-სეულის სანავიგაციო მონაკვეთს პირობითად „რომეო-20“ ეწოდება. თუ ფრენისას მაგნიტურ კომპასს გამოვიყენებთ (ამ თვითმფრინავზე კი ორი ასეთი კომპასი იყო, ექსტრემალურ სიტუაციაში გამოსაყენებლად), კურსი აუცილებლად, გამუდმებით უნდა ვცვალოთ, მაგრამ ხომალდის მეთაური, როგორც ავიალაინერების პილოტთა უმრავლესობა იქცევა, უფრო თანამედროვე და სრულყოფილ სანავიგაციო ინერციულ სისტემას იყენებდა. ამ სისტემას შეუძლია, ზედმიწევნით ზუსტად განსაზღვროს თვითმფრინავის ადგილმდებარეობა, ფრენის სიმაღლე და ავტოპილოტს მისცეს შესაბამისი დავალება. ფრენის დერეფანს რადიოშუქურები აკონტროლებს. ამ შუქურასთან მიახლოებისას, მფრინავის კაბინაში ნარინჯისფერი ნათურა ინთება, რომელიც მხოლოდ ორი წუთის შემდეგ ქრება. ამ დროის განმავლობაში ხომალდის მეთაურმა დედამიწაზე უნდა გადასცეს თვითმფრინავის კოორდინატები და მომდევნო შუქურასთან მიახლოების დრო. წინააღმდეგ შემთხვევაში ცხადდება განგაში, მაგრამ ამ შუქურებს სიზუსტე აკლია – ისინი მორჩილად ინთება მაშინაც კი, როცა კურსიდან გადახვევა 350 კილომეტრია, თუკი თვითმფრინავი კურსიდან უფრო მეტი მანძილითაა გადახრილი, ნათურა, რა თქმა უნდა, არ აინთება. ორივე შემთხვევაში, ხომალდის მეთაური ვალდებულია, დაადგინოს თვითმფრინავის ადგილმდებარეობა და შესაბამისად გაასწოროს კურსი. აქედან გამომდინარე, კურსიდან გადახვევის გარკვეული ალბათობაც არსებობს, ეს უკანასკნელი კი ძნელი შესამჩნევია. სავარაუდოა, რომ სწორედ ეს დაემართა ბუნგ-ინსაც.

როდესაც თვითმფრინავი ანკორიჯიდან აფრინდა, პირველი რადიოშუქურა არ მუშაობდა – იგი თორმეტი საათით ადრე გამორთეს გეგმური პროფილაქტიკის მიზნით. ადგილობრივი აეროპორტის რადარი 280 კმ-ის რადიუსით მოქმედებდა, ხოლო შემდეგი შუქურა, 600 კმ-ის მოშორებით, გამართულად მუშაობდა.

პირველი შეცდომა კორეელმა მფრინავმა ალბათ ჯერ კიდევ აფრენამდე დაუშვა: სავარაუდოა, რომ მან ფრენის არასწორი კოორდინატები შეიმუშავა, როდესაც თვითმფრინავი რადარის მოქმედების ზონიდან გადიოდა, ის უკვე ათი კილომეტრით იყო გადახრილი სწორი კურსიდან, რის გამოც მალე გადახრამ 60 კმ შეადგინა. უკვე შეშფოთების დრო დგებოდა, რადგან გადახრა ყოველ წუთს იზრდებოდა. ყველაფერი ჩვეულებრივად და ხმაურის გარეშე ჩაივლიდა, „რომეო 20“-ის დერეფანი საბჭოთა დახურული ზონის მახლობლად რომ არ მოხვედრილიყო. როდესაც თვითმფრინავი რადიოშუქურას მიუახლოვდებოდა და ნარინჯისფერი ნათურა არ აინთებოდა, მეთაური შეამოწმებდა ადგილმდებარეობას და სწორ კურსს დაუბრუნდებოდა. თვითმფრინავი დაიგვიანებდა, ამაზე უარესი კი, არაფერი მოხდებოდა, მაგრამ „რომეო 20“-ის ტრასა საბჭოთა კავშირის მკაცრად გასაიდუმლოებული ზონის მახლობლად გადიოდა: კამჩატკაზე წყალქვეშა ატომური ნავების ბაზა იყო განლაგებული, იქვე

იყო ბალისტიკური რაკეტების დიდი არსენალი — დაუპატიჟებელი სტუმრები კი იქ არ უყვარდათ.

სახალინზე სამხედრო საჰაერო ბაზაა განთავსებული, ზუსტად იმ დღეს საბჭოთა არმიის ქვედანაყოფებს პეტროპავლოვსკში სარაკეტო სწავლების ჩატარება ჰქონდათ დაგეგმილი, რომლის შესახებაც საბჭოთა ხელისუფლება ინფორმაციას ჩვეულებრივად აწვდიდა ტოკიოს, ასევე აფრთხილებდნენ ანკორიჯის ავიადისპეტჩერებს, მაგრამ ამ დღეს სარაკეტო სწავლების შესახებ არავინ გაუფრთხილებიათ. პენტაგონი რაღაცას ეჭვით ხვდებოდა და ამ რაიონში მზვერავი თვითმფრინავი RC-135 გაუშვა დავალების შესასრულებლად. თვითმფრინავს საბჭოთა სივრცეში შესვლა არ სჭირდებოდა — მას საზღვრის შორიახლოს უნდა ეფრინა, მაგრამ მოხდა ისე, რომ მზვერავი თვითმფრინავი დერეფნის მახლობლად მაშინ გამოჩნდა, როცა „ბოინგი“ უნებურად საბჭოთა საჰაერო სივრცეში შეიჭრა. ორივე თვითმფრინავი ერთსა და იმავე სიმაღლეზე, ერთნაირი სიჩქარით მიფრინავდა და ისე ახლოს იყო ერთმანეთთან, რომ 10 წუთის განმავლობაში საბჭოთა რადარის ეკრანზე ერთ წერტილად აღიქმებოდა. თავისი მისიის შესრულების შემდეგ მზვერავი, RC-135 მშვიდად დაბრუნდა ბაზაზე „ბოინგი“ კი ჯიუტად განაგრძობდა გზას. საბჭოთა სამხედროებს მოთმინების ფიალა აევსოთ, ჩათვალეს, რომ „თამაში უსასრულოდ გაგრძელდა“. სარაკეტო სწავლება გადაიდო და პეტროპავლოვსკის აეროდრომიდან გზაგადამჭრელები აფრინდნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ მფრინავებმა გადმოსცეს, რომ „ბოინგზე“ საბორტო სასიგნალო სინათლეები არ ენთო, მაგრამ როგორც შემდეგ გაირკვა, ეს სინამდვილეს არ შეეფერებოდა, ხომალდი, მართალია, ასცდა კურსს, მაგრამ სხვა დარღვევები არ ჰქონია. Su-15-ის პილოტებმა ფრთები შეარხიეს, პროჟექტორებით მისცეს სიგნალი, საავარიო რადიოსიხშირეზეც გავიდნენ „ბოინგის“ მფრინავებთან დასაკავშირებლად, მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო, კორეის ლაინერის პილოტები ბრმები და ყრუები აღმოჩნდნენ. გზაგადამჭრელები, რომლებსაც საწვავი უთავდებოდათ, ბაზისკენ შებრუნდნენ. ამ დროისათვის „ბოინგი“ მეორე რადიოშუქურას უახლოვდებოდა, რომლის სიახლოვეს გადაფრენის დროსაც ნარინჯისფერი ნათურა ინთებოდა და პილოტებიც აუცილებლად შეცვლიდნენ ფრენის მიმართულებას, მაგრამ დედამიწაზე ვიღაცამ უკვე მიიღო საბედისწერო გადაწყვეტილება. „დოლინ-სოკოლის“ სამხედრო საჰაერო ბაზიდან ავიაგამანადგურებლები აფრინდნენ, ერთმა მათგანმა ლაინერთან მიახლოებისას ტრასირებული ტყვიების ჯერით, გამაფრთხილებელი გასროლა მოახდინა, რომელსაც შედეგი არ მოჰყოლია — „ბოინგი“ იმავე კურსით განაგრძობდა ფრენას. საბჭოთა ჯარების სარდლობას მოთმინება ამოეწურა და გამანადგურებლის პილოტმა მიიღო ბრძანება. ბრძანების შინაარსი იმდენად მოულოდნელი იყო მფრინავისათვის, რომ მან მისი გამეორება მოითხოვა... „ბოინგს“ ორი რაკეტა მოხვდა და ნამსხვრევებად აქცია მისი კორპუსი. თვითმფრინავის ნამსხვრევები საბჭოთა ტერიტორიული წყლების სიახლოვეს ჩაცვივდა ზღვაში. დაიღუპა 269 ადამიანი, მათ შორის — 81 ამერიკელი, 28 იაპონელი და 160 კორეელი, რომელთაგან 13 თვითმფრინავის ეკიპაჟის წევრი იყო.

მეორე დღეს ამერიკის ადმინისტრაციამ მთელი პასუხისმგებლობა მხოლოდ საბჭოთა მხარეს დააკისრა და კიდევ ერთხელ დაანახვა მსოფლიოს ბოროტების იმპერიის ჭეშმარიტი სახე.

1997 წელს იაპონური დაზვერვის ყოფილმა მაღალჩინოსანმა იოსირო ტანაკამ განაცხადა, რომ სამხრეთკორეული „ბოინგ 747“ რეისი KAL-007-ის ეკიპაჟი იმ საბედისწერო ღამეს ამერიკული სპეცსამსახურების დავალებას ასრულებდა. ამ ვერსიამდე გადამდგარი ოფიცერი საბჭოთა და იაპონური რადიოსაუბრებისა და სამხრეთკორეული „ბოინგის“ უკიდურესად უცნაური მარშრუტის ანალიზმა მიიყვანა.

P.S. არაოფიციალური ინფორმაციის თანახმად, საბჭოთა სამხედროებს ჩაუვარდათ ხელში დაღუპული თვითმფრინავის ორი შავი ყუთი, რომლის მონაცემებიც დღემდე არ არის გამოქვეყნებული. ■

ტესტი ერუდიციაზე

1. მკითხაობას ხელისგულზე ხაზების მიხედვით ჰქვია:

ა) გეომანტია;
ბ) ბრაქომანტია;
გ) ქირომანტია.

2. ქართლის მეფე, რომელმაც შექმნა ქართული ანბანი:



ა) ფარნავაზი;
ბ) მირიანი;
გ) გუბაზი.

3. ქვემოთ ჩამოთვლილი ფილმებიდან რომელში არ მონაწილეობს თენგიზ არჩვაძე?

ა) „კეთილი ადამიანები“;
ბ) „შეხვედრა მთაში“;
გ) „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“.

4. პარლამენტის წევრთა აუცილებელ რაოდენობას კანონის მისაღებად ჰქვია:

ა) რეგლამენტი;
ბ) კვოტა;
გ) კვორუმი.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე



ლარა ფლინ ბოილი:

„მე და ჯეკ ნიკოლსონი ერთი ჯიშისანი ვართ"

ლარა ფლინ ბოილმა ტელესერიალ „ტვინ პიქსში" ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულა. ფილმის ეკრანებზე გამოსვლისას მსახიობი თვლიდა, რომ დიდების მწვერვალზე იმყოფებოდა. სინამდვილეში კი პოპულარობა და ნამდვილი ვარსკვლავის სახელი მოგვიანებით, არა შესრულებულმა როლმა, არამედ ჰოლივუდის ცოცხალ ლეგენდასთან — ჯეკ ნიკოლსონთან რომანმა მოუტანა.

წყვილი ჰოლივუდში ცხოვრობს, იქ ნიკოლსონს მეფესავით ექცევიან, ლარა კი თავს მეფის ფავორიტად თვლის. ნიკოლსონის სახლი ნამდვილი მუზეუმივით გამოიყურება, მის კოლექციაში სალვადორ დალის რამდენიმე ნახატიც არის, ეს მხატვარი კი ლარასაც ძალიან ჰყვარებია და რა დიდი იყო ქალის გაოცება, როცა ნიკოლსონის სახლში პირველად სტუმრობისას კედელზე ის სურათი აღმოაჩინა, რომელიც ბავშვობიდან უყვარდა, როცა დედასთან ერთად რეპროდუქციების წიგნს ათვალიერებდა. ლარა ვერ იჯერებდა, რომ ნახატი ორიგინალი იყო და ამაში დასარწმუნებლად, აკანკალებული ხელითაც კი შეეხო მას.

ლარა სულაც არ თვლის, რომ ნიკოლსონი შეუფერებლად ასაკოვანია მისთვის: მათ უყვართ ერთმანეთი და როგორც ცნობილია, ასეთ სიტუაციებში ასაკს დიდი მნიშვნელობა არა აქვს.

ამბავმა, რომ ნიკოლსონს 33 წლით ახალგაზრდა ქალი შეუყვარდა, ჰოლივუდში ნამდვილი ფურორი მოახდინა. ახალგაზრდა საყვარლები ცნობილ მექალთანეს ადრეც ჰყოლია: მაგალითად, რებეკა ბრუსართან ასაკის 25-წლიან სხვაობას ხელი არ შეუშლია, რომ მათ ორი საერთო შვილი გაეჩინათ და ერთად თითქმის 10 წელი გაეტარებინათ. მაგრამ ლარამ ყველას აჯობა: ის ნიკოლსონის უფროს ქალიშვილზე ხუთი წლით უმცროსია (ქალიშვილი ნიკოლსონს პირველი და ერთადერთი რეგისტრირებული ქორწინებიდან, მსახიობ სანდრა ნაიტთან ჰყავს), ყველაფერთან ადვილად შემგუებელ ჰოლივუდსაც კი მოეჩვენა, რომ ეს უკვე მეტისმეტი იყო.

საგაზეთო აჟიოტაჟი ნიკოლსონთან მისი რომანის შესახებ ლარას დიდად არ აშფოთებდა. ჯეკი მას ძვირფასი საჩუქრებით ანებივრებდა, ლაჟვარდოვან სანაპიროებზე დაჰყავდა... 1999 წლის ზაფხულში წყვილმა ხმაურიანად აღნიშნა რომანის ერთი წლის „იუბილე".

მოკლედ, მოვლენების დრამატულ განვითარებას თითქოს არაფერი მოასწავებდა, და უცებ, ტაბლოიდების პირველ გვერდებზე გაჩნდა სათაურები: „ლარა ფლინ ბოილმა ნიკოლსონი ბრიუს უილისის გამო მიატოვა!" აქ კი ბევრმა გაიხსენა, რომ სატელევიზიო პრემია „ემის" გადაცემის დროს ლარა აშკარად ეკეკლუცებოდა ბრიუსს, შემდეგ ინტერვიუში განაცხადა, რომ მამაკაცის გამოცვლას აპირებდა... უილისი იმ დროს ოფიციალურად არ იყო განქორწინებული. რადგან პროცესი ძალიან გაიჭიმა, ბრიუს უილისი დემი მურისგან სხვაგან გადავიდა საცხოვრებლად. ძნელი სათქმელია, საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, მაგრამ ლარასა და ბრიუსის რომანი ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა. ქალი ნიკოლსონს დაუბრუნდა, ჯეკი ცოტა ხნით გაებუტა, თუმცა

შემდეგ აპატია.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს ლარას სასიყვარულო თავგადასავლის დასაწყისი იყო მხოლოდ. სულ მალე ლამაზმანი პაპარაცებმა ჰარისონ ფორდთან ერთად დააფიქსირეს, ჰარისონს კი მანამდე სამაგალითო მეოჯახის რეპუტაცია ჰქონდა. ამ ამბის შემდეგ, ფორდმა და მისმა მეუღლემ ოფიციალურად განაცხადეს გაყრის თაობაზე. საზოგადოების აზრიც ერთგვაროვანი იყო: ლარამ ოჯახი დაანგრია. მას სტუმრად აღარ იწვევდნენ რესპექტაბელურ ოჯახებში, ქალი კი ყველა ბრალდებას ერთსახოვნად პასუხობდა: „ეს ყველაფერი სრული სიცრუეა“. ბოლოს და ბოლოს, ხომ აქვს უფლება, ფინჯანი ყავა მიირთვას სიმპათიურ მამაკაცთან ერთად! ნუთუ ეს დანაშაულია?!.. ნიკოლსონს ამის შესახებ განსხვავებული აზრი ჰქონდა და იფიცებოდა, რომ ამიერიდან ლარა მისი სახლის ზღურბლს ვეღარ გადააბიჯებდა. და მაინც...

ემოციური ახსნა-განმარტებების შემდეგ, ლარა და ჯეკი კვლავ შერიგდნენ. ისინი ერთად იხილეს მაიკლ დუგლასის ქორწილში, ტრადიციულ საახალწლო მეჯლისზე თეთრ სახლში და ბევრ სხვა წვეულებაზეც, მაგრამ წყვილის ურთიერთობა იდეალურისგან ჯერ კიდევ შორსაა. ზემოთ ხსენებული მეჯლისის შემდეგ, ვაშინგტონის სასტუმროს ნომერში მათ შორის ისეთი ბობოქარი სცენა გათამაშდა, რომ გააფთრებული ლარას დასაშოშმინებლად სასტუმროს დაცვის გამოძახება გახდა საჭირო. სანამ წესრიგის დამცველები ადგილზე მივიდოდნენ, ლარამ მაგიდისა და ბროლის საფერფლის დამსხვრევა მოასწრო. როგორც შემდეგ გაირკვა, კონფლიქტი ეჭვიანობის გამო მოხდა: ნიკოლსონმა გადაწყვიტა, შური ეძია ლარაზე ყველა ღალატისთვის და, როგორც ამის მომსწრენი აღნიშნავდნენ, მთელი საღამო ლამაზ გოგონებს ეკურკურებოდა, ლარა კი ბრაზისგან გულზე სკდებოდა და როგორც კი წყვილი სასტუმროში განმარტოვდა, ქალმა მთელი თავისი რისხვა გადმოანთხია.

ჯეკი შეშინდა კიდეც. თავისი 63 წლიანი ცხოვრების მანძილზე ის პირველად შეხვდა ქალს, რომელიც ტემპერამენტით არ ჩამოუვარდებოდა: რამდენიმე წლის წინ ნიკოლსონს გოლფის ჯოხით დაუმსხვრევია იმ კაცის მანქანა, რომელიც ოდნავ გაეხახუნა ნიკოლსონის ახალ ავტომობილს. და აი, ახლა ის ლარას ბობოქარი ხასიათის დემონსტრირების მოწმე გახდა...

თვით ლარა კი ჯეკმა ვაჟკაცური ხასიათით, იშვიათი იუმორის გრძნობით, განსწავლულობითა და ინტელექტით მოხიბლა.

ისინი ბევრი რამით ჰგვანან ერთმანეთს – მაგალითად, ერთსაც და მეორესაც უყვარს პიკანტური ანეკდოტები და უხამსი გამოთქმები. რაც შეეხება ლარას, განსაკუთრებით უყვარს მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები, შეუძლია ერთ ჯერზე ათი წყვილიც კი შეიძინოს. და კიდევ – სილამაზის სალონები, სადაც თვეში ერთხელ მაინც, მთელ დღეს ატარებს. ეს ყველაფერი კი, როგორც თავად ამბობს, ალბათ იქიდან მოდის, რომ სიღარიბეში გაიზარდა და სანამ ბევრი ფული არ იშოვა, თავის გალაღების საშუალება არ ჰქონდა.

ლარას მშობლები მაშინ განქორწინდნენ, როცა გოგონა 6 წლის იყო. მსახიობის დედა, სალი ბოილი, მოკრძალებული მოხელე იყო. მისი ხელფასი მხოლოდ საკვებსა და ბინის ქირას ჰყოფნიდა. იმაზე, რომ ლარას ძვირად ღირებულ სკოლაში ესწავლა, ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. და მაინც, ლარამ ჩიკაგოს ხელოვნების პრესტიჟული აკადემია დაამთავრა, ეს კი შემდეგნაირად მოხდა:

ბავშვობაში გოგონა ავადმყოფურად მორცხვი იყო. ნაცნობმა ექიმმა-ფსიქიატრმა სალის სამსახიობო სტუდიაში შვილის მიყვანა ურჩია. ექიმი ირწმუნებოდა, რომ მსგავს შემთხვევებში, სცენა თერაპიის საუკეთესო საშუალება იყო. ლარა სკოლის დრამწრეში ჩაეწერა და მოკლე ხანში საუცხოო შედეგებს მიაღწია: გარდა იმისა, რომ სიმორცხვე სრულიად დაძლია, გოგონამ კონკურსში სტიპენდიაც მოიგო, რომელიც ჩიკაგოს ხელოვნების აკადემიაში სწავლის უფლებას აძლევდა. 17 წლის ლარამ მიიღო როლი ტელესერიალში „ამერიკა“. ასე დაიწყო მისი კარიერა. დიპლომის მიღების შემდეგ დედასთან ერთად, საცხოვრებლად ჩიკაგოდან ლოს-ანჯელესში გადავიდა.

იმ დროიდან მოყოლებული, დედა ლარას საუკეთესო მეგობარი და მენეჯერია. „სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ვარსკვლავური სენი არ შემეყარა, – აღნიშნავს ლარა. – მთელი დღე გადაღებებზე ყურადღების ცენტრსა და სოფიტების შუქში ვარ მოქცეული და თავი პრიმადონა მგონია. შინ დაბრუნებული, ძაღლებს ვასეირნებ, ვახშმის შემდეგ კი დედა ჭურჭელს მარეცხვინებს და ეს ყველაფერი მაიძულებს, უმალ „დავეშვა მიწაზე...“

დედა-შვილს სახლი ლოს-ანჯელესის ერთ-ერთ ყველაზე მყუდრო უბანში – სან-ფერნანდო-ველიში აქვს, განსაკუთრებული იქ ის არის, რომ უკლებლივ ყველა ოთახში ტელევიზორი დგას: ლარას სიჩუმე არ უყვარს, 11 ტელევიზორიდან გამოსული ხმაურის წყალობით იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს სახლი სტუმრებით არის სავსე. და კიდევ – ფეხის ყოველ ნაბიჯზე აქ სამაგიდო ლამპებს შეხვდებით: ლარას სიბნელე არ უყვარს.

დედა-შვილი მთელი ცხოვრება შეხმატკბილებულად ახერხებდნენ ურთიერთობას – განსაკუთრებით მანამ, სანამ ლარა ჯეკს შეხვდებოდა, თუმცა დედამ მალე ლარას არჩევანი გაამართლა – აღიარებდა, რომ ეს ის მამაკაცია, რომელიც ლარას დაფასებას შეძლებდა.

ფლინ ბოილს ნიკოლსონამდე არც ისე ბევრი რომანი ჰქონია, პრესა მას გაცილებით მეტ საყვარელს მიაწერს. კაილ მაკლაჰლენთან „ტვინ პიქსის“ გადაღებებისას გაჩაღებული რომანის შემდეგ, მას სასიყვარულო ისტორია ტელემსახიობ რიჩარდ დინ ანდერსონთან ჰქონდა, შემდეგ კი – დევიდ სპეიდთან. ლარა აღნიშნავს, რომ თითოეულ მათგანთან რომანი რამდენიმე წელი გრძელდებოდა, მაგრამ მათზე დიდ იმედებს ის არასდროს ამყარებდა, არც ოჯახის შექმნის სურვილი ჰქონია. „ყველა მამაკაცი სუსტ, დაუცველ ქალზე ოცნებობს, მე კი ასეთი არ ვარ. გარეგნულად კი ვჩანვარ სუსტი – აღნაგობა მაქვს ასეთი, მაგრამ დაუცველი კი არასოდეს ვყოფილვარ: საკუთარ ძალებში არასოდეს შემპარვია ეჭვი“.

სუსტი აღნაგობის გამო, ქალს რამდენჯერმე ავადმყოფობაც მიაწერეს, სინამდვილეში კი ლარას შესაშური მადა ჰქონია და მისი აღნაგობა მხოლოდ და მხოლოდ ბუნების საჩუქარია – სულ არ სჭირდება დიეტის დაცვა. ფლინ ბოილი აღნიშნავს, რომ როცა ხორცითა და მაიონეზით შეზავებულ უზარმაზარ სენდვიჩს მადიანად შეექცევა, მეგობარი გოგონები შურისგან სკდებიან.

სახელიც ლარას დედამ შეურჩია: ქალს ძალიან უყვარდა კინო და განსაკუთრებით, მსახიობ ჯული კრისტის აღმერთებდა. „დოქტორ ჟივაგოში“ კი ჯული კრისტი ლარას როლს ასრულებდა. ლარა ფლინ ბოილი იმედოვნებს, რომ შეძლებს ოდესმე ისეთივე კარგი მსახიობი გახდეს, როგორიც მისი „ნათლიაა“... ■

„ფიფაანიკის“ გმირისთვის გახდომა აუცილებელია

ასე თვლიან ჰოლივუდელი პროდიუსერები, რომლებიც დარწმუნებულები არიან, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, კეიტ უინსლეტის კარიერა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება. 25 წლის ინგლისელმა მსახიობმა სახელი ჯეიმს კემერონის ფილმში შესრულებული ერთ-ერთი მთავარი როლით გაითქვა, შარშან ოქტომბერში მშობიარობის შემდეგ კი, მომატებულ წონას ვერაფერს უხერხებს. „მიუხედავად იმისა, რომ ამის გაკეთება ძალიან მიჭირს, გადავწყვიტე, დიეტა დავიცვა, – აცხადებს გახდომის ხელოვნური საშუალებების მოწინააღმდეგე ვარსკვლავი. – ჯერ კიდევ სკოლაში, სადაც „ფუმფულას“ მეძახდნენ, არ ვეთანხმებოდი საზოგადოდ გავრცელებულ აზრს, ქალის იდეალური ფორმების რაღაც ურყევი სტანდარტის შესახებ“, – მტკიცედ აღნიშნავს იგი და დასძენს: „ახლა მთლიანად ჩემი 7 თვის მიათი ვარ დაკავებული – მეც და ჩემი ქმარიც (ჯიმ ტრიპლტონი რეჟისორის თანაშემწედ მუშაობს. – ავტ.), სექტემბერში კი დაიწყება ჩემი პირველი საპროდიუსერო პროექტის გადაღებები („ტერეზა რაკენი“ – ემილ ზოლას რომანის მიხედვით) და მაშინ კი ალბათ ძიძის აყვანაც მოგვიწევს“. ■

სიყვარულის ნღვის გასასხენებლად

ჰოლივუდელ მსახიობსა და საპროდიუსერო ფირმის მეპატრონეს მეთიუ მაკქონოჰის, როგორც ჩანს, მარტო კინო აღარ აკმაყოფილებს: ცოტა ხნის წინ ფილმში – THE WEDDING PLANER-ის გადაღებების დასრულების შემდეგ, თავისი კოვბოური სიყმაწვილის გასახსენებლად, ტეხასში რანჩო შეიძინა. ნახევარ მილიონ დოლარად მსახიობი უზარმაზარი მიწის ფართობის, ათობით ძროხის, რამდენიმე ძაღლის, სატვირთო მანქანისა და მოტოციკლეტის მფლობელი გახდა. მაკქონოჰის, რომელიც ჰოლივუდში მტკიცე პრინციპების მქონე საეკრანო გმირების განსახიერების უბადლო ოსტატად ითვლება, მიაჩნია, რომ მიწასთან სიახლოვე ახალ შემოქმედებით იმპულსსაც მისცემს. ■

ნიკო ამკარელი

ბელისწერა

1985 წელი იდგა. ავღანეთში, ჰერათის პროვინციის დაკლაკნილ გზაზე საბჭოთა ჯავშანტრანსპორტიორი მიქროდა. ირგვლივ მხოლოდ გადატრუსული ბალახი, ღორღიანი მთა-გორები და ჰორიზონტთან მოკიაფე მზე ჩანდა.

ავღანეთის ხეობებში ხმას უცნაური ექო აქვს: როგორც კი მანქანა თვალთახედვის არეში მოხვდება, ხეობაში უმალ საშინელი ხმაური ისადგურებს, თვალს მიეფარება თუ არა მანქანა, ხმაც დაიგუდება ხოლმე.

ამ გზებზე საბჭოთა მანქანები დიდი სიჩქარით დაქრიან. განსაკუთრებით მაშინ, როცა განცალკევებით მოძრაობენ. თუმცა, მარტო მოძრაობას ყველა ერიდება და ეს ძალიან იშვიათად ხდება.

ჯავშანტრანსპორტიორის ლიუკის თავზე მძღოლის მხარეს ლეიტენანტი ტოლია პოლივოდა ზის. მეთაურის მხარეს – კაპიტანი გიგია ამირანაშვილი, უკან, დესანტის ლიუკზე კი ჩალმიანი ავღანელი არბობ ბობოდინი აღმართულა. სამივე ავტომატებით არის შეიარაღებული.

ჯავშანტრანსპორტიორი დაკლაკნილ მოსახვევში შევიდა და უეცრად მის წინ კლდეზე ყუმბარის აფეთქების ხმა გაისმა, მას უმალ ავტომატის ტყვიების ზუზუნი მოჰყვა. პოლივოდამ კეფაზე იტაცა ხელი და ლიუკში ჩაძვრა. ახლა კი თვალნათლივ დაინახეს გიგიამ და ავღანელმა ჩასაფრებული დუშმანები და ცეცხლი გახსნეს.

– Назад! Назад давай машину, Сурков! – ჩასძახა გიგიამ მძღოლს.

მანქანამ მაშინვე დაამუხრუჭა, ათიოდე მეტრით უკან დაიხია, კლდეს ამოეფარა და გაჩერდა.

ხეობის მოპირდაპირე მხარეს გიგიამ ყუმბარმტყორცნი შენიშნა, პოზიციიდან ბოლი ავარდა. თითქოს დრო შეჩერდა, გიგიას მზერა იმ წერტილზე მიეყინა, საიდანაც ჭურვი ლულას მოსწყდა. აშკარად ხედავდა, როგორ უახლოვდებოდა მანქანას თითქოს ზანტად მბრუნავი ტანკსაწინააღმდეგო ჭურვი.

უეცრად მანქანიდან ზამბარასავით ამოხტა გიგია და მიწაზე გაგორდა, არბობი კი, მანქანის ლიუკში გაუჩინარდა...

ყუმბარა სულ მცირე მანძილით ასცდა მანქანას, მის უკან კლდეში შეიჭრა და მოზრდილი ქვები ჩამოამტვრია.

გიგიამ არემარე შეათვალიერა, ადგილი შეიცვალა – გზისპირი ლოდებს ამოფარებულმა სწრაფად გადაირბინა და თხრილში ჩახტა. მანქანისკენ მიმართულ ყუმბარმტყორცნისკენ მოკლე ჯერი გაუშვა და დაინახა, როგორ მიიმალა ლულა ლოდს უკან...

– Так-то! – წამოიძახა კმაყოფილმა გიგიამ და კიდევ ერთხელ დაკვირვებით შეათვალიერა არემარე.

მოულოდნელად ჯავშანტრანსპორტიორი ადგილს მოსწყდა და გრუხუნით წინ წავიდა. გიგია უცებ ვერაფერს მიხვდა:

– Ээй! Стой! – დაიყვირა და ჰაერში გაუშვა ჯერი. ყვირილი და ავტომატის ხმა არავის გაუგია, მანქანა წინ მიიწევდა, მის გამონაბოლქვში ძლივსღა ჩანდა გიგიას სილუეტი. მიხვდა, რომ მანქანაში მსხდომებმა მისი გადმოხტომა ვერ შენიშნეს, მაგრამ რაღას იზამდა?!.. გიგია მარტო დარჩა! სწრაფად მიმოიხედა და მარჯვნივ დიდი ხრამი შენიშნა.

წამოხტა და სწრაფად გაიქცა ხრამისკენ. სულ ათიოდე ნაბიჯი იყო, ხუთი... ერთი... და ხრამში ჩახტა. ხრამი ღრმა იყო, ქვიშით დაფარული და გრილი. მიხვდა – ტყვიებისგან დაცული კი იქნებოდა, მაგრამ აქ გაჩერება არაფერს არგებდა: ავღანელი ცხენოსნების ყიჟინა ჯერ კიდევ შორიდან ისმოდა, ადგილი უნდა შეეცვალა... სირბილით აუყვა ხრამს ზევით. მოძრაობა უჭირდა.

ჩასაფრებულებმა გიგია ჯერ კიდევ მაშინ შენიშნეს, როცა მისი სროლის გამო, ხელიდან ჯავშანტრანსპორტიორი დაუსხლტათ. მანქანას ვერ დაეწეოდნენ, საფრიდან ცხენებით გამოვიდნენ და შეძახილებით, ხრამისკენ ჭენებით გამოემართნენ.

გიგია გუმანით გრძნობდა, რომ ავღანელები ხრამში არ ჩავიდოდნენ, გზის გადაჭრას ზემოდან ეცდებოდნენ. დევნილი ნადირის ჟინით შეპყრობილი გარბოდა... არა, უნდა აჯობოს, განა სხვა რაიმე გზა აქვს?!

ქვა-ღორღზე სირბილმა სახე მტვერით დაუფარა, გული ამოვარდნაზე ჰქონდა. ხრამის ჩამოშლილი ნაპირიდან ამოცოცდა და მიმოიხედა: ავღანელი ცხენოსნები კარგა გვარიანად წასულან წინ. მორჩა!.. ისევ ხრამში ჩავიდა და ქვიშაზე დაჯდა. უკან დაბრუნება სისულელეა – უეჭველად ჩაეტაკება მდევარი. წინ წასვლა კი სიკვდილის ტოლფასი იყო: ხუთი-ექვსი ცხენოსანი მაინც იქნებოდა – ღია ფერდობზე ვერც გაასწრებდა და ვერც შეებმებოდა – ვერ აჯობებდა... ისევ ხრამში დაიმალა: დაღამებამდე თუ მიატანდა, გამოსავალს უფრო იოლად გამონახავდა...

მდევარი ალბათ უკვე ზემოდან მიუყვებოდა ხრამს. სამალავის შერჩევას შეუდგა. ხრამში ერთ ადგილას რკალი იყო, წვიმას კედელი გამოერეცხა და იმას ამოეფარა.

მალე ფეხის ხმა მოესმა, კედელს აეკრა. მხარზე ავტომატგადაკიდებული ავღანელი გამოჩნდა, ხელში ხელყუმბარა ეჭირა. გიგიას სამალავს გაუსწორდა, ერთი ნაბიჯიც – და გიგიამ ავტომატი მიაბჯინა. ავღანელი მოულოდნელობისგან გაშეშდა, თვალები დაპრაწა და გაფითრდა. მერე შეტორტმანდა და თავის ხელყუმბარას დახედა.

– ჩშშ! – მარცხენა საჩვენებელი თითი ტუჩთან მიიტანა გიგიამ.

– აჰა! – თავი დაუქნია ავღანელმა.

გიგიამ უკან დაიხია და თითით ანიშნა – მომყევიო. ავღანელი მორჩილად გაჰყვა. გიგია საფარს აეკრა და ავღანელს დაწოლა უბრძანა.

უეცრად ავღანელს ზემოდან დაუძახეს. გიგიამ თვალები მოწკურა, თითი ტუჩზე მიიდო და უარყოფის ნიშნად, კვლავ თავი გააქნია.

– აჰა! – ისევ ჩქარ-ჩქარა დაუქნია თავი თანხმობის ნიშნად ავღანელმა.

მოულოდნელად გიგიას თავს ზემოდან ქვიშა ჩამოეშალა. ამით მყისიერად ისარგებლა მოწინააღმდეგემ – ხელყუმბარა ფეხებთან დაუგდო და ხრამის გაყოლებაზე თავქვე გაიქცა. გიგიამ საწინააღმდეგო მხარეს ორი ნაბიჯის გადადგმა მოასწრო და მიწას განერთხა.

როგორც კი აფეთქების ხმა გაისმა, გიგია წამოხტა და ხრამს სირბილით აუყვა. ზურგსა და ბარძაყზე სისველე იგრძნო. „დამჭრა, მაგისი...“ – გაიფიქრა და რამდენიმე წუთში დაეცა კიდეც. ბარძაყზე ხელი მიიდო, მერე დახედა და ნახა, რომ კუნთში თვითნაკეთი ხელყუმბარის ნამსხვრევი ჰქონდა გაჩრილი. დაფლეთილი შარვალი დაფხრიწა, თვალები დახუჭა, რკინის ნამსხვრევს თითები ჩაავლო და გამოიძრო. სისხლი თქრიალით წამოუვიდა, სიმწრის ოფლმა დაასხა. მკლავის

ჯიბიდან იოდი, ბამბა, ბინტი და პრომიდოლი ამოიღო. ნემსი მარჯვენა ფეხის კუნთში გაიკეთა, ბამბით ჭრილობა მოიწმინდა და შიგნით იოდი ჩაისხა. ტკივილისგან კინაღამ გრძნობა დაკარგა, თვალები აემღვრა, ტუჩი მოიკვნიტა და ბინტი მაგრად შემოიჭირა. მალე პრომიდოლმა იმოქმედა — ტკივილი გაუყუჩდა, მაგრამ ფეხი ლოდივით დაუმძიმდა.

გიგია ველარაფერს ფიქრობდა, ავტომატი მოემარჯვებინა და ნელ-ნელა წინ მიიწევდა. არ იცოდა, რა მოემოქმედებინა ან საერთოდ, რა ელოდა. მხოლოდ ინსტინქტურად მიაბიჯებდა და ქვიშაზე სისხლიან კვალს ტოვებდა.

ძალა ნელ-ნელა ეცლებოდა, ბორძიკობდა და ავტომატს ძლივსღა მიათრევდა. მთარიდან წყალი გადმოასხა და შუბლი დაისველა. ოდნავ გამოფხიზლდა, გზა განაგრძო, პირი მტვრითა და ქვიშით ჰქონდა გამოტენილი, სახეზე ოფლი და მტვერი აეზილა, წამწამებზეც მტვერი ედო. გონება ებინდებოდა და მუხლი ეკვეთებოდა...

ხრამის ფსკერიდან ბილიკი ზევით მიიწევდა და ისიც მალე ზედაპირზე ავიდა. უეცრად შეჩერდა, დაბინდული თვალები ცხენების ფლოქვებს მოჰკრა — მისგან სულ ათიოდე მეტრში, მხედრები იდგნენ, მოჯაჰედებს ჩალმების ბოლოები სახეზე აეფარებინათ, მხოლოდ თვალები უჩანდათ და გიგიას ზემოდან დასცქეროდნენ...

უაზროდ ჩააშტერდა მდევრებს — ექვსნი იყვნენ. მოწინავემ ლაგამი მოზიდა და ჩახლეჩილი ხმით წამოიყვირა რაღაც — ინტონაციაზე ეტყობოდა, შეიგინა.

„ალბათ თავში მესვრიან", — გაიფიქრა გიგიამ და ჟრუანტელმა დაუარა. გონებაში იმან გაჰკრა, რომ რატომღაც ის არ უნდოდა, მაინცდამაინც თავში რომ ესროლათ...

მოწინავემ ავტომატი მოიმარჯვა და გიგიას თავს ზემოთ ჯერი გაუშვა. გიგია პირდაპირ თვალებში უყურებდა, სროლის ხმა აღარც ესმოდა, თვალები ებინდებოდა... ავტომატის ღვედი ხელიდან გაუვარდა, რამდენიმე ნაბიჯი მექანიკურად გადადგა და ჩაიკეცა...

... 1975 წელი იყო. ალაზნის ველს „თეთრქუდიანი" კავკასიონი დაჰყურებდა, შუადღის პაპანაქება იდგა. მინდვრებში, ჭალებსა და ვენახებში ჭრიჭინების გაბმულ ხმას მიჰქონდა ყურთასმენა.

15 წლის გიგია და მოხუცი პაპამისი გუთანში შებმული ცხენით ხნავდნენ. ბიჭს გუთანი ეჭირა, ეტყობოდა უმძიმდა, მაგრამ არ ეპუებოდა. პაპა კოჭლობით მიჰყვებოდა ცხენს:

— ხომ არ დამეღალე, ბალღო? — გადახედა შვილიშვილს.

— არა, პაპი, მოვრჩეთ ბარემ, ამ სიცხის ჯიბრზე.

— აი, გავიდეთ, დავისვენოთ. აჩუ! — შეუძახა ცხენს პაპამ.

კვალი ბოლომდე გაიტანეს და ცხენი გუთნიდან გამოხსნეს.

მწვანე მოლზე ჩამოსხდნენ. ცხენი იქვე, საძოვრად გაუშვეს და კალათიდან საჭმელი ამოალაგეს. პაპამ ჭინჭილიდან ღვინო ჩამოასხა.

— ბალღო, ჩვენ ხომ ქართველები ვართ, ჰა?

— ჰო, მაშ! მერე, რატო მეკითხები, პაპი?

— ქართველი კაცი ვაზიდან მოდის, შვილო. ქართველი და ვაზი ერთია. სწორედ ვაზისგან არი, რომ ეგეთები ვართ, ქართველები რო ვართ.

— როგორები ვართ, პაპი?

— ეგეთები... როგორებიცა ვართ. ყველა ერი რაღაცით არის ბუნებასთან დაკავშირებული. ზოგი ცხვარ-ძროხით — მეჯოგეა, ზოგი სიმინდით, ზოგი ლობიოთი, ზოგიც რით და ზოგიც რით. ყველამ თავისი საქმე იცის. ჩვენ — ვენახით.

— მერე რა, რო ვენახით?

— ვაზს საგულდაგულო მოვლა უნდა, ბალღო. ჯიბრით კი არა — სიყვარულითა. ვაზო, შვილივით ნაზარდო — ხომ გაგიგონია! ძნელი მოსავლელია, დალოცვილი, ძნელი და ტკივილიანი. რაც ტკივილიან ამაგს ითხოვს, უფრო საყვარელიც არის. დაფასებაც იცის დალოცვილმა. ოღონდ, შრომა უნდა, შრომა და სიყვარული ერთია...

— შრომა ხომ ყველაფერს უნდა, პაპი?

— ჰო, ყველაფერს უნდა, შვილო, მაგრამ ჩემი საქმე ვენახია. ქართველი კაცი ვარ და ქართველის საქმე კიდევ ეგე — ეგ არი.

— მაშ, ყველა ქართველი მევენახე ხომ არ იქნება, პაპი?

— მაგას ვინ გეუბნება? შენ თუ გინდა, მეცნიერი გამოდი, მაგრამ ჯერ მევენახე უნდა იყო და მერე მეცნიერი. შენმა მეცნიერებამ ვენახის გარშემო უნდა იტრიალოს. მაგისთვის უნდა იღვაწო, ვაზის გარშემო უნდა ტრიალებდე. შენ გინდა, რომ ქართველ კაცად დარჩე?

— როგორ არა! — თითქოს განაწყენდა კიდეც ამ შეკითხვის გამო ბიჭი.

— ჰოდა, ეგე ვენახი და ეგე გუთანი.

— პაპი, რუსი რითია ბუნებასთან?

პაპამ მოჭუტული თვალებით შეხედა შვილიშვილს:

— ყველას ვერ გაუგებ. შენ შენი უნდა იცოდე.

— ალბათ, ნამგლითა და ურითი, — მრავალმნიშვნელოვნად დაასკვნა ბავშვმა თვითონვე.

— ცხოვრებას დიდი დაკვირვება უნდა, ბალღო. შენ ჯერ პატარა ხარ, ეგე ვენახამდე მამიყვანიხარ, შენი პაპის პაპისა და კიდევ იმისი პაპების იქით საქმემდე. მოდი, იმათი სახსენებელი არ მოშლილიყოს, ჩვენ კარგად ვიყოთ!

— გაგიმარჯოს!

პაპამ ღვინო დალია:

— შენც ხომ არ დალევდი, პაპი? — შეეკითხა ბიჭს.

— უუჰ! — აიმრიზა გიგია.

— რა ვი, კაცობაზე კი დაგიდვია თავი და...

— არაფერზეც არ დამიდვია!.. — გაბრაზდა ბიჭი.

პაპა იმას გულისხმობდა, ამ დღეებში ნინიკოს გულისთვის, გიგიას ცხვირი რომ დაუნაყეს. გიგიამ ახლაც არ იცოდა, საიდან გაიგო მოხუცმა ეს ამბავი: თუმცა, არც ავად, არც კარგად, არაფერი უთქვამს: შენი საქმისა შენ იციო — და მორჩა.

... ნინიკო ლამაზი, შავგვრემანი გოგონა იყო, სკოლაში გამორჩეული. იმ დღეს, გაკვეთილების შემდეგ, სკოლის ეზოში ბიჭებთან ერთად შეყოვნებულ გიგიას დაუძახა. ბიჭს ნინიკოს ძახილი არც გაუგია — ამხანაგებმა მიახედეს:

— დედოფალი გეძახის, ე!

გიგიამ ნინიკოსკენ მიიხედა და შეუძახა:

— ჰო!

— ცოტა ხანს მოდი, — დაუქნია ხელი გოგომ.

— ახლავე, — მიუგო ნინიკოს და ბიჭებს მიუბრუნდა: — ვნახავ ერთი...

— ჰო, ნახე, ნახე, — დამცინავად უპასუხეს ბიჭებმა, — შენმა მზემ, დღეს ჯერ არ გინახავს...

ნინიკო და გიგია პირველი დღიდან ერთ მერხზე ისხდნენ, ამიტომაც დასცინოდნენ ხოლმე ბიჭები. გიგია ისე მოაჩვენებდა თავს, თითქოს ბრაზდებოდა, თორემ სულაც არ სწყინდა...

— ენა ჩაიგდეთ! — ერთი შეუღრინა ახარხარებულ ბიჭებს და ნინიკოს მიუახლოვდა:

— ჰო!

— გვიან წამოხვალ? — ჰკითხა ნინიკომ.

— რა არი, რო?

— არაფერი, საქმე მქონდა.

— როცა გინდა, წამოვალ. რა მოხდა?

— გზაში გეტყვი, — თითქოს განაწყენდა ნინო.

— კარგი, წავიდეთ, — გიგია ბიჭებს მიუბრუნდა: — ჩვენ წავედით, — შესძახა და გოგონას გაჰყვა.

ეზოდან გამოვიდნენ.

— აბა, მითხარი, — შეაგულიანა გიგიამ ნინო.

— არაფერი, გიგია, უბრალოდ, გამაცილე.

გიგიამ წიგნების ჩანთა იღლიაში ამოიჩარა, ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და უთხრა:

— კარგი, გაგაცილებ.

სკოლიდან სულ რამდენიმე წუთის გა-

მოსულები იყვნენ. გზად დათო მეზვრიშვილი და მისი აჩრდილი — აყლაყუდა თამაზა რომ შეხვდათ. ორივენი ასაკით უფროსები იყვნენ, სკოლა შარშან ჰქონდათ დამთავრებული.

— გიგიას გაუმარჯოს! — მიესალმნენ ბიჭები.

— გაუმარჯოს ბიჭებს!

თამაზამ მხარზე ხელი დაადო გიგიას და ოდნავ გვერდით გაიყვანა:

— გიგი, მოიცა, საქმე მაქვს შენთან.

— ჰო, — უპასუხა გიგიამ და შეჩერდა.

შეჩერდა ნინოც, ძალაუნებურად დათოც ერთ ადგილზე გაიყინა.

— ახლავე მოვალთ, ნინუც! — მაჯაზე წაავლო ხელი თამაზამ გიგიას და გაყვანა დაუპირა.

გიგია მიხვდა, რატომაც სთხოვა ნინიკომ გაცილება — არ უნდოდა მარტო შეჰყოლოდა ბიჭებს, მაგრამ ახლა მოერიდა თამაზასთვის ეთქვა — აქვე, ნინოს თანდასწრებით მითხარი, რა გინდაო, და ამიტომაც გაჰყვა.

იქვე, გზაჯვარედინთან გადაუხვიეს. სახლებს გვერდი აუქციეს, ფერდობზე მორაკრაკე რუსთან მივიდნენ და გიგიაც გაჩერდა. აქ ყველაფერი ისე შეეძლო ეთქვა აყლაყუდა თამაზას, რომ გიგიას მეტი ვერავინ გაიგებდა, შორს წასვლა საჭირო აღარ იყო.

— გამო, ცოტაც, პატარა რაღაც საქმე მაქ — ხომ იცი, ბიჭები ვართ... — არ მოეშვა თამაზა.

— რა საქმეა, აქვე მითხარი! — ფეხი აითრია გიგიამ.

— არაფერი ისეთი, გამო, კაცო, ხომ არაფერს გერჩი.

— რას უნდა მერჩოდე, ჰა?! — რამდენიმე ნაბიჯი ისევ გადადგა გიგიამ.

სკოლის ჭიშკართან ნინიკო და დათო დარჩნენ. ნინო ძველ, ჭრიალა ჭიშკარს თვალს არ აშორებდა და აშკარად ღელავდა.

— სახლში მიდიოდი უკვე, ნინო? — ვითომ არ იცოდა, ისე ჰკითხა დათომ.

— ჰო, — უპასუხა გოგონამ.

— წამო, ვიაროთ, ცოტაზე გაგაცილებ, — შესთავაზა ყმაწვილმა.

— გიგიას დაველოდები.

— გიგია დაგვეწევა, — დათოს საუბარში თხოვნაც ჟღერდა და დაჟინებაც.

ნინომ დუმილით უპასუხა და შუბლზე ჩამოყრილი თმა ყურებზე გადაიწია.

— საცაა სკოლას ამთავრებ, არა?

— ჰო, ვამთავრებ, ორი წლის მერე.

— მერე საით?

— არ ვიცი.

— უკვე დიდი გოგო ხარ, ალბათ დროა, იცოდე.

ნინიკო კვლავ დუმდა და მოუსვენრად იყურებოდა გზაჯვარედინისკენ.

— წამოდი, ნელა ვიაროთ, უხერხულია, გარეთ ვდგავართ, — არ ეშვებოდა დათო.

— გიგიას ვუცდი, — ჯიუტად დაბერა ტუჩები.

— არსად დაგეკარგება ეგ შენი გიგია! — დათოს ხმაში სიბრაზემ გაიჟღერა.

— ვიცი, — მშვიდად უპასუხა ნინომ.

ამასობაში აყლაყუდა თამაზამ გიგიასთან „პატარა რაღაც საქმე“ ვერ გამონახა და სულ უფრო უჭირდა მისი შეყოლიება.

— ჰა, თქვი, რისთვის წამომიყვანე, რა საქმე გაქვს?

— ეს ვინა ყოფილა, კაცო! — ვერ მიხვდა გიგიას მიუხვედრელობის მიზეზს თამაზა: — ბიჭები არა ვართ? დააცა, ერთი სიტყვა უთხრას — იქ ხომ არ ჩაეჩხირები!

— მე არავის არ ვეჩხირები! — გაიწია გიგიამ.

— დაიცა, ბიჭო! — მკლავზე წაავლო ხელი თამაზამ.

გიგია გაუძალიანდა, თამაზაც დაეჯაჯგურა, გიგიას ჩანთა რუში ჩაუვარდა, გაგულისდა და თამაზას დაეტაკა:

— ხელი გამიშვი!

— ეს რა გულზეა, ბიჭო! — ამდენს აღარ ელოდა თამაზა და მხარში ჩაარტყა. გიგია კვლავ დაეძგერა, თამაზამ არც აცია, არც აცხელა და ალიყური შემოჰკრა. გაცოფებული გიგია გამეტებით დაეტაკა, მაგრამ ამაოდ — ამჯერად თამაზამ ცხვირში მოახვედრა მუშტი. გიგია წაბორძიკდა და წაიქცა, მაგრამ ისევ წამოხტა და ისევ მისკენ გაექანა. ისევ მიიღო დარტყმა — ახლა უკვე ყბაში და ისევ წაიქცა. ადგა, ცხვირიდან სისხლი მოსდიოდა და პერანგიც ესვრებოდა. მუშტები მოიმარჯვა:

— ახლა კი... — უწმაწურად შეაგინა მეტოქე.

— გიჟი ხომ არა ხარ, ბალღო?! — შეაცბუნა ბიჭის გაჯიქებამ აყლაყუდა თამაზა.

— ახლა გიჩვენებ სეირს! — დაიქადნა გიგიამ და გაექანა.

შორიახლოს მდგარი სახლის აივნიდან ქალმა გადმოიხედა და მაშინვე ყვირილი ატეხა:

— უშველეთ, მოკლა ბალღი ამ ვერანამ! რასა სჩადიხარ, ბიჭო, ჰა!

თამაზამ უკან-უკან იწყო სვლა. გიგიას თავი დაეღუნა და შუბლის ქვემოდან უყურებდა თამაზას. უმისამართოდ იქნევდა მუშტებს და არეული ნაბიჯით უახლოვდებოდა აყლაყუდას. თამაზა გრძელი ხელებით აკავებდა გიგიას, მერე ვეღარ შეძლო, შებრუნდა და გაიქცა. დათოს და ნინოს რომ გაუსწორდა, შეუჩერებლად მიაყარა:

— ვერ გავაჩერე, ეგ შობელძაღლი, გიჟია ვიღაცაა!

ნინიკოსთან მიახლოებულმა გიგიამ ცხვირსახოცი ამოიღო და სისხლის მოწმენდა სცადა, უფრო მეტად გაიდღაბნა. გიგიას შემხედვარე ნინო შიშისგან აწრიპინდა:

— ვაიმე, დედიკო, ვაიმე დედიკო!

— კარგი, ჩვენ წავედითო, — უაზროდ მიუგდო გიგიას დათომ.

... დიდხანს იბანა ცხვირი ონკანის წყლით გიგიამ. დროდადრო ხელს მოიკიდებდა — ეს რამხელა გამხდარაო, ამბობდა.

ნინოს ხელში თავისი და გიგიას ჩანთები ეჭირა და სიცილით კვდებოდა.

— ეგ იყო შენი საქმე? — ჰკითხა გიგიამ.

— მე რა ვიცოდი, თუ ასე... — ცხვირზე მოიკიდა ხელი ნინომ.

— ეგ არაფერი. ამანაც გააკეთა თავისი საქმე!.. რაო, იმან, რა მინდაო?

— ისე... რაღაცები ილაპარაკა, — მხრები აიჩეჩა ნინომ.

— მაგარი ბიჭი ვარო? ვნახოთ... ვინ უფრო მაგარია.

იმ დღიდან პირველად შეხედა გიგიამ თავის თავს „სერიოზულად“. ისიც აღმოაჩინა, რომ ნინოსთან მისი ურთიერთობა რაღაც სხვა საფეხურზე ავიდა...

ნინიკოს სახლს რომ მიუახლოვდნენ, გოგონა შეჩერდა. მიმოიხედა, ბიჭს ცხვირზე აკოცა და სწრაფად გაეცალა.

მათ არ შეუნიშნავთ, როგორ უთვალთვალებდნენ მეორე სართულის ფარდაგაწეული ფანჯრიდან. ნინო სახლში შევიდა და ფარდაც ფანჯარას მთლიანად გადაეფარა...

მეორე დღიდან გიგიამ შეამჩნია, რომ ძალიან ლამაზად, ძალიან სხვანაირად უხაროდა გულს ძველი თანაკლასელის დანახვა.

გაგრძელება იქნება



Mercedes-ის სიუჰჰიზები

ერთი შეხედვით, „მერსედეს-ბენ-ცის“ საყოველთაო პოპულარობა საშუალებას აძლევს კომპანიას, ზედ-მეტად არ იზრუნოს ახალ-ახალი მოდელების შექმნაზე, მაგრამ ასე არ ფიქრობენ თვით ავტოგიგანტის მესვეურები. ამიტომაც შტუტგარ-ტელმა ჯადოქრებმა C კლასის კიდევ ორი მოდიფიკაცია შექმნეს – სპორტ-კუპე (სამკარიანი და ოთხკარიანი) და უნივერსალი. „დაიმლერ-კრაისლერის“ მარკე-ტოლოგები აღნიშნავენ, რომ სხვა-დასხვა ქვეყანაში სულ უფრო იზრდება სპორტული სტილისა და წარმომადგენლობითი კლასის ლიმუზინის კომფორტის ნაზავის მოყვარულთა რიგები. ახალ სპორტ-კუპესა და უნივერსალში „მერ-სედესულ“ კომფორტსა და უსა-ფრთხოებას უკანასკნელი ტექნი-კური სიახლეები ერწყმის. სტან-დარტულ კომპლექტაციაში კი, მათ ყველაზე ძვირფასი მოდელების ატრიბუტიკა ახლავს. განსაკუთრე-ბით მიმზიდველია გამჭვირვალე მოძრავი სახურავი და გადაცემათა ექვსსაფეხურიანი კოლოფი – SE-QUENTRONIC, რომელზეც ამბობენ – ნამდვილი ზღაპარიაო. ■

Citroen-ის ახალი ფლაგმანი

კომპანია „სიტროენმა“ ორ ახალ მოდელზე დაამთავრა მუშაობა. ეს-ენია XSARA და C5, რომელიც თან-დათან XANTIA-ს ადგილს დაიკავებს და საბოლოოდ, კომპანიის ფლაგ-მანს – XM-ს შეცვლის.

ძირითადი ცვლილებები XSARA-ში ექსტერიერმა განიცადა: მან-ქანისთვის შეიქმნა ახალი ძარა, რადიატორის გისოსი და გაზრდილი, მოგრძო სანათები. ახლა მისი ბამ-პერები ძარისავე ფერისაა. ბორბლებ-ის სტანდარტული ზომაც გაიზარ-და – 15 დუიმიანი გახდა. საბაზო კომპლექტაციაში შევა ABS-ი, უსა-ფრთხოების წინა და გვერდითი ბალიშები და კონდიციონერი. ე.წ. ოფციათა ნაკრებში გაერთიანებუ-ლი იქნება თანამგზავრული სანავი-გაციო სისტემა, ჩამონტაჟებული ტელეფონი და კომპიუტერი. მან-ქანისთვის შეიქმნა ორი ახალი ძრავა: 1,6 ლიტრიანი 16 სარქვლიანი, 110 ცხ. ძალიანი აგრეგატი 1,6-1,8 ლიტრიანს შეცვლის, 2,0 ლიტრი-ანი კი, 137 ცხ. ძალამდე გაძლიერ-დება. დიზელის ძრავები 1,9 ლიტრი მოცულობისაა (71 ცხ. ძ.) და 2,0 ლიტრიანი (90 ცხ. ძ.) იქნება.

როგორც ამბობენ, C5 მოხერხებ-ულობისა და ტევადი მანქანების მოყვარული ადამიანებისთვის განკუთვნილი ავტომობილია: ის თავის კლასში ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოცულობის სალონით გამ-ოირჩევა. აკეცილი უკანა სავარ-ძლების მდგომარეობაში მისი ტე-ვადობა 1658 ლიტრს აღწევს, რაც მხოლოდ 42 ლიტრით ჩამოუვარდ-ება ამ პარამეტრით 2001 წლის ლიდერს – უნივერსალ FORD MONDEO-ს. გარდა ამისა, C5 აღ-ჭურვილია საინტერესო სიახლეე-ბით: მას აქვს სპეციამომრთველი, რომ-ლის მეშვეობითაც, დიდი და-ტვირთვის დროს ძარის უკანა ნაწ-ილის აწევა შეიძლება, საბარგულის ფანჯარა კი ცალკე იღება – იმ შემთხვევაში, თუ სადგომზე სივი-წროვის გამო, კარის გაღება ვერ ხერხდება, დაბოლოს – გადაცემათა გადართვის ბერკეტი ავტომობილს საჭეზეც აქვს და სავარძლებს შორისაც. ■

Mitsubishi-ს „ყველგანმავალი"

მას ყველაზე არაორდინარულ იაპონურ „ყველგანმავალს" უწოდებენ. და კიდევ – MITSUBISHI RPM-7000-ს ბორბლებზე შემდგარ ნამდვილ ავანტიურად რაცხენ, ძირითადად იმიტომ, რომ ის სამი მოდელის – რალი-რეიდებისთვის განკუთვნილი უმაღლესი კატეგორიის სპორტ-პროტოტიპის, სამგზის მსოფლიო ჩემპიონის – ტომი მიაკინენის LANCER EVOLUTION-ისა და სპორტული სედანის თავისებურ ნაზავს წარმოადგენს. ამას ემატება ფორმულა-1-ის ბოლიდებისთვის დამახასიათებელი ცხვირი და მთლიანად წინა ნაწილი.

კონსტრუქციულად, ავტომობილი უპრეცედენტოა: ექვსსაფეხურიანი გადაცემათა მექანიკური კოლოფი, 3 დისკოიანი ნახშირპლასტიკის მოჭიდვის სისტემა და 4 ცილინდრიანი 2,0 ლიტრიანი ძრავა აქვს, რომელიც 315 ცხ. ძალას ავითარებს. მანქანის ბამპერი, ფრთები, კაპოტი კარბონისგან არის დამზადებული. ავტომობილი აღჭურვილია უსაფრთხოების დამატებით საშუალებათა სრული კომპლექტით – მილისებური კარკასით დაწყებული, ელექტროკვების ავარიული გამორთვისა და ავტომატური საბორტო ცეცხლსაქრობი სისტემით დამთავრებული. ბუნებრივია, მანქანაში არის CD-პლეერი, კონდიციონერი და სრული ელექტროპაკეტი.

„მიცუბისი" ოთხადგილიანია. უკანა სავარძლებისა და უკანა მინის (სახურავის ნაწილთან ერთად) მოხსნის შემთხვევაში, ჯიპი პიკაპად გადაიქცევა. თავდაპირველად ფირმა ამ ავტომობილის მცირე პარტიებად გამოშვებას აპირებს. ■

Passat-ის ბოლო მოდიფიკაცია

„ფოლკსვაგენის" მოყვარულთ, განსაკუთრებით ამ მარკის ამერიკელ თაყვანისმცემლებს გულგრილს არ დატოვებს ახალი PASSAT VB, რომლის მასობრივი წარმოება უკვე მომავალი წლის პირველ კვარტალში დაიწყება. კომპანიის მესვეურთა გეგმების თანახმად, ე.წ. საშუალო კლასის ეს მანქანა უპირველესად, აშშ-ის ბაზრისთვის არის განკუთვნილი. ახალი „ფოლკსვაგენი" 4 ლიტრიანი, 275 ცხ. ძალიანი ძრავით არის აღჭურვილი, სრულამძრავიანია და 6 საფეხურიანი მექანიკური გადაცემათა კოლოფი აქვს.

ევროპაში „ფოლკსვაგენის" წარმომადგენლის იენს ნოიმენის თქმით, ამერიკაში ამ ავტომობილის გამოჩენამ ამ ქვეყანაში „აუდისა" და „ბე-ემ-ვეს" პოზიციები შეიძლება შეარყიოს. თუმცა იმასაც დასძენს, რომ V8 სულაც არ წარმოადგენს კომპანიის შესაძლებლობათა ზღვარს: ეს მოდელი 2002 წელსვე V12 ძრავითაც გამოჩნდება, რომლის სიმძლავრე 412 ცხ. ძალას მიაღწევს. ასეთი ავტომობილი თავისუფლად „აწევს" 320 კმ/სთ სიჩქარეს – რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუ ამაში გზის საფარი შეუწყობს ხელს. ■

Nissan-ის ჯიპი

იაპონური კომპანია 2 ახალ მოდელს ამზადებს, რომელიც პირველად პარიზის შარშანდელ ავტოსალონზე წარმოადგინა. ესენია „ყველგანმავალი" X-TRAIL და სედანი FUSION.

კომპაქტური, სრულამძრავიანი X-TRAIL ტიპური ჯიპის შესაძლებლობებსა და ყოველდღიური ავტომანქანის კომფორტულობას აერთიანებს, ამასთან, მასში აქცენტი უსაფრთხოების გაძლიერებაზეა გაკეთებული. ეს მანქანა მასობრივ წარმოებაში უკვე წლეულს ჩაეშვება. რაც შეეხება FUSION-ს, ეს 2002 წლის NISSAN PRIMERA-ს წინამორბედი იქნება, რომელზეც კომპანია ევროპის ბაზარზე თავისი მომავალი წარმატების იმედს ამყარებს. ■



როცა ოპერისა და ბალეტის თეატრში მისი სპექტაკლები მიდიოდა, შენობას წესრიგის დამცველთა ცხენოსანი რაზმი ერტყა გარს. ბილეთებს „ცეკა“ ანაწილებდა. თეატრს ზღვად მიმწყდარი უამრავი ადამიანი ამაოდ ცდილობდა სპექტაკლზე შეღწევას. ამ დროს კი დარბაზში, ტაშის ქარიშხალში, სცენაზე დაფრინავდა ვახტანგ ჭაბუკიანი. დიახ, დაფრინავდა... ვისაც მისი ნახტომი უნახავს, მისი სხეულის პლასტიკა აღუქვამს, მიხვდება, რომ ეს სიტყვა გაზვიადებული არ არის.

„რასაც შეეხო, ყველაფერი გზნებით დამუხტა“

ლელა ჯიყამვილი

ვახტანგ ჭაბუკიანი წარმოუდგენელ სიღრმესა და სიმაღლეს მისწვდა საბალეტო ხელოვნებაში. მისი გასტროლები გრიგალივით გადაუვლიდა ხოლმე ევროპას თუ ამერიკას. იმ დროს ყველა მხოლოდ ერთ საკითხზე ლაპარაკობდა, გაზეთები ერთ თემაზე წერდნენ: მან შტურმით აიღო ნიუ-იორკი, გააოგნა იაპონია, აღაფრთოვანა ევროპა. ცნობილი ინგლისელი მწერალი ქალი, ბალეტის მკვლევარი აირის მორლი წერდა: „ამ არაჩვეულებრივი და შესანიშნავი მოცეკვავის აღწერისას ისეთსავე სირთულეს განიცდი, როგორც ქარბორბალას აღწერის ცდისას. იგი იპყრობს მთელ სცენას, ეძლევა მშვენიერ სიშმაგეს, ზოგჯერ იმდენად სტიქიურს, რომ გაოგნებულ მყურებელს ისღა დარჩენია, უცქიროს თითქოს როდენის ხელით გამოქანდაკებულ სხეულს, დაინახოს კავკასიის კლდის ქიმზე ჩამომჯდარი არწივი ანდა უფლისწულის გმირული ფიგურა. ჭაბუკიანს ყველაფრის ცეკვა ხელეწიფება... იგი ერთდროულადაა ლენინგრადის ყველა ტრადიციის მემკვიდრე, უდიდესი კლასიკური მოცეკვავე და თავისი მშობელი საქართველოს უდიდესი ფოლკლორის განსხეულებაც... დიდი მოცეკვავე ასევე დიდი ბალეტმეისტერია, რასაც შეეხო, ყველაფერი გზნებით დამუხტა“.

არადა, ბალეტში მისი მოსვლა თითქოს ერთმა შემთხვევამ განაპირობა. იგი საკმაოდ ღარიბ ოჯახში 1910 წლის 27 თებერვალს დაიბადა. მის მშობლებს ხელოვნებასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდათ, არც იმის საშუალება, თავიანთი რვა შვილი თეატრში ეტარებინათ. მამა მუშა იყო – ხურო, ხოლო დედა კერვით შოულობდა ლუკმაპურს. შვილები სწავლობდნენ და თანაც შრომობდნენ. ვახტანგ ჭაბუკიანი საოსტატო-სამხატვრო სახელოსნოში მიაბარეს მადამ შევალიესთან, სადაც, სხვა შეგირდებთან ერთად, კალათებს, ფეხსაცმელს წნავდა და საზაფხულო ავეჯის შეკეთებაზეც კი მუშაობდა... საბალეტო სტუდიაში კი ბედნიერმა შემთხვევამ მიიყვანა: როგორც შიკრიკმა, მოწნული კალათებით საახალწლო საჩუქრები მიიტანა სტუდიაში. იქ ბავშვებს ასწავლიდა ყოფილი ბალერინა, შესანიშნავი პედაგოგი მარია პერინი. მან ნება დართო პატარა შიკრიკს, საბავშვო ზეიმზე დარჩენილიყო. ცეკვებმა, მხიარულებამ, მუსიკამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ვახტანგ ჭაბუკიანზე... ბატონი დოდო ალექსიძე, რომელიც იუმორის დიდი ნიჭით იყო დავლილდოებული და იმ პერიოდში პერინის სტუდიაში ირიცხებოდა, ხუმრობდა: ჭაბუკიანმა ჩემი ცეკვა რომ ნახა, ისე აღფრთოვანდა, ნეტა მეც ასე შემეძლოსო, ინატრაო...

ჭაბუკიანმა კი საკუთარ თავს მიაგნო, ვჯერ უბრალოდ, ყმაწვილური აღტაცებით, გაუცნობიერებლად, დაიწყო ცეკვა... ბოლოს ამ საქმეს დაუკავშირდა მისი ოცნება, ფიქრი, მთელი არსება. მარია პერინიც მიხვდა, რომ ეს ბიჭუნა შეფარული დიდი ტალანტის მატარებელი იყო. 13 წლისა მიიღო სტუდიაში (როცა 5-6 წლის ბავშვებს იღებდნენ ხოლმე) და უფასოდ ამეცადინებდა. 15 წლის ჭაბუკიანი უკვე თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სტაჟიორი იყო.

საკუთარი ხელოვნება ლენინგრადში სრულყო: სამამულო ომამდე იქ მოღვაწეობდა... გასტროლებზე თბილისშიც კი იყო ერთხელ. ომის დროს კი, საბოლოოდ დაბრუნდა. ამბობენ, იმ წლებში, ღამით შუქის ანთება რომ არ შეიძლებოდა, ოპერის თეატრში „ლამპის შუქზე“ იდგმებოდა და მიმდინარეობდა მისი სპექტაკლები...

ერთხელ ახალგაზრდა თეატრმცოდნემ, ეთერ გუგუშვილმა „მსუბუქად კრიტიკული“ წერილი მიუძღვნა ვახტანგ ჭაბუკიანს სპექტაკლის – „მძინარე მზეთუნახავის“ გამო. წერილი გაზეთში გამოქვეყნდა. ამის შემდეგ შემთხვევით შეხვდნენ ქუჩაში ერთმანეთს... უკმაყოფილო ვახტანგ ჭაბუკიანს უთქვამს: „Этери! Вы знаете, я прочёл вашу статью и понял, что вы ничего не понимаете в балете...“ რამდენიმე დღის შემდეგ, თეატრთან მიმავალმა ქალბატონმა ეთერმა, ისევ დაინახა ვახტანგ ჭაბუკიანი... შეწუხდა, იფიქრა – განაწყენებული, ალბათ ისევ საყვედურს მეტყვისო, სად წასულიყო, აღარ იცოდა და უცებ... ხალისიანმა, მხიარულმა ჭაბუკიანმა შორიდანვე დაუძახა: О, Этери!.. მიუახლოვდა და ძალიან თბილად გადაეხვია... გავიდა დრო. თეატრში „ოტელო“ დაიდგა. გაზეთში ისევ გუგუშვილის რეცენზია დაიბეჭდა. თვალზე სიხარულის ცრემლებმომდგარი დიდი ხელოვანი გულაჩუყებული იყო: Дорогая Этери! Знаете, то, что вы написали, самое лучшее, что когда-нибудь писали обо мне... მის რეცენზენტს ღიმილით უპასუხ-

„ოტელოს“ როლში

ია: Да, это писала Этери, которая ничего не понимает в балете...

ჭაბუკიანის „ოტელო“ მართლაც სასწაული იყო. იმ დროს, როცა დრამატულ თეატრებში ანშლაგით მიდიოდა შექსპირის „ოტელოც“ და „ჰამლეტიც“, ვერიკო ანჯაფარიძე ჭაბუკიანის მავრის ნახვის შემდეგ გულწრფელად აღიარებდა: ასეთი შეყვარებული ოტელო სიცოცხლეში არ მინახავსო. აკაკი ხორავა, თავადაც ოტელოს უბადლო შემსრულებელი, წერდა: „უკვე რამდენიმე დღეა, შთაბეჭდილების ტყვეობაში ვარ... დიახ, ოტელო ასობით წარმოდგენაში მითამაშია, რომლის ტანჯვა-წამება, სიყვარული განმიცდია ყოველ სპექტაკლში, მაგრამ ჭაბუკიანის ოტელომ სულ სხვაგვარად განმაცდევინა ოტელოს სიხარული თუ მწუხარება, სევდა თუ ტრაგიზმი... მისი ოტელო მართლაც რომ შექსპირულია“. როცა ლოურენს ოლივიეს ჰკითხეს — ვინ ჩასწვდა შექსპირის ნამდვილ სულსო, გამოჩენილ ინგლისელს უპასუხია: მავრის ნამდვილი სახე ჭაბუკიანმა გახსნაო.

ვახტანგ ჭაბუკიანს, ისევე, როგორც ბევრ ხელოვანს, მძიმე ხასიათი ჰქონია. როგორც ჩანს, მას საკმაოდ ეძნელებოდა ჩვეულებრივი, ყოფითი ურთიერთობები. ბატონმა კოტე მახარაძემ გაიხსენა ერთხელ: როცა ჭაბუკიანზე დოკუმენტურ ფილმს ვიღებდით, მივმართეთ რამდენიმე ხელოვანს, რომლის მოგონებები ჭაბუკიანზე გამოცემულ წიგნში იყო დაბეჭდილი, კინოკამერის წინ გაემეორებინათ. არ დაგვთანხმდნენ, ერთ-ერთს ისიც უთქვამს — Что я написал и того хватит-ო... ეს ყველაფერი მისი რთული ხასიათიდან გამომდინარეობდა, თორემ მისი, როგორც ხელოვანის ბრწყინვალებას, ვინ უარყოფდა?! აკი დიდ თეატრში იუბილეც გადაუხადეს, რაც ესოდენ იშვიათია იმ შემოქმედისთვის, ვინც რუსი არ არის, და იმავე დროს კი სხვა რესპუბლიკის თეატრში მოღვაწეობს...

დიახ, მასთან ურთიერთობა საკმაოდ რთული იყო, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ კეთილი გული არ ჰქონდა... როცა ოპერისა და ბალეტის თეატრის ყოფილი პრიმა-ბალერინა, უცხოელის სიყვარულის გამო დევნილი — ქეთევან ნადარეიშვილი გადასახლებიდან დაბრუნდა, ჭაბუკიანმა უყოყმანოდ გაუწოდა დახმარების ხელი. თეატრში სიარულის ნება დართო, საცეკვაო ფორმის აღდგენაში ეხმარებოდა... ორი თვის ხელფასიც კი ააღებინა ზედმეტად, რითაც ქალბატონმა ქეთევანმა პალტო შეიძინა, რომელიც ძალიან სჭირდებოდა მის გარდერობს. ამით, რა თქმა უნდა, თავს საფრთხეში იგდებდა ჭაბუკიანი — „ხალხის მტერს“ მოყვარედ აღიარებდა...

ვინ იცის... იქნებ უყვარდა კიდეც ვინმე... მაგრამ მარტო ცხოვრობდა. მხოლოდ ძალიან ახალგაზრდას, ლენინგრადში ყოფნის დროს ჰყოლია მეუღლე, რომელსაც დაშორებია... შვილივით უყვარდა ძმისშვილი — სახელოვანი ბალერინა ეთერ ჭაბუკიანი — მომხიბლავი, ნიჭიერი მოცეკვავე. ამ ახალგაზრდა ქალბატონის მოულოდნელმა, ტრაგიკულმა სიკვდილმა, სიცოცხლე გაუნახევრა ვახტანგ ჭაბუკიანს. მოკლე ხანში შეიცვალა, მოტყდა, სასო წარეკვეთა. მისი ეს დიდი ტკივილი, კიდევ ერთი ტკივილის მიყენების საბაბად იქცა: შეავიწროვეს, როგორც ხელოვანიც...

პოეტის სტრიქონები გაახსენდება კაცს:

„ღმერთი და ღმერთივით კაცები
სად და ვის ჰყვარებია, მორის...“

რა ჭუჭყი აღარ მოსცხეს, რა არ დააბრალეს. საოცარია, მაგრამ ფაქტია: ოპერის თეატრის დაწვასაც ვახტანგ ჭაბუკიანს აბრალებდნენ. ამის გამო კრებაც კი მოუწვევიათ თეატრში... ქალბატონი ეთერ გუგუშვილი იხსენებს, როგორ დაკარგა წონასწორობა ჭაბუკიანისადმი წაყენებული იმ უსაფუძვლო ბრალდების გამო, როგორ ურტყამდა მუშტს მაგიდას, როცა დიდი მაესტროს დასაცავად სიტყვას ამბობდა...

და მაშინ, სულ ორ კაცს დაუცავს ვახტანგ ჭაბუკიანი... კაცი, რომელმაც საქართველოს ბალეტს სახელი გაუთქვა მსოფლიოში. კოტე მარჯანიშვილს ჭაბუკიანზე უთქვამს: მისი ყოველი მოძრაობა მუსიკაა... პროფესიონალები აღიარებენ, რომ მისმა შემოქმედებამ მსოფლიო ბალეტის განვითარებას უცვალა გეზი...

დახვეწილი შემოქმედი, დიდი მოცეკვავე, დაუღალავი პედაგოგიც იყო. მთელი არსებით ემსახურებოდა ამ საქმეს. აღსანიშნავი ფაქტია: თეატრალური საზოგადოების პლენუმი უნდა დაწყებულიყო. დარბაზი სავსე იყო, „ცეკას“ წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, სხდომა კი არ იწყებოდა. როცა მიზეზი იკითხეს — ჭაბუკიანს ველოდებითო, უთქვამთ. იქნებ არ იცის, ან არ მოდის ჭაბუკიანიო? როგორ არ იცისო, მაგრამ როცა უთქვამთ, ამა და ამ დროს პლენუმია დანიშნულიო, გულწრფელად გაჰკვირვებია: პლენუმის გულისთვის რეპეტიციას ხომ არ ჩავშლიო! რეპეტიციას ატარებდა და მხოლოდ მისი დამთავრების შემდეგ წავიდა პლენუმზე.

საოცარია, რომ ასეთ პედაგოგს ათჭევინეს: თუ საბალეტო სტუდიიდან გამიშვებთ, თეატრის წინ თავს ჩამოვიხრჩობო...

დღემდე საქართველოში ჭაბუკიანის მხოლოდ მემორიალური დაფა არსებობდა, არადა მისი გარდაცვალებიდან უკვე 9 წელი გავიდა. მალე მისი სახლ-მუზეუმიც გაიხსნება. მისეული ნივთები, ტანსაცმელი, ავეჯი, წიგნები და სურათები მნახველს გადასცემენ, უნიჭიერესი ხელოვანის ცხოვრების ამბავს, რომელმაც, როგორც მოცეკვავემ აალაპარაკა მსოფლიო, როგორც ბალეტმეისტერმა 30 სპექტაკლი დადგა, დიდების ზენიტში მყოფმა, უარი თქვა საბჭოთა კავშირის დიდ თეატრში გადასვლაზე და თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში დარჩენა ამჯობინა... ხელოვანზე, რომელიც ბალეტის ლეგენდად იქცა...

P.S. წერილის მომზადებაში გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდი ქალბატონ ეთერ გუგუშვილსა და ბატონ დავით ჯანგველაძეს.

■

რეპეტიციაზე. პედაგოგი ვახტანგ ჭაბუკიანი



სილამაზე

წყალი და

თამარ მამაცაშვილი

აბაზანა აუცილებელი ჰიგიენური პროცედურაა, რომელიც ხელს უწყობს სხეულის გაკაჟებას, გაჯანსაღებასა და გალამაზებას.

ჩვენი კანი დღის განმავლობაში ოფლითა და მტვრით იფარება. ამის „ნიადაგზე" მილიონობით მიკრობი შეიძლება გამრავლდეს. დადგენილია, რომ კანის ერთ კვადრატულ სანტიმეტრზე 40 მილიონი ბაქტერიაა. ერთი აბაზანის მიღების შემდეგ დაახლოებით 10 მილიონი ბაქტერია იღუპება. მარტო ამ მაგალითიდანაც ჩანს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი ჯანმრთელობისათვის აბაზანის მიღება. ბანაობის დროს ფორები იხსნება, კანი იწყებს სწორად ფუნქციონირებას და „ეხმარება" ფილტვებსა და თირკმლებს.

ნებისმიერი აბაზანა ორგანიზმს დასვენებისა და მოდუნების საშუალებას აძლევს. მაგრამ იმის მიხედვით, თუ რა სახის აბაზანას მივიღებთ, ის ან გაგვაკაჟებს, ან დაგვამშვიდებს, ან გაგვალამაზებს და, შესაძლოა, გვიმკურნალოს კიდეც.

აბაზანის მიღებისას, შემდეგი რეკომენდაციები უნდა გაითვალისწინოთ:

— ახალდანაყრებული ნუ იბანავებთ;

— ცხელი აბაზანის (დაახლოებით 40 გრადუსი) შემდეგ აუცილებელია გრილი შხაპის მიღება;

— არ შეიძლება 10-15 წუთზე მეტხანს აბაზანაში წოლა;

— აბაზანის მიღებისთანავე სასურველია მოსვენება და ძილი. თუ აბაზანა დღისით მიიღეთ, 15 წუთით მაინც წამოწექით და დაისვენეთ;

— ცივი აბაზანა აკაჟებს ორგანიზმს, მაგრამ უარყოფითად მოქმედებს თირკმლებზე;

— ძალიან ცხელი აბაზანა ადუნებს გულს, ამიტომ გულით დაავადებულები მას უნდა მოერიდონ;

— ყოველდღიური ჰიგიენური აბაზანის მიღებისას, წყლის ტემპერატურა 36 გრადუსი უნდა იყოს. ასეთი აბაზანა დადებითად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე.

ახლა კი შემოგთავაზებთ სხვადასხვა სახეობის აბაზანას: არჩევანი თქვენზეა.

დასამშვიდებელი აბაზანა: რეკომენდებულია მძიმე და მომქანცველი სამუშაოს შემდეგ. ჯერ იბანავეთ, შემდეგ აავსეთ აბაზანა თბილი წყლით, ჩაყარეთ ორი პეშვი მარილი და ჩაწექით 15 წუთით. თუ ასეთ აბაზანას კვირაში ერთხელ მაინც მიიღებთ, ერთი თვის შემდეგ აშკარად იგრძნობთ ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ბალახის აბაზანა: მისი მიღება რეკომენდებულია კანის დაავადებების: მუწუკების, ფერიმჭამელების, სებორეის დროს. მისი მიღება შეიძლება ზედიზედ რამდენიმე დღის განმავლობაში. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ აბაზანის კვირაში ერთხელ სისტემატური მიღებაც შესანიშნავ ეფექტს იძლევა.

ავიღოთ 25-25 გრამი შემდეგი ბალახი: ცაცხვის ყვავილი, კრაზანა, გვირილა, ბეგქონდარა (იყიდება აფთიაქში), ბალახები ჩავაწყოთ პატარა მიტკლის პარკში, დავასხათ ორი ლიტრი წყალი, ავადუღოთ და ნელ ცეცხლზე, ოცდახუთი წუთის განმავლობაში გავაჩეროთ. ნაყენი მთლიანად ჩავასხათ აბაზანაში.

ნაოჭების საწინააღმდეგო აბაზანა: აიღეთ ნახევარ კილოგრამამდე კარტოფილის ფქვილი, მოადუღეთ სახამებელი და ჩაასხით აბაზანაში. დაუმატეთ ერთი სუფრის კოვზი თაფლი. ამ აბაზანის შემდეგ ძალიან კარგი იქნება, თუ ჯერ კიდევ თბილ კანს მკვებავი საცხით ან კოსმეტიკური რძით დაიზელთ.

ენერგიის აღსადგენი აბაზანა: ეს აბაზანა ძალიან თბილი და ხანმოკლე — მაქსიმუმ 5 წუთიანი უნდა იყოს (უფრო ხანგრძლივი აბაზანა უკუეფექტს იძლევა). წყალს დაუმატეთ ორი სუფრის კოვზი წიწვის ექსტრაქტი. აბაზანის მიღებისას გაიკეთეთ ფეხების მასაჟი; ამ მიზნით უმჯობესია უხეში ჯაგრისის ხმარება. მასაჟი კეთდება წრიული მოძრაობებით, ქვემოდან ზემოთ (გახსოვდეთ, მასაჟი გულის მიმართულებით უნდა გაკეთდეს).

თუ საღამოს რაიმე მნიშვნელოვანი შეხვედრა გაქვთ ან წვეულებაზე ხართ მიწვეული, წიწვოვან აბაზანას ერთი ჩაის კოვზი ეკალიპტის ზეთი დაუმატეთ. წყალში ყოფნისას, ეცადეთ, მოადუნოთ კუნთები. აბაზანაში ყოფნის დრო კოსმეტიკური ნიღბის გასაკეთებლადაც შეგიძლიათ გამოიყენოთ. აბაზანის მერე 20-30 წუთის განმავლობაში მოისვენეთ, მოუსმინეთ მუსიკას. ყოველივე ამის შემდეგ, სარკეში საკუთარი სახის დანახვა ნამდვილად სიამოვნებას მოგანიჭებთ.

ზღვის წყლის აბაზანა: ზღვის წყალი აყუჩებს ტკივილებს, კურნავს კანის სხვადასხვა ინფექციურ დაავადებას, ამშვიდებს ნერვულ სისტემას, ორგანიზმს უბრუნებს მხნეობას. ზღვის წყლის აბაზანის მისაღებად, სულაც არ არის აუცილებელი ზღვის სანაპიროზე გამგზავრება: აფთიაქებში იყიდება ზღვის მარილი. ორი შეკვრა ასეთი მარილი სავსებით საკმარისია ერთი აბაზანის მისაღებად. ეფექტის გასაძლიერებლად, წყალში ჩაყარეთ ერთი სუფრის კოვზი საკვები სოდა. წყლის ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 36-37 გრადუსს. აბაზანის მიღების ხანგრძლივობა ექვსიდან თორმეტ წუთამდე შეიძლება მერყეობდეს.

ზღვის წყლის აბაზანები უნდა მიიღოთ ორ დღეში ერთხელ. ერთი კურსია რვა-თორმეტი აბაზანა. კურსის გამეორება მხოლოდ ექიმის რჩევითა და მხოლოდ რვა თვის შემდეგ შეიძლება. ■

ნიორი და მისი სამკურნალო თვისებები

ნიორი შეიცავს 0,5-0,3 პროცენტ ეთეროვან ზეთს – ალიცინს, რომელსაც სპეციფიკური სუნი და ძლიერი ანტიბაქტერიული მოქმედება აქვს (აფერხებს ბაქტერიების ზრდას 1:125000 პროპორციით განზავებისასაც კი). გარდა ამისა, ნივრის ბოლქვი ცხიმოვან ზეთებსა და C და B ჯგუფის ვიტამინებს შეიცავს. ფართოდ არის გავრცელებული ნივრის, როგორც ანტიბაქტერიული, სოკოს და ჭიების საწინააღმდეგო საშუალების გამოყენება. ნიორი აუმჯობესებს კუჭ-ნაწლავის მოტორულ და სეკრეტორულ ფუნქციებს, ამდენად, ხელს უწყობს მონელების პროცესს, ადამიანს უმატებს მადას. ნიორი მატონიზებელ ზემოქმედებას ახდენს სასუნთქი გზების ლორწოვან გარსზე, ათხელებს ნახველს და ხელს უწყობს მის გამოყოფას; ნივრის პრეპარატები ასტიმულირებს გულის მოქმედებას, აფართოებს კორონარებს. სწორედ ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ნივრის პრეპარატებს კუჭ-ნაწლავის დაავადებების, ზემო სასუნთქი გზების ანთებების, ბრონქიტების, ბრონქოექტაზიის, პნევმონიის, ბრონქული ასთმის, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებების დროს იყენებენ. პროფილაქტიკის მიზნით,ნიორს იყენებენ გრიპის ეპიდემიის, ათეროსკლეროზის, ჰიპერტონული დაავადების დროს. სასარგებლოა ნივრის მიღება ჭიებით ინვაზიის, განსაკუთრებით ენტერობიოზის (ე.წ. წვრილი ჭიების) შემთხვევაში. ნიორი აუმჯობესებს ძილს და ხსნის თავის ტკივილს კლიმაქტერული ნევროზების დროს.

მიირთვით ყოველდღიურად 1-2 კბილი ნიორი – ეს უდავოდ წაადგება თქვენს ჯანმრთელობას.

შემოგთავაზებთ ნივრის სამკურნალოდ გამოყენების რამდენიმე რეცეპტს:

ყივანახველის დროს

წვრილად დაჭერით ან დანაყეთ საშუალო ზომის ხუთი კბილი ნიორი, კარგად ჩახარშეთ არაპასტერიზებულ ერთ ჭიქა რძეში და ასვით ავადმყოფ ბავშვს რამდენიმე დღის განმავლობაში.

ბრონქოექტაზიის (ბრონქის გაფართოება და დაჩირქება), ბრონქიტის დროს

დანაყეთ ნიორი, დაასხით ცოტაოდენი ცხელი წყალი და ამ ნაყენით გაიკეთეთ ინჰალაცია (უმჯობესია ინჰალატორით) ყოველდღიურად, 10 დღის განმავლობაში. თუ ინჰალატორი არ გაქვთ დანაყილი ნიორი ჩაყარეთ ცხელ წყალში, გადაიფარეთ თავზე პირსახოცი და წყლის ორთქლი ისუნთქეთ 10 წუთის განმავლობაში. ყოველი ინჰალაციისათვის ნაყენი თავიდან მოამზადეთ. ნახველი გათხელდება და ბრონქები ჩირქისაგან გასუფთავდება.

ჭიებით ინვაზიის დროს

თუ ბავშვს ენტერობიოზი (წვრილი ჭია აწუხებს, რომლის სიმპტომებია უკანა ტანის ქავილი (განსაკუთრებით ღამით და გამთენიისას), უმადობა, კბილების კრაჭუნი, მისთვის ძალიან კარგია ნივრის თბილი ნახარშის ოყნა. პროცედურა გაიმეორეთ ორ-ორი კვირის შუალედით 3-4-ჯერ.

მეჭეჭების, სირსველის, ეგზემის დროს

ნივრის ახალდამზადებული ფაფა ჩადეთ დოლბანდში და დაიდეთ კანზე. ნიორს შეიზელენ აგრეთვე თმის ძირებში – თმის გამაგრების მიზნით. ასეთი ფაფით მკურნალობენ ჩირქოვან ჭრილობებს, ძნელად შესახორცებელ წყლულებს.

წნევის, ათეროსკლეროზის დროს

გაფცქვენით და გარეცხეთ 350 გრამი ნიორი, დაასხით ერთი ლიტრი სპირტი და დადგით ასე მინის ჭურჭლით, 3 კვირის განმავლობაში, გრილ ადგილას. მიღება დაიწყეთ დოზის თანდათანობითი გაზრდით. ნაყენი უნდა მიირთვათ 3-ჯერ დღეში, რძესთან ერთად, ჭამის შემდეგ. პირველი მიღებისას დალევთ 1 წვეთს, მეორედ – 2-ს, მესამედ – 3-ს და ა.შ. ვიდრე არ მიაღწევთ 20 წვეთამდე. 20 წვეთს 3-ჯერ დღეში სვამთ 2 კვირის განმავლობაში. და შემდეგ იმავე წესით, დოზის შემცირება დაიწყეთ.

ეს ნაყენი ამცირებს სისხლში ქოლესტერინის შემცველობას და დაგიცავთ თრომბოზებისაგან. ■

... სწორედ ეს საფოსტო მატარებელი გაძარცვა ბიგსმა...

... სწორედ ამ ციხიდან გაიქცა ბიგსი

„საუკუნის მძარცველის“ სახელით მთელ მსოფლიოში ცნობილი რონი ბიგსის 35 წლიანი მიმალვის შემდეგ ბრიტანეთში უეცარი დაბრუნების შესახებ მოკლედ „გზის“ №20-ში ვიუწყებოდით. ამჯერად ლეგენდარული ბოროტმოქმედის ცხოვრების ამსახველი წერილი გვინდა შემოგთავაზოთ.

„საუკუნის მძარცველი“

რონი ბიგსის სახლი რიო-დე-ჟანეიროში ყველა ტურისტულ ცნობარში შედიოდა, ბრიტანული ტურისტული სააგენტოები კი, ბრაზილიაში საგანგებო ბიგს-ტურებს აწყობდნენ, რომელშიც მისი სახლის „საპროგრამო“ მონახულება შედიოდა

მძარცველი

ლონდონელი რონი ბიგსის პირველი ნადავლი ფერადი ფანქრების ნაკრები ყოფილა. ეს მოხდა 1942 წელს, როცა რონი მეთორმეტე წელში იყო. მართალია, ამ ფაქტის გამო სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, მაგრამ სასამართლო არ შემდგარა: მამამისმა ფანქრების საფასური გადაიხადა, პოლიციელებმა კი გადაწყვიტეს, რომ ამ წვრილმანი საქმით მაგისტრატის მოცდენა არ ღირდა, მით უმეტეს, სკოლაშიც და შინაც რონის თვინიერი ბიჭის სახელი ჰქონდა, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ ბიგსი დამნაშავე მოზარდების სკოლა-ინტერნატ „ბორსტალში“ მოხვდა და იმ დროიდან მოყოლებული, ლონდონის პოლიციის განყოფილებებისა და ციხეების ხშირი სტუმარი გახდა.

ერთ-ერთი პატიმრობის დროს მან გაიცნო ბრიუს რეინოლდსი და ლონდონური „ფსკერის“ წარმომადგენლისთვის იშვიათი წიგნიერებით გააკვირვა იგი (მაგალითად, ბიგსმა ზეპირად იცოდა შექსპირის ბევრი ნაწარმოები). როცა გათავისუფლების შემდეგ რეინოლდსი თავისი ყველაზე გრანდიოზული დანაშაულისთვის საგანგებო გუნდის ჩამოყალიბებას შეუდგა, რონი ბიგსიც არ გამოუტოვებია.

ლონდონის ერთ პაბში, კათხა ლუდის მირთმევისას, რეინოლდსმა მას გაანდო, რომ აპირებდა გლაზგოდან ლონდონში მიმავალი საფოსტო მატარებლის გაძარცვას, რომელსაც ფული გადაჰქონდა, და ამ გზით მილიონი გირვანქა სტერლინგის ხელში ჩაგდებას. ბუნებრივია, ბიგსსაც შესთავაზა ამ ოპერაციაში მონაწილეობა. თუმცა მას საკმაოდ მოკრძალებული როლი ეკისრებოდა: ოპერაციის მზადებისას, მას უნდა მოეძებნა კაცი, რომელიც მატარებლის მართვას შეძლებდა, ძარცვის დროს კი, რადიოკავშირი უზრუნველეყო. ორივე ამოცანას მან საუცხოოდ გაართვა თავი.

რეინოლდსის თავკაცობით, 18 ბანდიტის მიერ ჩატარებული ოპერაცია საუკუნის ყველაზე დიდ სარკინიგზო ძარცვის სახელით შევიდა ისტორიაში და ნამდვილ ლეგენდად იქცა. ამ დანაშაულის შესახებ დაიწერა წიგნები, შეიქმნა მხატვრული და დოკუმენტური ფილმები, მათ შორის დასავლეთში ძალზედ ცნობილი BUSTER-ი, რომელშიც მთავარ როლს

ფილ კოლინზი ასრულებს...

1963 წლის 7 აგვისტოს ღამით, გლაზგოდან ლონდონში მიმავალი მატარებელი სემაფორის წითელ შუქზე გაჩერდა. მატარებლის მემანქანეებმა არ იცოდნენ, რომ ეს სიგნალი მათთვის რკინიგზელებს არ მიუციათ. რამდენიმე წუთში მთელი შემადგენლობა ბანდიტების ხელში აღმოჩნდა, თანაც ისე, რომ არც ერთი გასროლა არ დასჭირვებიათ. თუმცა, ერთმა ბანდიტმა (და არა ბიგსმა), მაინც გაუტეხა თავი მემანქანე ჯეკ გილზს, რომელიც ამის შედეგად ხეიბარი გახდა და ამ გრანდიოზული დანაშაულის ერთადერთ მსხვერპლად იქცა.

მძარცველებმა მატარებელი სათადარიგო ლიანდაგზე გადაიყვანეს და უზარმაზარი თანხით – 2,6 მლნ გირვანქა სტერლინგით (1963 წლის კურსით, 7,3 მლნ დოლარით, რაც დღევანდელ 50 მლნ დოლარს უდრის) ხელდამშვენებულები გაეცალნენ იქაურობას. ბიგსის წილი, რომელიც მან ორ ჯარისკაცულ ზურგჩანთაში მოათავსა, 147 ათას გირვანქას – დღევანდელი კურსით, 2 მლნ დოლარს აღწევდა.

პატიმარი №2731

გამოძიება, რომელსაც სკოტლენდ-იარდი აწარმოებდა, წარმატებით დასრულდა. 18-დან 14 ბოროტმოქმედი რამდენიმე კვირაში დააპატიმრეს, მაგრამ ხაზინაში გატაცებული თანხიდან მხოლოდ 343 ათასი გირვანქა სტერლინგის დაბრუნება მოხერხდა. დაპატიმრებულთა შორის რეინოლდსიც იყო და ბიგსიც. პოლიციელებს თავიანთ მთავარ მიღწევად რეინოლდსის დაკავება მიაჩნდათ, მაგრამ სასამართლომ სხვაგვარად განსაჯა.

ბიგსის, როგორც ძარცვის მთავარი მოქმედი პირის შესახებ შექმნილი მითის ავტორი, მოსამართლე ედმუნდ დევისი აღმოჩნდა. ის რატომღაც იმთავითვე ბიგსის მიმართ სიძულვილით აღივსო და მისი საქმე ცალკეც კი გამოყო წარმოებაში: მასზე განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმ ამბავმა, რომ ბიგსი მრავალწლიანი სტაჟის მქონე რეციდივისტი იყო. ამის შედეგად, ოპერაციის მთავარ ორგანიზატორს – რეინოლდსს თხუთმეტწლიანი პატიმრობა გამოუტანეს, რონი ბიგსს კი მოსამართლე დევისმა მაქსიმალური სასჯელი – 30 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. რონი ბიგსი, რომლის ქონება იმ მომენტისთვის 100 ათას გირვანქა სტერლინგს აღემატებოდა (ბუნებრივია, მას არ უთქვამს, რომ ფული გადამალული ჰქონდა), უონდსვორტის სამეფო ციხეში გაგზავნეს და ის №2731 პატიმრად იქცა. თხუთმეტ თვეში – 1965 წლის ივლისში მან სენსაციური გაქცევა მოახერხა და ნამდვილი ადამიანი-ლეგენდის სახელი მოიხვეჭა.

მას შემდეგ, რაც ბიგსის ვაჟი მაიკლი სრულწლოვანი გახდა, რონის ახალი ექსტრადიცია დაემუქრა

შეძლებული კაცის გაქცევის ორგანიზება ძნელი როდი იყო: მას საკანში თოკის კიბე და ხერხი მიაწოდეს, დათქმულ დროს კი ამ საკნის ფანჯრის ქვეშ (რომელიც ციხის გარე კედელში იყო) ლეიბებიანი სატვირთო მანქანა იდგა. ცოტა ხნის შემდეგ, ბიგსის ძველ ნაცნობს, ვინმე პილ სიბორნს, როგორც რონის გაქცევის ხელშემწყობს, ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, თავად ბიგსის კვალს კი ვერაფრით მიაგნეს.

დევნილი

რამდენიმე დღის მანძილზე ციხიდან გაპარული ბიგსი ინგლისში იმყოფებოდა, შემდეგ საფრანგეთში ამოყო თავი, სადაც პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა. ამის შემდგომ, ტერი კუკის სახელით, ოთხი წლის მანძილზე სიდნეიში ცხოვრობდა, სადაც კინაღამ დააპატიმრეს: კონსპირაციის მიზნით, რონი სამუშაოზე მოეწყო და ერთ-ერთმა თანამშრომელმა, ქირურგთა მანიპულაციების მიუხედავად, მასში ის ადამიანი ამოიცნო, რომელიც „საუკუნის ძარცვის“ ამსახველ დოკუმენტურ ფილმში ჰყავდა ნანახი, მაგრამ ბიგსმა ამჯერადაც მოახერხა მიმალვა და ვიდრე პოლიცია მის კვალს დაადგებოდა, ჯერ პანამაში გაემგზავრა, ცოტა ხანში კი რიო-დე-ჟანეიროში დამკვიდრდა.

ყველაფერი საუცხოოდ აეწყო: ფული საკმარისი ჰქონდა, საკუთარი სახლიც შეიძინა. ერთადერთი, რაც მას აკლდა, გულის სიმშვიდე იყო. ყოველ სამ თვეში ერთხელ, ტურისტული ვიზის გასაგრძელებლად, პარაგვაიში ან არგენტინაში უწევდა წასვლა. 1974 წელს კი, ბრიტანული პოლიცია დაადგა მის კვალს.

ბიგსს შინ ეწვია სკოტლენდ-იარდის უფროსი სუპერინტენდანტი ჯეკ სლიპერი, რომელიც თავის დროზე იძიებდა „საუკუნის ძარცვას“ და რონის დაპატიმრებაშიც მონაწილეობდა. ბიგსის შესახებ დაწერილ ყველა წიგნში შევიდა პირველი ფრაზა, რომლითაც სლიპერმა შეხვედრისთანავე მიმართა: „დიდი ხანია ერთმანეთი არ გვინახავს, რონი. იმედია, გახსოვარ“. ბიგსი დააპატიმრეს, მას ბრიტანეთში ექსტრადიციის რეალური საფრთხე დაემუქრა, მაგრამ ამ დღემდე ცოტა ხნით ადრე, საყვარელმა ვაჟიშვილი გაუჩინა – ბრაზილიის კანონის თანახმად კი, ბოროტმოქმედი ან ეჭვმიტანილი, რომელსაც ბრაზილიაში არასრულწლოვანი შვილები ჰყავს, არ შეიძლება გადასცენ სხვა სახელმწიფოს. ბიგსი არა მარტო დარჩა ბრაზილიაში, არამედ ამ ქვეყანაში ოფიციალურად ცხოვრების უფლებაც მიიღო.

„რიოს პატიმარი“

ამ დროისთვის ბიგსს, რომელიც მანამდე შეძლებულად ცხოვრობდა და თავს არაფერზე ეუბნებოდა უარს, დანაზოგი შეუთხელდა. სიღატაკემდე რომ არ მისულიყო, ბიგსმა ბიზნესს მოჰკიდა ხელი... შემოსავლის წყაროდ თვით „საუკუნის ძარცვა“ აღმოჩნდა: იმ დროს მის თანამეინახეთა უმრავლესობა ჯერ კიდევ ინგლისის ციხეებში იმყოფებოდა, ამიტომ რონისთვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა, საქმე ისე წარმოეჩინა, თითქოს სწორედ ის იყო ამ გრანდიოზული დანაშაულის სულის ჩამდგმელი და შემსრულებელი. ეს მით უფრო ადვილი იყო, რომ სხვა დამნაშავეთა სახელები არავის ახსოვდა, თუ საერთოდ იცოდა, აი, რობი ბიგსს კი მთელი მსოფლიო იცნობდა – ჯერ სასამართლო პროცესის (მეტადრე, მოსამართლე დევისის) წყალობით, შემდეგ კი – ციხიდან მისი სენსაციური გაქცევისა და ბრაზილიაში არანაკლებ სენსაციური აღმოჩენის გამო. დაბოლოს – მის სახელს წლიდან წლამდე იმეორებდა გინესის რეკორდების წიგნი: უდიდესი სარკინიგზო ძარცვის მსგავსი დანაშაული, მას შემდეგ არ მომხდარა.

ბიგსი მსოფლიო ვარსკვლავად იქცა. მასზე იღებდნენ ფილმებს, იწერებოდა წიგნები (თავად რონიმ თავისი მემუარების არაერთი ტომი გამოსცა, რომელთაგან პირველს „რიოს პატიმარი“ ეწოდებოდა), მასთან შეხვედრა რიო-დე-ჟანეიროში ჩასული ყველა სახელმოხვეჭილი ადამიანისთვის აუცილებელ ნაბიჯად იქცა. მას იღებდნენ (რასაკვირველია, შესაბამისი გასამრჯელოს ფასად) ჯგუფის – SEX PISTOLS-ის კლიპებში, უამრავი ნაწარმისა თუ მომსახურების სახეობის რეკ-

ბრაზილია რონიმ ხეიბრის ეტლით დატოვა...

... მშობლიურ მიწაზე კი მტკიცე ნაბიჯით გაიარა

ლამებში. დაბოლოს, მისმა შვილმა მაიკლმა შექმნა მუსიკალური ჯგუფი და ყველა გამოსვლისას აუცილებლად ახსენებდა მსმენელს, თუ ვისი შვილი იყო. ამის შედეგად, ჯგუფი იმდენად შემოსავლიანი იყო, რომ ბიგსს შეეძლო, საერთოდ არ ეზრუნა მაიკლის განათლების ფინანსურ უზრუნველყოფაზე...

1981 წელს რონი კვლავ კინაღამ მოხვდა ბრიტანული იუსტიციის კლანჭებში: დაქირავებულ ინგლისელთა ჯგუფმა მოიტაცა იგი და კარიბის ზღვაში მდებარე კუნძულ ბარბადოსზე გადაიყვანა, რომელიც ფორმალურად, ბრიტანეთის სამეფოში შედის. მაგრამ ბარბადოსის ხელისუფლებამ უარი თქვა ბიგსის ლონდონისთვის გადაცემაზე და კვლავ ბრაზილიაში დააბრუნა. მას შემდეგ დღემდე ამბობენ, რომ ეს მოტაცება თავად ბიგსის მიერ იყო მოგონილი, რეკლამის მიზნით, რათა მეტი ყურადღება მიექციათ იმ დროს გამოსაცემად გამზადებული მორიგი წიგნისადმი „XX საუკუნის უდიდესი დანაშაულის შესახებ“.

პატრიოტი

ბოლო წლებში რონი ბიგსის ბიზნესს მისთვის დიდი შემოსავლები აღარ მოჰქონდა. პუბლიკაც თანდათან ივიწყებდა მძარცველს – რასაც ვერ იტყვი ბრიტანულ მართლმსაჯულებაზე: ლონდონში მისი ექსტრადიციის ახალი მცდელობისთვის ემზადებოდნენ: მთავარი დაბრკოლება მაშინ მოიხსნა, როცა მაიკლმა სრულწლოვანებას მიაღწია. ეს მოხდა ხუთი წლის წინ, მაგრამ ბოროტმოქმედის მაშინვე ხელში ჩაგდება ბრიტანეთმა ვერ მოახერხა: ხანში შესულ ბიგსს ინსულტი დაემართა და ექიმებმა მისი ტრანსპორტირება შეუძლებლად მიიჩნიეს.

ამრიგად, ბიზნესი უკან-უკან მიდიოდა, მართლმსაჯულება კი სულ უფრო მეტ დაჟინებას იჩენდა. ბიგსიც ისევ მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. ოფიციალური ვერსიით, მას იმდენად მოენატრა სამშობლო, რომ ლონდონში ელექტრონული ფოსტით გააგზავნა წერილი, რომელშიც მართლმსაჯულებისთვის ნებაყოფლობით ჩაბარებას იტყობინებოდა. რაც შეეხება არაოფიციალურს – მან გადაწყვიტა, დაესწრო მოვლენებისთვის და თავისი ნებით ჩაბარება გაეთამაშებინა. ამ შემთხვევაში, მას კეთილგანწყობილი მიღება და ციხიდან მოკლე ხანში გათავისუფლება ექნებოდა გარანტირებული – იმ შემთხვევაში, თუ საერთოდ წამოიჭრებოდა დარჩენილი 28 წლის პატიმრობის საკითხი. მაგრამ ბიგსი რა ბიგსი იქნებოდა, სამშობლოში თავისი დაბრუნებით მატერიალური სარგებელი რომ არ მიეღო?! ბიგსის ბრიტანეთში დაბრუნების ორგანიზების მზადყოფნა პოპულარულმა გაზეთმა THE SUN-მა გამოთქვა. მისი წარმომადგენლები შეხვდნენ ხელისუფლებას, მან გაუგზავნა მძარცველს თვითმფრინავი, უზრუნველყო მისი დაშვება ლონდონის მახლობლად მდებარე სამხედრო ბაზაზე. ბრაზილიური გაზეთების ინფორმაციით, ამისთვის ბიგსმა რედაქციისაგან 500 ათას დოლარზე მეტი მიიღო. სიმართლეა ეს თუ არა, ბრიტანეთის ხელისუფლება გაარკვევს.

ღირსშესანიშნავ დღემდე ერთი კვირით ადრე, რონიმ კვლავ დაიწყო ინტერვიუების მიცემა, რომლის დროსაც ამბობდა, რომ მშობლიურ მიწაზე უნდა მოკვდეს, რომ ოცნებობს ინგლისურ ლუდსა და ექსტრაქტზე MAZMITE, „მაპატიებენ თუ არა – ეს ნაკლებად მაღელვებს“, – ამბობდა ბიგსი (მაშინ, როდესაც მისი ბრიტანელი ადვოკატები უკვე ამზადებდნენ შუამდგომლობას მისი შეწყალების თაობაზე, ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის მოტივით). ლონდონში გადაფრენის დღისთვის, საზოგადოებრივი გამოკითხვის თანახმად, ბრიტანელთა უმრავლესობამ მის შეწყალებას დაუჭირა მხარი. როცა ტელევიზიით უჩვენეს რიო-დე-ჟანეიროს აეროპორტში ხეიბრის ეტლში მჯდომი ხნიერი კაცის გულის ამაჩუყებელი კადრები, მაყურებელთა კეთილგანწყობილ გრძნობებს საზღვარი არ ჰქონდა...

ლონდონში ბიგსი თვითმფრინავის ტრაპთანვე დააპატიმრეს და სასამართლოში მიაბრძანეს. მოსამართლემ, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, მისი პატიმრობაში აყვანის გადაწყვეტილება გამოიტანა. მიუხედავად ამისა, ბრიტანეთში არავის ეპარება ეჭვი, რომ ის ძალიან მალე გამოვა ციხიდან. კანონის თანახმად, გამონაკლის შემთხვევაში, შინაგან საქმეთა მინისტრს აქვს პატიმართა ვადამდელი გათავისუფლების უფლება. რონი მართლაც, მოხუცებული კაცია, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაც ძალზედ აწუხებს ექიმებს. მისი ვადამდელი გათავისუფლების საფუძველს მხოლოდ ეს გარემოებაც იძლევა. მაგრამ მთავარი ის არის, რომ სამშობლოში დაბრუნებისას ბიგსი ლამისაა, ეროვნულ გმირად იქცა. ცნობებმა მისი ჩამოსვლის შესახებ თვით პარლამენტის ვადამდელი დათხოვნის ამსახველი ინფორმაცია მეორე პლანზე გადასწია. ასეთი ადამიანის ციხეში გაჩერება ბევრ ამომრჩეველს არა მარტო ბარბაროსობად, არამედ, როგორც ინგლისელები იტყვიან ხოლმე, „არასპორტულადაც“ მიაჩნია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბიგსს, უკვე თავისუფალი მოქალაქის რანგში, საშუალება მიეცემა, მონაწილეობა მიიღოს ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებში, რომელიც 7 ივნისს უნდა გაიმართოს.

■

ადამიანის შემსწავლელი მეცნიერება

იასონის ეკიპაჟის წევრი

ბერძული ქვეკითილი გამოსახულებით

ათასწლეული

საწერი მაგიდა გაჯმოსწავლეფიცრით

სულ მცირე, პატარა (ძვ.)

აკუმულატ. სიმკვრივის საზომი ხელსაწყო

სვანური სიმღერა

მსახიობების, მხატვრების, მუსიკოსთა წრე

არქტიკის ნორვეგიელი მკვლევარი

□-ის ქართული სახელწოდება

მთ.კათოლიკური ღვთისმსახურება

დიდი მტაცებელი ფრინველი

ნაწარმოების სასინჯი შესრულება

მტაცე ქოფლისგან შეკერილი სათავსი

შოტლანდ. ფილოსოფოსი და ეკონომისტი

უბედური შემთხვევა

ხალხთა მტაცე ერთობა

ქართველი პოეტი – აკადემიკოსი

დამუხტული ნაწილაკი

ნეგატივის ანტიპოდი

ფართის საზომი ერთეული

მდინარე ვოლგის ძვ. სახელწოდება

პროფესიონალი მონადირე

სამაგიდო თამაში

ტურ ჰეერდალის პაპირუსის ნავი

ოპერა „დაისი“ (პერსონაჟი)

სხეულთა გადაადგილება უწონტაქტოდ

„... – ადამიანი?!“

მელვინეთ-უხუცესი, იოსელიანი

გერმანიის სასაზღვრო მდინარე

იგავ-...

საკვების ნორმა გარკვეული ვადისთვის

მიმღებ-გადამცემი რადიოსადგური

ორგანიზაციის ფასეულობათა მცველი

„კავკასიური ცარცის წრე“ (პერსონაჟი)

გარეული ცხოველი (ზოგადად)

ბართლომეს ლამის ერთ-ერთი ორგანიზატ.

წარწერა გერბზე

ლამაისტი მსახიობი

ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲐ ᲠᲐᲛᲐᲖ ᲐᲚᲐᲜᲘᲐᲛ

30-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ა; 3-ა.

45-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-გ; 2-ა; 3-გ; 4-გ.

კვირის (4 – 10 ივნისი) ასტროლოგიური პროგნოზი

მარგალიტი – 22/V-21/VI

სასიამოვნო, რომანტიკული კვირა გელით. სამუშაოზე სიამოვნებას მოგანიჭებთ კოლეგებთან და პარტნიორებთან ურთიერთობა (რაც, სხვათა შორის, მომგებიანი გარიგებების დადებაში დაგეხმარებათ), ხოლო თავისუფალ დროს გული გაგიწევთ იმ ადამიანებისკენ, რომლებთანაც ტკბილი მოგონებები გაკავშირებთ.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ამ კვირაში ლოგიკური აზროვნების არაჩვეულებრივ უნარს გამოამჟღავნებთ. ყველაზე ჩახლართულ პრობლემებსა და ურთულეს თავსატეხსაც კი გაუმკლავდებით; მაგრამ უფრთხილდით საკუთარ ეგოცენტრიზმს. პარასკევისთვის კი, უმჯობესი იქნება, თუ გონებას დაასვენებთ და გულისთქმას მიენდობით.

ლომი – 23/VII-23/VIII



ამჟამად თქვენთვის საუკეთესო გამოსავალი – ტელევიზორთან ჯდომაა. არავითარ შემთხვევაში, არ მიიღოთ მონაწილეობა არანაირ კონფლიქტში. გაუთავებელი საქმეებით ძალზედ გადაიღალეთ და თუ არ ამოისუნთქავთ, შესაძლოა, ყველაზე ძვირფასი – ჯანმრთელობა შეგერყეთ. ამიტომ, ეს კვირა ოჯახის წევრებს დაუთმეთ და განიტვირთეთ.

ქალწული – 24/VIII-23/IX

ყველაზე მხიარული წვეულებიდანაც კი გული შინისკენ მიგიწევთ. ამ კვირაში მხოლოდ შინ და მხოლოდ ახლობელი ადამიანების გარემოცვაში იგრძნობთ თავს კომფორტულად და მშვიდად.

სასწორი – 24/IX-23/X

თავს ძალა დაატანეთ და შეეცადეთ, გარშემომყოფთა ტკივილი გულთან ახლოს მიიტანოთ და შეძლებისდაგვარად დაეხმაროთ მათ. პასუხისმგებლობით მოეკიდეთ საერთო პრობლემებსაც და მთელი ტვირთი საკუთარ თავზე აიღეთ. თუმცა, სასწორებო, ცოტაოდენი ეგოიზმი თქვენც არ გაწყენდათ!

ღრიანკალი – 24/X-22/XI

მშვიდი და უღრუბლო დღეები გელით. ახლა შეგიძლიათ ყოველგვარი წყენისა და საყვედურების გარეშე გადაჭრათ ნებისმიერი პირადი პრობლემა. განსაკუთრებულ სიამოვნებას კი კლასიკური მუსიკის მოსმენა, კარგი წიგნის წაკითხვა, საინტერესო ფილმის ნახვა და უბრალოდ, ბუნებაში გასეირნება მოგგვრით. მაგრამ მაღალია ფიზიკური ტრავმის მიღების ალბათობაც.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ძალზედ სერიოზული და პრაქტიკული იქნებით, რამაც, შესაძლოა, გარკვეული პრობლემები შეგიქმნათ – როგორც კოლეგებთან, ისე მეგობრებთან ურთიერთობაში. სამაგიეროდ, წარმატებას მიაღწევთ საქმეში. მიუხედავად ამისა, ხანდახან მაინც უნდა გაიღიმოთ.

თხის რქა – 22/XII-20/I

ნაცნობ-მეგობრების წრის გაფართოება და განახლება არ გაწყენდათ. უარს ნუ იტყვით მიპატიჟებაზე და ელიტის ცხოვრების წესს დროის ფუჭ ხარჯვად ნუ მიიჩნევთ. გაუთვალისწინებელმა და მოულოდნელმა შეხვედრამ, შესაძლოა, რადიკალურად შეცვალოს თქვენი ცხოვრება.

მერწყული – 21/I-19/II

ამ კვირაში სასურველია, დიდი ხნის უნახავი მეგობრები და ახლობლები მოინახულოთ, სახლის რემონტის ჩატარება და ახალი ბიზნესის წამოწყებაც შეგიძლიათ. ნუ გეწყინებათ, მაგრამ ამ დღეებში ინტელექტუალური ამოცანების გადაჭრას ნამდვილად ვერ შეძლებთ. ასე რომ, ჯერჯერობით ემოციებს მიენდვეთ.

თევზები – 20/II-20/III

თუ უბრალო, რიგითი თანამშრომელი ხართ, ჩათვალეთ, რომ გაგიმართლათ. აი, თუ ხელმძღვანელი მუშაკი ბრძანდებით, იცოდეთ, რომ ქვეშევრდომებს ვერანაირ დავალებას ვერ მისცემთ – იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თავში არაფერი მოგივათ, რადგან ახლა მთელი არსებით, სასიყვარულო გრძნობებში ხართ ჩაფლული.

ვერძი – 21/III-20/IV

გეჩვენებათ, რომ სიტუაცია თქვენგან საგმირო საქმეებს, გადამჭრელ ნაბიჯებსა და სარისკო ავანტიურებს მოითხოვს. მაგრამ არავითარ შემთხვევაში მსგავსი არაფერი მოიმოქმედოთ! ცდუნების დასაძლევი საუკეთესო წამალი თქვენთვის ახლა შრომაა და, რაც უფრო მძიმე და მომქანცველი იქნება სამუშაო, მით უკეთეს შედეგს გამოიღებს „მკურნალობა“.

კურო – 21/IV-21/V

არაჩვეულებრივად ახერხებთ შემოქმედებითი აქტივობისა და კომერციული საქმიანობის შერწყმას, დიდ წარმატებასაც მიაღწევთ ნებისმიერ საქმეში და არა მარტო საქმეში – სიყვარულშიც გაგიმართლებთ, რადგან გულგრილს, უბრალოდ, არავის დატოვებთ.

მხოლოდ ქალებისთვის როგორი ქმარი გყავთ?

ცნობილია, რომ ერთნაირი ხასიათის ორი ადამიანი არ არსებობს. და მაინც, თითოეული ჩვენგანი მეტ-ნაკლებად რომანტიკულია; თუ რამდენად — ეს უკვე კონკრეტულ ინდივიდუმზეა დამოკიდებული.

სცადეთ, თქვენი ცხოვრების თანამგზავრს სწორედ ასეთი თვალით შეხედოთ. წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი შეკითხვები და შეარჩიეთ პასუხების თქვენთვის ყველაზე შესაფერისი ვარიანტი:

1) როგორი წიგნების კითხვა უყვარს?

ა) ისტორიული რომანების – 3;

ბ) ფანტასტიკის, მოგზაურობის შესახებ – 2;

გ) ყველაფერს კითხულობს – 1;

დ) საერთოდ არ კითხულობს წიგნებს – 0.

2) როგორი მუსიკა უყვარს?

ა) საცეკვაო – 2;

ბ) საესტრადო – 2;

გ) კლასიკური და ხალხური – 3;

დ) გულგრილია მუსიკის მიმართ – 0.

3) რითი ერთობა თავისუფალ დროს?

ა) მიდის სტადიონზე – 2;

ბ) უყურებს ტელევიზორს – 1;

გ) სეირნობს ქალაქში ან ბუნებაში – 3;

დ) ძირითადად ეზოში „ერთობა“ – 0.

4) როგორ ურჩევნია შვებულების გატარება?

ა) დასასვენებელ სახლში – 1;

ბ) ტურისტულ მოგზაურობაში – 2;

გ) ახალ, უცნობ ადგილას გამგზავრებას ამჯობინებს – 3;

დ) ამ სფეროში რაღაც განსაკუთრებულ მიდრეკილებას არ იჩენს – 0.

5) გჩუქნით თუ არა ყვავილებს?

ა) ყვავილების ჩუქება არასოდეს ავიწყდება – 3;

ბ) ამას ზედმეტად თვლის – 0;

გ) მხოლოდ დაბადების დღეზე – 2;

დ) მხოლოდ შეხსენების შემდეგ – 1.

6) ახსოვს თუ არა თქვენი შეუღლების დღე?

ა) ეს დღე თქვენს ოჯახში ნამდვილი დღესასწაულია – 3;

ბ) ამ დღეს ყვავილებს ან საჩუქარს გჩუქნით – 2;

გ) მხოლოდ ბოლო წუთს ახსენდება – 1;

დ) მისთვის ეს დღე ქეიფის მშვენიერი მიზეზი ხდება – 0.

7) შეუძლია თუ არა მოამზადოს სადილი?

ა) შეუძლია, თუ ფანტაზიასა და მონდომებას გამოიჩენს – 3;

ბ) მისი შესაძლებლობების მაქსიმუმი ერბოკვერცხი და გახსნილი კონსერვის ქილაა – 1;

გ) მარტივი კერძების მომზადება შეუძლია, ოღონდ უხალისოდ – 2;

დ) ურჩევნია, დარჩეს მშიერი და გაბრაზებული – 0.

8) როგორ საჩუქარს გჩუქნით დაბადების დღეზე?

ა) ყვავილებს, სუნამოს ან კანფეტებს, გულითადი სიტყვებით სავსე მოსალოცბარათთან ერთად – 3;

ბ) რაიმეს ქალისთვის შესაფერისი ნივთებიდან – 2;

გ) საოჯახო ნივთს (ჭურჭელს ან ჩაიდანს) – 1;

დ) მოუცლელობას იმიზეზებს, ფულს გაძლევთ და გთავაზობთ, თავად შეარჩიოთ სასურველი საჩუქარი – 0.

შეაჯამეთ მიღებული ქულები და გაარკვიეთ, რომელ კატეგორიას მიეკუთვნება თქვენი მეუღლე, შემდგომ, შესაბამისი დასკვნების გაკეთებაც არ დაგავიწყდეთ.

დააჯამეთ მიღებული ქულები

18 და მეტი ქულა: **თქვენი მეუღლე ხასიათითა და მიდრეკილებებით ნამდვილი რომანტიკოსია. მას აქვს უნარი, ჩვეულებრივი დღე დღესასწაულად გიქციოთ. თქვენი ოჯახური ცხოვრების ბევრს შურს. ეცადეთ, ურთიერთგაგებით მოეკიდოთ მის ქცევას, თორემ რომანტიზმი შეიძლება დროთა განმავლობაში გახუნდეს.**

11-17 ქულა: **თქვენს მეუღლეს რომანტიკოსობისკენ მიდრეკილება აქვს, მაგრამ ამ ღირსების ღიად წარმოჩენა, რატომღაც ერიდება. შეიძლება მას სამუშაოს გამო არ სცალია რომანტიკისთვის, ხანდახან კი ის სენტიმენტალურ გუნებაზე დგება და მაქსიმალურ ყურადღებასა და სინაზეს იჩენს. მთლიანობაში, ის კეთილი და რეალისტი ადამიანია, ეს კი ნამდვილად დასაფასებელია.**

6-10 ქულა: **თქვენი მეუღლე ძალიან საქმიანი ადამიანია, მისი რომანტიკული თვისებები (თუკი საერთოდ აქვს) ძალიან დათრგუნვილია. მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ მისი ხასიათის რომანტიკული თვისებები აღმოაჩინოთ და გააღვივოთ.**

5 და ნაკლები ქულა: **სჯობს სიმართლეს თვალი გაუსწოროთ: თქვენს მეუღლეს რომანტიკულობის ნატამალიც კი არ გააჩნია. შეეგუეთ ამას, ეცადეთ სხვა, საუკეთესო თვისებები აღმოაჩინოთ მასში და ამ გზით მოახდინოთ მისი არარომანტიკულობის კომპენსაცია.**

თამაში მოზიდულებსაც უყვართ

ლონდონში, ოქსფორდ-სთრითზე დიდი გამოცოცხლება გამოიწვია ერთ-ერთი მაღაზიის ახალმა ვიტრინამ, რომელსაც „ქალწული“ ჰქვია და ცოცხალი წყვილით არის „გაფორმებული“. ვაჭრობის ნოვატორთა ჩანაფიქრის თანახმად, ორი ცოცხალი მოდელის მიერ სასიყვარულო პრელუდიის სცენის შესრულებამ რეკლამა უნდა გაუწიოს მოზრდილთათვის განკუთვნილ სამაგიდო თამაშს, რომელსაც NOOKII ჰქვია. მაგრამ ვის ახსოვდა თამაში? გამვლელები გაშტერებულები შეჰყურებდნენ მსახიობებს და ფოტოკამერებსაც აჩხაკუნებდნენ. მაღაზიის თანამშრომელი კი, ფხიზლად აკვირდებოდა – ემანდ „ხელი არ წაუცდეთ“, და ზედმეტი არ მოუვიდეთო...

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲫᲘᲚᲘᲡᲒᲣᲓᲐ

ჩეხეთში მიმდინარე ძილისგუდების შეჯიბრებაში, რომლის ლოზუნგი იყო – „ხანგრძლივი ძილი ერის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ნიშანია“, 13 წლის გოგონამ, იანა ლიბოტოვიცკამ გაიმარჯვა. მას 20 სთ და 32 წთ ეძინა და შეჯიბრების 32 სხვა მონაწილეს სძლია. ერთ-ერთი მათგანი – 50 წლის ევა ნოვა საერთოდ ჩაფლავდა: მხოლოდ ერთი საათით შეძლო დაძინება და ეს კი იმით ახსნა, რომ საკუთარ ლოგინში არ იწვა.

ᲐᲮᲐᲚᲘ „ᲮᲔᲚᲡᲐᲜᲧᲝᲗ“ ᲛᲐᲜᲓᲘᲚᲝᲡᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲪᲐᲕᲐᲓ

ჩრდილოეთ აფრიკელმა ექიმმა, აიაჰ ხაუმანმა ქალებისთვის მოძალადისგან დასაცავი საფენი გამოიგონა. თავდაცვის ამ ორიგინალურ საშუალებაში ჩამონტაჟებულია საპარსი, რომელიც მაშინვე „ამოხტება“ ხოლმე, როგორც კი საფენს დააწვებიან. მიუხედავად იმისა, რომ ლაბორატორიულმა ცდებმა საფენის ეფექტურობა დაადასტურა, ქალთა ორგანიზაციებმა „მკვლელ-საფენად“ შერაცხეს იგი და აქტიურად შეეწინააღმდეგნენ. მათი ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი ის არის, რომ საპარსის მოქმედებით გამწარებულმა მოძალადემ, მსხვერპლის სიცოცხლეც შეიძლება ხელყოს. „ამ ქალბატონებს არ ესმით რას ამბობენ, – აცხადებს ექიმი ხაუმანი. – ფალოსი მამაკაცის უმთავრესი ორგანოა – უფრო მთავარი, ვიდრე გული ან ფილტვები, ამიტომ საპარსის მოქმედების შედეგად მოძალადეს უმალ დაავიწყდება ქალი და ის თავის საშველად გაიქცევა...“

„ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔ“ ᲓᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘ

ქაბულში, მავნებლური დასავლური მოდის პროპაგანდის ბრალდებით, 22 დალაქი დააპატიმრეს. მიზეზი „ტიტანიკის“ მთავარი როლის შემსრულებელი ლეონარდო დი კაპრიო და მისი ვარცხნილობაა: მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წლის წინ თალიბებმა დასავლეთში წარმოებული ნებისმიერი კინო და ვიდეოფილმები აკრძალეს, ახალგაზრდები მაინც ახერხებენ მძაფრსიუჟეტიანი ამერიკული ფილმების ნახვას, მათ შორის ყველაზე გულადებმა კი, თავიანთ კერპს რომ დამგვანებოდნენ, იერის შეცვლაც გადაწყვიტეს. ადგილობრივმა წესრიგის დამცველებმა ახალგაზრდების ასეთი საქციელი, საზოგადოებრივი მორალის საწინააღმდეგო აქტად ჩათვალეს, რომელიც წვერისა და დოლბანდის ტარებაში გამოიხატება. თუმცა „დამნაშავე“ დალაქებს ამჯერად ჯარიმასა და ჯოხის რამდენიმე დარტყმასთან ერთად, მხოლოდ თავის გადაპარსვას აკმარებენ.

ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲐ · ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲐ · ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲐ · ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲐ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲗᲐᲕᲐᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲘᲡ – „ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲘᲡ“ ᲞᲐᲡᲣᲮᲐᲓ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲗᲐ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ ᲥᲕᲘᲗᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲐ ᲑᲐᲢᲝᲜᲛᲐ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲛᲐᲭᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲛᲐ

ᲕᲣᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲑᲐᲢᲝᲜ ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲡ ᲓᲐ ᲕᲣᲡᲣᲠᲕᲔᲑᲗ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲡ!

ᲰᲐᲐ, ᲐᲠᲘᲡ ᲠᲐᲛᲔ?!

(მკითხველის გვარი, სახელი)

(ცნობილი პიროვნებები)

ᲐᲛ ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲘᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲡᲐᲮᲕᲘᲡ ᲒᲐᲕᲐᲠᲯᲘᲨᲔᲑᲐᲡ ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ. ᲒᲐᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲤᲝᲢᲝᲖᲔ ᲐᲦᲑᲔᲭᲓᲘᲚ ᲡᲐᲮᲔᲡ ᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲛᲝᲐᲠᲒᲔᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲛᲝᲣᲮᲓᲔᲑᲐ. ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲤᲝᲢᲝ ᲘᲛ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢ ᲮᲛᲐᲡ ᲓᲐᲐᲒᲠᲝᲕᲔᲑᲡ.

ᲒᲗᲮᲝᲕᲗ, ᲨᲔᲐᲕᲡᲝᲗ ᲥᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲒᲕᲘᲒᲖᲐᲕᲜᲝᲗ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘ „ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ“ ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲧᲣᲗᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ. ᲥᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲩᲐᲐᲒᲓᲔᲗ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ (5 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ) 13 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ.

„ფანტაზია“

ჰაა, არი რამე?!



„ფანტაზიორებს მკითხველი“

კონტრაბანდისტების რისხვა

კრემი სკინორენი

სარკესავით კრიალა კანი

სამკურნალო
საშუალება
თქვენი
კანისთვის